

ფანტომი 2

კონვარდ
ლაპროკაფტი

ფანსეასი

ლიტერატურული
ჟურნალი-გზაგადასვლი
ფანტასტიკის სამყაროში

ნომერი ეძღვნება ჰოვარდ ფილიპს ლავკრაფტს 2015



რედაქტორის სვეტი 4

ჰოვარდ ფილიპს ლავკრაფტი
(Howard Phillips Lovecraft)

უცხო სამყაროს ფერი (The Colour Out of Space) 5
 ქთულჰუსი დახილი (The Call of Cthulhu) 23
 ავბელითი მღვდელმსახური (The Evil Clergyman) 43
 უცნობი მთვარის შუქზე (The Thing in the Moonlight) 46
 ულთარის კატები (The Cats of Ulthar) 48
 უცხო (The Outsider) 51

ვაშინგტონ ირვინგი (Washington Irving)
 ალჰამბრა ანუ ამბავი არაბი ვარსკვლავთმრიცხველისა
(Alhambra, Legend of the Arabian Astrologer) 54

წერილები:

ბიორბი მაჰარაშვილი – ჰოვარდ ფილიპს ლავკრაფტი –
 პორტრეტის მონახაზი 68
 ირაკლი ლომოური – უელბეკი ლავკრაფტზე
 მისეილ შაველაშვილი 71
 – ორიოდე სიგყვა კინოჰორორზე 82
 ლევან ბელაშვილი – ლავკრაფტის ეკრანიზაციები 85

კლუბის წევრთა შემოქმედება

ილია ბაბუნაშვილი
 – სასამართლო 88
 – თბილისური ჩანახაზი 94
 მისეილ შაველაშვილი
 – სიკვდილის ცეკვა 96
 – წითელქუდა 100
 ანა ჩიქოვანი – თარგმანი 103
 კობა მხაპია – ოქროსა 106
 მაღზაზ რუსაძე – ანა უჭირა მ 119



რელაქტორის სვეტი

ბვირფასო მკითხველო!

შენ წინაშეა ჩვენი ჟურნალის მეორე ნომერი. მართალი გითხრა, ვერც კი ვიჯერებ ბოლომდე, რომ „ფანტასტი“ გამოდის და აგერ, მეორე ნომერიც დაიბეჭდა. საქმე ისაა, რომ ეს ფაქტი თავისთავად ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება.

რაგომ? – იმიტომ, რომ მხოლოდ ერთუზიანობის ხარჯზე ვუშვებთ ნამდვილ ჟურნალს... ნამდვილს! ანუ სერიოზულს! ფანტასტიკურს!

რამდენ ხანს გვეყოფა ერთუზიანობა? ისეთი სიხარული და სიამოვნება ყოფილა ამ ნამდვილად ფანტასტიკური საქმის კეთება, რომ მჯერა – გვეყოფა ბოლომდე, ანუ სანამ ამქვეყნად ვართ, არ გავჩერდებით, თავს არ დავანებებთ... მიუხედავად იმისა, იქნება თუ არა სამოგადოების მხარდაჭერა და ყურადღება, გამოგვიჩნდება თუ არა სპონსორი თუ მეცენატი...

ჟურნალის ყოველი ნომერი გადავწყვიტეთ რომელიმე ცნობილ ფანტასტს მივუძღვნათ. მეორე ნომერი, როგორც ხედავთ, ლავკრაფტს ეძღვნება... რაგომ მაინცდამაინც მას? მიზეზი სამია: არსებითი, პრობაული და „იდუმალი“. ხსენებულ მიზეზთა ჩამოთვლას ახლა არ შევუდგები, რადგან წერილში „უელბეკი ლავკრაფტზე“, ყველაფერი დაწვრილებითაა განმარტებული – შეგიძლიათ წაიკითხოთ და ყველაფერს გაიგებთ. აქ მხოლოდ მთავარს ვიგყვი: ლავკრაფტი მოვლენაა, რომელსაც ვერაფრით აუვლის გვერდს ჟურნალი, რომელსაც თანამედროვე ფანტასტიკა აინტერესებს და მიზნად ისახავს, ამ ქანრის ერთგვარი ლიტერატურული გზამკვლევის როლი შეასრულოს ქართველი მკითხველისთვის.

და კიდევ ერთს ვიგყვი – მინდა ეს სამოგადოებამ იცოდეს: ჩვენი ჟურნალი და ჩვენი კლუბი, სინამდვილეში, ლიტერატურული სახელოსნოს ფუნქციას ასრულებს; ანუ ესაა სასწავლო-შემოქმედებითი სტუდია, სადაც ახალბედა ფანტასტების დაოსტატება ხდება – მათ ნაწერს ერთობლივად ვარჩევთ და საუკეთესოებს ვაქვეყნებთ კიდევ. სწორედ ამიტომაც ვერასოდეს შევეშვებით ამ საქმეს, რადგან ახალგაზრდების ანთებულ თვალებს ვხედავთ...

გაუმარჯოს ფანტასტიკას და ფანტასტებს!



ჰოვარდ ლაკროფტი

უხსო სამყაროს შერი

არკჰემის დასავლეთით უდაბური გორაკები და უღრანი ტყით დაფარული დაბლობებია, სადაც ხისმჭრელს ჯერ არ გაუვლია. ვიწრო ხევსუბებში ხეები ისეთ ციცაბო ფერდობებზე იზრდებიან, გაგიკვირდება. მზის სხივი ხევის ძირზე ნაკადულს ზაფხულის ჩახჩახა დღესაც კი ვერ სწვდება. შედარებით დამრეც ფერდობებზე ქვისგან ნაგები ძველი ფერმებია, ხავსით დაფარული სახლები, ძველი ნიუ-ინგლენდის საუკუნოვან საიდუმლოებებს რომ ინახავენ. ახლა ეს შენობები ცარიელია. ფართო საკვამურები დაიბზარა, გადმოხრილი კედლები ოთხფერდა სახურავებს ძლივს და აკავენ.

ვინც იქ ოდესღაც ცხოვრობდა, იქაურობას დიდი ხანია გაეცალა, უცხოელებს კი იმ არემარეში დასახლება არ სურთ. ფრანკო-კანადელებმაც სცადეს ეს, იტალიელებმაც და პოლონელებმაც, მაგრამ მერე ადგნენ და სხვაგან გადაბარგდნენ. ამის მიზეზი არ არის ისეთი რაღაც, რაც შეიძლება დაინახო, გაიგონო ანდა ხელით შეეხო, არამედ სრულიად წარმოსახვითია. საიმპერატორო კარგი ადგილი ნამდვილად არ გახლავს, ღამით კაცი იქ მშვიდად ვერ დაიძინებს. ამ რაღაცის გამოა, რომ უცხოელები იქ ღიბნანს ვერ

ჩერდებიან, არადა, ბებერ ემი პირსს მათთვის არც კი მოუყოლია, რაც „საოცარი დროებიდან“ ახსოვს. წლებთან ერთად, ბებერი ემი შერეკილს დაემსგავსა, თითქოს ჭკუიდან გადავიდაო. იგია ერთდერთი, ვისაც ახსოვს წარსული, და ვინც ზოგჯერ იმ „საოცარ დროებაზე“ საუბრობს. ამას მხოლოდ იმიტომ ბედავს, რომ მისი სახლი გაშლილი მინდვრებისა და არკჰემისკენ მიმავალი, შემოვლითი გზის პირას დგას.

ოდესღაც გზა გორაკებსა და დაბლობს კვეთდა, უშუალოდ „წყვეულ ნაოხარზე“, გადიოდა, თუმცა ადამიანებმა ის მიატოვეს და მოგვიანებით ახალი გზა გაიყვანეს, მიხვეულ-მოხვეული, სამხრეთიდან რომ უვლის. ძველი გზა აქა-იქ ჯერ კიდევ ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ ტყე უტევს. ის, ალბათ, მაშინაც კი შესამჩნევი დარჩება, როდესაც დაბლობის დიდი ნაწილი წყალქვეშ მოექცევა, – ახალი წყალსაცავის აშენების შემდეგ. გაშავებულ ხეებს გაჩეხენ და „წყვეულ ნაოხარს“, წყალი დაფარავს. „საოცარი დროების“ საიდუმლოება ამოუხსნელი დარჩება, პრეისტორიული ოკეანის ანდა დედამიწის წარმოშობის საიდუმლოებათა მსგავსად.

როდესაც იმ მხარეს ვეწვით, მომავალი წყალსა-

ცავის საზღვრები რომ დამედგინა, გამაფრთხილეს, – იქ „წყვეული ნაოხარია,, რადგან ამის შესახებ არკჰემში მითხრეს, ხოლო ეს ძველი ქალაქი (არკჰემი, სინამდვილეში, არ არსებობს, ლავკრაფტის გამოგონილია. – მთარგმნ. შენიშვნ.) ალქაჯებზე ლეგენდებითაა სავსე, თავიდან ვიფიქრე, ალბათ, ისეთ რაღაც-ზეა-მეთქი ლაპარაკი, რაზეც ბებიები შვილიშვილებს ჩურჩულით უყვებიან. თვით სახელი „წყვეული ნაოხარი,, მოულოდნელად და, ცოტა არ იყოს, თეატრალურად მომეჩვენა. საინტერესოა – გავიფიქრე მაშინ, – როგორ მოხვდა ის ღვთისმოსავი პურიტანების გადმოცემებში? მაგრამ მას მერე, რაც ჩემი თვალთვნაზე იქაურობა, გორაკებისა და დაბლობების ჭრელი ქაოსი, უკვე აღარაფერი გამკვირვებია, იმ ადგილის ძველი საიდუმლოების გარდა.

იმ ადგილებში სისხამ დილას მოვხვდი, თუმცა ყველაფერი თითქოს ჩრდილში იყო მოქცეული. ხეები ახლო-ახლო იზრდებოდა, თანაც ვარჯი მეტისმეტად მსხვილი ჰქონდათ, ნიუ-ინგლენდის ნებისმიერ ჯანსაღ ტყის ხეებთან შედარებით. უსიერ ტყეში საოცარი მდუმარება სუფევდა. წლობით ხელუხლებელი ნიადაგი მეტად ნოტიო, მსუყე, დახავსებული გახლდათ.

ტყისგან თავისუფალ ადგილებზე, ძველი გზის გასწვრივ, მიტოვებული ფერმები იდგა. ზოგან ყველა შენობა იყო შემორჩენილი, ზოგან – მხოლოდ სახლი და ერთი-ორი ფარდული, ზოგან კი მხოლოდ საკვამური ან სარდაფი თუ მოგზავდებოდა თვალში. იქაურობას სარეველა ბალახი და სვია ახრჩობდა, მცენარეებში რაღაც წარმოუდგენლად ველური ძალა იგრძნობოდა. ყველაფერში თითქოს რაღაც შფოთვას და თან, მოწყენილობას დაესადაგურებინა. თითქოს რაღაც ირეალური გამეფებულყოფი, თითქოს რაღაც იდუმალმა ძალამ გაამრულა პერსპექტივა თუ შუქჩრდილები. გასაკვირი არაა, რომ იქ, იმ არემარეში, დიდხანს ვერავინ ჩერდებოდა, ამგვარ ადგილას ცხოვრება შეუძლებელია. იქაურობა სალვატორე როზას (იტალიელი ფერმწერი, პოეტი და მუსიკოსი, 1615-1673 – მთარგმნ. შენიშვნ.) პეიზაჟს ანდა გოტიკური რომანის ილუსტრაციას მოგაგონებდა.

თუმცა „წყვეულ ნაოხარს,, ეს ყველაფერი ვერც კი შეედრებოდა. დაბლობზე დავეშვი თუ არა, ამას მაშინვე მივხვდი. სხვა სახელი იმ ადგილს ნამდვილად არ მოუხდებოდა. თუმცა ამ სახელს სხვა ადგილს არც შეარქმევდნენ. შეიძლება გეფიქრა, რომ ეს „წყვეული ნაოხარი“ პოეტმა იხილა და სახელწოდება გამოჰყდა. იქაურობას თვალი შევაკვლე თუ არა, ამ აზრმა გამიელვა. როგორც ჩანს, ცეცხლმა

მოსპო ნათესები და შენობები, მაგრამ იმ ხუთი აკრის ფართობზე რატომ აღარ ხარობს არაფერი? ის ადგილი ამწვანებულ ტყეებსა და მობიბინე მინდორველებს შორის, რუხ ლაქასავით ჩანდა, გეგონება, სიმყავემ ამოჭამაო. „წყვეული ნაოხარი“ ძველი გზის ჩრდილოეთით მდებარეობდა, თუმცა მისი მცირე ნაწილი გზის მეორე მხარესაც ვრცელდებოდა. უცნაური შეგრძნება დამეუფლა, ახლოს მისვლა არ მინდოდა, არადა, საქმე მაიძულებდა, გამეკვლო „წყვეული ნაოხარი“ – გვერდს ვერაფრით ავუქცევდი. ამ ადგილას მცენარეულის ნასახიც კი არ იყო, მიწაზე მხოლოდ და მხოლოდ რუხი მტკვერი თუ ფერფლი ეფინა, რომელსაც ქარი ვერ ფანტავდა, რაც უნდა ძლიერად დაებერა. „წყვეული ნაოხარის“ გარშემო ხეები დაბალი და უდღეური გახლდათ. ყველგან ეყარა მოტეხილი, გაშავებული ხეები, დარჩენილები კი ზეზეურად ხმებოდნენ. როდესაც მიწაზე მიმოფანტული საკვამურის აგურები, სარდაფში ჩასასვლელი და მიტოვებული ჭის ბნელი ხახა შევნიშნე, ნაბიჯს ავუჩქარე. ჭიდან ამოსული ორთქლი მზის შუქზე ფანტასტიკურ ფერებად ელვარებდა. იმ ადგილთან შედარებით, უღრანი ტყის ვრცელი, ბნელი მასივიც კი სრულიად ჩვეულებრივი ჩანდა. არკჰემის მცხოვრებთა შიშნარევი ჩურჩული აღარ მაკვირვებდა. ახლომანლო არც შენობები ჩანდა და არც ნანგრევები – ეტყობა, ეს მიდამო დიდი ხანია მიეტოვებინათ. საღამოს, როდესაც უკან ვბრუნდებოდი, იმ ადგილას გავლა ვეღარ გავბედე და ქალაქამდე სამხრეთის, შემოვლითი გზით ჩავალწიე. ბნელი, უღრუბლო, უკიდევანო ცა შფოთვას მიძლიერებდა, ვიგრძენი, დამზაფრავი შიში სულში უფრო და უფრო ღრმად მეჭრებოდა.

იმ საღამოს არკჰემელ მოხუცებს „წყვეული ნაოხარის“ შესახებ კვითხე, თანაც ვთხოვე, აეხსნათ, რას გულისხმობენ ამ გამოთქმის ქვეშ: „საოცარი დროება“, – რაც არაერთხელ გამეგო და რასაც ყოველთვის გაკვრით ახსენებდნენ ხოლმე. ჩემს კითხვებს უხალისოდ პასუხობდნენ, დამაკამყოფილებელი პასუხი საერთოდაც ვერ მივიღე, თუმცა ის მაინც გავარკვიე, რომ საიდუმლოება არც ისეთი ძველი ყოფილა, როგორც მეგონა. ეს არ გახლდათ ძველთაძველი ლეგენდის ანარეკლი, არამედ მოვლენისა, რომელიც იმათ სიცოცხლეში მომხდარა, ვისაც ვესაუბრებოდი. ანუ 80-იანი წლების ამბავი იყო (ივლისხმება XIX საუკუნის 80-იან წლები. მოთხრობა დაიწერა 1927 წელს. – მთარგმნ. შენიშვნ.). ბევრი რამ უკვე დავიწყებული ჰქონდათ, ბევრი ურთიერთსაწინააღმდეგოც მითხრეს, მაგრამ შეიძლებოდა იმის მიხვედრა, რომ

„საოცარი დროების“ პერიოდში იმ ადგილას დაიწვა ფერმა, და იქ მცხოვრები ოჯახი ან ხანძარში დაიღუპა, ანდა გაუჩინარდა. მონათხრობის სიზუსტეზე პასუხს არ ვაგებთო, მეუბნებოდნენ, თანაც ერთხმად მთხოვდნენ, – თითქოს პირი შეკრესო, – ბებერი ემი პირსის ზღაპრებს ყურადღება არ მიაქციოთო. სწორედ ამიტომ შემდეგ დილას მასთან სასაუბროდ გავემუშე. გავარკვიე, რომ ძველისძველ, ნახევრად დანგრეულ სახლში მარტო ცხოვრობს. კოტეჯის გარშემო გაშენებულ ბაღში ხეები დაბალი, შეუხედავი იყო. სახლი მიხრწნილის შთაბეჭდილებას ახდენდა, სიღამების სუნი ასდიოდა, რასაც მხოლოდ ისეთ შენობაში თუ იგრძნობ, რომელსაც დიდი ხანია ყავლი გაუვიდა, არადა, მაინც ღვას. დიდხანს, ჯიუტად ვაკაკუნე კარზე და როდესაც ზღურბლზე მოხუცი გამოჩნდა, მივხვდი, ჩემმა სტუმრობამ სულაც არ გაახარა. ფიზიკურად არც ისეთი დაძაბუნებული ჩანდა, როგორც მოველოდი, თუმცა მზერა უცნაურად ჩამქრალი ჰქონდა, ჭუჭყიანი ტანსაცმელი და უსუფთაო თეთრი წვერი კი მეტყველებდა – თავის თავზე ხელი დიდი ხანია ჩაუქნევია და ადამიანებთან ურთიერთობაც გაწყვიტა.

არ ვიცოდი, როგორ ამელაპარაკებინა იმ თემაზე, რაც მაინტერესებდა, ამიტომ ისეთი გამომეტყველება მივიღე, თითქოს საქმეზე ვარ მისული. ვუთხარი, რომ იქაურობას ვიკვლევ და ზოგადი კითხვების დასმა დაუწყე, იმედი მქონდა, ადრე თუ გვიან, ჩემთვის საინტერესო საკითხს თვითონ მიადგებოდა. მოხუცი სულაც არ აღმოჩნდა ისეთი ბრიყვი, როგორსაც ველოდი – პირიქით, გონიერი და საკმაოდ განათლებული ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა, და საქმის არსს უფრო სწრაფად ჩასწავდა, ვიდრე არკჰემის ბევრი მოქალაქე. სხვებისგან განსხვავებით, წყალსაცავის ამენების წინააღმდეგი არ აღმოჩნდა. ერთი სიტყვითაც კი არ გაუპროტესტებია, რომ უღრანი ტყისა და სასოფლო-სამეურნეო მიწების დიდი ფართობი წყალმა უნდა დაფაროს. შესაძლოა, იმიტომ არ აპროტესტებდა, რომ პირადად მას არ შეეხებოდა, – მისი სახლი გზის პირას იდგა და მომავალი წყალსაცავის საზღვრებში არ ექცეოდა. მის სახეზე შვება შევნიშნე, როდესაც ვუთხარი, რომ დაბლობი, სადაც მისმა ცხოვრებამ გაიარა, უნდა დაიტბოროს. „ძალიან კარგი იქნება, თუკი დაიტბორება, უკეთესი იქნებოდა, უცნაური დროების მერე ეგრევე წყალქვეშ რომ მოქცეულიყო“, – დაიწყო მან ხრინწიანი ჩურჩულით, ჩემკენ გადმოიხარა და აკანკალებული ხელის საჩვენებელი თითი თითქოს ვიღაცას დაუქნია.

აი, ასე გავიგე ეს ამბავი. ემი პირსი ხმადაბლა

ბუტბუტებდა, და რაც მეტს ვუსმენდი, მით მეტად მივიღია ჟრუანტელი, არადა, ცხელი დღე იყო, ზაფხულის დღესავით ცხელი. სმირად მიხდებოდა საუბრის შეწყვეტა და კითხვების დასმა, რათა დამეზუსტებინა სამეცნიერო ტერმინები და დეტალები, რომლებიც მოხუცმა მექანიკურად დაიმახსოვრა თავის დროზე იქ ჩასული მეცნიერების ნათქვამიდან. ვცდილობდი, აღმედგინა მოვლენების ლოგიკა, რადგან მოხუცი ბევრ რაღაცას ტოვებდა. როდესაც მოყოლას მორჩა, უკვე აღარ მიკვირდა, მეხსიერება რომ ღალატობდა, არკჰემის ბინადარნი კი საერთოდაც უარს ამბობდნენ „წყვეული ნაოხარის“ შესახებ ელაპარაკათ. მზის ჩასვლამდე დავბრუნდი სასტუმროში, რადგან სულაც არ მსურდა, ვარსკვლავიანი ცის ქვეშ აღმოვჩენილიყავი ტრიალ მინდორსა თუ გზაზე მარტო მიმავალი. მეორე დილას კი ბოსტონში გავემგზავრე, ჩემი კვლევის ანგარიში რომ წარმედგინა. ვერ ვაიძულებ თავს, უღრანი ტყისა და მრუშე ფერდობების ქაოსი ისევ გამეგლო, კიდევ ერთხელ მენახა ჩემი თვალთ რუხი „წყვეული ნაოხარი“, სადაც ფერფლსა თუ მტვერზე მიმოფანტულ აგურებსა და ქვებს შორის ჭკას ბნელი ხახა დაუფრენია. წყალსაცავი მალე ამენდება და იმ ადგილისგან აღარაფერი დარჩება, თავისი წყვეული საღუმლოებებთანად ფსკერზე აღმოჩნდება. მაგრამ იმ მიდამოებში ღამით მაშინაც კი არ გავივლი – ყოველ შემთხვევაში, მაშინ, როდესაც ვარსკვლავები ავისმომასწავებლად კაშკაშებენ. და არავითარ შემთხვევაში არ დავლევ იქაურ წყალს, თუკი ისევ მომიწევს არკჰემში ჩასვლა.

ყველაფერი მეტეორიტიტ დაიწყო, მითხრა ბებერმა ემიმ. ჩვენს არემარეში არავითარი გასაოცარი ლეგენდები და ჭორები არ იყო ცნობილი, ყოველ შემთხვევაში, ალქაჯებზე ნადირობის ეპოქის შემდეგ. ადამიანები უღრან ტყეში უშიშრად დადიოდნენ და თუკი უფრთხოდნენ რაიმეს, ეს გახლდათ პატარა კუნძული მისკატონიკში, სადაც ძველი ქვის საკურთხევლის წინ ეშმაკი სასამართლოს მართავდა ხოლმე, ჯერ კიდევ ინდიელებამდე. უღრანი ტყე, მისი მრუშე, ფანტასტიკური ბინდუნდი „საოცარ დროებამდე“ არავის აშინებდა. მაგრამ ერთხელაც, დღისით-მზისით, ცაზე დიდი თეთრი ღრუბელი გამოჩნდა, აფეთქებების ჯერი გაისმა და დაბლობის თავზე კვამლი აისვეტა. საღამო ხანს არკჰემში უკვე ყველამ იცოდა, რომ ციდან უზარმაზარი კლდე ჩამოვარდა, ნეიჭემ გარდნერის ფერმაში, ზედ ჭასთან დაეცა. იმ ადგილას, სადაც შემდეგ „წყვეული ნაოხარი“ გაჩნდა, ნეიჭემ გარდნერის კოხტა, თეთრი სახლი იდგა, აყვავებული ბალითა და ბოსტნებით გარემოცული.

ნეიპემი ქალაქში წავიდა, ციდან ჩამოვარდნილი ქვის შესახებ რომ მოეყოლა, გზად კი ემისთან შე-
 იარა. მაშინ ემი ორმოცი წლის იყო, ამიტომ ამ
 უცნაური შემთხვევის ყველა დეტალი ძალზე კარ-
 გად დაამახსოვრდა. მეორე დღიას მისკატონიკის
 უნივერსიტეტიდან იქ სამი პროფესორი ჩავიდა. ემი
 ცოლთან ერთად გაჰყვა მათ, შეუცნობელი კოსმო-
 სური სივრციდან მოსული „სტუმარი“ თავისი თვალთ
 რომ ენახა. ქვა გადამწვარ მიწაზე ეგლო. მეცნიერებს
 გაუკვირდათ, ნეიპემმა მას წინა დღეს ვეება რომ
 უწოდა. ამ ერთი დღის განმავლობაში შეიჭმუნნაო,
 მიუგო დაბნეულმა ნეიპემმა, და ჭასთან გაჩენილ
 დიდ ჩაღრმავებასა და დაჭყლეთილ ბალახზე მიუთითა.
 ამაზე სწავლულმა კაცებმა უთხრეს, რომ ქვა არ
 შეიძლება „შეიჭმუნნოს“. ნეიპემის სიტყვით, ქვა ღამით
 ოდნავ ანათებდა და თანაბარ სიმზურვალეს გამოსცემ-
 და. მეცნიერებმა ქვას გეოლოგიური ჩაქუჩი მსუბუ-
 ქად დაჰკრეს და აღმოჩნდა, საოცრად რბილია. იმდენ-
 ნად რბილი, იფიქრებდი, პლასტილინისააო. ამიტომ,
 შეიძლება ითქვას, ნაკუწი კი არ ჩამოატეხეს, არამედ
 ჩამოავლიჯეს, უნივერსიტეტში ანალიზის გასაკეთე-
 ბლად რომ წაეღოთ. ნეიპემის სამზარეულოდან ძვე-
 ლი სათლი ითხოვეს და ქვის ფრაგმენტი შიგ მოათ-
 ავეს, რომელიც სიმზურვალეს კვლავაც ინარჩუნებ-
 და. უკანა გზაზე ემის სახლში შეჩერდნენ დასას-
 ვენებლად და მეცნიერები დააფიქრა მისის პირის
 შენიშვნამ, მეტეორიტის ნაკუწი დაპატარავდაო, თანაც,
 სათლის ძირი თითქმის ბოლომდე დაიწვა. თუმცა
 ფრაგმენტი მაინცდამაინც დიდი არც თავიდან ყოფი-
 ლა, და, ვინ იცის, იქნებ უბრალოდ მოეჩვენათ, რომ
 უფრო დიდი ზომისა იყო?

მეორე დღეს, – ეს ყველაფერი 1882 წლის
 ივნისში მოხდა, – მეტად აღელვებულმა პროფე-
 სორებმა ისევ მიაშურეს გარდნერის ფერმას. გზად
 ემისთან შეიარეს და უთხრეს, კოსმოსიდან მოფრე-
 ნილმა სტუმარმა საოცარი რაღაცები „ჩაატარა“ და
 ბოლოს სულაც გაქრა შუშის კოლბიანად, რომელ-
 შიც მოვათავსეთო. ისიც უთხრეს, ეს საოცარი ქვა
 კაჟთან გარკვეულ მსგავსებას ავლენდაო. კარგად
 აღჭურვილ ლაბორატორიაში ქვა თურმე სრულიად
 დაუჯერებლად „იქცეოდა“; თერმულ ზემოქმედებას
 მასზე არანაირი გავლენა არ მოუხდენია – თავიდან
 ნახშირზე გაახურეს, მაგრამ არავითარი აირი არ
 გამოუყვია, ბორის მჟავასთან არანაირ რეაქციაში არ
 შესულა. ტემპერატურის მკვეთრ ცვლილებაზე არ
 რეაგირებდა, მათ შორის, ჟანგბად-წყალბადის სან-
 თურაზე გახურებისას. ფორმას იოლად იცვლიდა,
 როდესაც გრდემლზე სცადეს მისი დამუშავება, ბნელ

კამერაში კი აშკარად შესამჩნევ ნათებას გამოსცემ-
 და. გაციება ჯიუტად „არ სურდა“. ამ ყველაფერმა
 კოლეჯში ნამდვილი ფურორი მოახდინა. სპექტროსკ-
 ოპმა მასში უცნაური ფერის მანათობელი ზოლები
 გამოავლინა, რომელნიც ფერთა ჩვეული სპექტრიდან
 არცერთს არ შეესაბამებოდა. პროფესორებმა გაუბე-
 დავად დაიწყეს ლაპარაკი ახალ ელემენტებზე, უჩვეუ-
 ლო ოპტიკურ შესაძლებლობებზე და სხვა მსგავს
 მატერიებზე, რაზეც დაბნეულები საუბარს იწყებენ,
 როდესაც რაღაც ამოუხსნელს გადააწყდებიან ხოლმე.

მიუხედავად იმისა, რომ ქვის ფრაგმენტი თავისთა-
 ვად ცხელი გახლდათ, სცადეს მისი დამატებით გახ-
 ურება სხვადასხვა რეაგენტთან ერთად. არც წყალს,
 არც ქლორნატრიუმს არავითარი ეფექტი არ მოუხდენ-
 ნია. ასევე, აზოტმჟავასა და თვით „სამეფო წყალ-
 საც“ კი (*royal water*; ლათ. – „*aqua regia*“ –
ქიმიური ფორმულა: HNO₃+3 HCl, ნაერთი, რომელ-
 საც ოქრო და პლატინაც კი შეუძლია დაშლის. –
მთარგმნ. შენიშვნა). ამ ქიმიური ნაერთის ზემოქმედე-
 ბის შედეგად ქვის ნაგლეჯი აშიშინდა და „ფურთხ-
 ებას“ მოჰყვა – წვეთებს აქეთ-იქით ისროდა. ემი
 სახელწოდებებს გაჭირვებით იხსენებდა, მაგრამ როდესაც
 ჩამოვუთვალე ის ნივთიერებები, რომლებსაც, ჩვეუ-
 ლებრივ, ასეთ შემთხვევებში გამხსნელებად იყენებენ
 ხოლმე, ზოგიერთი ეცნო, – მათ უცდიათ ამიაკი,
 კაუსტიკური სოდა, სპირტი და ეთერი, ასევე, გულისამ-
 რევი კარბონის დისულფატი, და ათიოდე სხვა ნაერ-
 თი. იმ პერიოდის განმავლობაში ქვის ფრაგმენტმა
 თურმე წონაში იკლო და ოდნავ გაცივდა, მაგრამ
 მისი შემადგენლობა იგივე დარჩა, ანუ, ფაქტობრივად,
 არაფერი შეცვლილა. ეჭვგარეშეა, ეს ლითონი იყო,
 რომელსაც მაგნიტური თვისებები ჰქონდა. სხვადასხვა
 ხსნარში მოთავსების შემდეგ მასზე უცნაური ანაბე-
 ჭლები გაჩნდა, რომელთა მსგავსსაც ზოგჯერ რკინის
 მეტეორიტებზე პოულობენ ხოლმე. მას მერე, რაც
 ქვის ფრაგმენტი კიდევ უფრო გაცივდა, გადაწყვიტეს,
 შუშის კოლბაში მოეთავსებინათ. მეორე დღიას კოლბა
 შიგთავსიანად უკვალოდ გაქრა, თუ არ ჩავთვლით
 ამომწვარ ადგილს ხის თაროზე, სადაც იდგა.

ეს ყველაფერი ემის პროფესორებმა უთხრეს, როდესაც
 მასთან შეისვენეს. ემი კვლავ გაჰყვა მათ, ვარ-
 სკვლავითიდან მოსული მაცნე კიდევ ერთხელ რომ
 ენახა, თუმცა ამჯერად, ცოლის გარეშე. ქვა კიდევ
 მეტად შეჭმუნნილიყო, და ამ ფაქტის უარყოფა სა-
 ლად მოაზროვნე მეცნიერებსაც კი აღარ შეეძლოთ.
 ჭის სიახლოვეს, დაპატარავებული ქვის გარშემო,
 ცარიელი სივრცე გაჩნდა, მიწაში ალაგ-ალაგ რაღაც
 ჩაღრმავებები შეინიშნებოდა. წინა დღეს ქვა 7 ფუტი

მანც იქნებოდა, ახლა კი 5 ფუტსაც ძლივს ითვლიდა. მეტეორიტი კვლავაც ცხელი იყო. მეცნიერები ჩაქუჩისა და სატენის მეშვეობით მის წიაღში საკმაოდ ღრმად ჩავიდნენ და აღმოაჩინეს, რომ ქვას არაერთგვაროვანი სტრუქტურა აქვს. ამჟერად უფრო დიდი ზომის ნაკუწი ჩამოატეხეს,

ქვის ფრაგმენტში რაღაც აღმოჩნდა: ფერადი სფეროსებრი წარმონაქმნი – გლობულა, – რომელიც შეფერილობით მეტეორიტის უჩვეულო სპექტრის მსგავსი გახლდათ და ქვის მასაში იყო ჩამჯდარი. თუმცა სიტყვა „ფერადი“ სრულიად პირობითია, – ეს ცნება მხოლოდ იმიტომ იხმარეს, რომ სხვა ვერაფერი მოიფიქრეს და „ფერადი“ მხოლოდ ანალოგიით უწოდეს. გლობულა გლუვი და მყიფე იყო, რაც მასზე დაკაკუნების შედეგად გაირკვა. ერთ-ერთმა პროფესორმა ჩაქუჩი საკმაოდ ძლიერად დაჭრა და უეცრად გლობულა ტკაცანით გასკდა. მისგან არაფერი დარჩენილა, უმცირესი ნატეხიც კი. ერთადერთი კვალი, რომელიც მან დატოვა, გახლდათ სამი ინჩის დიამეტრის სფეროსებრი, ცარიელი სივრცე ქვის მასაში. ყველამ გაიფიქრა, რომ მეტეორიტის სიღრმეში, შესაძლოა, სხვა გლობულებიც იყოს ჩამალული, რომლებიც მერე შეიძლება გამოჩნდნენ, მისი შემცირების კვალობაზეო.

მეტეორიტის გაბურღვის და ახალი გლობულების აღმოჩენის რამდენიმე უშედეგო მცდელობის შემდეგ, მეცნიერებმა იქაურობა დატოვეს, – ახალი ფრაგმენტი ლაბორატორიაში წაიღეს. მალე გამოჩნდა, რომ ისიც, წინამორბედისა არ იყოს, სრულიად გაუგებარ და გასაოცარ თვისებებს ავლენდა. ის იყო ღრეკადი, ცხელი, სუსტად ანათებდა, კონცენტრირებულ მყავასთან კონტაქტისას ოდნავ ცივდებოდა, ბუნებაში არნახულ ფერთა სპექტრს აჩვენებდა და ჰაერში ღებოდა, კაჟის კომპონენტებს გამოყოფდა. ყველა ცდა უშედეგოდ დასრულდა, მეცნიერებმა მისი ვერანაირი კლასიფიცირება ვერ მოახერხეს. დედამიწასთან მას არაფერი აკავშირებდა. ის უცხო სამყაროს ნამსხვრევი გახლდათ, – გაუგებარი თვისებები ჰქონდა და უცნობ კანონებს ემორჩილებოდა.

იმ ღამით ქარიშხალი ამოვარდა – ჭექა-ქუხილი ატყდა, – და როდესაც პროფესორები შემდეგ დილას ნეიჰემის ფერმას კვლავ ეწვივნენ, მწარე იმედგაცრუება განიცადეს. ქვას აშკარად ჰქონია მაგნიტური თვისებები, და, როგორც ჩანს, ასევე ელექტრულიც. ნეიჰემის სიტყვით, „ელვას პირდაპირ იზიდავდა“. ერთი საათის განმავლობაში მეხი მეტეორიტს ზედიზედ ექვსჯერ დასცემია, როგორც ფერმერმა დაითვალა. როდესაც ქარიშხალი დასრულდა, ძველი

ჭის სიახლოვეს მხოლოდ პირლია ორმოლა დარჩა. ორმოში მიწის გათხრას ნაყოფი არ გამოუღია და მეცნიერებმა მეტეორიტის გაქრობის ფაქტი დაადასტურეს. ეს სრული კრაზი გახლდათ. პროფესორებს სხვა არაფერი დარჩენოდათ, გარდა იმისა, რომ ლაბორატორიაში დაბრუნებულიყვნენ და დაკვირვება ეწარმოებინათ ნატეხზე, რომელიც თვალსა და ხელს შუა იღებოდა, – ამჯერად ტყვიის ყუთში ჰქონდათ სათუთად შენახული. მეტეორიტის ფრაგმენტმა ერთი კვირა გაძლო, თუმცა ამ ხნის განმავლობაში მეცნიერებს მის შესახებ ახალი არაფერი შეუტყვიათ. გავიდა რაღაც ხანი და პროფესორებს თვითონაც აღარ სჯეროდათ, რომ კოსმიური უფსკრულის ნაწილი, უცხო სამყაროსა და სხვა რეალობის საოცარი, იღუმალის მაცნე საკუთარი თვალთ ნახეს.

ბუნებრივია, არაკჰემის გაზეთებში ამ თემაზე არაერთი წერილი და ნარკვევი გამოქვეყნდა. ჩამოვარდნილი მეტეორიტი სენსაციად იქცა და რეპორტიორებმა ნეიჰემ გარდნერთან სტუმრობას მოუხშირეს. სტატია მეტეორიტის შესახებ ბოსტონის ერთ-ერთმა გაზეთმაც დაბეჭდა. ნეიჰემი ადგილობრივ ღირსშესანიშნაობად იქცა. ემის სიტყვით, იგი ორმოცდაათიოდე წლის გამხდარი, კეთილგანწყობილი მამაკაცი იყო, რომელიც მშვიდად და წყნარად ცხოვრობდა საკუთარ სახლში ცოლსა და სამ ვაჟთან ერთად. ის და ემი ერთმანეთს დიდი ხნის განმავლობაში იცნობდნენ, ოჯახებით მეგობრობდნენ, და ემი პირსი ნახევარი საუკუნის შემდეგაც კი მას ძალზე თბილად იხსენებდა. როგორც ჩანს, ნეიჰემს, ცოტა არ იყოს, ეამაყებოდა, რომ მისი ფერმა საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა. იმ ზაფხულის განმავლობაში ნეიჰემი ხშირად ლაპარაკობდა მეტეორიტის შესახებ, თუმცა თავისუფალი წუთიც კი არ გააჩნდა. ივლისსა და აგვისტოში ბალახს ცვლავდა და ზამთრისთვის თივას იმარაგებდა ათი აკრის ფართობის მინდორზე, ჩეპმენს-ბრუკის სიახლოვეს, – მისმა ჯაყვჯაყა ურემმა გზაზე ღრმა კვალი გაავლო. სამუშაოს უფრო მეტად ღლიდა, ვიდრე წინათ, და ნეიჰემმა იფიქრა, ვბერდებო.

მერე მოსავლის აღების დროც დადგა. ვაშლი და მსხალი ნელ-ნელა მწიფდებოდა, და ნეიჰემს შეეძლო დაეფიცა, რომ ასეთი ხვავრიელი მოსავალი მის ბაღებში არასოდეს ყოფილა. ნაყოფი საოცრად მსხვილი, წვნიანი გახლდათ და რადგან მას მოსავლის შესანახად კასრები აღარ ჰყოფნიდა, რამდენიმე ახალი შეუკვთა. მაგრამ როდესაც ყველაფერი საბოლოოდ დამწიფდა, ნეიჰემს პირველი უბედურება დაატყდა თავს. ამ მშვენიერი, ბარაქიანი მოსავლიდან პირს

ვერაფერს დააკარებდი. ვაშლიც და მსხალიც გულის-რევამდე მწარე აღმოჩნდა, – გარდნერები ნახევრად გაღეჭილ ლუკმას ზიზლით აფურთხებდნენ. პომიდორი და ლიმონიც ასეთივე გამოდგა. ნეიჰემი მიხვდა, რომ მეტეორიტმა ნიადაგი მოწამლა, მაგრამ, მაღლობა ღმერთს, ხორბლის ყანები სახლიდან მოშორებით, ფერდობებზე ჰქონდა.

ზამთარი მოულოდნელად ადრე დადგა. სასტიკმა ყინვამ დაიჭირა. ემი ნეიჰემს იშვიათად ხელავდა, მაგრამ ატყობდა, რომ ძლიერ გულდაწყვეტილია. მისი ოჯახის წევრებიც თითქოს გაირინდნენო. იშვიათად დადიოდნენ ეკლესიაში და შეკრებებზე ადგილობრივ კლუბში. ვერავინ ხვდებოდა, თუ რა იყო მათი ყოვლისმომცველი მელანქოლიის მიზეზი. გარდნერები თითქოს გამოცვალესო. ჯანმრთელობას უჩიოდნენ, შფოთავდნენ. ნეიჰემმა ეს იმით ახსნა, რომ თოვლზე უცნაური ნიშნები გამოჩნდა. ეს კურდღლების, ციყვების და მელიების ჩვეულებრივი ნაკვალევია, მაგრამ ახლა ისინი თათებს რაღაც უცნაურად აბიჯებენო, – გამოაცხადა ნეიჰემმა. ემიმ მეგობრის სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია, იფიქრა, რომ ბოლო ხანს რაღაცები ელანდება. მაგრამ ერთხელ ღამით, როდესაც ემიმ გარდნერების ფერმას ცხენით ჩაუარა, თოვლზე კურდღელს მოჰკრა თვალი. მთვარის შუქზე დაინახა, რომ კურდღელი საოცრად დიდ ნახტომებს აკეთებს. არც ემის და არც მის ცხენს ეს არ მოეწონათ – ცხენმა შიშისგან კინაღამ აიწყვიტა, მაგრამ ემიმ, საბედნიეროდ, მოახერხა და შეაკავა. ამის მერე ემი ნეიჰემის მონაყოლს უკვე ყურადღებით უსმენდა. დაფიქრდა, რა არის მიზეზი იმისა, რომ გარდნერების ძაღლები დილაობით ყოველ გაფაჩუნებაზე ცახცახებენ – ყვეფით კი თითქმის აღარ ყეფენ.

თებერვალში მაკგრეგორების ბიჭები მილოუ-ჰილიდან ვირზაზუნებზე სანადიროდ წავიდნენ და გარდნერების ფერმასთან უცნაური ცხოველი მოკლეს. ვირზაზუნას პროპორციები თითქოს ოდნავ შეცვლილი ჰქონდა, გამომტყველება კი ისეთი უცნაური, ჯერაც რომ არავის ენახა. ბიჭები დაფრთხნენ, ნანადირევი დააგდეს და გაიქცნენ, ამდენად, ეს ყველაფერი მათი მონაყოლიდან გახდა ცნობილი. მაგრამ ის ფაქტი, რომ ცხენები ფეხს უჩქარებდნენ ნეიჰემის სახლთან, ბევრმა შენიშნა და იმ მხარეში ჭორების გავრცელების საფუძველიც გახდა.

ხალხი იფიცებდა, რომ ნეიჰემის ფერმასთან თოვლი უფრო სწრაფად დნებოდა სხვა ადგილებთან შედარებით. მარტის დასაწყისში, კლარკს-კორნერსში, პოტერის ღუქანში კამათი ატყდა. სტივენ რაისმა

დილით ნეიჰემის ფერმას ჩაუარა ცხენით და გზის პირას, ხეებქვეშ ამოსული „სკუნსის კომბოსტო“ შენიშნა, მცენარეები ისეთი ვეება და ისეთი უცნაური ფერისა იყო, რომ მსგავსი არავის არასოდეს ენახა. ფორმაც უჩვეულო ჰქონდათ. თანაც ისეთ საზიზღარ სუნს აფრქვევდნენ, რომ ცხენმა ხრიალი დაიწყო, სტივენს კი კინაღამ გული აერია. დღისით რამდენიმე კაცი გაეშურა ბუნების ამ სასწაულის სანახავად. ნახეს და ერთხმად თქვეს, – ჯანსაღ ნიადაგზე ასეთი რაღაც ვერ გაიზრდებოდაო. გაახსენდათ წინა წლის უვარგისი მოსავალი და მალე ჭორები მთელს მხარეს მოედო. არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ შხამმა ნიადაგში მეტეორიტიდან გაჟონა. ფერმერებს ასევე გაახსენდათ, რომ ქალაქიდან ჩამოსულ მეცნიერებს ქვა ერთობ უცნაურად მოეჩვენათ და კვლავ მათ მიმართეს, – რამდენიმე ფერმერი პროფესორებთან სასაუბროდ გაემგზავრა.

მეცნიერები ნეიჰემის ფერმას კვლავ ეწვივნენ, მაგრამ რადგან ზღაპრებსა და ლეგენდებს თავიდანვე არ სცემდნენ პატივს, შეფასებებში მეტად თავშეკავებულები იყვნენ. დიახ, მცენარე მართლაც უცნაურად გამოიყურება, მაგრამ „სკუნსის კომბოსტო“ ისედაც უჩვეულო ფორმით, სუნითა და ფერით გამოირჩევაო. თუმცა არაა გამორიცხული, რომ მეტეორიტის რაღაც მინერალური ელემენტები თუ ნაწილაკები ნიადაგში მართლაც აღმოჩნდაო, მაგრამ გაზაფხულის წვიმები მათ გამორეცხავსო. რაც შეეხება უცნაურ ნაკვალევს და დამფრთხალ ცხენებს, ეს მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი მცხოვრებლების მონაჭორია და მეტი არაფერიო. – ეს ხმები ისეთი იშვიათი ფენომენის შედეგია, როგორცაა აეროლიტის ჩამო-



ვარდნა. სწავლულებისთვის სოფლის ჭორებში ყურადსაღები არაფერი აღმოჩნდა, – უბირი ხალხი ყველაფერს იოლად იჯერებსო. საქმე ამით დასრულდა, პროფესორებმა მხრები აიჩიეს და წავიდნენ, ასე რომ „საოცარი დროების“ დადგომისას ისინი იქ აღარ ყოფილან. მხოლოდ ერთმა მათგანმა, როდესაც წლინახევრის შემდეგ პოლიციამ ანალიზის ჩასატარებლად ორი ფიალა მტვერი გადასცა, გაიხსენა, რომ „სკუნსის კომბოსტოს“ ფერი მსგავსი იყო მეტეორიტის ფრაგმენტის არამიწიერი შეფერილობისა, კოლევჯის სპექტროსკოპით რომ დაადგინეს, და ასევე იმ ფერისა, მეტეორიტის გლობულას რომ ჰქონდა. ანალიზისთვის გადაცემულ ნიმუშს ისეთივე უცნაური სპექტრი აღმოაჩნდა, თუმცა, დროთა განმავლობაში, გაუქრა.

ნეიჰემის სახლის გარშემო ხეები ქარში ტოტებს ავისმომასწავებლად არხევდნენ და ნეიჰემის მეორე შვილი, თხუთმეტი წლის თადეუსი, ამტკიცებდა, რომ ისინი მაშინაც მოძრაობენ, როდესაც ქარი საერთოდაც არ ქრისო, მაგრამ ამის ყველაზე უფრო თავგადაკლულ ჭორიკნებსაც კი არ სჯეროდათ. თუმცა ყველა გრძნობდა – ჰაერში რაღაც დაძაბულობაა. გარდნების ოჯახის წევრებს ჩვევა ჩამოუყალიბდათ, ხანგამოშვებით რაღაცას მღუმარედ აყურადებდნენ, თითქოს იღუმალი ხმები ესმოდათ, სახელსაც რომ ვერ არქმევდნენ. ასეთ დროს თითქოს ითიშებოდნენ – გონება აღარ უმუშავებდათ. სამწუხაროდ, მსგავსი მომენტები სულ უფრო ხშირად მეორდებოდა და მალე ხალხი ალაპარაკდა, რომ „ნეიჰემის ოჯახს რაღაც უცნაურობა სჭირს“. როდესაც ადრეული „ქვატენია“ (*ქვატენია ანუ ფხიჯა, ლათინურად – Saxifraga – მცენარეთა გვარი ფხიჯასებრთა ოჯახისა. მრავალწლოვანი, ზოგჯერ ერთწლოვანი ბალახები და ქონდარა ნახევრად ბუჩქები. – მთარგმნ.შენიშვნ.*) მიწიდან ამოიწვერა, აღმოჩნდა, რომ რაღაც სხვა, უჩვეულო ფერისაა, მთლად ისეთი არა, რაც „სკუნსის კომბოსტოს“ ჰქონდა, მაგრამ აშკარად მსგავსი და ყველსთვის უცნობი, ვინც კი ნახა. ნეიჰემმა რამდენიმე ნიმუში არკვემში წაიღო და „Gazette“-ს მთავარ რედაქტორს აჩვენა, მაგრამ მან მხოლოდ და მხოლოდ ფელეტონი დაწერა, სადაც ბნელი ფერმერების შიშები და ცრუმორწმუნეობა ერთობ ტაქტიანად გაამასხარავა. ნეიჰემმა იმ სოლიდურ კაცს ისიც კი უთხრა, უზარმაზარი „მეგლოვია“ პეპლები ისე იქცევიან, თითქოს „ქვატენიასთან“ კონტაქტში არიანო. ამის თქმა, მისი მხრიდან, რასაკვირველია, შეცდომა იყო.

აპრილმა ფერმერები საერთოდაც ჭკუიდან გადა-

იყვანა. იმ გზით სარგებლობა შეწყვიტეს, ნეიჰემის სახლის გვერდით რომ გადიოდა. ამის მიზეზი მცენარეები იყო. აყვავებული ხეები არნახული, გასაოცარი ფერებით შეიმოსა, მხოლოდ ბოტანიკოსი თუ გაარკვევდა, ფერმის ქვიანი ნიადაგიდან ამოსული მცენარეებიდან რომელი რომელს შეესაბამება, –ანუ რეგიონის ნორმალურ ფლორას დაუკავშირებდა. ბალახისა და ფოთლების გარდა, ყველაფერმა რაღაც ირეალური, არაჯანსაღი, არამიწიერი შეფერილობა მიიღო. დიცენტრა თითქოს ავისმომასწავებელ მუქარას ასხივებდა, არანორმალურად გაზრდილი, ფერადი მზიურა კი გამომწვევად, მანკიერად იფურჩქნებოდა. ემიმ და გარდნებმა გადაწყვიტეს, რომ შეფერილობით ყვავილების უმრავლესობა გლობულას მიაგავს. ნეიჰემი ათაკრიან ნაკვეთს გაუთავებლად ხნავდა და თოხნიდა, მაგრამ სახლის გარშემო მიწას ვერაფერს უხერხებდა. იცოდა, მისი გამოყენება შეუძლებელი იქნებოდა, თუმცა იმედი ჰქონდა, რომ წელს ამოსული უცნაური მცენარეული მთელ შხამს ამოწოვდა ნიადაგიდან და მიწა გაიწმინდებოდა. ახლა იგი უკვე ყველაფრისთვის მზად იყო და ვერ თავისუფლდებოდა შეგრძნებისგან, რომ შორი-ახლოს ვიღაც იმალება და მომენტს ელის, რომ გამოჩნდეს. ნეიჰემზე ცუდად იმოქმედა, მეზობლებმა რომ გაინაპირეს, ერიდებოდნენ, თუმცა ამან განსაკუთრებულად მძიმე გავლენა მის ცოლზე მოახდინა. ბიჭებმა ეს უფრო იოლად გადაიტანეს, რადგან ყოველდღე სკოლაში დადიოდნენ, თუმცა ჭორები მათზეც მოქმედებდა. თადეუსი ყველაზე მგრძობიარე იყო ძმებს შორის და, შესაბამისად, ყველაზე მეტად იტანჯებოდა.

მაისში მწერები გამოჩნდნენ და ნეიჰემის საცხოვრებელი მოზუზუნე, მხოზავ კომშარად იქცა. ამ არსებათა უმრავლესობა მთლად ნორმალური არ ჩანდა, არც გარეგნულად და არც ქცევით, მათი ღამეული მოქმედება კი მანამდე არსებულ ყოველგვარ ცოდნასა თუ გამოცდილებას ეწინააღმდეგებოდა. გარდნერები ღამდამობით სიბნელეს მიაჩერდებოდნენ ხოლმე – ყველა მიმართულებით იყურებოდნენ, თითქოს რაღაცას ელოდნენ... მაგრამ რას, თვითონაც არ იცოდნენ. სწორედ მაშინ დარწმუნდნენ, რომ თადეუსი ხეების თაობაზე მართალს ამბობდა. მისის გარდნერი მეორე აღმოჩნდა, ვინც ამაში საკუთარი თვალთ დარწმუნდა. ერთხელაც ფანჯარასთან იჯდა, ნეკერჩხალს შეჰყურებდა, ვარსკვლავებიანი ცის ფონზე. სრული სიმშვიდე იყო, ოდნავი სიოც კი არ ქროდა, მაგრამ ხის ტოტები აშკარად ირხეოდა. შესაძლოა, ტოტებში ხის წვენი მოძრაობდა. ყვე-

ლაფერს, რაც კი მეტეორიტის ჩამოვარდნის მერე გაიზარდა, რაღაც უცნაურობა დაჰყვა. თუმცა ეს ნეიპემის ოჯახის წევრებმა კი არა, არამედ სრულიად უცხო კაცმა აღმოაჩინა. გარდნერები თავის გარემოს შეეჩვივნენ, რამაც ყურადღება მოუღუნა, და ვერ შენიშნეს ის, რაც ეგრევე თვალში ეცა ერთ უბრალო მეწისქვილეს ბოლტონიდან, ვისაც ადგილობრივი ჭორებისთვის ყურიც კი არ მოეკრა და ვისაც ერთხელ ღამით იმ მიდამოში ეტლით გავლა მოუწია. ის, რაც შენიშნა, მოგვიანებით არკჰემში მოყვა, და ეს გაზეთშიც კი დაიბეჭდა, – მომცრო წერილში. ფერმერებმა, მათ შორის ნეიპემაც, ამ შემთხვევის შესახებ სწორედ გაზეთიდან შეიტყვეს. ბნელი ღამე იყო, ეტლს სუსტი ფარანი ჰქონდა, რომელიც ღამის წყვილადს ვერ ერეოდა, მაგრამ როდესაც მეწისქვილე ნეიპემის ფერმას მიუახლოვდა, სიბნელე გაიფანტა. ყოველი მცენარე, ბალახი, ფოთოლი თუ ყვავილი ანათებდა, მქრქალ შუქს გამოსცემდა, და წამით კაცს მოეჩვენა, რომ სახლის უკანა ეზოში, ბელელთან რაღაც ფოთოლიანი მასა შეირხა, მანათობელ ლაქად რომ მოჩანდა ბნელ ფონზე.

ბალახს ავადმყოფობა თითქოს არ შეხებია, ძროხები ფერმის სიახლოვეს თავისუფლად ძოვდნენ, მაგრამ მაისის ბოლოს გაირკვა, რომ რძეც უვარგისი გახდა. ნეიპემმა ძროხები საბალახოდ შორს გარეკა, გორაკების ფერდობებზე და პრობლემაც გადაიჭრა. ამის შემდეგ ბევრი დრო არ გასულა, და ბალახისა და ფოთლების ცვლილება ადამიანის თვალისთვის აშკარა გახდა. მცენარეულობამ ფერი იცვალა, მორუხო ელფერი შეიძინა, თანაც იოლად მტვრევადი, არაბუნებრივად მყიფე შეიქნა. ახლა ნეიპემი ერთადერთი ადამიანი იყო, ვინც იმ ადგილს სტუმრობდა, თუმცა სულ უფრო იშვიათად მიდიოდა. როდესაც არდადეგებზე სწავლა შეწყდა, გარდნერები, ფაქტობრივად, გარესამყაროს მთლიანად მოსწყდნენ. ემის ხანგამოშვებით სთხოვდნენ, ქალაქში მათთვის ყვიდა, რაც სჭირდებოდათ. გარდნერები, ფიზიკურად და მენტალურად, თვალსა და ხელს შუა ილეოდნენ, და განსაკუთრებით არავის გაჰკვირვებია, როდესაც ცნობილი გახდა, რომ მისის გარდნერი შეიშალა.

ეს ივნისში მოხდა, მეტეორიტის ჩამოვარდნის წლისთავზე. უბედური ქალი გაჰკიოდა, რომ ჰაერში რაღაც საგნებია, თუმცა მათ აღწერას ვერ ახერხებდა. მისი მეტყველება საოცრად შეიცვალა, ძნელად გასაგები გახდა, – არსებით სახელებს აღარ ხმარობდა, მხოლოდ ზმნებსა და ნაცვალსახელებს. მისი თქმით, ეს რაღაც საგნები მოძრაობდნენ, იცვლებოდნენ, თრთოდნენ, და რაღაც იმპულსებს გამოსცემდნენ,

რომლებიც ხმას კი ჰგავდა, მაგრამ ბოლომდე ხმაც არ იყო. საბრალო ქალს რაღაცას უშვებოდნენ, – რაღაცას სწოვდნენ, – თითქოსდა მასში იყო რაღაც, რაც არ უნდა ყოფილიყო, – უნდა განიდევენოსო... ღამით მოსვენებას კარგავდა, – ეჩვენებოდა, რომ კედლები და ფანჯრები ცახცახებდნენ... ნეიპემს ცოლი სულთ ავადმყოფების თავშესაფარში არ გადაუყვანია, მათ საგრაფოში რომ იყო. ქალი თავისუფლად დაბორიანობდა სახლში, რადგან გარშემო მყოფთათვის და თავისი თავისთვისაც საშიში არ გახლდათ. ნეიპემმა მაშინაც კი არაფერი მოიმოქმედა, როდესაც ქალს გამოძეგვლეება შეეცვალა. მაგრამ როდესაც ბიჭებს მისი შეეშინდათ და თადეუსს კინადამ გულიც კი წაუვიდა, როდესაც დედამ მანჭვა დაუწყო, გადაწყვიტა, სხვენზე ჩაეკეტა. ივლისში მან საბოლოოდ შეწყვიტა მეტყველება და ოთხზე დაიწყო მოძრაობა, თვის ბოლოს კი შეძრწუნებულმა ნეიპემმა დაინახა, რომ მისი ცოლი სიბნელეში სუსტად ანათებს – ზუსტად ისე, როგორც მცენარეები ფერმის გარშემო.

ეს ცოტა ხნით ადრე მოხდა, სანამ ცხენები გაიქცეოდნენ. ერთ ღამეს რაღაცა მოელანდათ, საჯინობოში საშინელი ჭიხვინი და ტლინკების ცემა ატეხეს. ნეიპემმა რა არ სცადა, მაგრამ ვერაფრით დააშოშმინა. ბოლოს და ბოლოს, საჯინობოს კარი გააღო. ცხენები უმალ გავარდნენ გარეთ და გაიქცნენ, მონადირისგან დამფრთხალი ირმებივით. ნეიპემი მთელი კვირა ეძებდა მათ. ბოლოს იპოვა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სრულიად გამოუსადეგარნი და უმართავნი გახდნენ. ცხენების გონებაში რაღაც გადატრიალდა და ნეიპემი იძულებული გახდა ისინი დაეხოცა, მათივე სიიკეთისთვის. შემდეგ ემის სთხოვა ცხენი, რადგან თივა ჰქონდა გადასახიდი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ცხენი მის ბელელთან არაფრის დიდებით არ მიდის. დამფრთხალი, ჩუმად ჭიხვინებდა, ერთ ადგილას გამშებული, თითქოს რაღაც გადაულახავი ბარიერი აბრკოლებსო. ნეიპემს სხვა არაფერი დარჩენოდა, რომ ცხენი ემისთვის დაებრუნებინა. თივის გადაზიდვა კი გარდნერებს ხელით მოუწიათ – მძიმე ურემი რის ვაივაგლახით მიაგორეს ბელელთან. ამასობაში მცენარეები სულ უფრო მორუხო ფერს იძენდნენ და უფრო იოლად მტვრევადი, მყიფენი ხდებოდნენ. ყვავილები, რომლებიც თავიდან ყველას გაუგონარი ფერებით აოცებდნენ, ახლა ერთიანად ნაცრისფერდებოდნენ, ხეხილმა კი რუხი ფერის, ერთი ციციქნა, სრულიად უგემური ნაყოფი მოისხა. ასტრები და ოქროწყვეტლები მახინჯი, მორუხო ფერისა გაიზარდნენ, ვარდები და კვირისტავეები კი იმდენად არაბუნებრივად, ღამის მკრეხელურად გამოიყურე-

ბოდნენ, რომ ნეიჰემის უფროსმა ვაჟმა, ზენასმა, აიღო და მოცელა. უცნაურად გაფუყული მწერები დროთა განმავლობაში დაიხოცნენ, ფუტკრებმა კი სკები მი-ატოვეს და ტყეს მისცეს თავი.

სექტემბერში ხეებს ფოთლები გასცვივდათ – მორუხო მტვრად იქცნენ. ნეიჰემი შიშობდა, რომ ხეები მანამ გახმებოდნენ, სანამ შხამი ნიადაგიდან ამოირეცხებოდა. მის ცოლს შეტევები დაეწყო, სამ-ინლად კიოდა და ნეიჰემი და მისი ვაჟები მუდმივად დაძაბულები იყვნენ. ბიჭები ხალხს ერიდებოდნენ და როდესაც სწავლა განახლდა, სკოლაში აღარ წა-ვიდნენ. ერთადერთი კაცი, რომელიც იშვიათად სტუმ-რობდა მათ, ემი იყო, პირველმა სწორედ მან აღ-მოაჩინა, რომ გარდნერების ჭის წყალი აღარ დაი-ლეოდა. თითქოს არც დამპალი იყო და არც ძლაშე, მაგრამ ისეთი საძაგელი გემო მიიღო, რომ ემიმ ურჩია, ახალი ჭა გაეთხარათ მაღლობზე, იქ, სადაც ნიადაგი მოწამლული არ იყო. თუმცა ნეიჰემმა ეს რჩევა არ გაითვალისწინა, რადგან იმ დროისთვის იმ უჩვეულო და უსიამოვნო მოვლენების მიმართ უგრძნო-ბელი გახდა. გარდნერები კვლავაც იღებდნენ წყალს მოწამლული ჭიდან, აპათიურად აყოლებდნენ მას მწირ, უხეიროდ მომზადებულ საკვებს, რომელსაც იღებდნენ ხოლმე, როდესაც უმაღური, მონოტონური შრომისგან შეისვენებდნენ, მათ უმიზნო არსებობას რომ ავსებდა. საოცარი გულგრილობა, ბედისადმი სრული მორჩილება დაეუფლათ, თითქოს უკვე გან-ვლეს ნახევარი გზა იმ დერეფანში, რომელსაც ბნელ, მაგრამ მათთვის უკვე ჩვეულ სამყაროში შეჰყავდა, – უხილავი გუშაგები რომ დარაჯობენ, საიდანაც დაბრუნდება შეუძლებელია.

თადეუსი სექტემბერში შეიშალა, ჭასთან როდე-საც მივიდა. ხელში ცარიელი სათლი ეჭირა, წყალი უნდა ამოეღო, თუმცა შინ უწყლოდ დაბრუნდა, ხე-ლებს იქნევდა და რაღაცას გაუგებრად ბუტბუტებ-და, თუ ჩურჩულებდა: „იქ, ქვემოთ მოძრავი ფერე-ბია...“ ერთ ოჯახში ორი შემლილი – მეტისმეტია, მაგრამ ნეიჰემი ასე იოლად არ დანებდებოდა. მან ბიჭს დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში მის-ცა უფლება სახლში თავის ნებაზე ებორიალა მანამ, სანამ იატაკზე დაცემა და დაშავება არ დაიწყო. მაშინ ისიც სხვენზე ჩაკეტა, დედამისის ოთახის წინ მდებარე მეორე ოთახში. ისინი ერთმანეთს ჩარაზუ-ლი კარებიდან ყვირილით ეხმიანებოდნენ, რაც საზ-არელი მოსასმენი გახლდათ, განსაკუთრებით კი პა-ტარა მერვინისთვის, ვისაც სჯეროდა, რომ ისინი ერთმანეთს რაღაც საშინელ, არამიწიერ ენაზე ელა-პარაკებინ. მერვინი საოცრად მგრძობიარე შეიქნა,

შფოთვა უფრო და უფრო გაუძლიერდა მას მერე, რაც ძმა სხვენზე ჩაუკეტეს – ძმა, რომელიც მისი საუკეთესო მეგობარი იყო, – მუდმივად ერთად თამა-შობდნენ.

დაახლოებით იმავე პერიოდში ფერმაზე პირუ-ტყვის დაცემა დაიწყო. ფრინველი, ქათმები და ინ-დაურები განაცრისფრდნენ და სწრაფად დაიხოცნენ. როდესაც მათი ხორცის გამოყენება სცადეს, აღ-მოჩნდა, რომ საოცრად მშრალი და მავნებელი გამხ-დარიყო, – გულისამრევი სუნი და გემო შეიძინა. ღორები წარმოუდგენლად დასუქდნენ, მერე კი ისე-თი გასაოცარი ცვლილებები განიცადეს, რომელიც ვერავინ ვერაფრით ახსნა. მათი ხორცი, ცხადია, გამოუსადეგარი იყო, და ნეიჰემი ისეთ ღლეში ჩავარ-და, რომ ცოტაც და ჭკუიდან გადავიდოდა. ვერც ერთი ადგილობრივი ვეტერინარი ვერ ბედავდა მის სახლთან მიახლებას, არაკვმიდან ჩამოყვანილ ვეტ-ერინარებს კი გაცივებისგან თვალები შუბლზე ას-ლიოდათ. სიტყვასაც ვერ ამბობდნენ და უხმოდ ტოვებდნენ ფერმას. ღორებმა მორუხო ფერი შეიძინეს, ხორცი მტვრევადი გაუხდათ და სანამ საბოლოოდ დაიხოცებოდნენ, ნაკუწებად დაშლა დაიწყო, თანაც მათი თვალები და ღინგი სრულიად წარმოუდგენელ რაღაცად გარდაიქმნა. ეს ყველაფერი მით უფრო გაუგებარი იყო, რომ მოწამლული მცენარეების ერთ ღერიც კი არ ეჭამათ. მერე ძროხებს დაემართათ რაღაც. მათი სხეულის ცალკეული ნაწილები, ზოგჯერ კი მთელი სხეული, გაუგებრად იჭმუნებოდა, შრე-ბოდა, რის შემდეგაც ხორცის გახეშვებული ნაკუ-წები დაავადებულ ადგილს ისე სძვრებოდა, როგორც ძველი ბათქაში – კედელს. ავადმყოფობის ბოლო სტადიაზე (რასაც ყველა შემთხვევაში სიკვდილი მოჰყვებოდა) ძროხა რუხ ფერს იღებდა, ხორცი მკვრივი, მტვრევადი უხდებოდა, როგორც ეს ღორე-ბის შემთხვევაში იყო. ამას შხამს ვერ დააბრალებდი, რადგან პირუტყვი იზოლირებულ, ჩაკეტილ ბოსელ-ში ჰყავდათ. პირუტყვს იმ საკვების ერთი ლუკმაც კი არ მიუღია, რომლის მეშვეობით ვირუსს მათ ორგანიზმში შეეძლო შეღწევა. ეს მხოლოდ რაღაც ბუნებრივი დაავადება შეიძლება ყოფილიყო – თუმ-ცა რომელ ავადმყოფობას შეეძლო ასეთი შედეგები მოეტანა, სრულიად გაუგებარი გახლდათ. როდესაც მოსავლის აღების დრო მოვიდა, ფერმაზე ერთი ცხოველიც კი აღარ დარჩა, რადგან პირუტყვი და ფრინველი სრულად გაწყდა, ძაღლები კი გაიქცნენ. სამი ძაღლი ერთ მშვენიერ ღამეს გაქრა და ისინი მეტი არავის უნახავს. მანამდე ფერმიდან ხუთი კატა გაიქცა, თუმცა მათი ეს საქციელი გასაკვირი არ

იყო, რადგან სახლში ერთი თავიცი კი აღარ დარჩა, თანაც ერთადერთი ადამიანი, ვინც მათზე ზრუნავდა, მისის გარდნერი გახლდათ.

19 ნოემბერს ნეიჰემმა გაჭირვებით მიაღწია ემის სახლამდე და საშინელი ამბავი ამცნო. საბრალო თადეუსი გარდაიცვალა სხვენზე, თავის ოთახში, ოლონდრისგან და როგორ, ვერ უთხრა. ნეიჰემმა საოჯახო სასაფლაოზე გაუთხარა საფლავი, ფერმის უკანა მხარეს და სამარეში ჩაუშვა ის, რაც თადეუსისგან დარჩა. სიკვდილის მიზეზი ოთახში გარედან ვერ შეაღწევდა, რადგან პატარა გისოსებიანი სარკმელი და ჩარახული კარი ხელუხლებელი ჩანდა, არადა, თადეუსის გვამს იმავე საშინელი ავადმყოფობის ნიშნები ეტყობოდა, რომელმაც გარდნერების ცხოველებს მუსრი გაავლო. ემი და მისი ცოლი, როგორც შეეძლოთ, ანუგეშებდნენ სასოწარკვეთილ კაცს, თუმცა თავად, ამ დროს, ჟრუანტელი უვლიდათ. გარდნერების ოჯახის ყოველი წევრი თითქოს მომაკვინებელ ზაფრას ასხივებდა და ყველაფერი, რასაც შეეხებოდნენ, ტანჯვა-წამებით იღუპებოდა. თითქოს მათ სახლში უცხო სამყაროს სუნთქვა ქროდა, – სამყაროსი, რომლის სახელს ადამიანები არასოდეს უწყოდნენ და ვერასოდეს ვერაფერს უწოდებენ. ემიმ ნეიჰემი ფერმამდე მიაცილა და იქ კიდევ კარგა ხანს ამვიდებდა პატარა მერვინს, რომელიც ისტერიულად ქვითინებდა. უფროს ბიჭს, ზენასს, დამშვიდება არ სჭირდებოდა, ერთ ადგილას იჯდა, მზერა გაშეშებული ჰქონდა, სივრცეს მისჩერებოდა, მამის ყოველ სიტყვას უხმოდ ემორჩილებოდა. ემიმ გაიფიქრა, რომ ზენასი ბედმა დაინდო. მას მერე სახლში უკვე მერვინის ყვირილი ისმოდა, რომელსაც დედამისი სხვენიდან ყვირილითვე ეპასუხებოდა. ნეიჰემმა შენიშნა, მისი ხმა უფრო და უფრო სუსტდებოდა. ემიმ ფერმა დაღამებამდე დატოვა, ვერანაირი მეგობრული გრძნობები ვერ აიძულებდა ღამით დარჩენილიყო იქ, სადაც მცენარეები სიბნელეში ნათებას იწყებენ, ხეები კი ტოტებს დამოუკიდებლად, ქარის შემობერვის გარეშე არხევენ. ემის ნამდვილად ბედმა გაუღიმა, რომ მაინცდამაინც მგრძნობიარე არ გახლდათ და მეტიმეტად ცოცხალი წარმოსახვით არ გამოირჩეოდა. ამ ყველაფერმა მასზე, რა თქმა უნდა, უარყოფითად იმოქმედა, თუმცა აზროვნების უნარი შეინარჩუნა ისე, რომ ნამდვილ მანიაკად არ იქცა, რაც სხვა ადამიანის შემთხვევაში, უეჭველად მოხდებოდა. ემი დაღამებას არ დაელოდა, მწუხრის ბინდუნდში გამოიქცა ფერმიდან, – ყურებში შემლილი ქალის კვილი და მისი ვაჟის ყვირილი ედგა.

სამი დღის მერე აღრიანი დილით ნეიჰემი ემის

სამზარეულოში შევარდა, – თავად ემი სახლში არ დახვდა, საქმეზე წასულიყო, – და შეძრწუნებულ მისის პირს ახალი საშინელება ამცნო ემის ბორძიკით. ამჯერად, პატარა მერვინი გაქრა. წინა საღამოს აუღია ფარანი და სათლი, ჭიდან წყალი უნდა მოეტანა, მაგრამ აღარ დაბრუნებულა. თავიდან ნეიჰემმა იფიქრა, რომ ფარანი და სათლი მასთან ერთად გაქრა, მაგრამ ჭასთან ალიონზე უცნაური საგნები იპოვა. მთელი ღამე ეძებდა შვილს, ფერმის გარშემო ტყე და მინდორ-ველი შემოიარა, დილით კი, გასავათებულმა ჭასთან, დანამულ ბალახზე უცნაური საგნები აღმოაჩინა – ეს იყო დამსხვრეული და ალაგ-ალაგ აშკარად დამდნარი რკინის მასა, რომელიც ოდესღაც ფარანი უნდა ყოფილიყო. მის გვერდით კი სათლის ნახევრად დამდნარი რკინის სალტეები ეყარა. ეს იყო და ეს. ნეიჰემი ისე იყო, ცოტაც და ჭკუიდან გადავიდოდა. მისის პირსი გაოგნებული უსმენდა. ვერც ემიმ თქვა რაიმე, როდესაც შინ დაბრუნდა და ეს ამბავი ცოლისგან შეიტყო. მერვინი გაქრა. გარდნერების ახლომანლო მცხოვრებ ფერმერებთან მისვლას და ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა, – გარდნერებს აღარ ეკარებოდნენ. არც არკჰემის მოქალაქეებთან ჰქონდა აზრი ლაპარაკს – მის ყოველ სიტყვაზე იცინოდნენ. თადეუსი გარდაიცვალა, მერვინი გაქრა. რაღაც საზარელი „მწიფდებოდა“, მომენტს ელოდა, რომ გამოჩენილიყო, ყველას რომ ეგრძნო და გაეგო. ნეიჰემი მალე წავიდა შინ, წასვლის წინ კი მისის პირს დაუბარა, – ემიმ მის ცოლსა და ზენასს მიხელოს, თუკი თვითონ მათზე ადრე მოკვდება. ნეიჰემს მიაჩნდა, რომ ეს ყველაფერი ერთგვარი სასჯელია, ოლონდ ვერაფრით გაეგო, კონკრეტულად რის გამო ისჯებოდა, რადგან ყოველთვის უფლის გზით მიდიოდა, როგორც სწამდა, და გვერდზე არასოდეს გადაუხვევია.

დაახლოებით ორი კვირა ნეიჰემი არ გამოჩენილა. ემიმ თავისი შიშები გადასძალა, გადაწყვიტა, გარდნერების ფერმაზე წასულიყო და ენახა, კიდევ რამე ხომ არ მოხდა. მაღალი საკვამურიდან ბოლი არ ამოდიოდა. სტუმარმა გულში ყველაზე საშინელი შესაძლებლობაც კი დაუშვა. ფერმა და მისი შემოგარენი საზარლად გამოიყურებოდა – რუხ მიმჭკნარ ბალახზე ისეთივე რუხი და მიმჭკნარი ფოთლები ეყარა, ძველი კედლებიდან ვაზის დაშლილი ლერწები ჩამოშვებულიყო, გაშავებულ ხეებს კი გამხმარი ტოტები ჯიუტად აეშვირათ ნოემბრის მრუშე ცისკენ. მაგრამ, საბედნიეროდ, ნეიჰემი ცოცხალი აღმოჩნდა. დასუსტებულიყო, ტახტზე იწვა სამზარეულოში, თუმცა გონებაზე გახლდათ და ზენასს ხმამაღლა



აძლევდა დავალებებს, რა უნდა გაეკეთებინა. სახლში საშინლად ციოდა, ემი თავისდაუნებურად მოიბუზა, ააკანკალა, ეს მასპინძელმა შენიშნა, ზენასს დაუძახა და მოკლედ უბრძანა, შეშა დაუმატეო. შეშა ნამდვილად საჭირო იყო, არადა, ბუხარი სრულიად ცარიელი იყო, ცეცხლი არ ენთო. ბუხარში მჭვარტლის ბული იდგა, საკვამური მილიდან ცივი ქარი უბერავდა. ნეიჰემმა ემის ჰკითხა, დამატებულმა შეშამ რამდენად ასიაშოვნა, და ემი მიხვდა, რაც მოხდა – ნეიჰემის გონებაში მთავარი ძარღვი გაწყვეტილიყო და ახლა უბედური ფერმერი შემდგომი საწუხარისგან საიმედოდ გახლდათ დაცული.

ემიმ ფრთხილად ჰკითხა ნეიჰემს, სად არის ზენასი, სად დაიკარგა, მაგრამ ვერაფერი გაარკვია, რადგან ნეიჰემი მხოლოდ ამას ბუტბუტებდა: „ჭაში, ახლა ჭაში ცხოვრობს“. შემდეგ ემიმ ცოლზე ჰკითხა, რაზეც საბრალო ნეიჰემმა გაოცებით მიუგო: „ნაბი? რას მეკითხები? ვერა ხედავ, შენ წინა დგას?“ ემი მიხვდა, თავად უნდა მოძებნოს. საცოდავი კაცი ტახტზე დატოვა, – ბუტბუტს განაგრძობდა, – კელლიდან ლურსმანზე ჩამოკიდებული გასაღებების აცმა ჩამოსნა, და ჭრიალა კიბით სხვენზე ავიდა. ჩამიჩუმი არ ისმოდა. ოთხი კარიდან მხოლოდ ერთი იყო დაკეტილი, ზედ ბოქლომი ეკიდა. ემიმ ჯერ ერთი გასაღები სცადა, მერე მეორე, მესამე მოერგო, და მცირედი წვალეების შემდეგ, ემიმ დაბალი თეთრი კარი შეაღო.

ოთახში ბნელოდა, სარკმელი პატარა იყო, თანაც ნახევრად დაფარული ხის სქელი გისოსებით, ამიტომ თავიდან ემიმ ვერაფერი გაარჩია. ოთახში აუტანელი სიმყარაღე იდგა, ამიტომ ემი იძულებული გახდა, გამოსულიყო, – სუფთა ჰაერი ჩაისუნთქა და ისევ მიბრუნდა. როდესაც კვლავ შევიდა, კუთხეში რაღაც შავი დანახა, დააკვირდა და შეჰყვირა. ამ დროს კუთხიდან ღრუბელივით რაღაც ამოფრინდა,

ემიმ იგრძნო, თითქოს ორთქლის გულისამრევმა ნაკაღმა გადაუარა, წამით სარკმელი დაფარა, მერე კი ელვის სისწრაფით კარისკენ გაფრინდა. ემის თვალწინ საოცარმა ფერებმა გაიელვა, და რომ არა შეძრწუნება, აუცილებლად გაახსენდებოდა მეტეორიტის გლობულა, გეოლოგიური ჩაქუჩის დარტყმით რომ დაიშალა და მახინჯი მცენარეები, გაზაფხულზე რომ გაიზარდა. ემის მხოლოდ იმ მკრეხელურ, მონსტრივით საზარელ რაღაცაზე შეეძლო ფიქრი, რაც მის წინ იყო – რამაც პატარა თაღუისის და ფერმის ყველა ცოცხალი არსების ბედი გაიზიარა. მაგრამ ყველაზე საშინელი ის გახლდათ, რომ მოძრაობდა, ძალზე ნელა მოიწვედა მისკენ და თანაც ნაკუწებად იშლებოდა.

ემის ამ სცენის აღწერა აღარ გაუგრძელებია და ის რაღაც მოძრავი, მონსტრის მსგავსი, კუთხეში რომ იყო, აღარ უხსენებია. არსებობს რაღაც, რაზეც ვერ ილაპარაკებ, ამიტომ აღარაფერი მიკითხავს. თანაც, ჰუმანური გრძნობებით მოტივირებული მოქმედებაც კი, ზოგჯერ კანონით დასჯადია. მე მგონი, ოთახში სხვენზე არავინ იყო და ემის უბრალოდ რაღაც მოერგენა სიბნელებში. გამოკეტო ადამიანები, რომლებსაც მოძრაობის უნარი აქვთ, მძიმე დანაშაულია და ამის ჩამდენი მარადიულად დაიტანჯება. ასეთ სიტუაციაში ნებისმიერ ადამიანს შიშისგან გული წაუვიდოდა ანდა სულაც, გაგიჟდებოდა, მაგრამ ემი მტკიცე ხასიათის ფერმერი გახლდათ, ძალა მოიკრიბა, ოთახიდან გავიდა, კარი მიხურა – ერთადერთი, კარს ცოტა უფრო დიდხანს კეტავდა გასაღებით. ნეიჰემისთვის უნდა მიეხედა, დაეპურებინა, დაემშვიდებინა, ისეთ ადგილას გადაეყვანა, სადაც უპატრონებდნენ...

როდესაც ემი ბნელ კიბეზე ჩადიოდა, ბრავგანის ხმა მოესმა, მერე კი სუსტი შეკვივლებაც გაიგონა, რამაც ის წებოვანი ორთქლი გაახსენა, რომელმაც სხვენზე იმ საშინელ ოთახში გადაუარა. ვინ შეჰკივლა, ვისზე იმოქმედა მისმა გამოჩენამ? ემი შიშისგან დაზაფრული საფეხურზე შედგა და ქვემოდან სხვა ხმები შემოესმა. ეჭვგარეშეა, ეს იატაკზე მძიმე რაღაცის გათრევის ხმა იყო, მერე კი საზიზღარი თქლაფუნე გაიგონა, თითქოს არაადამიანურად სასტიკი, ბინძური არსება რაღაცას იწოვს თუ ისრუტავსო. როდესაც ემის აღვზნებულმა გონებამ ასოციაციურად ყველაფერი ერთმანეთთან დააკავშირა, უნებლიეთ გაახსენდა, რაც სხვენზე ნახა. დიდებულო ღმერთო! კიდევ რა საშინელებას უმზადებს ეს საოცარი სამყარო, რომელშიც აღმოჩნდა? ველარც წინ წასვლას ბედავდა და ველარც – უკან. იდგა

კიბეზე და კანკალებდა. იმ სცენის ყველა დეტალი გონებაში სამუდამოდ ჩაეჭრა. საძაგელი ხმები. შემადრწუნებელი მოლოდინი, სიბნელე, ვიწრო, დამრეცი საფეხურები, – და, უფალო, შეგვიწყალებო! – სუსტი, მაგრამ აშკარა ნათება, რომელსაც მის გარშემო ხის საგნები გამოსცემდნენ: კიბის საფეხურები, მოაჯირი, სახურავის ძელები და კედლის ფილები.

მერე კი ემიმ თავისი ცხენის უცნაური შეჭიხინება გაიგონა, – მომცრო ღია ეტლში შებმული ცხენი სახლთან დატოვა, – რასაც ცხენის თქარათქური და ბორბლების ხრიგინი მოჰყვა. ცხენი ეტლიანად გაიქცა. დამფრთხალი პატრონი ბნელ კიბეზე დატოვა. მაგრამ ეს ჯერ ყველაფერი არ ყოფილა. ემის კიდევ ერთი ხმა შემოესმა. თითქოს რაღაც შედგაფუნდაო, – წყალი, – როგორც ჩანს, ჭაში ქვა ჩავარდა. ემიმ ჰერო, თავისი ცხენი, ჭასთან ისე დატოვა, რომ არ დაუბამს, და ეტყობა, ეტლის ბორბალმა ჭის დაბალ კედელს შემთხვევით გაჰკრა, ქვა ამოაგდო, რომელიც ჭაში ჩავარდა, როდესაც დამფრთხალმა ცხენმა გაქუსლა. ემიმ დაინახა, რომ სუსტი ფოსფორიცირების მსგავსი ნათება, ძველისძველი ხის საგნები რომ გამოცემდნენ, თითქოს გაძლიერდა. ღმერთო, რაოდენ ძველი იყო ეს სახლი! უმეტესად, 1670 წლამდე გახლდათ აგებული, დამრეცი სახურავი კი 1730 წლამდე უნდა გაეკეთებინათ.

ახლა იატაკზე გათრევის ხმა უფრო მკაფიოდ ისმოდა. ემიმ ხელი მოუჭირა სქელ ჯოხს, რომელიც სხვენიდან ყოველი შემთხვევისათვის წამოიღო. თავის გამხნივებით ნელა დაემუშა კიბეზე და სამზარეულოსკენ შემართული დაიდრა. მაგრამ იქ აღარც შესულა, რადგან აღმოაჩინა, სამზარეულო ცარიელია. ნეიჰემი, უფრო სწორად, ის, რაც ცოტა ხნის წინ ნეიჰემი იყო, მის შესახვედრად დაძრულიყო. თვითონ მოძრაობდა თუ გამოათრიეს, ემიმ არ იცოდა, სამზარეულოსა და სასტუმრო ოთახს შორის იწვა. ჯერაც ცოცხალი იყო, თუმცა კვდებოდა. ყველაფერი უკანასკნელი ნახევარი საათის განმავლობაში მოხდა, თუმცა სხეულის გახეშეშება, განაცრისფრება, დაშლა უკვე დაწყებულიყო. სხეული საოცრად მტკრევეადი გაუხდა – მშრალი, ხმელი ნაკუწები სცვიოდა. ემი ვერ შეეხო იმას, რაც ადამიანის საზარელ პაროდიას ჰგავდა.

– ეს რა იყო, ნეიჰემ, რა იყო? – ჰკითხა ემიმ ჩურჩულით.

ნეიჰემმა დასიებული, დაბზარული ტუჩები გაჭირვებით ამოძრავა და უღონო ხმით უპასუხა:

– არაფერი... არაფერი... უბრალოდ, ფერი... იწვის... ცივი და სველი... მაგრამ, იწვის... ჭაში ცხოვრობს...

მე ვნახე... კვამლივითაა... ისეთი, ყვაილები რო იყო შარშან... ჭა ღამით ანათებს... თელს, მერვინსა და ზენასს... სიცოცხლეს სწოვს ყველაფერს... იმ ქვაში... იქ ქვაში იყო... გარშემო ყველაფერი მოწამლა... არ ვიცი, რა უნდა... ის მრგვალი რაღაც, ქვიდან რომ ამოჩიქნა პროფესორმა... მერე დაამსხვრია... ისეთივე ფერი ჰქონდა... რაც მერე ყვაილებს და მცენარეებს... იქ კიდევ რაღაც იყო... თესლი... თესლი... გაიზარდა... პირველად ამ კვირას ვნახე... ძალიან გაიზარდა, რადგან ზენასს მოერია... დიდი ბიჭი იყო, სიცოცხლით სავსე.. ის შენს ტვინში შემოდის... და შიგნიდან გწვავს... ჭის წყალში... მართალი იყავი... ბოროტი წყალია... ზენასი აღარ დაბრუნდა ჭიდან... ვერ გაექცევი... გითრევს... იცი, რომ შენში შემოდის, მაგრამ ვერაფერს აკეთებ... მაშინ ვნახე, ზენასს რომ დააცხრა... ნაბი როგორაა, ემი?... ველარ ვაზროვნებ... არც კი ვიცი, რამდენი ხანი ვუვლიდი, ვაჭმევდი... მაგრამ ვერ ვუშეველე... ეს უბრალოდ ფერია... ზოგჯერ ღამდამობით სახე იმფრად უნათდებოდა ხოლმე... იწვის და გწოვს... ის იქიდან მოვიდა, სადაც ყველაფერი სხვანაირია... ერთმა პროფესორმა თქვა ეს... მართალიც იყო... ფრთხილად იყავი, ემი, ის არა მარტო იწვის... სიცოცხლეს გწოვს...

მეტი აღარაფერი უთქვამს. ის, რითიც ლაპარაკობდა, ამისთვის მეტი აღარ გამოდგებოდა, რადგან დაიშალა და თავის ქალაში ჩაიბნა. ემიმ იმას, რაც ნეიჰემისგან დარჩა, წითელ-თეთრი კუბოკრული სუფრა გადააფარა, კარი გააღო და გარეთ გავიდა. ფერდობზე ჩაიარა და გარდნერის ათი აკრის ფართობის საძოვარზე გავიდა, იქიდან კი ჩრდილოეთის გზით, ტყეში რომ გადიოდა, თავისი სახლისკენ წაბორიალდა. ჭასთან გავლა არ შეეძლო, საიდანაც ცოტა ხნის წინათ მისი ცხენი გაიქცა. თანაც, ემიმ ფანჯრიდან გაიხედა, სანამ გარეთ გავიდოდა და დაინახა – ჭის დაბალი კედელი ხელუხლებელია, არცერთი ქვა არ აკლია. ესე იგი, რაღაც ჩახტა ჭაში მას მერე, რაც ნეიჰემს გაუშკლავდა.

როდესაც ემი შინ მივიდა, აღმოაჩინა, რომ ცხენი ეტლიანად უკვე დაბრუნებულიყო, რამაც მისი ცოლი მეტად შეაშფოთა. ემიმ ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე დაამშვიდა, მერე კი ეგრევე არაკვებში გასწია და პოლიციას შეატყობინა, რომ გარდნერების ოჯახი აღარ არსებობს. ნანახის დეტალები არ მოუყოლია, ზოგადად უთხრა, რომ ნეიჰემი და ნები დაიხოცნენ, ასევე თადეუსიც, და დაუმატა, რომ მიზეზი ის ავადმყოფობა უნდა იყოს, რამაც ფერმაზე პირუტყვი გაწყვიტა. ასევე უთხრა, რომ ზენასი და მერვინი დაკარგულები არიან. პოლიციაში საგულდაგულო დაკითხ-

ვის შემდეგ ემი აიძულეს, გარდნერების ფერმაზე წაეყვანა პოლიციის სამი ოფიცერი, კორონერი (*coroner*, ანგლოსაქსურ ქვეყნებში, ოფიციალური პირი, რომელიც უეცარი და საეჭვო პირობებში მომხდარი სივლილის გამოძიებას აწარმოებს. – მთარგმნ. შენიშვნ.) სამედიცინო ექსპერტი და ვეტერინარი, რომელიც ნეიპემის დაავადებულ პირუტყვს მკურნალობდა. ემი, თავისი ნების საწინააღმდეგოდ, დაემორჩილა, არადა, სულაც არ სურდა იქ მისვლა, რადგან საღამოვდებოდა და იმ წყვეულ ადგილას სიბნელეში უნდა ყოფილიყვნენ, თუმცა გარკვეულად აიძვებოდა ის, რომ ამდენ ხალხთან ერთად იქნებოდა.

ექვსი კაცი გარდნერების ფერმაზე ფურგონით გაემგზავრა, ემი კი – თავისი მსუბუქი ეტლით. ადგილზე ოთხი საათისთვის ჩააღწიეს. პოლიციელებს ყველანაირი სიკვდილი ენახათ, – ამ მხრივ მდიდარი გამოცდილება ჰქონდათ, – მაგრამ მათზეც კი იმოქმედა იმან, რაც სხვენზე და წითელ-თეთრი კუბოკრული სუფრის ქვეშ ნახეს. ფერმის მრუშე რუხი ფერი თავისთავად ნებისმიერ ადამიანს დააფრთხობდა, მაგრამ ის, რაც მათ სახლში იპოვეს, ის ორი დაშლილი, ნამცეცხად ქცეული ობიექტი, წარმოსახვის ყოველგვარ საზღვრებს სცდებოდა. დიდხანს ვერავინ უსწორებდა თვალს, სამედიცინო ექსპერტმა კი განაცხადა, რომ აქ ექსპერტიზის ჩატარება შეუძლებელია. ერთადერთი, ეს ნაშთები ლაბორატორიული ანალიზისთვის შეიძლება წავიღო. მართლაც, მტვრად ქცეული ნაშთებით სავსე ორი ფიალა მიიტანა კოლეჯის ლაბორატორიაში. თუმცა კი იქ ვერაფერი გაარკვიეს. სპექტროგრაფიულმა ანალიზმა სრულიად გაუგებარი სპექტრი აჩვენა, ნაწილობრივ იმის მსგავსი, რაც მეტეორიტის ფრაგმენტსა ჰქონდა. თუმცა ერთი თვის განმავლობაში ნაშთებს უჩვეულო სპექტრი გაუქრა და ანალიზი მხოლოდ იმას აჩვენებდა, რომ მტვერი სტაბილურად შეიცავს დიდი ოდენობის ტუტე ფოსფატებსა და კარბონატებს.

ემი ჭის თაობაზე კრინტსაც არ დაძრავდა, რომ სცოდნოდა, პოლიციელები მის შემოწმებას უმალ დააპირებენ. მზე ჩადიოდა და ემის ძლიერ სურდა, სადმე შორს ყოფილიყო. თავს ვერ ერეოდა, თვალი წამდაუწუმ ჭისკენ გაურბოდა და როდესაც დეტექტივმა ჰკითხა, რას უყურებო, გულახდილად უპასუხა, – ნეიპემის აზრით, იქ რაღაც საშინელება იმალებაო. და ისიც უთხრა, იმდენად ემინოდა, რომ ჭაში ერთხელაც არ ჩაუხედავს, ზენასსა და მერვინს როდესაც ეძებდაო. ამ სიტყვის მერე პოლიციელებს სხვა არაფერი დარჩენოდათ გარდა იმისა, რომ წყალი ჭიდან დაუყოვნებლივ ამოეხაპათ და

დაედგინათ, რა იმალება მის ფსკერზე. სათლს სათლი მოსდევდა, ემი კანკალით უყურებდა, როგორ ღვრიდნენ ჭიდან ამოღებულ მყარალ წყალს იქვე, ნაცრისფერ, დამსკდარ მიწაზე. ჭასთან მდგომებს სახე უნებლოეთ ემანჭებოდათ, ცხვირზე ხელს იჭერდნენ და ვინ იცის, იქნებ ვერც მიეყვანათ დაწვებული საქმე ბოლომდე, ჭაში წარმოუდგენლად ცოტა წყალი რომ არ აღმოჩენილიყო. საკმაოდ სწრაფად მიაგნეს იმას, რასაც ეძებდნენ. ზენასი და მარვინი იქ იყვნენ. უფრო სწორად, მათი თითქმის ბოლომდე ჩონჩხად ქცეული გვამები. ასევე იპოვეს მომცრო ირმის და დიდი ძაღლის ჩონჩხები და მრავალი პატარა ცხოველის ძვალი. ჭის ფსკერზე დაგროვილი შლამი და ტალახი მოულოდნელად ფოროვანი და წებოვანი აღმოჩნდა. ერთ-ერთი პოლიციელი თოკებით ჩაუშვეს ჭაში. ხელში გრძელი სარი ჰქონდა, ფსკერი უნდა გაესინჯა – როგორც მოგვიანებით თქვა, შლამისა და ტალახის ფენის ქვეშ მყარი ფსკერი საერთოდ არ იგრძნობოდა, თითქოს ჭა სულაც უძირაო.

ჩამოხედა და ძიება ფარნების შუქზე გააგარძელეს. როდესაც დარწმუნდნენ, რომ მეტი ვერაფერს იპოვიდნენ, სახლში შევიდნენ, ძველთაძველ სასაღილოში ჩამოსხდნენ, ფარნის და ფანჯრიდან შემოსული მთვარის მქრქალ შუქზე დაიწყეს მსჯელობა იმაზე, რაც აღმოაჩინეს. ყველა გაოგნებული გახლდათ, ცდილობდნენ, როგორმე ერთმანეთთან დაეკავშირებინათ უცნაური მცენარეულის გაჩენა, გაუგებარი ავადმყოფობა, საქონელსა და ადამიანებს რომ დაატყდათ თავს და მერვინისა და ზენასის იღუმალებით მოცული დაღუპვა შლამიან ჭაში. მათ იცოდნენ, რას ჭორობდა ხალხი, მაგრამ არ შეეძლოთ იმის დაჯერება, რომ ხდება რაღაც, რაც ბუნების კანონებს ეწინააღმდეგება. იქნებ მიზეზი ჭის წყალი იყო? სავსებით შესაძლებელია. წყლის ანალიზი უნდა ჩატარდეს. მაგრამ რა გაუგონარმა სიგიჟემ აიძულა ზენასი და მერვინი ჭაში ჩამხტარიყვნენ? ერთნაირად მოიქცნენ და მათი ნაშთები მოწმობდა ორივეს საოცარი, მომაკვდინებელი ავადმყოფობა სჭირდა – როცა ყველაფერი რუხი და მტვრევადი ხდება. რატომ ნაცრისფრდებოდა ყველაფერი და რატომ იშლებოდა?

ჭიდან ამოსული ნათება პირველად კორონერმა შენიშნა, რომელიც ფანჯარასთან იჯდა. სრულად დაღამებულიყო, გარშემო ჩამოხედა, მთვარის შუქზე საზიზღარი შესახედი მიწა თითქოს თვითონაც ოდნავ ანათებდა, მაგრამ ჭიდან ამოსული სინათლე სრულიად განსხვავებული, განუმეორებელი იყო. ბნელი ჭიდან შუქი პროექტორის სვეტივით ამოიჭრა, სუსტად ირეკლებოდა პატარ-პატარა გუბებში, ჭიდან

ამონაპულმა წყალმა რომ დააყენა. ციალი ერთობ უცნაური ფერისა გახლდათ. პოლიციელები ფანჯარასთან შეჯგუფდნენ, ყველა გარეთ იყურებოდა, ემის ხედს უფარავდნენ, მაგრამ როდესაც ბოლოს მოახერხა და გაიხედა, ნათება დალანდა, გული გაუჩერდა. ეს ფერი მას ადრეც ენახა, – იმის გაფიქრებაც კი ზარავდა, თუ რა შეიძლება ყოფილიყო, რადგან ეს იმ დამსხვრეული საზიზღარი გლობულას ფერი გახლდათ, მეტეორიტში რომ იჯდა, ორი ზაფხულის წინ რომ ჩამოვარდა, და იმ უცნაური მცენარეულობისა, გაზაფხულზე რომ აღმოცენდა და იმ რაღაც ორთქლივით წარმონაქმნისა, დილით რომ იხილა სხვენის ოთახში, სადაც სიტყვით აუხსნელი მოვლენები დატრიალდა. როდესაც მის თვალწინ ჩაიქროლა და წამით ხისგისოსებიანი სარკმელი დაფარა. მერე კი რაღაცამ ქვემოთ ნეიჰემს ბოლო მოუღო. ცხენი ეზოდან გაიქცა და ჭაში რაღაც მძიმე ჩავარადა – და ახლა იქიდან ამოსული, ისეთივე დემონური შეფერილობის სხივი ბნელ ცას სწვდებოდა.

ემის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ დაძაბულ მომენტშიც კი გამოცანის ამოსნით იყო დაკავებული, რომელსაც მეცნიერული ხასიათი ჰქონდა. იგი მეტად გააოცა იმ ფაქტმა, რომ მანათობელ, ორთქლივით წარმონაქმნს ზუსტად ერთნაირი ფერი ჰქონდა მზით განათებული სარკმლის წინაც და სიბნელეშიც, ფოსფორიცირებული, მრუბე, შავი პეიზაჟის ფონზე. ეს ნამდვილად ასე იყო, თუმცაღა, ბუნების კანონებს ეწინააღმდეგებოდა. ემის რატომღაც მომაკვდავი მეგობრის სიტყვები გაახსენდა: „ის იქიდან მოვიდა, სადაც ყველაფერი სხვანაირია... ერთმა პროფესორმა თქვა ეს... მართალიც იყო...“

სამი ცხენი, გზის პირას გამხმარ ხეებზე რომ იყვნენ მიბმული, გაიყვითლებოდა აჭიხინდნენ და ტლინკებს სროლა დაიწყეს. მეეტლე წამოდგა და კარებისკენ წავიდა, მაგრამ ემამ მხარზე ხელი დაადო.

– არ გახვიდეთ, – ჩურჩულით უთხრა, – ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ არ ვიცით. ნეიჰემი ამბობდა, რომ ჭაში რაღაც უცნაური ფერი სიცოცხლეს გწოვს. იმ ბურთულიდან გაჩნდა, რომელიც შარშან ივნისში ჩამოვარდნილ მეტეორიტში იყო. გწოვს და გწავს, გარეგნულად კი უბრალოდ ფერადი ორთქლივითაა, აი, ამ ფერის ორთქლივით. მისი დანახვაც კი ძნელია, არათუ გაგება, თუ რას წარმოადგენს. ნეიჰემი ფიქრობდა, რომ ის შთანთქავს ადამიანებს, ცხოველებს, მცენარეებს და ასე იკრებს ძალას. პროფესორები ამბობდნენ, რომ ქვა ციდან ჩამოვარდა. ის ჩვენი სამყაროდან არაა...

ქალაქიდან ჩამოსულელებმა არ იცოდნენ, რა ექნათ,

იდგნენ და უყურებდნენ – ამასობაში ჭიდან ამოსული შუქი გაძლიერდა, ცხენები მთლად გადაირივნენ. ეს მართლაც საშინელი მომენტი იყო, ძველისძველი, შიშისმომგვრელი სახლი და საზარელი ნაშთების ოთხი შეკვრა – ორი სახლიდან და ორი ჭიდან – სახლის უკანა მხარეს, ფარდულში დასვენებული, წინ კი საოცარი, უწმინდური, საზარელი სინათლის სვეტი, ჭის ლორწოვანი სიღრმიდან რომ ამოდის. ემამ ინსტინქტურად გააჩერა მეეტლე, არ გახსენებია, რომ თავად გადარჩა, როდესაც სხვენზე ოთახში ორთქლივით ნაკადმა გადაუარა, თუმცა, ალბათ, სწორად მოიქცა. ვერავინ ვერასოდეს გაიგებს, იმ დამით ეზოში, სინამდვილეში, რა მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ კოსმიური წყევლა ქალაქიდან ჩამოსულელებიდან ჯერჯერობით არცერთს არ შეეხო, ვერავინ იტყოდა წინასწარ, რა მოხდებოდა შემდგომ, მას მერე, რაც იმ რაღაცამ ესოდენ ძლიერად და აშკარად გამოავლინა თავი ღრუბლებით ნახევრად დაფარული, მთვარიანი ცის ქვეშ.

უეცრად ფანჯარასთან მდგომმა ერთ-ერთმა პოლიციელმა წყვეტილად, ხმამაღლა შეჰყვირა. დანარჩენებმა მის მზერას თვალი გააყოლეს, თუმცა ხმა ვერავინ ამოიღო, ისე დაიზაფრნენ. სიტყვები საჭირო არც იყო. ის, რაც მანამდე ჭორად ვრცელდებოდა, ახლა ერთმნიშვნელოვნად დადასტურდა, და სწორედ ამიტომ შეთანხმდნენ მოგვიანებით, არასოდეს მოეყოლათ, რაც თავისი თვალთ ნახეს, – ამიტომაც, რომ არკვეში არასოდეს ჰყვებიან „საოცარი დროების“ შესახებ. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ იმ მომენტში ქარი არ უბერავდა, რაღაც ხნის მერე კი ამოვარდა, მაგრამ მაშინ სრული სიმშვიდე იყო. ბუნება გაირინდა, არადა, ხეების ტოტები ამოდრავდნენ, თანაც საოცრად კონვულსიურად, ეპილეპტიკური გულყრის დროს რომ ხდება ხოლმე, გვეგონებოდა, ტოტებით დაბლა მოსრიდელ ღრუბლებს ეპოტინებინაო, ისე იკლანკებოდნენ და იგრიხებოდნენ, თითქოს რაღაც არამიწიერი ძალა ქაჩავდა უხილავ ძაფს, ტოტებს ფესვებთან რომ აკავშირებდა.

რამდენიმე წამით ყველას სუნთქვა შეეკრა. მთვარე ბნელმა ღრუბელმა დაფარა და დაკრუნხული ხეების სილუეტები უმაღლეს გაქრა. უცებ იქ მყოფებს ერთხმად აღმოხდათ საზარელი ყვირილი – ხრინწიანი, შიშისგან დაგულული. რადგან სილუეტების გაქრობასთან ერთად შიში არ გამქრალა, პირიქით, წყვილადმი გამოჩნდა ფოსფორული ციმციმი, ათასობით პატარ-პატარა შუქი, წმიდა ელმის ცეცხლებს რომ ჰგავდა, – ჰაერში ტრიალებდნენ, ხის კენწერობებსა და ტოტებზე „ცეკვავდნენ“. ეს არამიწიერი

სინათლის გამონაშუქი იყო, თითქოს გვამების მჭამელი ციციანთელების გუნდი დაფარფატებსო ჰაერში, ფერი კი ამ ნათებას სიტყვით გამოუთქმელი ჰქონდა – ის ფერი, რომელიც ემიმ იცნო და დაიზაფრა. ჭიდან ამოსული ფოსფორული შუქის სვეტი სულ უფრო ნათელი და კაშკაშა ხდებოდა, ამ დროს კი იქ მყოფი ადამიანების გონებაში წყვილი ისადგურებდა, რადგან ვერაფრით გაეგოთ და აეხსნათ, თუ რა ხდებოდა. ახლა სინათლის სვეტი უბრალოდ კი არ ამოდიოდა ჭიდან, არამედ იღვრებოდა, უფრო ზუსტად კი არამიწერი, უფრომოდ ფერის ნაკადი პირდაპირ ცაში იფრქვეოდა.

აკანკალებული ვეტერინარი კარებთან მივიდა, დამატებით გაამაგრა, მსხვილი ხის ძელით გადაარაზა. ემი არანაკლებ იყო შეშინებული, ხმამაც კი უმტყუნა, როდესაც უნდოდა იქ მყოფების ყურადღება მიექცია, რომ ხეებმა ნათება დაიწყო. ცხენების ჭიხვინი და ფლოქვების ხმა გაუსაძლისი გახდა, მაგრამ გარეთ გასვლა ვერავინ გაბედა. რამდენიმე წამში ნათება ბევრად გაძლიერდა და ტოტებმა თითქმის ვერტიკალური მდგომარეობა მიიღეს. ასევე დაიწყო ნათება ჭის ხის ნაწილებმა, მერე კი ერთმა პოლიციელმა თავის გაქნევით მიანიშნა ფარდულსა და სკებზე ქვის კედლის დასავლეთ მხარეს. მათაც დაიწყო ნათება, თუმცა ფურგონი და ეტლი ჯერ ისევ შავი რჩებოდა. უეცრად საშინელი გრუხუნი გაისმა. ემიმ ლამპა ჩააქრო და ყველამ დაინახა, რომ ცხენებმა აიწვიტეს და გაქუსლეს. ქალაქიდან ჩამოსულები მიღებულმა შოკმა ერთდროულად აალაპარაკა, დამფრთხალები აჩურჩულდნენ. სამედიცინო ექსპერტმა თქვა – „ყველაფერ ცოცხალს შთანთქავსო...“ არავინ გამოეპასუხა, მაგრამ პოლიციელმა, რომელიც ჭაში ჩაუშვეს, ჩაილაპარაკა, გრძელმა სარმა, ეტყობა, რაღაც შრე ამტუტა, რომლის ხელის ხლება არ შეიძლებოდაო. ეს ნამდვილი კოშმარი იყო, – აღიარა მან, – იქ ფსკერი საერთოდაც არაა. მხოლოდ შლამია და ბუშტუკები. გეგონება, ქვეშ ვილაც იმალება.

ემის ცხენი კვლავაც სასოწარკვეთილი ჭიხვინებდა და მიწას ფლოქვებს სცემდა, მისი ხმა ყველა სხვა ხმას ფარავდა. ხოლო როდესაც მისმა პატრონმა ორი სიტყვა ამოღებდა, ვერავინ გაიგონა.

– იმ ქვიდან გაჩნდა... ქვემოთ გაიზარდა და ახლა ყველაფერ ცოცხალს ჭამს... ეს მისი საჭმელია... მერვინი. თადეუსი, ზენასი და ნები... ბოლოს კი, ნეიჰემი... იმ ჭის წყალსა სვამდნენ... ასე იმიტომაც იმოქმედა მათზე... უცხო სამყაროდანაა მოსული, სადაც ყველაფერი სხვანაირადაა, სულ სხვა კანონებია... ახლა კი ის რაღაც, სახლში ბრუნდება...

უცებ უცხო ფერის სვეტი აინთო, გაჩახჩახდა და ფანტასტიკური ფორმა მიიღო. მას ყოველი თვითმხილველი განსხვავებულად აღწერდა. ჰეროს, ემის ცხენს, ისეთი გამკვივანი, ველური ხმა აღმოხდა, ცხენისგან მანამდე რომ არავის გაეგო. კაცებმა ყურებზე ხელი აიფარეს, ემი კი ფანჯარას მოსწყდა, უმაღლეს კან, ოთახის სიღრმეში დაიხია. როდესაც ძალა მოიკრიბა და კვლავ გაიხედა გარეთ, დაინახა, საწყალი ცხენი მიწაზეა გათხმული, ფურგონის ნამსხვრევებს შორის. მეორე დღეს ჰერო დამარხეს, მაგრამ იმ წამს ემის მასზე ფიქრის თავი არ ჰქონდა. ვერ მოასწრო სულის მოთქმა, რომ პოლიციელმა ოთახს მოავლო თვალი და ყველამ დაინახა, რომ ხის იატაკმა ნათება დაიწყო. სახლში ერთი უსაფრთხო კუთხეც კი აღარ დარჩა. ჯერ ნოხი და ხალიჩა აციმციმდნენ, შემდეგ ფანჯრის რაფები, კარადები, ბუნარი და ბოლოს, კარები. ყველა მიხვდა, რომ სახლს ბევრი აღარ დარჩენია, ბოლო წამებს ითვლის და სასწრაფოდ თავს უნდა უშველონ.

ემიმ გარეთ უკანა დასავლეთით გაიყვანა, ბილიკზე გავიდნენ, მინდორ-ველებსა და მდელიებს შორის რომ მიიკლაკნებოდა. ადამიანები მთავარეულებივით მიბორიალობდნენ, წამდაუწუმ ჩერდებოდნენ, უკან მხოლოდ მაშინ მიიხედეს, როდესაც გორაკზე ავიდნენ. უხაროდათ, რომ ბილიკი ჭასთან ახლოს არ გადიოდა, თუმცა თავიდან შიშის ზარი დაეცათ, როდესაც მოციმიძმე ფარდულს და შავ ხეებს ჩაუარეს, ტოტები ვერტიკალურად რომ ჰქონდათ ცაში აწვდილი. მადლობა ღმერთს, ტოტები საკმაოდ მაღლა ირხეოდა. ჩეპმენ-ბრუკსის ხიდზე როდესაც გადაიარეს და მდელიზე გავიდნენ, მთვარე ღრუბელს მოეფარა და იქაურობა წყვილიადა მოიცვა.

როდესაც უკან მიიხედეს, დაბლობს თვალი გადაავლეს და შორს გარდნერის ფერმა დალანდეს, თვალწინ საოცარი სურათი წარმოუდგათ. ფერმა მთლიანად ანათებდა უცხო, გაუგონარი ფერებით; ხეები, შენობები და ბალახიც კი, რომელსაც ალაგ-ალაგ რუხი ფერი არ მიეღო, ახლა ციმციმებდა, ბილწი ალის ენები უკვე სახლის, ფარდულის, ბოსლის სახურავებს სწვდებოდა. პეიზაჟი ფიუსლის (*იოჰან ჰაინრიხ ფიუსლი, გერმ. Johann Heinrich Füssli, ჰენრი ფიუსელი, ინგლ. Henry Fuseli, 1741-1825, დაიბადა ციურიხში, გარდაიცვალა ლონდონში. შვეიცარიელი და ინგლისელი ფერმწერი, გრაფიკოსი, ისტორიკოსი და ხელოვნების თეორეტიკოსი, კოშმარების თემაზე შექმნილი სურათების სახელგანთქმული სერიის ავტორი. – მთარგმნ. შენიშვნ.*) ხილვებს მოგაგონებდა. ფერმას შლეგი, სხივმფენი ქაოსი ანადგურებდა, –

ჯოჯოხეთურ ცეცხლში ინთქმებოდა. ჭიდან ამოსული უცხო განზომილების ცისარტყელა, ჭიდან ამოსული მრავალფერი შხამი თუხთუხებდა, იღვრებოდა, იწელებოდა, ავისმომასწავებელ ბუმბუტუკებად ფუფუნებოდა და ბუფბუფებოდა. ამ კოსმოსური მრავალფეროვნებისგან თვალი აუჭრელდათ და სუნთქვა შეეკრათ.

შემდეგ კი უცებ, ყოველგვარი სიგნალის გარეშე, ეს საზარელი ნაკადი ცაში აიჭრა, რაკეტასავით, ღრუბლებში ზვრელი გააჩინა, შიგ გაიარა და გაქრა. არაფერი დაუტოვებია, ცეცხლოვანი კული ან თუნდაც ერთი ნაპერწკალი. გაოგნებული კაცები მღუძარედ შეჭყურებდნენ, არათუ ყვირილის, ამოსუნთქვის უნარიც კი აღარ შერჩენოდათ. ეს სანახაობა არასოდეს დავიწყებიათ – მთელი ცხოვრება ახსოვდათ. ემი თვალს ვერ აცილებდა დიდი გედის თანავარსკვლავედს, ვარსკვლავ დენებს, სადაც უცხო ფერი ირმის ნახტომს შეერწყა, დადნა. მაგრამ ხის ტკაცანმა აიძულა დაბლობისთვის დაეხედათ. ეს სწორედაც გახლეჩილი ხის ტკაცანი იყო, აფეთქების ხმა კი არა, როგორც ჯგუფის წევრთა უმრავლესობა ამტკიცებდა მოგვიანებით, თუმცა მისგან, როგორც აფეთქებისგან, თვალისმომჭრელი ნაპერწკლები ამოიფრქვა. გიგანტურ კალეიდოსკოპში გასაოცარი გირლიანდები იკლანებოდა, ციმციმა რომბები და წრეები ერთმანეთში ირეოდნენ. მერე კი ეს ყველაფერი თვალისმომჭრელ ფერად ღრუბლად იქცა, რომელიც ცაში აიჭრა, სინათლის იმ პირველ სვეტს გაჰყვა. ფერი წყვილიადში გაეხვია, ღამეულ ჰაერში წამით სინესტემ დაისადგურა. ყველა გახედა, ნაბიჯის გადადგმას ვერა ბედავდნენ. უცებ ძლიერმა ქარმა დაჰბერა. შეიძლება გეფიქრა, რომ ეს ყინულივით ცივი ქარი კოსმოსის სფეროთა სუნთქვა იყო, მისი წიაღიდან ამოვარდნილი. ქარი ნათესებს დაატყდა. ღმუილით სცემდა ბალახს და ამტვრევდა ტოტებს. ემი და მისი თანამგზავრები სიცივისა და შიშისგან კანკალებდნენ, მაგრამ იმის ლოდინი აღარ დაუწყიათ, ღრუბლებიდან როდის გამოვიდოდა მთვარე და გაანათებდა იმას, რაც ნეიჰემის ფერმისგან დარჩა...

მეტისმეტად შეშინებულები იყვნენ საიმისოდ, რომ თეორიებისა და ვერსიების გამოგონება დაეწყოთ, შეიძლება არკჰემისკენ დაიძრა ჩრდილოეთის გზით. ემი სხვებზე უფრო ცუდად გრძობდა თავს და შეეხვეწა, სახლამდე მიმაცილებოდა, გზაზე ნუ დამტოვებთო. ნამდვილად არ სურდა მთავარი გზიდან გადაეხვია და მარტოს ევლო ბნელ, ცივ ტყეში. მას ხომ დამატებით არაერთი განსაცდელი ხვდა წილად, რაც ექვს ქალაქელს, მათდა საბედნიეროდ, არ შეხვედრია. ემი მაშინ ვერ აცნობიერებდა, რომ შიშმა

ხანგრძლივად, მრავალი წლით შეიპყრო და სწორედ ამის გამო, მოგვიანებით, ამაზე კრინტსაც აღარ ძრავდა. სანამ სხვები გზას გაჰყურებდნენ, ემი ისევ მიბრუნდა და ბნელ დაბლობს, მისი საბრალო მეგობრის უკანასკნელ თავშესაფარს თვალი ჰკიდა. დაინახა, რომ ამომწვარი ადგილიდან თითქოს კიდევ რაღაც აიწია ჰაერში, იქაურობა ოდნავ განათდა, მაგრამ მერე ისევ ჭაში ჩავარდა, საიდანაც ცოტა ხნის წინათ ცაში უფორმო ურჩხული აფრინდა. ეს უბრალოდ ფერი იყო – არც მიწის, არც ცის. ემი იცნო ის და მიხვდა, რომ მისი უბადრუკი ნარჩენი ჭაში ჩარჩა. ესე იგი, ეს შხამი თავს კიდევ არაერთხელ შეახსენებს. იმ დღის მერე ემის მოსვენება აღარ ჰქონია.

ემის იმ ადგილთან ახლოს ერთხელაც აღარ ჩაუვლია. საუკუნის ნახევარზე მეტი გავიდა იმ საშინელი მოვლენებიდან, მაგრამ ემი არასოდეს მისულა იქ და ძალიან გაუხარდა, როდესაც გაიგო, რომ იქაურობას მალე წყალი დაფარავს. მეც ასევე გამიხარდება, რადგან სრულიად არ მომეწონა, როდესაც მიტოვებული ჭის გვერდით ჩავიარე და შევნიშნე, რომ მისი დაფრენილი ხანის თავზე მზის ნათელმა ფერი იცვალა. იმედი მაქვს, რომ ჭაში წყლის დონე არ მომატებულა, მაგრამ თუნდაც მომატებულიყო, იმ ჭის წყალს არასოდეს დაველევ. ეჭვი მეპარება, არკჰემის მიდამოებში კიდევ ერთხელ მომიწიოს ჩასვლამ. სამი კაცი, რომლებიც ემისთან ერთად იყვნენ, მეორე დილით მივიდნენ ფერმაზე, ნანგრევები დღის შუქზე რომ ენახათ, მაგრამ ნანგრევებიც კი აღარ დახვდათ. ნახეს მხოლოდ საკვამურის აგურები, სარდაფის ქვები, რკინისა და ქვის ფრაგმენტები, აქა-იქ გაბნეული. და წყეული ჭის რკინის სალტე. ემის მკვდარი ცხენი, რაც შეეძლოთ, შორს გაათრიეს და მიწაში ჩაფლეს. ეტლი კი ემის დაუბრუნეს. რუხი მტვრით დაფარულ იმ ხუთ აკრ მიწაზე მეტი არაფერს არასოდეს გაუხარია, სიმჟავის მიერ ამომწვარ ლაქას ჰგავს, ტყეებსა და ველებს შორის რომ მიკარგულა. ცოტა ვინმე თუ ბედავს იმ ადგილას გავლას, „წყეულ ნაოხარს“ რომ ეძახიან.

სოფლად ბევრ უცნაურ გადმოცემას გაიგონებ, თუმცა ეს გადმოცემა კიდევ უფრო უცნაურიც შეიძლება ყოფილიყო, კოლევჯის ქიმიკოსებს მიტოვებული ჭის წყლის და რუხი მტვრის ანალიზი რომ ჩაეტარებინათ – მტვრისა, რომელიც ვერავითარმა ქარმა ვერ გაფანტა. ბოტანიკოსებსაც, წესით, მეტი ინტერესი უნდა გამოეჩინათ ფლორის ნარჩენების მიმართ, რაც იმ წყეული ადგილის კიდებზე შემორჩა. ისინი შეძლებდნენ დადასტურებას ან უარყოფას



ჭორისა, რომ ის ადგილი წლიდან წლამდე თითო ინჩით ფართოვდება. ლაპარაკობენ, რომ გარშემო ბუჩქები და ბალახი ყოველ გაზაფხულზე ფერს იცვლის, ზამთარში კი თოვლზე გაუგებარი ნაკვალევი ჩნდება. თუმცა იქ თოვლი გაცილებით ნაკლები მოდის, ვიდრე სხვაგან. ცხენები – რომლებიც კანტიკუნტად თუ შემორჩნენ შიდა წვის ძრავის ეპოქაში – დადუმებულ დაბლობზე ზანტად ბალახობენ, მონადირეები კი რუხი მტვრით დაფარულ ადგილას ძაღლებს არ უშვებენ.

ამბობენ, რომ იმ ადგილის გავლენა ფსიქიკაზე მეტად მძიმეა, რომ არაერთი იქაური მცხოვრები შეიშალა ნეიჰემის ოჯახის კვალდაკვალ და ეს მრავალი წელი გრძელდებოდა. იქაურებს ნებისყოფა ეცლებოდათ და იქიდან წასვლაზე უარს ამბობდნენ. როდესაც ეს საღი აზრის მქონე მათმა მეზობლებმა შენიშნეს, იქაურობა სასწრაფოდ დატოვეს. მხოლოდ შემთხვევით მოსული უცხო კაცი თუ დასახლდებოდა მიტოვებულ, ნახევრად დანგრეულ კოტეჯებში. თუმცა არცერთი მათგანი იქ საძულადმოდ არ დარჩენილა. საინტერესოა, რა იზიდავდა მათ ამ უდაბურ

მიდამოში, შესაძლოა, ადგილობრივი ლეგენდები მოქმედებდა, ან კიდევ, რაღაც... ასეა თუ ისე, ილუზიები მალე უქრებოდათ ხოლმე. დამით იქ კაცი კომმარებისგან იტანჯება, დღისით კი ცდილობს დამშვიდდეს და ღამეულ ხილვებს სძლიოს, თუმცა იმ წყევულ, უცნაურ ადგილას მისი წინააღმდეგობა სიგიჟედ აღიქმება. სხვაგვარად შეუძლებელიცაა. საკმარისია ერთხელ შეავლო თვალი წყვდიადის ამ საუფლოს, და გონებაში საზარელი ფანტაზიები იბადება. მოგზაურებს ჟრუანტელი უვლით და მხატვრებიც კი იმ ბნელ ტყეებს აკანკალებული ხელით ხატავენ. მეც გამოვიჩინე ცნობისმოყვარეობა და პირადად შევიგრძენი ეს ყველაფერი მანამ, სანამ ემი თავის ზღაპარს მომიყვებოდა. უკვე გითხარით, როგორ შევშინდი, როდესაც ჩამობნელდა და ჩემ თვალწინ უკიდევანო, საოცარი ცა გადაიჭიმა, ჩემი სული რომ დაზაფრა – ღრუბლები ვინატრე, ეს სანახაობა რომ დაეფართათ.

ნუ მკითხავთ, რას ვფიქრობ ამ ყველაფერზე. არაფერი ვიცი – ესაა და ეს. ემი ერთადერთი იყო, ვისაც კითხვას დავუსვამდი, არკჰემის ბინადარნი „საოცარი

დროების” შესახებ ლაპარაკს გაუბიან, ხოლო სამი პროფესორი, ვინც თავის დროზე მეტეორიტი და ფერადი გლობულა ნახა, უკვე გარდაიცვალა. იქ სხვა გლობულებიც იყო – უფრო ღრმად. ერთმა თავი გამოიკვება და დედამიწას გაეცალა, მეორე კი



უფრო ზანტი აღმოჩნდა. ეჭვგარეშეა, ის დღესაც ჭის ფსკერზეა – ჩემი თვალით ვნახე, როგორ იცვალა მზის შუქმა ფერი მიაზმებით სავსე ჭის თავზე. იქაურები ამბობენ, რომ „წყვეული ნაოხარი” ყოველ წელს ერთი ინჩით ფართოვდება, ეს კი ნიშნავს, რომ ის რაღაც იკვებება და იზრდება. ჯოჯოხეთური ფერი ჭაში იმალება, თავის დროს ელის, მაგრამ რაღაც ხელს უშლის, – წინააღმდეგ შემთხვევაში, ის სწრაფად გავრცელებოდა და თავის გარშემო მიწას, მრავალი ასეული მილის მანძილზე, ისეთივე რუხ უდაბურებად აქცევდა. იქნებ ის ხის ფესვებმა

შებოჭეს? არკჰემში ახალი ლეგენდა გავიგონე იმის შესახებ, რომ ბებერი მუხის ხეები ღამ-ღამობით ანათებენ და მოძრაობენ.

რა არის ეს, ღმერთმა უწყის. მატერიალისტური ტერმინებით თუ ვიმსჯელებთ, ის, რაც ემომ აღწერა, აირი უნდა იყოს, ოღონდ ეს აირი ჩვენი კოსმოსის კანონებს არ ემორჩილება. ის იმ ვარსკვლავების ნაყოფი თუ ამონასუნთქი არ გახლავს, ჩვენს ტელესკოპებში რომ ვაკვირდებით და ობსერვატორიებში ფოტოგრაფიულ ფირფიტებზე აღვბეჭდავთ. ეს არაა სუნთქვა იმ კოსმოსური სივრცისა, რომლის მოძრაობა და განზომილება ჩვენმა ასტრონომებმა გამოთვალეს – ანდა ვერც გამოთვალეს, რადგან მეტად ვრცელია. ესაა უცხო სამყაროს ფერი – სულისშემძვრელი გზავნილი უსასრულო, უფორმო საუფლოდან, რომელიც ჩვენთვის ცნობილი ფიზიკური ბუნების მიღმაა. როდესაც ამ კოსმოსურ სივრცეებსა და უფსკრულებზე ვფიქრობ, ძარღვებში სისხლი მეყინება.

ეჭვი მეპარება, რომ ემი შეგნებულად მატყუებდა და შეცდომაში შევყავდი. არა მგონია, მისი მონათხრობი – შეშლილი გონების თუ სიგიჟის ნაყოფი იყოს, რაზეც ქალაქში მაფრთხილებდნენ. მეტეორის ჩამოვარდნის შედეგად იმ მინდვრებსა და გორაკებს რაღაც საშინელება დაატყდა თავს და ეს საშინელება – ოღონდ არა იმ ზომით – კვლავაც რჩება იქ. ბედნიერი ვიქნები, თუკი ვნახავ, რომ იქაურობას წყალი დაფარავს, თანაც იმედი მაქვს, რომ ემის არაფერი მოუვა. მან ხომ ის უცხო ფერი არაერთხელ ნახა და იცის, როგორი დამღუპველი გავლენა აქვს. რატომ არ დატოვა იქაურობა? როგორ ზუსტად დაიმასხოვრა მომაკვდავი ნეიჭემის სიტყვები: „აქედან ვერ მივიღვარ... რაღაც მიჭერს... რაღაც ემზადება, უნდა გამოჩნდეს... აზრიც აღარა აქვს...” ემი ძალიან კარგი მოხუცია. როდესაც წყალსაცავის მშენებლობას დაიწყებენ, მთავარ ინჟინერს ვთხოვ, ყურადღება მი-აქციოს. არ მინდა ვიფიქრო, რომ ემი რუხ, დაკრუნჩხულ, მტვრევად მონსტრად იქცევა და ღამეულ კომპარებში გამომეცხადება.

თარგმნა ირაკლი ლომოურმა

კოვარდ
ლაპკრაფტი

ქთულჭუს
ძახილი

(ნაპოვნია განსვენებული ფრანცის ველიანდ
თურსტონის სხვა მასალებთან ერთად)



თავი I.

თიხის საშინელება

„უღიადესი ძალებისა და არსებებისაგან შესაძლოა იყვნენ გადარჩენილები... იმ უძველესი პერიოდიდან, როდესაც ცნობიერება, ალბათ, დიდი ხნის წინათ გამჭრალ ფორმებში არსებობდა, ჯერ კიდევ ადამიანთა მოდემის გამოჩენამდე... ფორმებში, რომლებიც პოეზიამ და ლეგენდებმა შემოინახეს, როგორც ყოველგვარი ღმერთების, ურჩხულებისა და მისტიური არსებების მჭრქალი მოგონებანი...“

ელჯერონ ბლეკუდი

მიმაჩნია, რომ ადამიანის გონების უუნარობა, შეიც-ნოს საკუთარი თავი, სამყაროს ყველაზე დიდი გულ-მოწყალეაა. ჩვენ უცოდინრობის წყნარ კუნძულზე ვცხოვრობთ, უსასრულობის ბნელ ზღვებში, რომელთა-აგან შორს გაცურვისთვის არ ვართ შექმნილნი. მეც-ნიერებამ, რომელიც მუდმივად იზრდება და სხვა-დასხვა მიმართულებით გვექაჩება, ჯერ კიდევ ვერ შეძლო დიდი ზიანი მოეყენებინა, მაგრამ, ერთხელაც, ცოდნის მარცვლების გაერთიანება თვალწინ ისეთ საზარელ ხედს გადაგვიშლის, ადამიანების იმდენად შემადრწუნებელ როლს დაგვანახებს, რომ ან ჭკუიდან შევიშლებით, ან ამ სასიკვდილო შუქიდან ახალი, ბნე-ლი ეპოქის სიმშვიდეს შევეფარებით.

თეოსოფები ხვდებოდნენ კოსმიური ციკლის საშინელ დიდებულებას, რომელშიც ჩვენი სამყარო და ადამი-ანთა რასა მხოლოდ დროებითი ინციდენტებია. ისი-ნი მიანიშნებდნენ უცნაურ გადარჩენებზე, რომელთა-განაც ძარღვებში სისხლი გაგვეყინებოდა, დამამშ-ვიდებელი ოპტიმიზმით რომ არ ყოფილიყო შებუ-რული. მაგრამ მე მათგან არ მიმიღია იმ აკრძალულ, უძველეს ეპოქათა გაელვების დანახვის შესაძლე-ბლობა, რომელზე ფიქრისას ტანში სიცივე მივლის და სიზმრებს ჭკუიდან გადავყავარ. ეს გაელვება, როგორც სიმართლის ყველა საშინელი გაელვებანი, სხვადასხვა ელემენტების შემთხვევითი გაერთიანებით მოხდა. ერთი მათგანი ძველი გაზეთი იყო, მეორე კი

მთარგმნელის კატეგორიული მოთხოვნით გექსტი იბეჭდება ზუსტად იმ სახით, რაც მას სურს.

– გარდაცვლილი პროფესორის ჩანაწერები. იმედი მაქვს, რომ ამ ელემენტების მეორედ გაერთიანებას ამქვეყნად ველარავინ შეძლებს. თუკი ცოცხალი გადავრჩი, შეგნებულად არავის მივუთითებ ერთ რგოლზეც კი ამ საზარელი ჯაჭვიდან. მგონია, რომ პროფესორიც აპირებდა საიღუმლოდ შეენახა ის ცოდნა, რაც მას გააჩნდა და თავის ჩანაწერებსაც გაანადგურებდა, უეცარი სიკვდილი რომ არა.

ჩემი პირველი შეხება ამ ყველაფერთან 1926-27 წლების ზამთარში მოხდა, ჩემი დიდი ბიძის, ჯორჯ გამელ ეინჯელის გარდაცვალების შემდეგ, რომელიც სემიტური ენების ემერიტუს პროფესორი იყო როდ აილენდში, ქალაქ პროვიდენსის ბრაუნის უნივერსიტეტში. პროფესორი ეინჯელი საყოველთაოდ ცნობილი ავტორიტეტი გახლდათ უძველესი წარწერების სფეროში და სახელგანთქმული მუზეუმის ხელმძღვანელებიც ხშირად მიმართავდნენ ხოლმე კონსულტაციისათვის, ასე რომ, 92 წლის ასაკში პროფესორის გარდაცვალება სამეცნიერო წრეებში შეუმჩნეველი არ დარჩენილა. გარდაცვალების ბურუსით მოცულმა გარემოებებმა ფაქტის მიმართ ინტერესი კიდევ უფრო გააძლიერა. პროფესორის სიკვდილი მაშინ ეწვია, როდესაც ნიუპორტის გემით სახლში ბრუნდებოდა. როგორც მოწმეები ყვებოდნენ, მოხუცი სასიკვდილოდ მაშინ დამავდა, როდესაც იგი ხელის კვრით წააქცია ვილაც უცნობმა ზანგმა, გარეგნულად - მეზღვაურმა. ზანგი ერთი საეჭვო, ბნელი ეზოდან გამოვიდა, რომელსაც შესასვლელი სწორედ იმ ციცაბო ფერდობზე ჰქონდა, რომელზეც პორტიდან განსვენებულის სახლამდე უმოკლესი გზა გადიოდა. ექიმებმა სიკვდილის მიზეზის დადგენა ვერ მოახერხეს. ხანგრძლივი და არეულ-დარეული კამათის შედეგად დაასკვნეს, რომ, სავარაუდოდ, მოხუცის გულმა ვერ გაუძლო ფიზიკურ დატვირთვას, რომელიც ციცაბო ფერდობზე ასვლის მცდელობამ გამოიწვია. მაშინ ვერავითარ მიზეზს ვერ ვხედავდი, ეჭვი შემეტანა ამ გადაწყვეტილებაში, მაგრამ მოგვიანებით არათუ ეჭვი გამიჩნდა, არამედ ფაქტობრივად, დავრწმუნდი კიდევ მის სიმცდარეში.

ბიძაჩემი ქვრივი კაცი იყო და შვილებიც არ ჰყავდა, ამიტომ მისი ერთადერთი მემკვიდრე მე ვიყავი. ჩემგან, როგორც მემკვიდრისა და ანდერძის აღმასრულებლისგან, ყველა მოელოდა, რომ მის დოკუმენტებს გულდასმით შევისწავლიდი და მოვაწესრიგებდი. ამისათვის, ბიძაჩემის მთელი არქივი ყუთებით გადმოვზიდე ბოსტონში, ჩემს ბინაში. იმ მასალის დიდი ნაწილი, რომელიც შევისწავლე, ცოტა ხანში ამერიკის არქეოლოგთა საზოგადოებამ გამოაქვეყნა,

მაგრამ ყუთებს შორის იყო ერთი, რომლის შიგთავსი განსაკუთრებით რთული და თავგზააძრევი ჩანდა და რომლის უცხო თვალისათვის ჩვენებას ინსტინქტურად ვარიდებდი თავს. ყუთი ჩაკეტილი იყო და მის გახსნას მანამდე ვერ ვახერხებდი, სანამ ბიძაჩემის გასაღებების აცმის გაჩხრეკა არ მომივიდა აზრად. აცმა მას მუდამ ჯიბით დაჰქონდა. ყუთის გახსნა შეეძელი, მაგრამ ამის შემდეგ ჩემს წინაშე მეორე, პირველზე უფრო რთული დაბრკოლება აღიმართა. რა შეიძლებოდა ყოფილიყო იმ უცნაური თიხის ბარელიეფის, არეული ხელნაწერებისა და საგანგებო ამონაჭრების მნიშვნელობა? ნუთუ ბიძაჩემი, თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში, გულუბრყვილოდ გახდა თაღლითობის მსხვერპლი? გადავწყვიტე იმ ექსცენტრიული სკულპტორის ვინაობა დამეგინა, რომელის ბრალიც იყო მოხუცის გონების სიმშვიდის ასეთი თავხედური შემფოთება.

ბარელიეფი გარეგნულად არაპროპორციულ მართკუთხედს წარმოადგენდა. ფიგურა სისქეში ერთ ინჩზე ნაკლები და ფართობით, დაახლოებით ხუთი ექვსზე ინჩი იქნებოდა. ის უდავოდ თანამედროვე ეპოქაში იყო დამზადებული, თუმცა შესახედაობით მოდერნული სტილისაგან ძალიან შორს იდგა. კუბიზმსა და ფუტურიზმს ძალზე ბევრი და უცნაური ახირებები აქვთ, მაგრამ ისინი, უმეტესად, ვერ ახერხებენ პრეისტორიული ხანის ნაწერებში ჩამალული იდუმალი ერთგვაროვნების გამეორებას. ბარელიეფზე ასეთი ნიშნები მრავლად ჩანდა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ბიძაჩემის ნაშრომებს უკვე საკმარისად კარგად ვიცნობდი, ვერ შეეძელი არათუ კონკრეტული წყაროს დადგენა, არამედ უმცირესი მინიშნების დაჭერაც კი, რაც ამა თუ იმ უძველეს ცივილიზაციასთან თუნდაც შორეულ კავშირზე მიმანიშნებდა.

იეროგლიფების ზემოთ ავტორის მიერ ჩაფიქრებული ფიგურა იყო გამოსახული, მაგრამ იმპრესიონისტული შესრულების სტილი მისი იდეის ნათლად აღქმას შეუძლებელს ხდიდა. ეს რაღაც მონსტრი, ან მონსტრის გამომსახველი სიმბოლო გახლდათ, რომლის მსგავსის შექმნაც მხოლოდ ავადმყოფურ ფანტაზიას შეეძლო. გაჭირვებით მოვახერხებ ფიგურის სულისკვეთების გადმოცემას, თუკი ვიტყვი, რომ ჩემი ექსტრაგავანტული წარმოსახვით, ერთდროულად დავინახე რვაფეხის, დრაკონისა და ადამიანის დამახინჯებული გამოსახულებები. ხორციანი, საცეცებიანი თავი ედგა გროტესკულ, ქერცლით დაფარულ სხეულს, რომელზეც რუდიმენტული ფრთები იყო მიმაგრებული. თუმცა, საზარელ, შემადრწუნებელ

შთაბეჭდილებას თავისთავად ფიგურა კი არა, მთლიანი ბარელიეფი იწვევდა, რომლის უკანა პლანზეც ვეება, ცოკლოპური ნაგებობები იყო გამოსახული.

ბარელიეფთან ერთად ნაპოვნი მასალები, გარდა გაზეთის ამონაჭრებისა, პროფესორი ეინჯელის მიერ მცირე ხნის წინათ შექმნილ ხელნაწერსაც მოიცავდა. მანუსკრიპს არავითარი პრეტენზია არ ჰქონდა წერის აკადემიურ სტილზე. ფურცლები, რომლებიც მთავარ დოკუმენტად მივიჩნე, დასათაურებული იყო, როგორც „ქთულჰუს კულტი“. ბიძაჩემს თითოეული ასო გულდასმით ჰქონდა გამოყვანილი, რათა ესოდენ უცნაური სიტყვის არასწორი წაკითხვა გამოერიცხა. მანუსკრიპტი ორ ნაწილად იყო დაყოფილი. პირველს ეწოდებოდა „1925 წელი - სიზმრები და სიზმრებზე დაფუძნებული შრომები ჰ.ა. უილკოქსისა, მცხოვრები თომასის ქუჩაზე №7, პროვიდენსი, როდ აილენდი“, მეორეს – „ინსპექტორ ჯონ ლეგრასის ნაამბობი, მცხოვრები ბიენვილსტრიტის 121 ნომერში, ახალი ორლეანი, ლ.ა., , გამოცემაში ა.ა.ს. 1908, პროფესორ უების შენიშვნებთან ერთად“. სხვა მასალები მოკლე ჩანაწერებისაგან შედგებოდა, რომელთა ნაწილიც სხვადასხვა ადამიანთა უცნაური სიზმრების აღწერას წარმოადგენდა, ნაწილი კი იყო ციტატები თეოსოფიური წიგნებიდან და ჟურნალებიდან (განსაკუთრებით, ვ. სკოტ ელიოტის ნაშრომიდან „ატლანტისი და დაკარგული ლემურია“). დანარჩენი ფურცლები სხვადასხვა საიდუმლო საზოგადოებებსა და კულტებზე ჩანაწერები აღმოჩნდა, ისეთი მისტიური და ანთროპოლოგიური წყაროებიდან, როგორიცაა ფრეიზერის „ოქროს რტო“ და მის მიერის „ალქაჯთა კულტები დასავლეთ ევროპაში“. საგაზეთო ამონაჭრები ძირითადად 1925 წლის გაზაფხულზე მომხდარ ფსიქიკური დაავადებების, ჯგუფური აკვიატებებისა თუ მანიების შემთხვევებს ეხებოდა.

მანუსკრიპტის პირველი ნახევარი უჩვეულო ისტორიას გადმოსცემდა. 1925 წლის 1 მარტს პროფესორ ეინჯელთან ვილაც გამხდარი, შავკვრემანი ახალგაზრდა მივიდა, რომელიც ალტკინებული, ნევროტული ქცევით გამოირჩეოდა. ახალგაზრდას თან თინის ბარელიეფი ჰქონდა, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ სველი და სრულიად ახალი იყო. ყმაწვილის სავიზიტო ბარათზე ჰენრი ენტონი უილკოქსი იყო ამოტვიფრული. ბიძაჩემი უილკოქსების ოჯახს შორიდან იცნობდა, ამიტომ მასთან მისულ ახალგაზრდაში მაშინვე ამოიცნო შესანიშნავი ოჯახის ყველაზე ახალგაზრდა წარმომადგენელი. ჰენრი უილკოქსი იმხანად სკულპტურას სწავლობდა როდ აილენდის ხელოვნების

სასწავლებელში და მარტო ცხოვრობდა მის მახლობლად, ფლერ-დე-ლისის შენობაში. უილკოქსი ახალგაზრდული ასაკის კვალობაზე კარგად იყო განვითარებული და არაერთი მას გენიოსსაც კი უწოდებდა, თუმცა თავისებური, ექსცენტრული თვისებებიც მრავლად გააჩნდა, მაგალითად, განსაკუთრებული მიდრეკილება უცნაური ისტორიებისა და სიზმრების მიმართ. იგი საკუთარი თავის „ფსიქიკურად ზემოქმობიარეს“ უწოდებდა, თუმცა ძველი, კომერციული ქლაქის დარბაისელმა საზოგადოებამ უბრალოდ „უცნაურად“ მონათლა. უილკოქსი თავისი წრის ხალხში დიდად არასდროს ტრიალებდა და ცოტა ხანში ადგილობრივი საზოგადოების თვალსაწიერიდან საერთოდ გაქრა. იმჟამად მისი სამეგობრო წრე მხოლოდ სხვა ქალაქებში მცხოვრები ესთეტებისა და ხელოვანებისაგან შედგებოდა. თვით „პროვიდენსის ხელოვნების კლუბმაც“ კი, საკუთარი კონსერვატიული რეპუტაციის შესანარჩუნებლად, ხელი ჩაიქნია ახალგაზრდაზე.

მანუსკრიპტი იუწყებოდა, რომ ვიზიტის დროს სკულპტორმა უცერემონიოდ სთხოვა მასპინძელს არქეოლოგიაში მისი მდიდარი ცოდნის გამოყენება და ბარელიეფზე ამოტვიფრული იეროგლიფების ამოკითხვაში დახმარება. უილკოქსი მეოცნებე ხმით, მაღალფარდოვნად საუბრობდა, რის გამოც მისი საუბარი ყალბად ჟღერდა და მსმენელში ყოველგვარ სიმპათიას უმალ ანშობდა. ბიძაჩემმა სტუმარს საკმაოდ ხისტი პასუხი გასცა, ვინაიდან ბარელიეფის თვალსაჩინო სიახლის გამო ჩათვალა, რომ მას არქეოლოგიასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. ახალგაზრდა უილკოქსის პასუხი, რომელმაც დიდი გავლენა იქონია შემდგომ დიალოგზე, ერთდროულად, პოეტურიც იყო და ფანტასტიკურიც, რაც, შემოიღია დავიფიცო, მისი საუბრის მანერისა და მთლიანად პიროვნებისათვის იყო დამახასიათებელი. პასუხი ბიძაჩემისათვის იმდენად შთაბეჭდავი აღმოჩნდა, რომ საჭიროდ ჩათვალა დაემახსოვრებინა და შემდეგ წერილობითაც კი აღენუსხა სკულპტორის სიტყვები.

„რა თქმა უნდა, ახალია“ - განაცხადა უილკოქსმა, „რადგან გუშინ ღამით დავამზადე საოცარ ქლაქებზე სიზმარში. ჩემი სიზმრები უფრო ძველია, ვიდრე მძიმე ფიქრებში ჩანთქმული ტვიროსი, ყოვლისმხედველი სფინქსი ანდა ბალებით გარშემორტყმული ბაბილონი“.

სწორედ მაშინ დაიწყო იმ არეულ-დარეული ისტორიის თხრობა, რომელმაც ბიძაჩემის მძინარე მოგონებები გამოაღვიძა და მისი ცხოველი ინტერესი გამოიწვია. წინა ღამეს მომხდარმა სუსტმა მიწისძვრამ, რომელიც ნიუ-ინგლენდში ყველაზე მეტად იყო

საგრძობი, დიდი გავლენა იქონია უილკოქსის წარმოსახვაზე და სიზმარში მის წინაშე აღიმართა ტიტანური ფილებით ნაგები ციკლოპური ქალაქები ცაში ასროლილი უზარმაზარი მონოლითებით. მომწვანო სინესტი გაჟღერებულ ქალაქში ავბედითად იყო ჩაბუდებული საშინელება. კედლებსა და ფილებს იეროგლიფები ფარავდა და გაურკვეველი მიწისქვეშეთიდან ისმოდა ხმა, რომელიც არ იყო ხმა. ქოტური შეგრძნება, რომელიც მხოლოდ წარმოსახვით შეიძლება აღქმულიყო ბგერებად და რომლის გადმოცემა უილკოქსმა ენით თითქმის გამოუთქმელ ასოთა ნარევით სცადა: „ქოულჰუ ფჰტაგნ“.

ეს ვერბალური არეულობა აღმოჩნდა ის გასაღები, რომელმაც პროფესორის მეხსიერება გვარიანად შეშფოთა. მან მეცნიერისათვის დამახასიათებელი დაწვრილმანებით გამოჰკითხა სკულპტორის ყველაფერი და მანიაკალური ინტერესით გამოიკვლია ბარელიეფი, რომელზე მუშაობის დროსაც უილკოქსს დამის პერანგში გამოწყობილსა და სიცივისაგან აცახცახებულს გამოეღვიძა. ბიძაჩემმა, როგორც მოგვიანებით სკულპტორმა აღნიშნა, სიბერეს დააბრალა, რომ მამინვე ვერ ამოიცნო ბარელიეფზე გამოსახული იეროგლიფები და თავად გამოსახულება. სტუმარს ბევრი შეკითხვა უადგილო ეჩვენა, განსაკუთრებით ის კითხვები, რომლებიც ეხებოდა უილკოქსის კავშირებს სხვადასხვა მისტიურ კულტებთან და საზოგადოებებთან. ახალგაზრდამ ვერაფერი გაიგო, რატომ შესთავაზა ბიძაჩემმა რამდენჯერმე, რომ დაიცავდა სრულ სიჩუმეს, თუკი სკულპტორი მას რომელიმე გავრცელებული მისტიური თუ წარმართული გაერთიანების წევრობას გაუმხელდა.

როდესაც ბიძაჩემი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ უილკოქსმა მართლაც არაფერი იცოდა კულტების თაობაზე, დაჟინებით მოსთხოვა ვიზიტორს უცნაური სიზმრების შესახებ რეგულარული ანგარიშის წარდგენა. როგორც ჩანს, მოთხოვნამ ნაყოფი გამოიღო და მანუსკრიპტის შემდეგი ნაწილი მთლიანად უილკოქსის ღამეული ხილვების შემადრწუნებელი აღწერისაგან შედგებოდა, რომლებსაც იგი ბიძაჩემს უკვე ყოველდღიური ვიზიტების დროს აცნობდა. ახალგაზრდა სკულპტორის ხილვებში ყოველთვის მეორედებოდა შავბნელი, გადარეცხილი ციკლოპური ქვების თავზარდამცემი გამოსახულებები და მიწისქვეშა ხმა, თითქოს არაცნობიერში შემოჭრილი გონება, რომელიც ადამიანისათვის აბსოლუტურად გაუგებარი იყო და აბდაუბდასავით ჟღერდა. ორი, ყველაზე ხშირად განმეორებული კომბინაცია გადმოიცემოდა ასოთა წყობით „ქოულჰუ“ და „რ'ლიეჰი“.

ხელნაწერის მიხედვით, 23 მარტს უილკოქსი ადარ გამოჩნდა. მის საცხოვრებელში გამოკითხვის შემდეგ ბიძაჩემმა გაარკვია, რომ სკულპტორი რაღაც უცნაური ციებ-ცხელებით იმდენად მძიმედ დაავადდა, რომ მისი ოჯახის სახლში გადაიყვანეს ვოტერმან-სტრიტზე. უილკოქსმა შუალამით ისეთი ყვირილი მორთო, რომ მეზობლად მცხოვრები სხვა მხატვრები ფეხზე დააყენა, მას შემდეგ კი უმეტესად უგონოდ იყო და მხოლოდ დროგამოშვებით იძირებოდა დელირიუმში. ბიძაჩემმა მამინვე დაურეკა მისი ოჯახის წევრებს და იმ მომენტიდან განუწყვეტლივ აღევნებდა თვალს ავადმყოფის მდგომარეობას. იგი ხშირად უკავშირდებოდა ოჯახის პირად ექიმს, დოქტორ თობის, რომლის ოფისიც თეიერ-სტრიტზე მდებარეობდა და მისგან იგებდა ახალ ამბებს. ახალგაზრდის ციებ-ცხელებით შეპყრობილი გონებას იმდენად უცნაური ხილვები ეხმანებოდა, რომ ექიმს მათზე საუბრისას ჟრუანტელი უვლიდა ხოლმე. წინანდელ სიზმრებში ჩამოყალიბებულ ზმანებებთან ერთად ახალ ხილვასაც ჰქონდა ადგილი – უზარმაზარ, „რამდენიმე მილის სიმაღლის“ არსებაზე, რომელიც ნელი ნაბიჯებით გადაადგილდებოდა. უილკოქსს ეს ობიექტი მთლიანად არასდროს აღუწერია, მაგრამ ავადმყოფის მიერ სხვადასხვა დროს წამოსროლილი სიტყვებიდან, რომლებსაც დოქტორი თობი სრულად გადასცემდა ხოლმე ბიძაჩემს, ცხადი გახდა, რომ იგი იმ უსახელო მონსტრს გულისხმობდა, რომლის ასახვაც სიზმარში დამზადებულ ბარელიეფზე სცადა. ექიმმა განმარტა, რომ ავადმყოფის მიერ ამ ობიექტის ხსენება, თითოეულ ჯერზე, ბოლვიდან ლეთარგიული ძილის მდგომარეობაში გადასვლის მანიშნებელი იყო. საკვირველია, რომ მისი ტემპერატურა ნორმას დიდად არ აღემატებოდა, თუმცა ყველა დანარჩენი მაჩვენებელი ამტკიცებდა, რომ უილკოქსის მდგომარეობა ციებ-ცხელება უფრო იყო, ვიდრე რაიმე ფსიქიკური დარღვევა.

2 აპრილს, დაახლოებით დღის 3 საათზე, უილკოქსის ავადმყოფობის ყოველგვარი ნიშანწყალი მოულოდნელად გაქრა. იგი საწოლში წამოჯდა და მეტად გაუკვირდა, როდესაც დაინახა, რომ მშობლების სახლში იმყოფებოდა. იმ სიზმრებიდან თუ რეალობიდან, რომლებიც 22 მარტს, ღამით დაიწყო, მას საერთოდ აღარაფერი ახსოვდა. ექიმმა განაცხადა, რომ ახალგაზრდის ჯანმრთელობას საფრთხე აღარ ემუქრებოდა, ამიტომ უილკოქსი სამ დღეში დაუბრუნდა თავის საცხოვრებელს. პროფესორი ეინჯელისთვის მას აღარავითარი დახმარების გაწევა აღარ შეეძლო - გამოძვობინებასთან ერთად უცნაური სიზმრების

ყოველგვარი კვალი წაიშალა. ბიძაჩემმა ძველებურად სცადა ხილვების აღწერა, მაგრამ უილკოქსი სრულიად ჩვეულებრივ სიზმრებს ხელავდა, ამიტომ ერთკვირიანი ფუჭი შრომის შემდეგ პროფესორმა ეინჯელმა ჩანაწერების წარმოება შეწყვიტა.

აქ მანუსკრიპტის პირველი ნაწილი დამთავრდა, მაგრამ უამრავმა მითითებამ სხვადასხვა ჩანაწერზე საკმარისი მასალა მომცა დასაფიქრებლად - ფაქტობრივად, იმდენად ბევრი, რომ ახალგაზრდა სკულპტორის მიმართ უნდობლობას შენარჩუნების საშუალება მხოლოდ იმ ფესვგადგომულმა სკეპტიციზმმა მომცა, რაც ჩემი იმდროინდელი ფილოსოფიის საფუძველს წარმოადგენდა. ჩანაწერები სხვადასხვა აღმიანების მიერ იმ პერიოდში ნანახ სიზმრებს აღწერდა, როდესაც ახალგაზრდა უილკოქსი ბიძაჩემთან თავის უცნაურ ვიზიტებზე დადიოდა. ბიძაჩემმა, როგორც ჩანს, ძალიან მოკლე დროში ჩამოაყალიბა სტატიისტიკურ მონაცემთა საკმაოდ ვრცელი ბაზა. მან მიწერა თითქმის ყველა მეგობარს, რომლებთანაც ასეთი შეკითხვები უხერხულობას არ გამოიწვევდა და მოსთხოვა მათ ცნობები სიზმრების შესახებ, მათი ნახვის ზუსტ თარიღებთან ერთად. წერილებზე გამოხმაურებები სხვადასხვაგვარი იყო, თუმცა საერთო ჯამში, ბიძაჩემმა იმდენი პასუხი მიიღო, რამდენის დამუშავებასაც ვერცერთი სხვა ადამიანი მდივნის გარეშე ვერ მოახერხებდა. მომიწერის დედანი შემონახული არ გახლდათ, თუმცა პროფესორის ჩანაწერები საკმაოდ ამომწურავ ცნობარს ქმნიდნენ. საზოგადოების საქმიანმა, საშუალო ფენამ, ე.წ. ნიუ ინგლენდის ტრადიციულმა „მიწის მარილმა“ თითქმის მთლიანად ნეგატიური პასუხი გასცა ბიძაჩემის წერილებს, თუმცა მათ შორისაც აქა-იქ მოიძებნა რამდენიმე, რომლებმაც მოუქნელად გადმოსცეს უფორმო დამეული შთაბეჭდილებები. თითოეულმა მათგანმა ასეთი სიზმრები ზუსტად 23 მარტსა და 2 აპრილს შორის პერიოდში ნახა - იმ დროს, როდესაც ახალგაზრდა უილკოქსს ცხელება სჭირდა და დელირიუმი სტანჯავდა. მეცნიერები ცოტათი მეტად მგრძობიარენი აღმოჩნდნენ, თუმცა მათი პასუხებიდანაც მხოლოდ ოთხ წერილში იყო ბუნდოვნად აღწერილი უცნაური პეიზაჟის ძლივძლივობით დაჭერილი გაელვებები. ერთადერთ წერილში იყო მოხსენიებული რაღაც არანორმალურის მიმართ თავზარდამცემი შიში.

პასუხები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამებოდნენ თემას, მხატვრებისა და პოეტებისაგან მოვიდა. დარწმუნებული ვარ, ამ ადამიანებს რომ ჰქონოდათ შესაძლებლობა, ერთმანეთისათვის შეედარები-

ნათ საკუთარი შთაბეჭდილებები, ნამდვილი პანიკა დაიწყებოდა. ასე იყო თუ ისე, ვინაიდან წერილების ორიგინალები ხელთ არ მქონდა, ნაწილობრივ ვეჭვობდი, რომ პროფესორმა მიმანიშნებელი შეკითხვები გამოიყენა მათთან კომუნიკაციის დროს და მიღებული წერილებიც იმგვარად დაამუშავა, რომ ის დაენახა, რისი დანახვაც სურდა. ამიტომ, ისევე ჯიუტად მჯეროდა, რომ სწორედ უილკოქსი, რომელიც, როგორც ჩანდელი იყო ბიძაჩემის მიერ შეგროვებულ მასალებში, თავგზას ურევდა მოხუც მეცნიერს და მასზე შთაბეჭდილების მოხდენას ცდილობდა.

ხელოვანთაგან მიღებული ეს პასუხები შემაშფოთებელ ამბებს შეიცავდა. 28 თებერვლიდან 2 აპრილამდე ხელოვანთა უმეტესობას მეტად უცნაური ხილვები ჰქონდა, რომელთა ინტენსივობაც სკულპტორის ციებ-ცხელებისა და დელირიუმის პერიოდში იმდენად იყო გაზრდილი, უწინდელ დროსთან შედარებაც კი ვერ მოხერხდებოდა. ხელოვანთა მეოთხედზე მეტმა აღწერა ისეთი სცენები და ნახევრად-ხმები, რომლებსაც უილკოქსი ხელავდა. რამდენიმე აღიარა შემადრწუნებელი შიში უზარმაზარი, უსახელო არსების წინაშე, რომელიც ხილვების ბოლოსკენ ჩნდებოდა. ერთი შემთხვევა, რომელიც ჩანაწერებში ხაზგასმით იყო აღნიშნული, გამორჩეულად სევდიანი იყო. საუბარი იყო ცნობილ არქიტექტორზე, თეოსოფიითა და ოკულტიზმით ძლიერ დანტერესებულ პიროვნებაზე. იმ დღეს, როდესაც ახალგაზრდა უილკოქსმა ცხელების გამო გონება დაკარგა, არქიტექტორი მძაფრმა სიგიჟემ შეიპყრო, და რამდენიმე თვის შემდეგ გარდაიცვალა - განუწყვეტელივ ყვიროდა და იხვეწებოდა, ჯოჯოხეთიდან გამოქცეული საზარელი არსებისაგან გადამარჩინეთო. ბიძაჩემს გამოკითხვულები ნომრების ნაცვლად სახელებით რომ მოეხსენიებინა, შევეცდებოდი ჩემით მომეძებნა ისინი და დავრწმუნებულიყავი ნაამბობის სინამდვილეში, მაგრამ ასეთი ჩანაწერებით მხოლოდ რამდენიმეს პოვნა გახდა შესაძლებელი. თითოეულმა მათგანმა სრულიად დაადასტურა ჩანაწერების სინამდვილე. ხშირად მიკვირდა, ნუთუ პროფესორის სხვა ადრესატებიც ისევე იყვნენ დაბნეულები ამ წერილებითა და გამოკითხვით, როგორც ჩემს მიერ გამოკითხული მცირე ნაწილი? ძალიან მიხარია, რომ ისინი ვერასდროს ვერავითარ ახსნა-განმარტებას ვერ მიიღებენ.

საგაზეთო ამონაჭრები იგივე პერიოდში მომხდარ პანიკის, აკვიატებების ან ექსცენტრული ქცევის შემთხვევებს ეხებოდა. პროფესორმა ეინჯელმა, როგორც ჩანს, მთელი პრეს-ბიურო დაიქირავა ინფორმაციის

შესაგროვებლად, ვინაიდან უზარმაზარი მოცულობის ინფორმაცია მთელი მსოფლიოდან იყო შეკრებილი. საგაზეთო ამონაჭრებში შედიოდა ახალი ამბები ლონდონში მომხდარი ღამეული თვითმკვლელობის შესახებ - სახლში მარტო მყოფი ადამიანი შემზარავი ყვირილის გადახტა ფანჯრიდან. იყო ერთ-ერთი სამხრეთ ამერიკული გაზეთის რედაქტორისადმი მიწერილი უთავბოლო წერილიც, რომლის ფანატიკოსი ავტორი თავის ხილვებზე დაყრდნობით შავბუნელ წინასწარმეტყველებებს აკეთებდა. გზავნილი კალიფორნიიდან იტყობინებოდა თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი თეოსოფების ჯგუფის შესახებ, რომლებიც რაღაც „დიად აღსასრულს“ ელოდნენ, თუმცა აღსასრული არ დადგა. ინდოეთიდან მიღებული ამბები აღწერდა მარტის ბოლოს ადგილობრივ მოსახლეობაში მომხდარ შფოთვისა და არეულობას. ჰაიტიში ვულუს მიმდევართა რამდენიმე ორგანო გაიმართა, აფრიკული გაზეთები კი ადგილობრივებში გავრცელებულ ავბედით ჭორებზე წერდნენ. ფილიპინებზე მყოფმა ამერიკელმა სამხედროებმა ზოგიერთ ტომში მოუსვენრობის ნიშნები შენიშნეს, ხოლო 22-23 მარტის ღამეს ისტერიკაში ჩავარდნილი ლევანტელების დიდმა ჯგუფმა ნიუ-ორკელი პოლიციელები ნამდვილ ალყაში მოაქცია. ირლანდიის დასავლეთ მხარეში მისტიური, ბარბაროსული ხმები გავრცელდა, ხოლო ფანტასტმა მხატვარმა არდუა-ბონომ პარიზის 1926 წლის გაზაფხულის სალონში მკრეხელური ტილო, „სიზმრის პეიზაჟი“ გამოფინა. რაც შეეხება სულით ავადმყოფთა სახლებს, იქ აღრიცხული ინციდენტების რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ მხოლოდ სასწაულმა არ მისცა საშუალება მედიკოსთა საზოგადოებას დაეფიქსირებინა უცნაური დამთხვევები და მისტიფიცირების შესახებ დასკვნები გამოეტანა. გაზეთებში ყველაფერი იყო ნათქვამი, ამიტომ ახლა მიჭირს იმის წარმოდგენა, როგორ მაიძულა ჩემმა უემოციო რაციონალიზმმა ამონაჭრები გვერდზე გადამედო. თუმცა მაშინ ჯერ კიდევ მჯეროდა, რომ ახალგაზრდა უილკოქსმა ბიძაჩემის მიერ შეკრებილ ცნობებზე ყველაფერი იცოდა.

**თავი 2
ინსპექტორ ლეგრასის ნაამბობი**

უფრო ძველი მასალები, რომლებმაც სკულპტორის სიზმრები და ბარელიეფი ბიძაჩემისათვის აგრერიგად მნიშვნელოვანი გახადა, მანუსკრიპტის მეორე ნაწილს შეადგენდა. როგორც ჩანს, ოდესღაც, წარსულში პროფესორ ეინჯელს უკვე ენახა უსახელო არსების ჯოჯოხეთური კონტურები, თავი ემტვრია

უცნობი იეროგლიფების გაშიფვრაზე და მის ყურსაც ახსოვდა თანხმობანთა ავბედითი ჟღერადობა, რომელთა ერთიანად გადმოცემა შესაძლებელი იყო მხოლოდ, როგორც „ქთულჰუ“. ერთმანეთთან დაკავშირებული ყველა ფაქტი იმდენად ამაღელვებელი და საზარელი იყო, რომ პროფესორის მიერ მეტი ინფორმაციის მისაღებად ახალგაზრდა უილკოქსის ღვეწაში გასაკვირი აღარაფერი რჩებოდა.

უფრო ადრინდელი გამოცდილება 1908 წელს იღებდა სათავეს, კერძოდ კი ამერიკის არქეოლოგიური საზოგადოების მიერ გამართული ყოველწლიური შეხვედრიდან, რომელიც სენტ-ლუისში შედგა. პროფესორ ეინჯელს, როგორც მისი სახელისა და დამსახურებების პატრონს შეშვენიდა, დიდი როლი ჰქონდა შეხვედრის წარმართვაში. ამის გამო იგი გახდა ერთ-ერთი პირველი მათ შორის, რომელთაც რამდენიმე უცხო ადამიანი მიუახლოვდა განზრახვით, რომ საკუთარ შეკითხვებზე კომპეტენტური პასუხი მიეღოთ.

უცხო პირთაგან მთავარი, რომელიც ცოტა ხანში საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა, არაფრით გამორჩეული გარეგნობის მქონე, შუა ხნის მამაკაცი გახლდათ. მას ნიუ-ორლეანიდან მთელი გზა გამოეკლო სპეციალური ინფორმაციისათვის, რომლის მიღება სხვა წყაროებიდან სრულად შეუძლებელი აღმოჩნდა. ამ ადამიანის სახელი იყო ჯონ რაიმონდ ლეგრასი, რომელიც პოლიციის ინსპექტორად მუშაობდა. საკუთარი ვიზიტის მიზეზი ინსპექტორს თან მოეტანა - საზიზღარი, გროტესკული ქვის სტატუეტი, რომელსაც უძველესი ასაკი ერთი შეხედვითაც კი ეტყობოდა. ინსპექტორს მისი წარმომავლობის შესახებ წარმოდგენა არ ჰქონდა. სავარაუდოდ, ლეგრასის არქეოლოგიის მიმართ ოდნავი დანიტერესებაც კი არ გააჩნდა, პირიქით, ცოდნის მიღების მისი სურვილი წმინდა პროფესიონალური მოტივებით იყო ნაკარნახები. სტატუეტი, კერპი თუ ღვთაება - რაც არ უნდა ყოფილიყო ის, რამდენიმე თვით ადრე, ნიუ-ორლეანის სამხრეთში მდებარე ტყის ჭაობში იქნა აღმოჩენილი, ვულუს მიმდევართა შეკრებაზე თავდასხმისას. თუმცა შეხვედრაზე გამართული რიტუალები იმდენად განმაცვიფრებელი და ამაზრზენი იყო, რომ პოლიციამ სრულიად ახალი, აქამდე უცნობი კულტი არსებობა ირწმუნა, კულტისა, რომელმაც თავისი ჯოჯოხეთურობით აფრიკული ვულუს ყველაზე შავბუნელი ჯგუფებიც კი უკან ჩამოიბოვა. არავითარი სხვა ინფორმაცია, გარდა იმ დაუჯერებელი ბოდვისა, რომელიც ჯგუფის შეპყრობილ წევრებს გამოწურეს, კულტის წარმოშობის შესახებ არ არსებობდა. შესაბამისად, პოლიცია და-

ჟინებით ეძებდა ნებისმიერ, თუნდაც არქეოლოგიურ ცოდნას, რომელიც მათ შემაშინებელ სიმბოლოთა აღქმასა და საბოლოოდ, კულტის სათავეებთან მისვლაში დაეხმარებოდა.

ინსპექტორი ლეგრასი სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა იმ სენსაციისათვის, რომელიც მისმა კითხვამ გამოიწვია. სტატუეტზე თვალის ერთი შეველება საკმარისი აღმოჩნდა იქ შეკრებილ სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლებში დაძაბული აღფრთოვანების გამოსაწვევად. ისინი ყოველგვარი დაფიქრების გარეშე შევგუფდნენ ინსპექტორის გარშემო, რათა თვალი შეეველოთ მინიატურული ფიგურისათვის, რომლის ყოვლისმომცველი უცნაურობა და უფსკერო სიძველის აურა ჯერაც ხელშეუხებელ, არქაულ პერსპექტივას შლიდა მათ თვალწინ. ქმნილება სკულპტურის სახელგანთქმულ სკოლათაგან არცერთს არ მიეკუთვნებოდა. ქვის მომწვანო, მიძქრალ ზედაპირზე თითქოს საუკუნეები და ათასწლეულებიც კი იყო ჩაბეჭდილი.

დაახლოებით შეიდიდან რვა ინჩამდე სიმაღლის ფიგურა ხელიდან ხელში გადადიოდა, საზოგადოების თითოეულ წევრს ახლოდანი, დაკვირვებით რომ მოეხერხებინა მისი შეესწავლა. სკულპტურა გასაოცარი დახვეწილობით გამოირჩეოდა. მოყვანილობით ბუნდოვნად ჰგავდა ადამიანს, თუმცა სხეულს რვაფეხას მსგავსი თავი ჰქონდა, რომლის სახეც მთლიანად საცეცებისაგან შედგებოდა. სხეული თითქოს რეზინისაგან იყო გამოძერწილი და მთლიანად ქერცლი ფარავდა. წინა და უკანა კიდურებზე უზარმაზარი კლანჭები ამოზრდილიყო, ხოლო ზურგზე გრძელი, ვიწრო ფრთები გაიჩრეოდა. არაბუნებრივი, საზარელი ავმოსურნეობით აღვსილი არსება მთელი თავისი ბრგე სხეულით ბოროტად იყო ჩაცუცქული გაურკვეველი სიმბოლოებით დაფარულ მართკუთხა პედესტალზე. ფრთების მანვილი ბოლოები პედესტალის უკანა კიდეს ეხებოდა. თავად ფიგურა მართკუთხედის ცენტრში იყო ჩამჯდარი, მიწაზე დაყრდნობილი უკანა ფეხების გრძელი, მრუდე კლანჭები იმდგვარად იყო კიდეს ჩაბლაუჭებული, რომ პედესტალის სიმაღლის მეოთხედს მაინც ფარავდა. ცეფალოპოდური თავი წინ გადმოეხარა, ამიტომ არსებას სახიდან გამოზრდილი საცეცები მოხრილ მუხლებზე დაწყობილ უზარმაზარ თათებზე დასთრევდა. ფიგურა იმდენად ჰგავდა ცოცხალს, რომ ვინაიდან, ყველაფერთან ერთად, მისი წარმოშობის წყარო სრულიად გაურკვეველი იყო, საკმაოდ დახვეწილად ახერხებდა მნახველის შეძრწუნებას. ქანდაკება, მართალია უსაზღვროდ ძველი იყო, მაგრამ არავითარ კავშირს არ

ამჟღავნებდა კაცობრიობის ახალგაზრდობის დროინდელ ხელოვნებასთან. ადამიანური ცივილიზაციისაგან განზე მდგარი ქანდაკების მასალაც კი საიდუმლოს წარმოადგენდა. ფერადი ლაქებითა და ზოლებით შემკული, სლიპინა, მუქი მწვანე ფერის ქვის კვლევისას მარცხი განიცადეს როგორც გეოლოგებმა, ისე მინერალოგებმა. არანაკლებ რთული აღმოჩნდა პედესტალზე არსებული სიმბოლოების ამოკითხვა. მიუხედავად იმისა, რომ ადგილზე იმყოფებოდა მსოფლიოს იმ გავლენიან მკვლევართა აბსოლუტური უმრავლესობა, რომელთაც კი ამ სფეროში რაიმე გაგებოდათ, სიმბოლოების თუნდაც შორეული ლინგვისტური კავშირის აღმოჩენა კაცობრიობის მიერ ოდესმე გამოყენებულ დამწერლობებთან ვერავინ მოახერხა. ქანდაკების შინაარსისა და მასალის მსგავსად, სიმბოლოები კაცობრიობისთვის რაღაც უცხოა და შემზარავად შორეულს მიეკუთვნებოდნენ. ეს იყო შემადრწუნებელი მინიშნება სიცოცხლის ძველისძველ, საშინელ ციკლებზე, რომელთან ჩვენს სამყაროს საერთო არაფერი აქვს და არც მისი გააზრება ძალუძს.

და მაინც, მას შემდეგ, რაც საზოგადოების წევრებმა ცალ-ცალკე გააქნიეს თავი საკუთარი დამარცხების აღსანიშნავად, ჯგუფში მაინც აღმოჩნდა ერთი ადამიანი, რომელმაც ნაცნობი შტრისები შენიშნა მონსტრისმაგვარ ფიგურასა და სიმბოლოებში. ცოტა ხანში ამ ადამიანმა მორიდებით გადმოსცა მისთვის ცნობილი ამბის უცნაური დეტალები. ეს ადამიანი იყო აწ განსვენებული უილიამ ჩენინგ უები, პრინსტონის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის პროფესორი, რომელიც საუცხოო მკვლევარის რეპუტაციით სარგებლობდა. ორმოცდარვა წლის წინათ პროფესორი უები მონაწილეობას იღებდა ექსპედიციაში, რომლის მიზანიც ისლანდიასა და გრენლანდიაში რუნების კვლევა გახლდათ. რუნების საიდუმლო პროფესორისათვის გამოცანად დარჩა. კვლევის დროს, დასავლეთ გრენლანდიის სანაპიროს უკიდურეს ჩრდილოეთში ისინი გადააწყდნენ მარტო მცხოვრებ, გადაშენების პირას მისულ ესკიმოსების ტომსა თუ კულტს. მათმა რელიგიამ, უფრო სწორედ, ეშმაკის თაყვანისცემის თავისებურმა ფორმამ ექსპედიციის მონაწილეებს თავზარი დასცა საზარელი რიტუალებითა და სისხლის წყურვილით. თავად რწმენის ობიექტზე ესკომოსებმა ცოტა თუ იცოდნენ და ძრწოლვით მხოლოდ ის აღნიშნეს, რომ იგი თავად მარადისობაზე უფრო ადრე იღებდა სათავეს, ჯერ კიდევ სამყაროს შექმნამდე. გარდა აგებდითი რიტუალებისა და ადამიანების მსხვერპლშეწირვისა, მათ წინაპრებისაგან ისწავლეს ცერემონია, რომელიც

უზენაეს, უზუცეს ემშაკს, “ტორნასუკს“ ეძღვნებოდა. სახელის ზუსტად გადმოსაცემად პროფესორმა უებმა ლათინური ასოებით ფაქიზი ფონეტიკური ასახვა მისცა უზუცესი ქურუმისა თუ ანგეკოკის მიერ წარმოთქმულ სიტყვას. მაგრამ ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი თავად კერპი იყო, რომელიც კულტის თაყვანისცემის მთავარი ობიექტი გახლდათ და რომლის გარშემოც მთელი ტომი როკავდა მაშინ, როდესაც ჩრდილოეთის ციალი ყინულოვან კლდეებს ანათებდა ხოლმე. პროფესორი ამტკიცებდა, რომ კერპი უხეშად გამოჩორკნილი ქვის ბარელიეფი იყო, რომელზეც საზარელი სურათი და იდუმალი წარწერა გახლდათ გაკეთებული. პროფესორი მიიჩნევდა, რომ ბარელიეფსა და მათ წინაშე არსებული საზარელი ფიგურის მახასიათებლებს შორის უხეში მსგავსება შეინიშნებოდა.

ამ ცნობამ, რომელიც დამსწრე საზოგადოებას განცვიფრებით და შეშფოთებით მიიღო, ინსპექტორი ლეგრასი ორმაგად ააღელვა და მან პროფესორს უმაღლეს დააყარა შეკითხვები. ვინაიდან ინსპექტორს მონიშნული და ჩაწერილი ჰქონდა შელოცვა, რომელსაც პოლიციის მიერ დაპატიმრებული კულტის მიმდევრები წარმოთქვამდნენ, მან სთხოვა პროფესორს რაც შეიძლება ზუსტად გადმოეცა გრენლანდიაში, ემშაკეული ესკიმოსების გარემოცვაში მოსმენილი ბგერები. მას შემდეგ, რაც სრულიად ამოწურეს დეტალების შეფასება, დარბაზში შიშნარევი დუმილი ჩამოწვა, ვინაიდან დეტექტივი და მეცნიერი საერთო დასკვნამდე მივიდნენ - მათი წარმოთქმის ადგილებს შორის არსებული მრავალათასკილომეტრიანი დისტანციის მიუხედავად, ორი ჯოჯოხეთური რიტუალის ფრაზა, ფაქტობრივად, იდენტური იყო. ის, რასაც ესკიმოსი ქურუმებიცა და ლუიზიანელი ჭაობის კულტისტებიც ერთნაირად შეულოცავდნენ საკუთარ სისხლით მონათესავე კერპებს, ფრაზის სიტყვებად დაყოფის შემდეგ ასე ჟღერდა:

„პპ'ნგლუი მგლვ'ნაფჰ ქთულჰუ რ'ლიეჰ ვგაპ'ნაგლ ფჰტან.“

ლეგრასის მცირე უპირატესობა ჰქონდა პროფესორ უებთან შედარებით, ვინაიდან მისი მეტისი ტუსალებიდან რამდენიმემ ინსპექტორს გაუმეორა ფრაზის მნიშვნელობა, რომელიც მათ რიტუალის უზუცესი წევრებისაგან სმენოდათ. ტექსტი დაახლოებით ასე ჟღერდა:

„საკუთარ სახლში, ქალაქ რ'ლიეჰში, მკვდარი ქთულჰუ იცდის ზმანებით“.

საერთო და დაუყოვნებელი მოთხოვნის პასუხად, ინსპექტორმა ლეგრასიმ რაც შეიძლებოდა დეტა-

ლურად დაიწყო ჭაობში კულტის წევრებთან თავისი შეხვედრის აღწერა. ამბავმა მეტად დააინტერესა ბიძაჩემი და მონათხრობს დიდი მნიშვნელობაც მიანიჭა. ისტორია მითების შემთხვევლის ანდა თეოსოფის ყველაზე ბარბაროსულ სიზმრებს ჰგავდა, მით უმეტეს, რომ იგი წარმოაჩენდა გასაოცარ კოსმიურ ხედვას იმდენად დაბალი კასტის ფარიებს შორის, რომელთაგან ასეთი ცოდნის ფლობა ყველაზე ნაკლებად იყო მოსალოდნელი.

1907 წლის პირველ ნოემბერს ნიუ-ორლეანის პოლიციაში სამხრეთით არსებული ჭაობებიდან უთავბოლო შეტყობინება შევიდა. იმ ადგილებში ჩასახლებული სკუატერები, ლაფიტის ეკიპაჟის კეთილშობილი შთამომავლები, რომლებიც ძირითადად პრიმიტიულ ცხოვრებას ეწეოდნენ, შიმის მარწუხებში მოექცია იმ ყოვლისმომცველ საშინელებას, რომელიც ღამით უჩუმრად დაატყდათ თავს. თვალნათლივ ჩანდა, რომ საქმეში ვულუ იყო გარეული, მაგრამ მისი ამდენად საზარელი გამოვლინება სკუატერებს ჯერ თვალთ არ ენახათ. შორეულ, მრუდე ტყეში, რომელიც მისტიური იდუმალებით იყო განთქმული და სადაც წასვლას ვერავინ ბედავდა, ტამტამზე აგებდით, შეუწყვეტელი დარტყმები დაიწყო. მოსახლეობის ნაწილი, უფრო ზუსტად კი ქალები და ბავშვები ცოტა ხანში უკვალოდ გაუჩინარდნენ. მას შემდეგ ტყიდან ისმოდა ავადმყოფური სიცილი, შემადრწუნებელი კივილი და გულის გამყინავ რიტუალურ სიმღერათა ხმიანობა, რომლებსაც ჯოჯოხეთურ ცეცხლთა როკვა ემატებოდა. შეშინებულმა მაცნემ დაამატა, ხალხს მეტის ატანა აღარ შეუძლიაო.

პოლიციელთა ოცკაციანი რაზმი, რომელმაც ორი ეტლი და ავტომობილი შეავსო, ნაშუადღევს გაემგზავრა და თან გამყოლად შიშისაგან აცანცახებული ადგილობრივი მცხოვრები გაიყოლა. როდესაც გზაზე გავლა შეუძლებელი გახდა, რაზმმა სვლა ფეხით განაგრძო და რამდენიმე მილის მანძილზე მიდგაფუნებდა კვიპაროზის შემზარავი ტყის სრულ მდუმარებაში, სადაც დღის შუქი ვერასდროს აღწევდა. პოლიციელებს გარს ერტყმოდა სამაგელი ფესვები და ლუიზიანური ხავსის ავად ჩამოკიდებული მარყუჟები. თითოეული მახინჯი ხე თუ სოკოსებური კუნძული თითქოს დამთრგუნავი აურის შესაქმნელად ერთიანდებოდა. სიმძიმის შეგრძნებას, უცნაური განლაგების გამო, კიდევ უფრო აძლიერებდა ჩამოშლილი კედლის მსგავსად დაყრილი ნესტიანი ქვის გროვები. ცოტა ხანში პოლიციელთა წინაშე საცოდავი ქოხმანების წყება წამოიძარტა, რაც, საბ-

ოლოდ, საბრალო სკუატერთა საცხოვრებლები აღმოჩნდა. შიშისაგან ისტერიკამდე მისული ადგილობრივები პოლიციელების წერტილიდან წერტილზე მოხტუნავე ფანრის სინათლეებს გამოყვნიენ და რაზმის გარშემო შეჯგუფდნენ. ძალიან, ძალიან შორიდან ძლივს ისმოდა ტამტამის დაგუდული ხმა. ქარის ქროლვას ხანდახან გამკივანი ყვირილი მოჰქონდა. ღამის უსასრულო წყვილადში, მეჩხერ ბუჩქნარში შორეული, მოწითალო ელვარება აღწევდა. ბრბოში თავმოყრილმა თითოეულმა სკუატერმა, რომლებსაც არ სურდათ კვლავ მარტო დარჩენილიყვნენ, კატეგორიული უარი განაცხადა თუნდაც ერთი იწით მიახლოებოდა სარიტუალო ადგილებს. ამიტომ ინსპექტორმა ლეგრასიმ და მისმა ცხრაშეტმა კოლეგამ მეჯურის გარეშე ჩაყვინთეს საშინელების შავნელ სიღრმეებში, სადაც არცერთ მათგანს მანამდე ფეხი არ დაედგა.

ტერიტორია, რომელშიც რაზმი გზას მიიკვლევდა, უხსოვარი დროიდან ავბედითი რეპუტაციით სარგებლობდა. აქ თეთრკანიანებს არასდროს გაეგლოთ და შესაბამისად, ადგილი გამოკვლეული არ ჰქონდათ. არსებობდა ლეგენდები საიდუმლო ტბაზე, რომელიც მოკვდავთა თვალს არასდროს ეხილა. ამბობდნენ, რომ ტბის ფსკერზე უზარმაზარი, პოლიპის მსგავსი უფორმო არსება ბინადრობდა მანათობელი თვალებით. სკუატერები ჩურჩულებდნენ, რომ ღამდამობით მღვიმეებიდან ღამურისფრთიანი ეშმაკები ამოფრინდებოდნენ ხოლმე, რათა მიწის სიღრმიდან ამოსულებს, ტბის არსებისათვის ეცათ თავყვანი. ხმები დადიოდა, რომ იგი ტბაში ჯერ კიდევ პიერ დ'იბერვილამდე, ლა სალამდე, ინდიელებამდე და იმ პერიოდამდეც კი ცხოვრობდა, სანამ ტყეში მხეცები და ფრინველები გაჩნდებოდნენ. არსება განსხეულებული კოშმარი იყო, მისი დანახვაც კი სიკვდილს ნიშნავდა. ამის მიუხედავად, იგი ადამიანებში სიზმრებს იწვევდა და მათაც კარგად იცოდნენ, რომ ტბის ტერიტორიას უნდა გარიდებოდნენ. ვუდუს ორგია, რა თქმა უნდა, აკრძალული ტერიტორიის ზღვარზე მიმდინარეობდა, მაგრამ თავად ადგილი უკვე საკმარისად ავბედითი გახლდათ. სკუატერებს, სავარაუდოდ, შემადრწუნებელ ხმებსა და მოვლენებზე მეტად სწორედ აკრძალული ტერიტორია სცემდათ თავზარს.

მხოლოდ პოეტი ან გიჟი თუ მოახერხებდა აღწერა ლეგრასის პოლიციელთა მიერ ჭანჭრობაში გზის გაკვლევისას მოსმენილი ხმები, როდესაც რაზმი წითელი ელვარებისა და ტამტამების დაგუდული ხმებისაკენ მიიწევდა. ხმაური არ ჰგავდა არც ადამიანურ და არც მხეცის ხმებს, არამედ მათ ნახავს

წარმოადგენდა, თითქოს მხეცები ადამიანის ენაზე საუბრობდნენ, ანდა ადამიანები ღრიალებდნენ ცხოველებით. ცხოველური მრისხანება და ორგის გნასი დემონურ ღრიანცელად ითქვიფებოდა, ალტყინებული ყბილი და ღრიალი ღამეული ტყის მყუდროებას გლევდა და ხეებს შორის ჯოჯოხეთის წიაღიდან ამოშვებული შხამიანი ქარიშხალივით სხლტებოდა. ხანდახან უთავბოლო ღმუილი წყვებოდა და ჩახლქილი ხმების ქორო იწყებდა რიტუალურ სიმღერას ფრაზისა: „პპნგლუი მგლენაფჰ ქთულჰუ რ'ლიეჰ ვგაჰნაგლ ფჰტაგნ.“

რაზმმა მიაღწია ადგილს, სადაც ხეები შედარებით შეთხელდა და მათ თვალწინ საზარელი სანახაობა გადაიშალა. პოლიციელთაგან ოთხი თავბრუდახვეული შებარბაცდა, ერთმა გონება დაკარგა, ორმა კი გააფთრებული ყვირილი მორთო, რასაც, საბედნიეროდ, დამაყრუებელი კაკაფონიის გამო კულტისტების ყურამდე არ მიულწევია. ლეგრასიმ გულწასულ პოლიციელებს სახეზე ჭაობის წყალი დაასხა. რაზმის შიშისაგან აცახცახებული წევრები შემადრწუნებელმა სანახაობამ ადგილზე მიაყინა.

ჭაობის ცენტრში, ბუნებრივ მდგლოზე დაახლოებით ერთი აკრის ფართობის ბალახით დაფარული კუნძული ამოზრდილიყო. ტერიტორიაზე ხეები არ იდგა და შედარებით მშრალადაც გამოიყურებოდა. კუნძულზე იმდენად მახინჯი ადამიანების ბრბო ხტოდა და იკლაკნებოდა, რომ მხოლოდ სიღნი საიმსი ან ენტონი ანგაროლა თუ შეძლებდნენ ტილოზე მათ ასახვას. სრულიად შიშვლები, ეს ამღვრეული მოდგმა ყროყინებდა, ყმუოდა, ბლაოდა და უზარმაზარი რკალისებური ფორმის ცეცხლის გარშემო როკავდა. აბრიალებულ ცეცხლის ფარდაში პერიოდულად წარმოქმნილი ნაპრალებიდან მოჩანდა კოცონის შუაგულში მდგარი გიგანტური გრანიტის მონოლითი, რომელიც სიმაღლეში რვა ფუტს აღწევდა და რომლის წვერზეც თავისი მომცრო ზომის გამო იქაურობისათვის შეუფერებელი, ავბედითი სკულპტურა იდგა. ათიოდე ეშაფოტზე, რომლებიც ცეცხლოვანი მონოლიდან თანაბარი მანძილით დაემორეზინათ, წინა დღეს გამქრალი, უბედური სკუატერების ერთ აულწერლად დასახიჩბული სხეულები მოჩანდა. სწორედ ეშაფოტების წრეში ხტოდნენ და ღრიალებდნენ კერპის თავყვანისმცემლები, რომელთა ბრბო მარცხნიდან მარჯვნივსაკენ, წრეზე მოძრაობდა ცეცხლოვან ბეჭედსა და სხეულთა წრეს შორის უსასრულო ვაკანალიაში.

ალბათ, მხოლოდ წარმოსახვამ ან ექილებმა თუ დაარწმუნეს ერთ-ერთი, წარმოშობით ესპანელი პოლ-

იცელო, რომ უძველესი ლეგენდებისა და საშინელებათა ტყის უჩინარი ადგილიდან ვიღაც თუ რაღაც რიტუალური სიმღერით ეპასუხებოდა თავყანისმცემელთა ღრიალს. მოგვიანებით თავად შევხვდი ამ ადამიანს, ჯოზეფ დ. გალვეზს და რამდენიმე შეკითხვაც დავუსვი. მას შემაშფოთებლად დაუოკებელი ფანტაზია აღმოაჩნდა. გალვეზი იმდენად შორს წავიდა, რომ უზარმაზარი ფრთების ძლივს გასავიწყლავს, შორეული ხეების უკან გამკრთალი თეთრი, მთასავით დიდი ფიგურისა და მოკაშკაშე თვალების შესახებაც კი გადამიკრა სიტყვა. მე კი მგონია, რომ საწყალი ადგილობრივ ცრურწმენებს მეტისმეტად დიდხანს უსმენდა.

სინამდვილეში, პოლიციელთა თავზარდაცემული რაზმი სულ ცოტა ხანი იყო შიშისაგან ადგილზე მიჯაჭვული. პოლიციელებს მოვალეობამ შეახსენა თავი და მიუხედავად ბრბოში მყოფი ასამდე შერეულ-სისხლიანი კულტიისტისა, ცეცხლსასროლი იარაღის იმედად, რაზმი გაბედულად დაეშვა უწმინდური თავყრილობისაკენ. ქაოსი, რომელიც დაახლოებით ხუთი წუთი გაგრძელდა, აღწერას არ ექვემდებარება. ისმოდა საშინელი დარტყმების ხმა, რეკოლვერების გრგვინვა და გაქცეულთა გნიასი. საბოლოოდ ლეგრასიმ მანც მოახერხა ნადავლად მიეთვალა ორმოცდაშვიდი დაღვრემილი პატიმარი, რომლებსაც სასწრაფოდ ტანსაცმლის ჩაცმა და პოლიციელების ორ მწკრივს შორის ჩადგომა უბრძანა. ადგილზე ხუთი კულტიისტის უსიცოცხლო სხეულები დარჩა, ორი მძიმედ დაჭრილი ადამიანი კი ტუსაღებმა იმპროვიზებული საკაცებით წამოიყვანეს. მონოლითზე მდგარი ფიგურა ლეგრასიმ ფრთხილად მოხსნა და თან წამოიღო.

დამღლევი მგზავრობის შემდეგ, პოლიციის ოფისში გამართულმა დათვალეურებამ აჩვენა, რომ პატიმრები შერეულსისხლიანი, მდაბიო წარმოშობის ადამიანები იყვნენ, რომლებსაც მენტალური გადახრები აღენიშნებოდათ. უმეტესობა მათგანი მეზღვაური იყო, მცირე ნაწილი კი შაკკანიანები და მულატები აღმოჩნდნენ, ძირითადად, ვესტ-ინდოეთიდან ანდა კაპოვერდეს კუნძულებში შემავალი პორტუგალიური ბრავადან. სწორედ მათ მიანიჭეს ამ მრავალფეროვან კულტს ვუდუს ელფერი. თუმცა ცოტა ხანში, სერიოზული დაკითხვის გარეშეც ცხადი გახდა, რომ პოლიციას რაღაც უფრო ძველსა და ღრმა მნიშვნელობის მოვლენასთან ჰქონდა საქმე, ვიდრე შაკკანიანთა კერპთაყვანისმცემლობაა. დეგრადირებულობისა და უვიცობის მიუხედავად, პატიმრები განმაცვიფრებელ თანმიმდევრულობას იჩენდნენ საშინელი

რწმენის მთავარი იდეის მიმართ.

ისინი, როგორც თავად ყვებოდნენ, პატივს მიაგებდნენ უძველეს დიადო, რომლებიც ადამიანებამდე საუკუნეებით ადრე ციდან მოველინენ ახალგაზრდა მსოფლიოს. უძველესი დიადნი ახლა დედამიწაზე აღარ სახლობდნენ და მათი სხეულები მიწის წიაღში ან ზღვათა სიღრმეებში იყო გაფანტული, მაგრამ სწორედ ეს მკვდარი სხეულები მოუთხრობდნენ პირველ ადამიანებს საკუთარ საიდუმლოებებს სიზმრების მეშვეობით. ადამიანებმა კი კულტი შექმნეს, კულტი, რომელიც არასდროს მოკვდარა. პატიმრები ამბობდნენ, რომ ის ყოველთვის არსებობდა და ყოველთვის იარსებებს სამყაროს შორეულსა და წყვედიადით მოცულ კუთხეებში მანამ, სანამ დიადი ქურუმი ქთულჰუ არ აღდგება ძლევაძმოსილ ქალაქ რ'ლიეჰში აგებული შავბნელი სახლიდან და დედამიწაზე მეუფებას არ დაიბრუნებს. ერთ დღესაც, როდესაც ვარსკლავები კვლავ მზად იქნებიან, ქვეყნიერებას შეაზანზარებს ქთულჰუს ძახილი და საიდუმლო კულტი მარად დაელოდება ამ დროს, რათა თავისი ღმერთი გაანთავისუფლოს.

ქთულჰუს ძახილამდე, როგორც პატიმრები თვლიდნენ, მეტი არაფრის თქმა არ შეიძლებოდა. არსებობდა საიდუმლოებები, რომელთა ამოგლეჯა წამებითაც კი არ იყო შესაძლებელი. კაცობრიობა არასდროს ყოფილა ცნობიერების მქონე ერთადერთი რასა დედამიწაზე, რამეთუ მოწმუნეთა მცირე ნაწილს უკვე ეწვივნენ სხვა ფორმები წყვედიადიდან, თუმცა სტუმრები ძველი დიადნი არ ყოფილან. არა კაცს ოდესმე უხილავს ძველი დიადი ღმერთი. ქვისგან ნაკვეთი სკულპტურა ძლევაძმოსილ ქთულჰუს გამოსახავდა, თუმცა დარწმუნებით ვერავინ იტყოდა, ჰქონდათ თუ არა სხვა ღმერთებს ქთულჰუს მსგავსი გარეგნობა. არავის შეეძლო წაეკითხა უძველესი იეროგლიფები, თუმცა მისი შინაარსი ზეპირსიტყვიერად ვრცელდებოდა. სარიტუალო ფრაზა საიდუმლო არ იყო, მაგრამ იგი ხმამაღლა არასდროს უთქვამთ - მხოლოდ ჩურჩულით. ფრაზის მნიშვნელობა ასეთი იყო: „საკუთარ სახლში, ქალაქ რ'ლიეჰში, მკვდარი ქთულჰუ იცდის ზმანებით“.

მხოლოდ ორი პატიმარი იყო მენტალურად საკმარისად ჯანმრთელი, რომ სიკვდილით დაესაჯათ, დანარჩენები სხვადასხვა სამკურნალო დაწესებულებებში გადაანაწილეს. ყველა მათგანი უარყოფდა მონაწილეობას რიტუალურ მკვლევლობებში და ამტკიცებდა, რომ მკვლევლობები შავფრთოსანმა არსებებმა ჩაიდინეს, რომლებიც მათთან ძველისძველ შეხვედრის ადგილას მოვიდნენ დაწყვეტილი ტყის სიღ-

რმეში, თუმცა პოლიციამ ამ იღუმალ მოკავშირეთა დალაგებული აღწერა ვერ მიიღო. ერთადერთი, რაც მათ დანამდვილებით მოისმინეს, უხუცესი მეტისის, კასტროს მონათხრობი იყო, რომელიც ამტკიცებდა, რომ შეუცურავს საიდუმლო ნავსადგურებში და ჩინეთის მთებში თავად კულტის უკვდავ ლიდერებთან უსაუბრია.

მოხუც კასტროს ახსოვდა შემზარავი ლეგენდის ფრაგმენტები, რომლებიც დიდად აფერმკრთალებდნენ თეოსოფების წარმოდგენებს და ყვებოდნენ, რომ წარმავალი ადამიანები მხოლოდ მცირე ხნის წინათ გაჩნდნენ ამ პლანეტაზე. მანამდე კი არსებობდა ეპოქები, როდესაც დედამიწას სხვანი მართავდნენ თავიანთი უზარმაზარი ქალაქებიდან. როგორც უკვდავმა ჩინელებმა უამბეს, მათი პოვნა ჯერაც შეიძლებოდა წყნარი ოკეანის კუნძულებზე, ტიტანური ზომის ქვების სახით. თითოეული მათგანი მოკვდა დროის თვალუწვევნილი პერიოდის წინ, ჯერ კიდევ ადამიანთა გამოჩენამდე, თუმცა არსებობდა რიტუალები, რომლებსაც შეეძლოთ სიცოცხლე დაებრუნებინათ მათი სხეულებისათვის, როდესაც ვარსკვლავები კვლავ სათანადო ადგილს დაიკავებენ მარადისობის წრებრუნვაში. თავად ღმერთები ვარსკვლავებიდან დაეშვნენ და საკუთარი გამოსახულებები თან მოიტანეს.

უძველესი დიადნი, აგრძელებდა კასტრო, სისხლისა და ხორცისგან არ იყვნენ შექმნილნი. მათ სხეული გააჩნდათ - განა ვარსკვლავებიდან მოტანილი სკულპტურა ამას არ ამტკიცებდა? - მაგრამ მატერიისაგან არ შედგებოდნენ. როდესაც ვარკვლავები სწორად დადგებოდნენ, ძველი დიადი ღმერთები შეძლებდნენ ამ სამყაროდან სხვა სამყაროში ჩაძირულიყვნენ, თუმცა სანამ ვარსკვლავები არასწორად იყვნენ განლაგებულნი, სიცოცხლე არ ძალუძდათ. მიუხედავად იმისა, რომ ცოცხლები აღარ იყვნენ, ნამდვილი სიკვდილი ღმერთებს ვერასოდეს დაეპატრონებოდა. ისინი ძლევაძმოსილი ქალაქ რ'ჰლიეპის ქვის აკლდამებში იცდიდნენ, ყოვლისშემძლე ქთულჰუს წყევლებით დაცულნი დიადი აღდგომის მომენტამდე, როდესაც ვარსკვლავები და დედამიწა კიდევ ერთხელ იქნებოდნენ მზად მათ დასახვედრად. თუმცა ამ დროს, რაღაც გარე ძალა უნდა მოემსახუროს მათ და სხეულები გაანთავისუფლოს. დამცავი წყევლები ღმერთებს პირველი მოძრაობის გაკეთების საშუალებას არ აძლევდა და მათაც შეეძლოთ მხოლოდ წყვიდაღში წოლილიყვნენ და მანამდე ეფიქრათ, სანამ მილიონობით წელი გვერდით ჩაივლიდა. მათ ყველაფერი იცოდნენ, რაც სამყაროში ხდებოდა, რადგან

შორ მანძილზე შეეძლოთ ფიქრთა გადაცემა. ახლაც კი, ისინი საკუთარ სამარხებში ლაპარაკობენ. როდესაც უსაზღვრო ქაოსის შემდეგ, ქვეყნიერებას ადამიანები მოევლინენ, უძველესი დიადნი მათ შორის ყველაზე მგრძობიარეთა სიზმრების ძერწვას შეუდგნენ, რადგან მხოლოდ ამ გზით შეეძლო მათ ენას ძუძუმწოვართა ხორციელ გონებაძდე მიეღწია.

ამის შემდეგ კი, ჩურჩულებდა კასტრო, პირველმა ადამიანებმა შექმნეს იმ მომცრო კერპების კულტები, რომლებიც უძველესმა დიადებმა აჩვენეს. კერპებისა, რომლებიც თავად ჩამოიტანეს ბუნდოვან ეპოქებში შავბნელი ვარსკვლავებიდან. კულტი არასდროს გაქრება და იარსებებს იმ მომენტამდე, სანამ სწორად განლაგებული ვარსკვლავები ნიშანს არ მისცემენ საიდუმლო ქურუმებს, აკლდამიდან წამოაყენონ დიადი ქთულჰუ, რომელიც მომცრო ღმერთებს გააცოცხლებს და პლანეტაზე თავის მეუფებას დაამყარებს. ამ დროების შეცნობა იოლი იქნება, რადგან კაცობრიობა უძველეს დიადთა მსგავსი გახდება - თავისუფალი, თავაშვებული, კეთილისა და ბოროტის მიღმა მდგომი, რომელიც კანონებსა თუ მორალს გვერდით მოისვრის და ყოველი თითოეული ადამიანი, ღრიალითა და სხვათა ჟღერით თავდავიწყებას მიეცემა. შემდეგ განთავისუფლებული დიადნი ასწავლიან ყვირილითა და ჟღერით სიამოვნების მიღების ახალ გზებს და დედამიწა აღზნებისა და თავისუფლების მოძაკვდინებელ ცეცხლში დაინთქმება. ამ დროძდე კულტმა, შესაბამისი რიტუალების მეშვეობით, ცოცხლად უნდა შემოინახოს მოგონებები ძველისძველ გზებზე და მუდამ ახსოვდეს მათი დაბრუნების წინასწარგანჭვრეტილი ჩრდილები.

ძველ ხანებში რჩეული ადამიანები სიზმრებში ესაუბრებოდნენ აკლდამებში ჩამწყვედულ უძველეს დიადთ, მაგრამ შემდეგ რაღაც მოხდა - ძლევაძმოსილი ქვის ქალაქი, რ'ლიეპი, თავისი მონოლითებითა და სამარხებით ზღვის ტალღებმა შთანთქა. ღრმა წყლებმა, იმდენად სავსემ პირველყოფილი მისტერიებით, რომ მათში უბრალო ფიქრიც კი ვერ გაივლიდა, სპექტრალური ურთიერთკავშირის ეს გზა გადაჭრა. მაგრამ მოგონებები არასდროს მომკვდარა და უძალდესმა ქურუმებმა იწინასწარმეტყველეს, რომ ქალაქი კვლავ აძალდება, როდესაც ვარსკვლავები სწორად განლაგდებიან. მაშინ დედამიწის სიღრმეებიდან შავი აჩრდილები ამოძვრებიან, ობზიდებულნი და ბურუსით მოცულნი, რომლებიც დავიწყებულ ზღვათა სიღრმისეულ მღვიმეებში მოსმენილ ამბებს მოყვებიან. მათ შესახებ მოხუცი კასტრო საუბარს ვერ ბედავდა. მან სასწრაფოდ შეწყვიტა თხრობა და

აღარავითარ დარწმუნებასა თუ თბილ სიტყვას აღარ შეეძლო მისი ხელახლა ამეტყველება. კასტრო არაფერს ამბობდა უძველეს დიადთა ზომებზეც. კულტის ცენტრი, როგორც მან თქვა, არაბეთის მიუვალ უდაბნოებში მდებარეობს, სადაც ხელშეუხებელი და დამალული, თვლემს ქვის კოლონებით აგებული ქალაქი აირემი. კულტი არაა დაკავშირებული ევროპულ მაგიურ კავშირებთან და მათი წევრებისათვის სრულიად უცნობია. არავითარი წიგნი მათზე უბრალო მინიშნებასაც კი არ შეიცავს, თუმცა, როგორც უკვდავმა ჩინელებმა გაიხსენეს, არსებობდა საეჭვო ჩანაწერები „ნეკრონომიკონში“, შემლილი არაბის, აბდულ ალ-ჰაზრედის წიგნში, რომელთა წაკითხვა მხოლოდ ინიცირებულებს შეეძლოთ. განსაკუთრებით ეს ეხებოდა ერთ, უკვე მრავალჯერ განხილულ სტროფს:

„მკვდარი არ არის, ვისაც ძალუძს მოლოდინის მარადი ძილი,

და შემზარავი ეპოქებით განიგმირება თავად სიკვდილი“.

საგონებელში ჩავარდნილმა ლეგრასიმ, რომელზეც მონათხრობს ღრმა შთაბეჭდილება მოეხდინა, უშედეგოდ ითხოვდა ცნობებს ისტორიაში ამ კულტის არსებობის შესახებ. კასტრო, როგორც ჩანს, არ ტყუოდა, როდესაც ამბობდა, რომ ინფორმაცია სრულიად საიდუმლო იყო. ტულენის უნივერსიტეტის პროფესორებმა ნათელი ვერ მოჰყინეს ვერც საიდუმლო კულტის ისტორიას, ვერც უცნაურ ქანდაკებას, ამიტომ დეტექტივი ახლა ქვეყნის უმაღლეს ავტორიტეტებთან მოსულიყო და აქაც მხოლოდ პროფესორ უების გრენლანდიური თავგადასავლის მოსმენით მოუწია დაკმაყოფილება.

პატარა სკულპტურით დადასტურებული ლეგრასის მონათხრობის მიმართ გაჩენილი ცხოველი ინტერესი ექოდ აისახა დამსწრე საზოგადოების შემდგომ კორესპონდენციებში. ამის მიუხედავად, საჯაროდ გამოქვეყნებულ, ფორმალურ პუბლიკაციებში ცნობები ძალიან მწირად გაჟღერდა. სიფრთხილე უპირველესი საზრუნავია მათთვის, ვინც შეჩვეულია თაღლითებსა და ყალბბანდებთან რეგულარულ შეხვედრებს. ლეგრასიმ ქანდაკება პროფესორ უებს ათხოვა, მაგრამ ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ ქმნილება მის მფლობელობაში დაბრუნდა, სადაც, როგორც ცოტა ხნის წინ საკუთარი თვალთ ვნახე, დღემდე იმყოფება. ესაა ჭეშმარიტად შემზარავი ფიგურა, რომელსაც უდავოდ აქვს კავშირი ახალგაზრდა უილკოქსის სიზმარულ სკულპტურასთან.

სრულიად აღარ მიკვირდა, რომ ბიძაჩემი ასე აღფრთოვანდა უილკოქსის ნაამბობით. მან იცოდა მთელი ის ინფორმაცია, რომლის შეკრებაც ლეგრასიმ კულტის შესახებ შეძლო, ახლა კი კარს მოადგა ახალგაზრდა, მგრძობიარე კაცი, რომელსაც არა მხოლოდ ჭაობში ნაპოვნი ფიგურის გამოსახულება და იდენტურად ზუსტი იეროგლიფები დაესიზმრა, არამედ სწორად მოისმინა იმ ფორმულის სამი სიტყვა, რომლებსაც გრძნეული ესკიმოსები და ლუიზიანელი შერეულსისხლიანები ერთნაირად წარმოთქვამდნენ. პროფესორი ეინჯელის მიერ დაუყოვნებლივ წამოწყებული, საგულდაგულო გამოძიება სრულიად ბუნებრივი იყო. თუმცა მე მიმაჩნდა, რომ უილკოქსმა კულტის შესახებ ინფორმაცია რაღაც სხვა წყაროდან მიიღო და სიზმრების სერია მხოლოდ გამოიგონა, რათა იღუმალი ისტორიით ბიძაჩემის აღფრთოვანება გაემძაფრებინა. სიზმრების აღწერები და საგაზეთო ამონაჭრები, რომლებიც ბიძაჩემმა მოაგროვა, საერთო ჯამში, ამბავს ერთიანად კრავდნენ მაგრამ ჩემი გონების რაციონალურობამ და ამბის გადაჭარბებულმა ექსტრავაგანტულობამ, ჩემი აზრით, ყველაზე გონივრულ ახსნამდე მიმიყვანა. ასე რომ, მანუსკრიპტის გულდასმით შესწავლის, ხოლო მოგვიანებით, როგორც თეოსოფთა და ანთროპოლოგთა ჩანაწერებთან, ისე ლეგრასის მიერ მოთხრობილ ამბავთან შედარების შემდეგ პროვიდენსში გავემგზავრე, რათა თავად მენახა სკულპტორი და პირდაპირ განმეცხადებინა, ჩემი აზრით, საკადრისი საყვედური ასაკოვან სწავლულზე ასეთი თავხედური შთაბეჭდილების მოხდენისათვის.

უილკოქსი კვლავ ფლერ-დე-ლისის შენობაში ცხოვრობდა, თომასის ქუჩაზე, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნის ბრეტონული არქიტექტურის საბაგელ, ვიქტორიანულ იმიტაციას წარმოადგენდა. სახლის მობათქამებული შესასვლელი ძველ გორაკზე, ამერიკაში ყველაზე ლამაზი გეორგიანული ეკლესიის კოშკის ჩრდილქვეშ ჩამწკრივებულ ელევანტურ, სვეტებით მორთულ სახლებს შორის ურცხვად იმანჭებოდა. უილკოქსი მუშაობაში გართული ვნახე და გარშემო მიმოფანტულ საცდელ ეგზემპლიარებზე დახედვისთანავე ვაღიარე, რომ მისი გენიალურობა უტყუარი და სულში ჩამწვდომი გახლდათ. მჯერა, რომ ცოტა ხანში იგი სახელს გაითქვამს, როგორც ერთერთი უდიდესი დეკადენტი, რადგან თიხაში ალბეკდა და ერთ დღეს, მარმარილოში გადაიტანს იმ კოშმარებსა და ფანტომებს, რომელთაც არტურ მაჰენი თავისი პროზით იწვევს და რომელსაც კლარკ ეშტონ სმიტი თავის ლექსებსა და ნახატებში ხდის თვალსაჩინოს.

მოლუშული, ავადმყოფური გარეგნობისა და თითქოს, ცოტათი მოუვლელი, იგი უსიცოცხლოდ შემობრუნდა ჩემს დაკაკუნებაზე და ადგილიდან წამოდგომის გარეშე მკითხა, რისთვის ვიყავი მისული. როდესაც ჩემი ვინაობა გაუშხილვე, უილკოქსმა მცირეოდენი ინტერესი გამოავლინა. ბიძაჩემმა სკულპტორის ცნობისმოყვარეობა საშინლად გააღიზიანა, როდესაც მის არაბუნებრივ სიზმრებს სწავლობდა, თუმცა კვლევის მიზანი არასდროს აუხსნია. ამ კუთხით უილკოქსის ცოდნა არც მე გამიზრდია, თუმცა მის ალაპარაკებას კი დიდად ვეცადე. სკულპტორის პატიოსნებაში მალევე დავრწმუნდი, რადგან უილკოქსი ისე საუბრობდა საკუთარ სიზმრებზე, რომ შეცდომის დაშვება შეუძლებელი იყო. სიზმრებმა და არაცნობიერში დაღეჭილმა შინაარსებმა საფუძვლიანი გავლენა მოახდინა მის შემოქმედებაზე. უილკოქსმა მაჩვენა შემადრწუნებელი სკულპტურა, რომლის ფორმათა დანახვისას ლამის ცახცახმა ამიტანა, ვინაიდან ამ ფორმებში ძლევა მოსილი, შავბნელი ქარაგმები იმაღლებოდა. უილკოქსი ამბობდა, რომ სკულპტურის ორიგინალი არასდროს ენახა, გარდა მისივე ხელით სიზმარში დამზადებული გამოსახულებისა, მაგრამ ფორმები თავისით იძერწებოდა მის უგრძობ ხელებში. უდავოდ, ეს იყო ფიგურა, რომელიც მის ძველ დელირიუმში ბობოქრობდა. უილკოქსმა მალევე მოჰფინა ნათელი იმ ფაქტს, რომ საიდუმლო კულტის შესახებ მართლაც არაფერი იცოდა, გარდა იმისა, რაც ბიძაჩემის უღმობელ დაკითხვებზე მოესმინა. მე კი მაინც ვცდილობდი ჩავჭიდებოდი აზრს, რომ სკულპტორმა ეს უცნაური შთაბეჭდილებები რაიმე სხვა საშუალებით მიიღო.

უილკოქსი თავის სიზმრებზე უცნაური, პოეტური გატაცებით საუბრობდა. იგი საშინელი სიცხადით აყენებდა ჩემს თვალწინ ნესტიანი, ციკლოპური ქალაქის ლორწოვან, მწვანე ქვებს, რომელთა გეომეტრიაც, მისი უცნაური სიტყვების მიხედვით, სრულიად „არასწორი“ იყო, და მე თითქოს ჩამესმოდა განუწყვეტელი, პირდაპირ გონებაში შემოჭრილი მიწისქვეშა ძახილი: „ქთულჰუ ფჰტაგნ, ქთულჰუ ფჰტაგნ“. სიტყვები იმ საშინელი რიტუალის ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც ქალაქი რ'ლიეჰის ქვის აკლამაში მწოლიარე მკვდარი ქთულჰუს სიზმარეულ სიფხიზლეს აღწერდა. ვგრძობდი, რომ ჩემი რაციონალური წარმოდგენების მიუხედავად, ღრმა შთაბეჭდილების ქვეშ მოვექეცი. დარწმუნებული ვიყავი, რომ უილკოქსმა რაღაც შემთხვევითი გზებით კულტის შესახებ შეიტყო, მაგრამ ყველაფერი მალევე მიავიწყდა ასეთივე უცნაური წიგნების კითხვისა და

თავისი მძაფრი წარმოსახვის გამო. მოგვიანებით, შთაბეჭდილებათა სრული მორჩილების საოცარი უნარის წყალობით, ცოდნამ არაცნობიერი გამოხატულება უილკოქსის სიზმრებში, ძილში დამზადებულ ბარელიეფსა და ჩემს მიერ მოგვიანებით ნანახ ფიგურაში ჰპოვა. ასე რომ, ბიძაჩემის მოტყუების საქმეში იგი უცოდველი იყო. ასეთი ტიპის, ფარისევლური და ცოტა არ იყოს, უხეში მანერების მქონე ახლაგაზრდები არასდროს მომწონდა, მაგრამ ახლა უკვე მზად ვიყავი მეღიარებინა მისი გენიალურობა და პატიოსნება. უილკოქსს მეგობრულად დავემშვიდობე და მისი ნიჭის შესაფერისი წარმატება ვუსურვე.

კულტის საკითხი კვლავინდებურად მიზიდავდა, დროგამოშვებით მეღანდებოდა ის სახელი და დიდება, რასაც მისი საწყისებისა და ახლანდელი კავშირების შესწავლა მომიტანდა. მე ვავემზავრე ნიუ ორლეანში და ვესაუბრე როგორც ინსპექტორ ლეგრასის, ისე ჭაობში ნამყოფი რაზმის სხვა წევრებს, შემზარავი სკულპტურაც ვნახე და ჯერაც ცოცხალ, შერეულსისხლიან პატიმრებს კითხვები დავუსვი. მოხუცი კასტრო, საუბედუროდ, რამდენიმე წლის წინ გარდაცვლილიყო. მართალია, ისტორიას უკვე თვითმხილველებისაგან ვისმენდი, მაგრამ მონათხრობი სხვა არაფერი იყო თუ არა ბიძაჩემის ჩანაწერების უფრო დეტალური დადასტურება. ამის მიუხედავად, ჩემი აღფრთოვანება ახალი ცეცხლით აგიზგიზრდა, ვინაიდან დარწმუნებით მიმაჩნდა, რომ კვალში ვედექი ჭეშმარიტად არსებულ, ნამდვილად უძველესსა და სრულიად საიდუმლო რელიგიას, რომლის აღმოჩენაც სახელოვან ანთროპოლოგად მაქცევდა. ყველაფერს კვლავ მატერიალისტური კუთხით ვუყურებდი, რასაც დღესაც ვნატრობ. გაუგონარი სიჯიუტით მივიჩნევი, რომ ბიძაჩემის მიერ მოგროვილი სიზმრები და უცნაური საგაზეთო ამონაჭრები მხოლოდ დამთხვევა იყო.

ეჭვი ერთადერთ გარემოებაში მეპარებოდა - დღეს კი უკვე ზუსტადაც ვიცი, რომ ბიძაჩემის სიკვდილი შორს იყო ბუნებრივი აღსასრულისგან. ის ვიწრო, კლდოვან გზაზე გადავარდა უცხოელი შერეულსისხლიანებით სავსე ნავმისადგომიდან, როდესაც შავკანიანმა მეზღვაურმა დაუდევრად ჰკრა ხელი. მე მახსოვდა იმ ლუიზიანელი მეზღვაურების შერეული სისხლის შესახებ, რომლებიც კულტს ეთაყვანებოდნენ და ნამდვილად არ გამიკვირდებოდა სხვა რიტუალებისა და წესების შესახებ მეტი რომ შემეტყო - მართალია, ლეგრასის და მის ხალხს არავინ შეხება, მაგრამ ის ნორვეგიული მეზღვაური, რომელმაც

საშინელება თავისი თვალთ იხილა, უკვე მკვდარია. ვილაცის დამლუპველ ყურთასმენამდე ხომ არ მიღწია იმ ამბავმა, რომ ბიძაჩემი სკულპტორთან შესვედრის შემდეგ უფრო საფუძვლიან გამოძიებას ატარებდა? ჩემი აზრით, პროფესორი ეინჯელი იმიტომ მოკვდა, რომ ზედმეტი იცოდა, ან იმიტომ, რომ აკრძალულ ცოდნას ძალიან მიუახლოვდა. ახლა უკვე მეც ძალიან დიდი ცოდნა დავაგროვე, ამიტომ არავინ იცის, მელოდება თუ არა მსგავსი აღსასრული.

**თავი 3
აგონია ზღვაში**

თუკი ზეცა ოდესმე ინებებს ჩემს დაჯილდოვებას, დაე, უკვალოდ წაშალოს შედეგები იმ უბრალო შემთხვევითობისა, რომელმაც ჩემი მზერა ერთ უპატრონოდ მიგდებულ ფურცელზე შეაჩერა. ეს ფურცელი არ მიეკუთვნებოდა იმ საგანთა სიას, რომლებსაც ჩემს ყოველდღიურ რუტინაში ვაწყვდებოდი, ვინაიდან ეს იყო ძველი ნომერი ავსტრალიური ჟურნალისა „სიდნეის ბიულეტენი“, 1925 წლის 18 აპრილით დათარიღებული. ეს ნომერი თვით ყოვლისმხედველ პრეს-ბიუროსაც კი გადაურჩა, რომელიც თავის დროზე ხარბად აგროვებდა მასალას ბიძაჩემის გამოკვლევასათვის.

ჩემი დრო სრულიად მიუძღვენი იმის გამოძიებას, რასაც პროფესორი ეინჯელი „ქთულჰუს კულტს“ უწოდებდა და ხანდახან ჩემს განსწავლულ მეგობარს ვსტუმრობდი ხოლმე პატერსონში, ნიუ ჯერსიში. იგი ადგილობრივი მუზეუმის კურატორი და შესანიშნავი მინერალოგი იყო. ერთ დღეს მუზეუმის უკანა ოთახში, მინერალების სასაწყობო თაროებზე უწყვეტივით მიმოყრილ ნიმუშებს ვათვალიერებდი, როდესაც ჩემი მზერა ქვების ქვეშ დაფენილმა ფურცელმა მიიპყრო, რომელზეც უცნაური სურათი იყო გამოსახული. ეს იყო „სიდნეის ბიულეტენის“ ნომერი. ჩემს მეგობარს მსოფლიოს ყველა ნაწილში ფართო კავშირები ჰქონდა. ფოტოგრაფიაზე ქვისაგან გამოკვეთილი შემზარავი ფიგურა იყო გამოსახული, ფაქტობრივად იდენტური იმ სკულპტურისა, რომელიც ინსპექტორმა ლეგრასიმ ჭაობში იპოვნა.

ფურცელზე დაწყობილი ძვირფასი მინერალები ხარბად გადმოვყარე, სტატია თავიდან ბოლომდე გადავათვალიერე და იმედგაცრუებული დავრჩი მისი მომცრო ზომით. ამისდა მიუხედავად, თავისი შინაარსით ავბედით სტატიას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა უკვე მინავლებული კვლევისათვის, ამიტომაც, ფურცელი ფრთხილად ამოვხიე ჟურნალიდან, მომავალში დეტალურად რომ შემესწავლა. სტატია

ასე გამოიყურებოდა:

„ზღვაში იღუპალი, მიტოვებული ხომალდი აღმოაჩინეს“

სატვირთო გემმა “ვიჯილანტმა” შეიარაღებული, მძიმედ დაზიანებული ახალ ზერლანდიური იახტა პორტში ბუქსირით შემოიყვანა

ბორტზე ერთი ცოცხლად გადარჩენილი და ერთი გვამია ნაპოვნი

ამბავი სასოწარკვეთილი ბრძოლისა და სიკვდილისა ზღვაში

გადარჩენილი მეზღვაური უცნაური ისტორიის დეტალების მოყოლაზე უარს აცხადებს

გადარჩენილ მეზღვაურს თან უცნაური კერპი აქვს ჩამოტანილი. გამოძიება გრძელდება.

„მორისონ კომპანიის“ კუთვნილმა სატვირთო გემმა, „ვიჯილანტმა“, რომელიც ვალპარაისოდან უკან ბრუნდებოდა, დღეს დარლინგის ნავსადგურში შემოსვლისას ბუქსირით მოიყვანა დუნედინში (ახალი ზელანდია) დარეგისტრირებული თბომავალი იახტა. იახტა მძიმედაა შეიარაღებული, მაგრამ მცირე ხნის წინ გადატანილი მძიმე ბრძოლის შედეგად, ამ დროისათვის დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეუძლია. ამა წლის 12 აპრილს ის შენიშნეს კოორდინატებზე სამხრეთ განედი 34° 210, დასავლეთ გრძედი 152° 170. ბორტზე ერთი ცოცხალი ადამიანი და ერთი გვამია.

„ვიჯილანტმა“ ვალპარაისო 25 მარტს დატოვა და 2 მაისს თავისი კურსიდან მნიშვნელოვნად სამხრეთით აღმოჩნდა ძლიერი შტორმისა და საშინელი ტალღების გამო. 12 აპრილს სატვირთო გემიდან მიტოვებული იახტა შენიშნეს. მიუხედავად გარეგნული სიცარიელისა, ბორტზე გადასულმა ეკიპაჟმა ნახევრად დელირიუმის მდგომარეობაში მყოფი ერთი ცოცხალი ადამიანი და ერთი გვამი აღმოაჩინა, რომელიც კვირაზე მეტის წინ გარდაცვლილიყო. ცოცხალი ადამიანი დაუდგენელი წარმოშობის ქვის კერპს იყო ჩაბლაუჭებული, რომლის სიმაღლეც დაახლოებით ერთი ფუტია და რომლის იდენტიფიცირებაც ვერ შეძლეს მეცნიერებმა სიდნეის უნივერსიტეტიდან, სამეფო საზოგადოებიდან და კოლეჯ სტრიტზე მდებარე მუზეუმიდან. გადარჩენილი მეზღვაური აცხადებს, რომ მან კერპი იახტის კაბინაში, მომცრო, ხისგან ნაკვეთ სალოცავში იპოვნა.

გამოფხიზლების შემდეგ გადარჩენილმა მეზღვაურმა მეკობრეობისა და ხოცვა-ჟლეტის მეტად გასაოცარი ისტორია მოჰყვა. მისი სახელია გუსტავ იოჰანსენი, ნორვეგიელი, ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანი, რომელიც ორანძიან მშუნაზე „აუკლანდელი ემა“

კაპიტნის მეორე თანაშემწედ მსახურობდა. შხუნამ 20 თებერვალს კალაოსკენ გაცურა თერთმეტკაციანი ეკიპაჟით. „ემას“, როგორც მეზღვაური ყვება, 1 მარტს შეაფერხა და კურსს დაამორა მძლავრმა ქარიშხალმა, 22 მარტს კი კოორდინატებზე სამხრეთ განედი 49? 510, დასავლეთ გრძელი 128? 340, იახტა „ალერტს“ გადაეყარა. „ალერტის“ ეკიპაჟი საეჭვო, ბოროტი გამოძეტყველების მქონე კანაკებისა და სხვადასხვა რასის ადამიანებისაგან შედგებოდა. მათ „ემას“ კატეგორიულად მოსთხოვეს უკან გაბრუნება, რაზეც კაპიტანმა კოლინზმა უარი განაცხადა. შედეგად, უცნაურმა ეკიპაჟმა იახტის ეკიპირებაში მყოფი, თითბრის მძიმე ქვემეხთა ბატარეადან ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, გაშმაგებით გაუხსნა ცეცხლი შხუნას. „ემას“ ეკიპაჟი ბრძოლაში ჩაერთო და, როგორც გადარჩენილი მეზღვაური ყვება, მიუხედავად იმისა, რომ შხუნას წყალქვეშა კორპუსს რამდენჯერმე მორატყეს და მან ჩაძირვა დაიწყო, „ემას“ ეკიპაჟმა მაინც მოახერხა მტრის იახტაზე გადასვლა. იახტის ბორტზე ბრძოლის დროს „ემას“ ეკიპაჟი იძულებული გახდა მტერი სრულიად ამოეხრცა, ვინაიდან ისინი დანებებას არ აპირებდნენ და საბაგელი მეთოდების გამოყენებით თავგანწირვით, მაგრამ საკმაოდ ტლანქად იბრძოდნენ.

„ემას“ ეკიპაჟის სამი წევრი, მათ შორის კაპიტანი კოლინზი და მისი პირველი თანაშემწე გრინი ბრძოლის დროს დაიღუპნენ. დარჩენილმა რვა კაცმა მეორე თანაშემწე იოჰანსენის მეთაურობით, მოპოვებული იახტის მეშვეობით ძველი კურსით განაგრძო სვლა, რათა შეემოწმებინათ, არსებობდა თუ არა რეალური საფუძველი, რის გამოც მტერმა მათ უკან გაბრუნება მოსთხოვა. მომდევნო დღეს ისინი მიადგნენ პატარა კუნძულს და ზედ გადავიდნენ, თუმცა ოკეანის ამ ნაწილში კუნძულის არსებობის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. ეკიპაჟის ექვსი წევრი კუნძულზე გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა, თუმცა იოჰანსენი ისტორიის ამ ნაწილზე საეჭვოდ ღუმს და მხოლოდ ქვის უფსკრულში ჩასვლას იხსენებს. მოგვიანებით, როგორც ჩანს, იოჰანსენი და მისი ერთერთი თანამგზავრი იახტაზე ავიდნენ და მისი მართვა სცადეს, მაგრამ 2 აპრილს შტორმმა იმძლავრა. ამ მომენტიდან მისი გადარჩენის მომენტამდე (12 აპრილს) იოჰანსენს აღარაფერი ახსოვს, მათ შორის, მისი კომპანიონის, უილიამ ბრაიდენის გარდაცვალების თარიღი. ბრაიდენის სიკვდილის თვალსაჩინო მიზეზი არ ჩანს და იგი, სავარაუდოდ, ზედმეტი მღელვარებისგან ან ატმოსფერული მოვლენების შედეგად დაიღუპა. ტელეგრაფით ღუნედინიდან მიღებული

ცნობების თანახმად, „ალერტი“ ცნობილი იყო, როგორც სავაჭრო გემი და პორტში ცუდი რეპუტაციით სარგებლობდა. იახტა შერეული რასის მქონე ერთ უცნაურ ჯგუფს ეკუთნოდა, რომელთა ღამეული შეკრებები და ტყეში განხორციელებული ექსპედიციები მრავალთა ინტერესის ობიექტს წარმოადგენს. გემი დიდი ფაფიფუციტ გავიდა ზღვაში 1 მარტის ქარიშხლისა და მიწისძვრის შემდეგ. ჩვენი აუკლანდელი რეპორტიორის შეტყობინებით, „ემას“ შესანიშნავი რეპუტაცია ჰქონდა, ხოლო იოჰანსენი დახასიათებულია, როგორც გონიერი და ღირსეული ადამიანი. ხვალისა და საზღვაო ხელმძღვანელობა სრულყოფილ გამოძიებას იწყებს, რომლის ფარგლებშიც ისინი შეეცდებიან წააქეზონ იოჰანსენი უფრო თავისუფლად ისაუბროს მომხდარზე“.

სტატია, ამ მომცრო ტექსტის გარდა, მხოლოდ ჯოჯოხეთური ფიგურის სურათს შეიცავდა, მაგრამ ჩემს გონებაში ფიქრთა მთელი წყება აღმძირა. ეს ქთულპუს კულტის შესახებ არსებული ახალი ინფორმაცია - ნამდვილი განძი გახლდათ, რომელიც ადასტურებდა, რომ კულტს უცნაური ინტერესები გააჩნდა როგორც ხმელეთზე, ისე ზღვაში. რა მიზეზი დაედო საფუძვლად შერეული ეკიპაჟის მოთხოვნას „ემას“ მიმართ, როდესაც შემზარავ კერპთან ერთად ზღვაში მიცურავდნენ? რას წარმოადგენდა იღუმალი კუნძული, რომელზეც „ემას“ ეკიპაჟის ექვსი წევრი დაიღუპა და რომლის შესახებაც კაპიტანის თანაშემწე იოჰანსენი სიტყვას არ ძრავდა? რა გარკვევა ვიცე-საადმირალს გამოძიებამ და რა ცნობები არსებობდა ღუნედინში ამ დამღუპველი კულტის შესახებ? და რაც მთავარია - რა ღრმა და, შეიძლება ითქვას, ზედმეტად ბუნებრივი კავშირი არსებობდა იმ თარიღებს შორის, რამაც ავბედითი და ამჯერად, უღავო მნიშვნელობა მიანიჭა ბიძაჩემის მიერ ფაქიზად აღწერილ უცნაურ მოვლენებს?

1 მარტს, რომელიც დროის სადემარკაციო ხაზის მიხედვით, ჩვენთვის 28 თებერვალს იყო, შტორმი და მიწისძვრა მოხდა. ღუნედინიდან „ალერტი“ და მისი მტრული ეკიპაჟი გააფრთხილეს გაიჭრა ზღვაში, თითქოს ბრძანებით მოიხმესო. პლანეტის მეორე მხარეს პოეტებისა და სხვა ხელოვანების ჯგუფმა უცნაური სიზმრები იხილა ნესტით გაჟღენთილ ციკლოპურ ქალაქზე. იმავდროულად, ახალგაზრდა სკულპტორმა ძილში გამოძერწა შემზარავი ქთულპუს თიხის ფიგურა. 23 მარტს „ემას“ ეკიპაჟი უცნობ კუნძულზე გადავიდა და იქ ექვსი უსიცოცხლო სხეული დატოვა. იმავე დღეს მგრძნობიარე ყმაწვილის სიზმრები გაძლიერებული მგზნებარებითა გამოირჩეოდა

და მსხვერპლს ადევნებული უზარმაზარი, სისხლ-მოწყურებული მონსტრის შავბნელი შიშით იყო გაჯერებული. იმავე დღეს არქიტექტორი ჭკუიდან შეიშალა, ხოლო სკულპტორი მოულოდნელად დელირიუმში ჩაიძირა.

2 აპრილს კიდევ ერთი შტორმი მოხდა, იმავდროულად ნესტიან ქალაქზე ყოველგვარი სიზმარი შეწყდა და უილაკოსმა უცნაური ციებ-ცხელების მარწყუხებს უვნებლად დააღწია თავი. ამ ყველაფერს ემატებოდა მოხუცი კასტროს მონათხრობი უცხო ვარსკლავებზე დაბადებულ უძველეს დიად ღმერთებზე, რომლებიც წყალქვეშ განისვენებდნენ და ლეენდები, რომლებიც მათ დაბრუნებას წინასწარმეტყველებდნენ, ცნობები სიზმრების ფლობის ხელოვნებასა და მარად ერთგულ კულტზე. ნუთუ ადამიანის აღქმის მიღმა არსებულ კოსმიურ საშინელებათა მიჯნაზე ვტორტმანები? თუკი ეს სიძარტლე იყო, მაშინ ორმა აპრილმა როგორღაც წერტილი დაუსვა იმ საზარელ საფრთხეს, რომელმაც კაცობრიობის სულის ალყაში მოქცევა წამოიწყო.

იმავე საღამოს, ერთდღიანი ჩაბარებისა და დაგვიძვის შემდეგ ჩემს მასპინძელს გამოვეთხოვე და სან ფრანცისკოსაკენ მატარებლით გავემგზავრე. თვეზე ნაკლებ დროში უკვე ღუნედინში ვიყავი, მაგრამ იქ აღმოვაჩინე, რომ უცნაური კულტისტების შესახებ, რომლებიც ძველ საპორტო ტავერნებში უსაქმურობდნენ, ბევრი არაფერი იყო ცნობილი. ნავსადგურის სიბინძურე იმდენად ყოველდღიური იყო, რომ ცალკე აღნიშვნასაც კი არ იმსახურებდა. თუმცა მაინც ყვებოდნენ ბუნდოვან ისტორიებს შერეულსისხლიანთა ერთ სახმელეთო მოგზაურობაზე, როდესაც შორეულ გორაკზე ტამტამის სუსტი დარტყმები ისმოდა და წითელი ალი მოჩანდა. აუკლანდში შევიტყვე, რომ სიღნეში ფორმალური და ზერელე დაკითხვების შემდეგ იოჰანსენი სახლში, ქერას ნაცვლად, გაჭაღარავებული დაბრუნდა, უესტ სტრიტზე მდებარე კოტეჯი გაყიდა და ცოლთან ერთად ოსლოსკენ გაემართა, სადაც ძველად სახლობდა. თავს გადამხდარი ამადლევებელი ისტორიის შესახებ თავისი მეგობრებისათვის იმაზე მეტი არ მოუყოლია, ვიდრე საადმირალოს წარმომადგენლებს მოუყვა, ამიტომ ერთადერთი, რისი გაკეთებაც მათ შეეძლოთ, ოსლოში მდებარე იოჰანსენის სახლის მისამართის მოცემა იყო.

შემდეგ სიღნეში გავემგზავრე და მეზღვაურებსა თუ ვიცე-საადმირალოს სასამართლოს წევრებს სრულიად უშედეგოდ ვესაუბრე. სიღნეის ცნობილ, რკალისებურ ნავმისადგომში მოვინახულე იახტა „ალერტი“, რომელიც გაეყიდათ და ახლა სავაჭრო

გემად იყენებდნენ, თუმცა ამ ვიზიტმაც არაფერი მომცა. მოხრილი ფიგურის სკულპტურა, რომელსაც რვაფენასებრი თავი, დრაკონის ტანი, ქერცილიანი ფრთები და იეროგლიფებით დაფარული პედესტალი ამშვენებდა, ჰაიდ პარკის მუზეუმში ინახებოდა. ნაკეთობას ღიბნანს და გულდასმით ვსწავლობდი და საბოლოოდ, ვიგრძენი, რომ უნატიფეს ოსტატობაში რაღაც დამლუპველი იმალებოდა. მასში იგივე იდუმალების, საშინელი სიძველისა და უცხო სამყაროს არაამქვეყნიურ ნიშნებს ვხედავდი, რომლებიც ლეერასის მომცრო ეგზემპლიარს გააჩნდა. მუზეუმის კურატორმა მიაბო, რომ ამ სკულპტურის სახით გეოლოგებს საშინელი გამოცანა დაატყდათ თავს, რადგან ისინი მზად იყვნენ დაეფიცათ, რომ დედამიწაზე მსგავსი ქვა არ არსებობს. ამ სიტყვების გაგონებაზე ცახცახმა ამიტანა, რადგან გამახსენდა, თუ რას უყვებოდა ლეერასის მოხუცი კასტრო უძველეს დიადთა შესახებ:

„ისინი ვარსკლავებიდან დაემზენ და საკუთარი გამოსახულებებიც თან მოიტანეს“.

ჩემს გონებაში მომხდარი სრული გადატრიალებით შეძრულმა, ვინაიდან მგავსი რამ ცხოვრებაში არ განმეცადა, გადავწყვიტე, კაპიტნის თანაშემწე იოჰანსენს ოსლოში ვწვეოდი. ლონდონში ჩასვლისთანავე ნორვეგიის დედაქალაქისაკენ მიმავალ გემზე გადავიჯექი. შემოდგომის ერთ საღამოს, ეგებერგის ჩრდილში, მოკაზმულ ნავმისადგომზე დავდგი ფეხი. იოჰანსენის სახლი, როგორც დავადგინე, მეფე ჰაროლდ ჰარდრადას ძველ ქალაქში მდებარეობდა, რომელმაც სახელი „ოსლო“ საუკუნეების განმავლობაში ცოცხლად შემოინახა, სანამ გარშემო გაშენებულ უზარმაზარ ქალაქს „ქრისტიანია“ ეწოდებოდა. ტაქსით ხანმოკლე მოგზაურობის შემდეგ ჩემი გული საგულეში აღარ ჩერდებოდა, როდესაც ძველი, მოხდენილი სახლის კარებზე ვაკაკუნებდი. სიგნალს შავებში ჩაცმული, სევდიანი სახის მქონე ქალი გამოეპასუხა და დამტვრეული ინგლისურით ახალი ამბავი მაუწყა, რომელმაც ნესტარივით დამგესლა და ოსლოში ჩასვლის ყველა იმედი გამიცრუა - გუსტავ იოჰანსენი ცოცხალი აღარ იყო.

როგორც ქალმა მომითხრო, იოჰანსენს უკან დაბრუნებიდან დიდი ხანი აღარ უცოცხლია. 1925 წლის მოვლენებმა მისი ქმარი გატეხა. იოჰანსენს ცოლისთვის იმაზე მეტი არაფერი უთქვამს, ვიდრე საზოგადოებას განუცხადა, მაგრამ მან მეტად ვრცელი ხელნაწერი დატოვა, როგორც თვითონ განმარტა, „ტექნიკური დეტალების შესახებ“. ტექსტი ინგლისურ ენაზე დაწერა, როგორც ჩანს, იმისათვის, რომ ცოლი

ხელნაწერის შემთხვევითი წაკითხვის საფრთხისაგან დაეცვა. გოტენბურგის დოკთან ახლოს, ვიწრო გზაზე სიარულისას, მანსარდის ფანჯრიდან გადმოვარდნილმა გაზეთების სქელმა შეკვრამ იოჰანსონი მიწაზე დასცა. ორი ინდოელი მეზღვაური მაშინვე დაეხმარა წამოდგომაში, თუმცა სასწრაფო დახმარების მოსვლამდე იოჰანსონი გარდაიცვალა. ექიმებმა ვერ შეძლეს სიკვდილის აღეკვრათური მიზეზის დადგენა და საბოლოოდ, ყველაფერი გულის პრობლემებსა და ორგანიზმის სისუსტეს დააბრალებს.

ახლა უკვე მეც ვგრძნობ, როგორ მიღრღნის შიგნულს შიში, რომ წყვილით მოცული საშინელება თავს არასდროს დამანებებს, სანამ საბოლოოდ აღსასრულს არ ვპოვებ, „უბედური შემთხვევის შედეგად“ თუ რაიმე სხვა გზით. იოჰანსონის ცოლი მარტივად დავარწმუნე, რომ „ტექნიკური მიზეზები“ მანუსკრიპტის წაკითხვის უფლებას მანიჭებდა. ხელნაწერი ჩემთან ერთად წამოვიღე და მისი კითხვა ლონდონისკენ მიმავალ გემში დავიწყე. ეს იყო მარტივი, უთავბოლო ჩანაწერი - ამ საქმისათვის მოუმზადებელი მეზღვაურის პოსტ-ფაქტუმ დღიური და მცდელობა, სათითაოდ გაეხსენებინა იმ საშინელი მოგზაურობის თითოეული დღე. მე არც კი შეეცდები ტექსტი სრულად მოვიყვანო მისი ბუნდოვანებისა და ჭარბსიტყვაობის გამო, მაგრამ ხელნაწერის მთავარი აზრიც სრულიად საკმარისია, რომ სათანადოდ ახსნას, თუ რატომ გახდა ჩემთვის ლონდონისაკენ მიმავალი გემის ბორტზე ტალღების ტყლაშუნის ხმა იმდენად აუტანელი, რომ ყურები ბამბით ამოვიქოლე.

მაღლობა ღმერთს, იოჰანსონმა ყველაფერი არ იცოდა, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქიც და ქმნილებაც თავისი თვალის იხილა, მაგრამ მე ველარასდროს დავიძინებ მშვიდად, ვინაიდან იმ საშინელებათა შესახებ ყველაფერი შევიტყვე, რომლებიც უწყვეტად იმალებიან სიცოცხლის მიღმა, დროსა და სივრცეში. მე ვიცი უძველეს ვარსკლავთაგან მოსულ იმ მანკიერი, ჯოჯოხეთური არსებების შესახებ, რომლებიც ზღვის ფსკერზე თვლემენ და მსმენია კომმარულ კულტურაც, რომელიც თავყანს სცემს ღმერთებსა და მზადაა თავისუფლად მიუშვას სამყაროზე სათარეშოდ, როდესაც კიდევ ერთი მიწისძვრა ქვის ქალაქს ისევ მზის გულზე ამოიყვანს.

იოჰანსონის მოგზაურობა ზუსტად ისე დაიწყო, როგორც ვიცერ-სადმირალოს მოუყვა. დატვირთულმა „ემამ“, აუკლანდი 20 თებერვალს დატოვა და სრული მძვინვარებით შეიგრძნო მიწისძვრის მიერ შობილი ქარიშხლის ძალა, რომელმაც ზღვის ფსკერი-

დან წამოშალა შემადრწუნებელი საშინელებები და ადამიანთა სიზმრები შიშით აავსო. გემი, რომელიც ეკიპაჟმა მალევე დაუქვემდებარა კონტროლს, სწრაფად მიიწვედა წინ მანამ, სანამ 22 მარტს „ალერტი“ არ შენიშნა. შემდგომი მოვლენების აღწერისას პირდაპირ ვგრძნობდი კაპიტნის თანაშემწის სინანულს, როდესაც „ემას“ დაბომბვასა და ჩაძირვაზე წერდა. „ალერტის“ ეკიპაჟის - შავკვრემან კულტისტებს იოჰანსონი შესამჩნევი შიშით აღწერს. მათში რაღაც განსაკუთრებული სისადაგლე ჩანდა, რამაც „ემას“ წევრებისთვის ჯგუფის განადგურება თითქმის მოვალეობად აქცია.

როდესაც იოჰანსონი აღწერდა, თუ როგორ სდებდნენ გამოძიების დროს მას და მის გუნდს ბრალს დაუნდობლობაში, ნაწერში გულუბრყვილო გაკვირვება იგრძნობოდა. დასაკუთრებულ იახტას, რომელსაც ამჯერად იოჰანსონი მეთაურობდა, წინ ცნობისმოყვარეობა მიერეკებოდა. მალევე ეკიპაჟმა ზღვიდან ამომართული უზარმაზარი ქვის მონოლითი დაინახა, ხოლო კოორდინატებზე სამხრეთ განედის 47? 90 და დასავლეთ გრძედის 126? 430 სანაპიროსაც მიაღწა. ნაპირი ტალახს, ლორწოს და წყალმცენარეებით შემოსილ ქვის ციკლოპურ ქმნილებებს დაეფარათ და ხმელეთი სხვა არა იყო, თუ არა დედამიწის უზენაესი შიშის ხელშესახები განსხეულება - მკვდარი სხეული კომმარული ქალაქისა რ'ლიეპი, რომელიც უხსოვარი, ისტორიის მიღმა დარჩენილი ეპოქების წინ აიგო შავბნელი ვარსკვლავებიდან დედამიწაზე ჩამოჟონილი თვალუწვედენელი და შემზარავი ფორმების მიერ. იქ, მწვანე, შლამიან სამარხებში განისვენებდა დიადი ქთულჰუ და მისი ლეგიონი, რომელიც, ამდენი ხნის შემდეგ, როგორც იქნა, კვლავ აგზავნიდა კომმარებს, რათა მგრძნობიარეთა სიზმრები შიშით აღევსოთ. იგი დაჟინებით მოიხმობდა მორწმუნეებს განთავისუფლებისა და განახლებისაკენ მიმავალ პილიგრიმობაში. ეს ყველაფერი იოჰანსონს ეჭვადაც კი არ მოსვლია თავში, თუმცა, ღმერთთა მოწამე, მალე ყველაფერი თავისი თვალთ იხილა.

ჩემი ვარაუდით, წყლიდან მხოლოდ მთის მწვერვალი წამოიმართა, თავზარდამცემი მონოლითით დაგვირგვინებული ციტადელი, რომელშიც დიადი ქთულჰუ განისვენებდა. როდესაც ვფიქრობ იმ ძალაზე, რომელიც იქ, სიღრმეში ღრმა ფიქრებს მისცემია, თავის მოკვლა მინდება. იოჰანსონი და მისი ეკიპაჟი უძველეს ღმერთთა ამ ნესტიანი ბაბილონის კოსმიურმა დიდებულებამ შეაშინა და სხვა, დამატებითი ცოდნის გარეშეც მიახვედრა, რომ ნაგებობები არც

ამ, არც სხვა ნებისმიერი კეთილგონიერი პლანეტის ცივილიზაციათა ნამოქმედარს არ წარმოადგენდა. კაპიტნის მეორე თანამემწის შეშინებული მონათხრობი პირდაპირ გადმოსცემს ეკიპაჟის ძრწოლას დაუჯერებელი ზომის ქვის მწვანე ლოდების, თავბრუდამხვევი სიმაღლის მოჩუქურთმებული მონოლითისა და კოლოსალური ქანდაკების წინაშე, რომელიც განმაცვიფრებლად ჰგავდა იახტა “ალერტზე” ნაპოვნ პატარა ბარელიეფს..

იოჰანსენმა არც კი იცოდა ფუტურიზმის არსებობის შესახებ, მაგრამ ქალაქის აღწერისას მსგავსი ეფექტის მიღწევა მაინც მოახერხა. ნავებობებისა თუ სტრუქტურების დეტალური აღწერის ნაცვლად მან ვრცლად გადმოსცა თავისი შთაბეჭდილებები უშველებელ კუთხეებსა თუ ქვის ზედაპირებზე, რომლებიც ზედმეტად დიდი იყო დედამიწაზე არსებული ყოველგვარი სიცოცხლისათვის და რომლებიც საშინელი სურათებითა და იეროგლიფებით წაებულწათ. კუთხეების შესახებ მონათხრობი განსაკუთრებით საყურადღებოდ მჩვენა, ვინაიდან ისინი უილკოქსმაც შენიშნა თავის ავბელით სიზმრებში. სკულპტორი ამბობდა, რომ სიზმარში ნანახი ადგილის გეომეტრია არანორმალური, არა-ეკვილიური იყო და სადაგელ მოგონებებს აღძრავდა ჩვენი სამყაროსაგან განზე მდგარ სფეროებსა და განზომილებებზე. იგივეს განიცდიდა გაუნათლებელი მეზღვაური, რომელიც პირდაპირ მისჩერებოდა საშინელ სინამდვილეს.

იოჰანსენი და მისი მეზღვაურები ამ შემზარავი აკროპოლისის ტალახით დაფარულ, ციცაბო ნაპირზე გადასხდნენ და მოლიპული გზა აიარეს უზარმაზარი, შლამიანი ლოდების ზედაპირზე, თუმცა ის მოკვდავთათვის შექმნილ კიბეს არაფრით ჰგავდა. შერყვნილი ზღვიდან ამომავალი პოლარიზებული მიაზმა თავად მზის გამოსახულებას ასახიჩრებდა. მოჩუქურთმებული ქვის იმ არანორმალურ კუთხეებიდან და სიბრტყეებიდან, რომლებიც, ერთი შეხედვით, ჩაზნექილი ჩანდა, მაგრამ მეორედ შეხედვისას ამოხსნექილი იყო, აღმაცერად ასხივებდა ავბელითი მუქარა და დადარაჯებული მოლოდინი.

ეკიპაჟის წევრებში შიშმა ჯერ კიდევ მაშინ ჩაიბუდა, სანამ ქვებზე, შლამსა და წყალმცენარეებზე უფრო შემზარავ საშინელებას ნახავდნენ. თითოეული მათგანი დიდი სიამოვნებით გაიქცეოდა, რომ არა სხვა მეზღვაურების მხრიდან დაცინვის შიში. რაც შეეხება წასაღებად გამოსადეგი სუვენირების ძიებას, ის სრულიად უხალისოდ მიმდინარეობდა.

მონოლითის ფუტეზე პირველი პორტუგალიელი როდრიგესი აძვრა, რომელმაც დანარჩენებს ყვირილით

აცნობა თავისი აღმოჩენის შესახებ. დანარჩენები მის კვალს მიჰყვნენ და ცნობისმოყვარეობით დაიწყეს უზარმაზარი, ნაკვეთი კარის დათვალიერება მათთვის უკვე კარგად ცნობილი რვაფეხისთავიანი დრაკონის გამოსახულებით. როგორც იოჰანსენი აღწერს, ბჭე უზარმაზარი ბელლის კარებს წააგავდა. ყველამ იცოდა, რომ მათ წინ ჭიშკარი იყო, რადგან მორთულ თაღს, ზღურბლსა და ჩარჩოს არჩევდნენ, თუმცა არავის შეეძლო ზუსტად ეთქვა, ჭის სასურავით ჰორიზონტალურად იყო განლაგებული თუ საწყობის შესასვლელივით დახრილად. როგორც უილკოქსი იტყვოდა, ადგილის გეომეტრია „არასწორი“ იყო. დარწმუნებით ვეღარავინ განაცხადებდა, რომ ზღვა და ხმელეთი ჰორიზონტალურ პოზიციაში იყო, ვინაიდან ყველაფერი ფანტასმაგორიულად არამდგრადი გამხდარიყო და მათ თვალწინ იცვლებოდა.

ბრაიდენი რამდენიმე ადგილას მიაწვა ქვას, მაგრამ უშედეგოდ. მაშინ დონოვანმა კიდის გარშემო ფეხის ცეცებით დელიკატურად გამოიკვლია შესასვლელი, თანაც სიარულის დროს ცალ-ცალკე ეხებოდა თითოეულ ინჩს. იგი გაუჩერებლად მიცოცავდა ზემოთ, ქვის გროტესკული ქანდაკების გასწვრივ - შეიძლება ითქვას, „მიცოცავდა“ იმ შემთხვევაში, თუ ყველა შეთანხმდებოდა, რომ შესასვლელი ჰორიზონტალური აღარ იყო. მეზღვაურებს უკვირდათ, როგორ იყო შესაძლებელი ამქვეყნად ასეთი უშველებელი შესასვლელს ეარსება. შემდეგ, ერთი აკრის ზომის პანელმა ძალიან რბილად და ნელა დაიწყო სიღრმეში ჩაშვება და ყველა მიხვდა, რომ მას რაღაც აწონასწორებდა.

დონოვანი ჩამოსრილდა და საკუთარი სხეულით ქვას უბიძგა, რომ ჩარჩო გადმოეღასა და მეგობრებს შეერთებოდა. ყველა თვალს ადევნებდა, როგორ ეშვებოდა სიღრმეში ჯოჯოხეთურად მოჩუქურთმებული ქვის პორტალი. პრიზმატული გაუკულმართების ამ ფანტაზიაში პანელი სრულიად ანომალურად, დიაგონალურად მოძრაობდა და ამით მატერიისა და პერსპექტივის უკლებლივ ყველა კანონს არღვევდა.

დერეფანი თითქოს განსხეულებული წყვდიადით იყო სავსე. მატერიალიზებული სიბნელე ჭეშმარიტად კეთილ საქმეს აკეთებდა, რადგან შიდა კედლის ისეთ ფრაგმენტებს ფარავდა, რომელთა სინათლეზე გამოტანა არაფრით შეიძლებოდა. სიბნელე კვამლივით ამოიჭრა იმ საპყრობილიდან, სადაც ეპოქათა განმავლობაში იყო დამწყვდეული და შესამჩნევად ჩააბნელა მზე, როდესაც მემბრანული ფრთების ტყელაშუნი შეუმჩნევლად აქროლდა უსიცოცხლო და დაბრეცილ ცაში. ბეჭედანსნილი სიღრმეებიდან აუ-

ტანელი სიმყარე ამოვარდა. ჰოკინსს, რომელსაც მახვილი სმენა ჰქონდა, მოეჩვენა, რომ შორეული სიღრმიდან საძაგელი, დგაფუნის მსგავსი ხმა მოისმა. მთელი ეკიპაჟი გაფაციცებული უსმენდა და თითოეული მათგანი მოლოდინს ადგილზე ჰყავდა გახევებული მანამ, სანამ დუჟმოდენილი "ის" ტლანქად არ შემოიჭრა მათ წინაშე და ხელის ცეცებით არ გადმოათრია თავისი მწვანე, ყელესებური სხეული შავი შესასვლელიდან გარეთ, სიგიჟის ქალაქის მოშხამულ ჰაერზე.

საბრალო იოჰანსენის ხელნაწერი ამ ადგილას თითქმის აღარ იკითხებოდა. იმ ექვსი მეზღვაურიდან, რომლებმაც იახტამდე ველარასოდეს მიაღწიეს, ორი იმავე დაწყევლილ წამს დაიღუპა ყოვლისმომცველი შიშისგან. არსების აღწერა შეუძლებელია - არ შექმნილა ჯერ ენა იმ შემხარავი, ჯერაც არნახული და უძირო სიგიჟის აღსაწერად, რომელიც მატერიის, ენერჯისა და კოსმიურ წესრიგის სრულ ურთიერთწინააღმდეგობას წარმოადგენს. თავად მთა მიაბიჯებდა. ღმერთო! რა გასაკვირია, რომ პლანეტის საპირისპირო წერტილში ცნობილი არქიტექტორი ჭკუიდან შეიშალა, ხოლო საბრალო უილკოქსს ჯოჯოხეთური სიზმრების ნახვის შემდეგ ცხელება დაეწყო? კერპთა ნამდვილმა სხეულმა, მწვანე ფერის არსებამ გამოიღვიძა, რათა მოეთხოვა ის, რაც მას ეკუთვნოდა. ვარსკლავები სწორად განლაგდნენ და რისი განზრახ განხორციელებაც ვერ შეძლო უძველესმა კულტმა, შემთხვევით გააკეთა უდანაშაულო მეზღვაურთა ჯგუფმა. ვიგინტილიონი წლის შემდეგ დიადი ქთულჰუ განთავისუფლდა და სიამოვნების მისაღებად ნადირობას შეუდგა.

სანამ ვინმე განძრევას მოასწრებდა, სქელმა ბრჭყალებმა სამი ადამიანი სიცოცხლეს გამოასალმა. ღმერთმა განსასვენებელი დაუძკვიდროს მათ, თუკი ამ სამყაროში სადმე კიდევ არსებობს განსასვენებელი. მათ დონოვანი, გუერერა და ანგსტრომი ერქვათ. სანამ დანარჩენი სამი მეზღვაური თავქუდმოგლეჯილი გარბოდა სიძველისაგან გამწვანებული ქვებზე და ნავამდე მიღწევას ცდილობდა, პარკერს ფეხი დაუცდა. იოჰანსენი იფიცება, რომ იგი უცნაური ნაგებობის იმ კუთხემ შთანთქა, რომელიც წესით იქ არ უნდა ყოფილიყო - მახვილი კუთხე ბლაგვი კუთხის თვისებებით. ნავამდე მხოლოდ ბრაიდენმა და იოჰანსენმა მიაღწიეს და სასოწარკვეთილი გაშმაგებით შეაცურეს „ალერტი“ ზღვაში, სანამ მთასავით ურჩხული შლამიან ქვებზე ჩამოვიდა და ზღვის კიდეზე ყოყმანით შედგა.

მიუხედავად იმისა, რომ იახტას ეკიპაჟი პრაქტიკულად აღარ ჰყავდა, თბომავალში ძრავა ბოლომ-

დე არ დადუმებულიყო, ამიტომ ძრავსა და საჭეს შორის რამდენიმე წამი თავგამეტებით სირბილის შემდეგ ნავმა მოძრაობა დაიწყო. თავზარდამცემი კომპარტო დამახინჯებულ ამ წარმოუდგენელ გარემოცვაში იახტამ აუჩქარებლად გაკვეთა სასიკვდილო წყლები. არამიწიერი წარმოშობის კუნძულ-სამარხზე ვარსკლავებიდან მოსული ტიტანური არსება პირზე დუჟმოდგარი იღვა და რაღაცას ბურტყუნებდა ციკლოპი პოლიფემეს მსგავსად, მისგან გაქცეულ ოდისევს რომ წყევლიდა. შემდეგ, დიადი ქთულჰუ, რომელიც ლეგენდარულ ციკლოპებს სიმამაცით ბევრად აღემატებოდა, წყალში შესრიალდა და ნავს დაედევნა. მისი კოსმიური ძალის დარტყმების წყალობით ზღვის ზედაპირზე უშველებელი ტალღები წამოიძარბა. ბრაიდენმა უკან მიიხედა და მამინვე ჭკუიდან შეიშალა. გამკივანი სიცილი, რომელიც მას აუვარდა, მოკლე ინტერვალებით მეორდებოდა მანამ, სანამ საბოლოოდ, ერთ ღამეს, კაიუტაში მიკუნტული სიკვდილმა არ შეებრალა, როდესაც ჭკუიდან შემლილი იოჰანსენი ბოღვით დახეტიალობდა გემბანზე.

მაგრამ იოჰანსენი არ დანებდა. მან იცოდა, რომ სანამ „ალერტი“ ძრავას სრული სიმძლავრით არ აამუშავებდა, არსება ადვილად შეძლებდა მის განადგურებას, ამიტომ სასოწარკვეთილმა თავგანწირულ გემმას მიმართა - ძრავა ყველაზე მაღალ ნიშნულზე დააყენა, შემდეგ ელვის სისწრაფით აიჭრა გემბანზე და საჭე დაატრიალა. ავისმოსურნე, მარილიან ზღვაში გრივალისებრი შემობრუნების შემდეგ ორთქლი სულ უფრო სწრაფად მიერეკებოდა იახტას და მამაცმა ნორვეგიელმა იგი პირდაპირ ნავს ადევნებული ყელესმაგვარი არსებისკენ მიმართა, ბინძურ ქაფზე დემონური გალეონივით რომ წამომართულიყო. დაკლაკნილსაცეცებიანმა, რვაფუნას მსგავსმა თავმა შეუპოვარი იახტის ბუშპრიტთან ამოყვინთა, მაგრამ იოჰანსენი დაუღალავად აგრძელებდა ცურვას. უეცრად ხომალდი ისე შეტორტმანდა, თითქოს უზარმაზრი მზის თევზი გასკდა და მისი შიგნეულობის ნესტიანი, საზიზღარი სუნი დატრიალდა, ხოლო ხმის აღწერას კი ვერცერთი მემატთანე ვერ მოახერხებდა. ერთი წამით ხომალდი დამაბრმავებელ, მწველ ღრუბელში გაეხვია და და მხოლოდ ის ჩანდა, როგორ ადუღდა კიჩოს უკან მოწამლული წყალი. შემდეგ კი - ღმერთო დიდებულო! - ვარსკლავური არსების მიმოფანტულმა, ელასტიურმა ნავლეჯებმა რაღაც უცნობი ძალის მოქმედებით თავის თავდაპირვანდელ, საზარელ ფორმად აღდგენა დაიწყო. გემთან დაშორება ყოველწამიერად იზრდებოდა, რადგან "ალერტი" სულ უფრო და უფრო მეტად კრეფდა სინქარეს.

ყველაფერი ამით დასრულდა. იოჰანსენს მხოლოდ ისღა შეეძლო, კაიუტაში ნაპოვნი კერპი დაეთვალიერებინა და დროდადრო მწირი საკვები მოემზადებინა თავისთვის და მის გვერდზე მყოფი ახარხარებული, შეშლილი მეზღვაურისათვის. იგი გემის მართვას აღარ ცდილობდა, ვინაიდან თავზეხელაღებული ბრძოლის შემდეგ მეზღვაურის სულიდან თითქოს რაღაც ნაწილი დაიკარგა. შემდეგ 2 აპრილის შტორმი მოხდა და იოჰანსენის გონებასაც ღრუბლები გადაეფარა. მეზღვაური მოიცვა სპექტრალური ტრიალის შეგრძნებამ, რომლითაც იგი უსასრულობის თხევად ყურეებში დაინთქა. იოჰანსენი გრძნობდა კომეტის კულზე მყოფის თავბრუდამხვევ ქროლვას დაგრაგილ სამყაროებში და ისტერიულ ჩაძვირვებს უფსკრულიდან მთვარისაკენ, შემდეგ კი ისევ უკან, მთვარიდან უფსკრულში. თითოეულ ხილვას ბილწი, ხმაურიანი უძველესი ღმერთებისა და ტარტაროზის მწვანე, ღამურისფრთიანი ჯუჯების ყურიწამლები ქორო მატებდა სიცხადეს.

ხილვებიდან ხსნა გამოჩნდა – ეს იყო „ვიჯილანტი“, მას კი მოჰყვა ვიცე-სადმირალოს სასამართლო, ღუნედინის ქუჩები, ხანგრძლივი მგზავრობა ეგებერგის ძველ სახლში დასაბრუნებლად... იოჰანსენს არ შეეძლო ყველაფერი მოეყოლა, ყველა გიჟად შერაცხავდა, ამიტომ სიკვდილის წინ ისტორია ფურცელზე გადაიტანა. მის ცოლს არაფერი უნდა გაეგო. იოჰანსენი სიკვდილს ისე ელოდა, როგორც შეებას, რამეთუ მხოლოდ სიკვდილს შეეშლო მოგონებებისგან მისი დახსნა.

მანუსკრიპტი წავიკითხე და თუნუქის ყუთში ჩავდე ბარელიეფთან და პროფესორი ეინჯელის დოკუმენტებთან ერთად. იქ მოთავსდება ჩემი ჩანაწერებიც - ჩემი გონებრივი სიჯანსაღის გამოცდა, ერთად რომ კრავს

იმ ნამსხვრევებს, რომელთა გაერთიანებასაც, იმედი მაქვს, ვეღარავინ მოახერხებს. სამყაროსეული შიმის საუფლოს თვალი შევაგლე და ამის შემდეგ თვით გაზაფხულის ცა და ზაფხულის ყვავილებიც კი ჩემთვის საწამლაფია. თუმცა მეექვსეა ჩემი სიცოცხლე ღიბანს გაგრძელდეს. მსგავსად ბიძაჩემის და საბრალო იოჰანსენის გამგზავრებისა, წავალ მეც. მეტისმეტად ბევრი ვიცი, კულტი კი კვლავაც არსებობს.

მიმაჩნია, რომ ქთულჰუ ისევ ცოცხალია, იქ, ქვის უფსკრულში, რომელიც ჯერ კიდევ მზის ახალგაზრდობის დროიდან იფარავდა. მისი წყვეული ქალაქი კვლავ ზღვის ფსკერზე დაემუა, ვინაიდან „ვიჯილანტი“ აპრილის შტორმის შემდეგ იმ ადგილთან ახლოს გაიარა. მაგრამ დედამიწის ზურგზე, მიგრუბულ ადგილებში კულტისტები კვლაც გრგვინავენ, სარიტუალო ცეკვებში როკავენ და მსხვერპლს სწირავენ მონოლითზე აღმართულ კერპს. როგორც ჩანს, „ის“ კვლავაც ხაფანგში გაება წყვილიადით მოცულ უფსკრულში, რადგან, სხვა შემთხვევაში, სამყარო შიმისა და გააფთრებისგან აკივლდებოდა. ვინ უწყის დასასრული? რაც წამოიმართა, შეიძლება დაინთქას, ჩაძირული კი კვლავ აღზევდეს. სიღრმეებში საშინელება თვლემს და თავის დროს უცდის. ხრწნა ვრცელდება კაცობრიობის მოტორტმანე ქალაქებში. დადგება ჟამი... მაგრამ ამაზე ფიქრი არ ძალმიძს. ამაზე ფიქრიც კი არ შეიძლება. მხოლოდ იმისთვის ვლოცულობ, რომ თუ ამ ხელნაწერის დასრულებამდე ცოცხალი ვერ მივალწევ, ჩემი ანდერძის აღმასრულებლები კეთილგონიერებას გამოიჩინენ და იზრუნებენ, რომ ეს მანუსკრიპტი ვეღარასდროს იხილონ ადამიანის თვალებმა.

თარგმნა გიორგი ხარაიშვილმა

გიორგი (ხარა, ხარაბორნ) ხარაიშვილი – მინიბიოგრაფია მისაგმ პირში



უკანასკნელი ერთი წელია, დაკავებულია მოკლე მოთხრობების თარგმნით. მოსწონს ლავკრაფტის თარგმნა, რომელსაც ერთ-ერთ უდიდეს მწერლად მიიჩნევს და უმობლად გმობს იმ სამყაროს, რომელშიც ლავკრაფტი ყოველგვარი აღიარების გარეშე, ნახევრად მშიერი გარდაიცვალა. დღეს მოქმედი მწერლებიდან რეკომენდაციას უწევს ანჯეი საპკოუს კის და ჯო აბურკომბის. რეკომენდაციას არ უწევს „თინეიჯერულ ფუნგების“ და ჯანდაბაში გასაგზავნად ემეგება სტეფანი მეიერი, სიუზენ კოლინზი, ჯეიმს დაშნერი, რიკ რიორდანი და ა.შ.

თარგმნის, რეკომენდაციას გაწევისა და სამყაროს დაგმობის გარდა, გიორგი ხარაიშვილი მუშაობს იურისგად და სწავლობს სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე უყვარს

დრაკონები, *Melodic Death Metal*, შაურმა და ქალაქში ველოსიპედით სიარული. განსაკუთრებით მაშინ როდესაც ველოსიპედს არაფერი სჭირს ყმაწვილკაცობაში უკრავდა ღრამზე. მაგრამ ცხოვრება სასიკეთოა და ამჟამად, უბედობისა და უღრამობის გამო, ვეღარ უკრავს. ეშინია სიმაღლისა და პაგარა ბავშვების.

გარდა ამისა, ხარაიშვილი დაინტერესებულია ინტელექტუალური თამაშებით, სამაგიერო თამაშებითა და კომპიუტერული თამაშებით. მოგვდად, შეუძლებელია, ხაზი არ გაესვას თამაშების მრავალფეროვან როლს მის ცხოვრებაში.

ძირითად დროს აგარებს მშობლიურ, ქარიშხლიან ღიბ ღიბოში, ნიუ ვიქენ უნივერსიტეტში, ფეისბუქსა და დებრესიაში.



ჰოვარდ ლავკრაფტი ავბედითი მღვდელმსახური

სხვენზე ინტელიგენტური გამომეტყველების მაკაცმა ამიყვანა, რომელსაც სადაღ ეცვა და ჭალარა წვერი ჰქონდა. ასე მითხრა:

– დიახ, ის აქ ცხოვრობდა, თუმცა ჩემი რჩევაა, ხელი არაფერს ახლოთ. ცნობისმოყვარეობა შეიძლება ძვირად დაგიჯდეთ. აქ ღამით არასოდეს მოვდივართ და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მან ასე ინება. და ჩვენ მის სურვილს ვითვალისწინებთ. მოგესვენებათ, რითი იყო იგი დაკავებული. ეს უმსგავსო საზოგადოება ბოლოსდაბოლოს ჩაერია ამ ყველაფერში და ახლა ჩვენ არ ვიცით, სადაა იგი დამარხული. არ არსებობს არანაირი გზა – არც კანონიერი და არც სხვა, რომელმაც ამ საზოგადოებაზე გავლენა შეიძლება მოახდინოს.

ვიმედოვნებ, რომ აქედან წახვალთ, სანამ ჩამობნელდება. და უმორჩილესად გთხოვთ, ამ საგანს მაგიდაზე, ასანთის კოლოფს რომ წააგავს, ხელი არ მოჰკიდოთ. არ ვიცით, რა არის ეს, მაგრამ ვეჭვობთ, რომ იგი მას თავის საქმიანობაში იყენებდა. ჩვენ იმასაც კი ვერიდებით, თვალი რომ გავუსწოროთ“.

გარკვეული დროის შემდეგ კაცმა სხვენზე მარტო დამტოვა. სხვენი მრუმე იყო და მტკრიანი, ერთობ

მწირად გაწყობილი, თუმცა აკურატული წესრიგი მიანიშნებდა, რომ ეს ხარახურის საწყობი არ გახლდათ. თაროები თეოლოგიური და კლასიკური ლიტერატურით იყო სავსე, ხოლო წიგნის კარადაში შემდეგ ავტორთა მაგიური ტრაქტატები ინახებოდა: პარაცელსიუსის, ალბერტ ლიდის, ტრიტიემიუსის, ჰერმეს ტრისმეგისტის, ბორელიუსის და რამდენიმე, უცნობი ანბანით დაწერილი ხელნაწერი, რომელთა სათაურების გარჩევა ვერ შევძელი. ავეჯი მეტად სადა გახლდათ. ოთახში ერთადერთი კარი იყო, რომლის მიღმა საკუჭნაო გახლდათ. სხვენზე მხოლოდ ერთი ასასვლელი არსებობდა, იატაკში გაკეთებული ხვრელი, რომელთანაც ნახევრად დამპალ, ციცაბო საფეხურებიან კიბეს მიყავდი. ოვალური სარკმლები და მუხის კოჭები სახლის წარმოუდგენელ სიძველეზე მეტყველებდა. თავისუფლად შეგვეძლო გვეთქვა, რომ სახლი ძველ სამყაროში მდებარეობდა. თითქოს ვიცოდი, სადაც ვიყავი, არადა, განსენება მიჭირდა. ეჭვგარეშეა, ეს ლონდონი არ გახლდათ. ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ პატარა საზღვაო პორტი უნდა ყოფილიყო.

მომცრო საგანი მაგიდაზე ძლიერ მიზიდავდა.

თითქოსდა ვიცოდი, როგორ უნდა გამომეყენებინა, ამიტომ ჯიბიდან ფარანი – ან რალაც, მისი მსგავსი – ამოვიღე და ნერვიულად ვცადე ჩართვა. ფარანი თეთრი შუქის ნაცვლად, იისფრად ანათებდა. გეგონებოდა, ჩვეულებრივი შუქი კი არ იყო, არამედ რადიოაქტიური გამოსხივება. გამახსენდა, რომ ის არც არასოდეს მიმანდა უბრალო ელექტროფარნად – მართლაც, ჩვეულებრივი ფარანი მეორე ჯიბეში მქონდა.

ბინდებოდა, სხვენის ოვალური სარკმლიდან გავიხედე, ძველი სახურავები და სამრეკლოები ავისმომასწავებელ იერს იღებდა. ბოლოს და ბოლოს, გამბედაობა მოვიკრიბე და ის მომცრო, ასანთის კოლოფის მსგავსი საგანი ავიღე და წიგნის მოპირდაპირე მხარეს დავე. შემდეგ იისფერი შუქი დავასხივე. სხივი სეტყვის თუ პაწაწინა იისფერი ნაწილაკების ნაკადს უფრო მიაგავდა, ვიდრე იისფერ ნათებას. როგორც კი ნაწილაკებმა ამ უცნაური საგნის მინის ზედაპირის ცენტრს მიაღწიეს, გაისმა შიშინი, რომელიც მიაგავდა ხმას, რომელსაც ვაკუუმიან მილში მოძრავი ნაპერწკალი გამოსცემს ხოლმე. მინის მუქი ზედაპირი ვარდისფრად ანათებდა და ცენტრში, სავარაუდოდ, ბუნდოვანი თეთრი ფიგურა ყალიბდებოდა. მერე კი შევნიშნე, რომ ოთახში მარტო არ ვიყავი და გამოსხივების წყარო ჯიბეში ჩავიდე.

ახალმოსული დეიდა – რალაც პერიოდი საერთოდ არანაირი ხმა არ გამოიგია. ეს ყველაფერი ჩრდილოვან, დანისლულ პანტომიმას წააგავდა, შორეული მანძილიდან რომ უყურებ, კვამლის ფარდის მიღმა. მეორე მხრივ, ახალმოსული და შემდგომ შემოერთებულნი საშიშ ფორმებს იძენდნენ. თითქოს ახლოვდებოდნენ და ზომაში იზრდებოდნენ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ერთდროულად ახლოსაც იყვნენ და შორსაც. რალაც არაბუნებრივი გეომეტრიის კანონებს ემორჩილებოდნენ.

ახალმოსული გამხდარი, შავთმიანი, საშუალო სიმაღლის კაცი იყო, ანგლიკანური ეკლესიის მღვდელმსახურის შესამოსელში გახლდათ გამოწყობილი. სავარაუდოდ, ოცდაათ წელს გადაცილებული იქნებოდა. სახის მოყვითალო ფერითა და სანდომიანი ნაკვთებით გამოირჩეოდა. თუმცა კი, მეტად მაღალი შუბლი ჰქონდა. თმა კონტად შეეჭკრიჭა და დაევარცხნა, ხოლო ნიკაპს, მიუხედავად სუფთად გაპარსვისა, უკვე სილურჯე გადაჰკრავდა. უჩარჩო სათვალეს ატარებდა, ლინზებს ფოლადის სამაგრები იჭერდა. გამომეტყველებით ჩემს მიერ ნანახ მღვდელმსახურებს წააგავდა. თუმცა, მათგან განსხვავებით, დიდი და მაღალი შუბლი, გამჭოლი მზერა და პირქუში

გამომეტყველება ჰქონდა, რომლის მიღმა ბოროტება იკითხებოდა. ამასობაში, მან ნავთის ლამპა აანთო – მის მქრქალ შუქზე შევნიშნე, რომ ნერვიულობდა. სანამ ვაკვირდებოდი, უცნობმა თავისი მაგიური წიგნები სათითაოდ შეყარა ბუნარში, რომელიც ფანჯარასთან იყო მოწყობილი (სადაც კედელი მკვეთრად გახლდათ გამოწეული) და რომელიც თავიდან ვერ შევნიშნე. ცეცხლი ხარბად შთანთქავდა ძველ ტომეულებს, ისინი სხვადასხვა ფერის ალით იწვოდნენ და ერთ ალუწერელ სიმყრალეს აფრქვევდნენ ყოველ ჯერზე, როდესაც იეროგლიფებიანი ფურცლები იწვოდა, მხრჩოლავ, მომაკვდინებელ ფერფლად იქცეოდა. უეცრად დავინახე, რომ ოთახში სხვებიც იმყოფებოდნენ – სამღვდლო სამოსში გამოწყობილი სერიოზული ადამიანები, რომელთაგან ერთ-ერთი ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ არაფერი მესმოდა, მივხვდი, პირველად მოსულის მიმართ მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღეს. მეჩვენებოდა, რომ მღვდელმსახურებს ერთდროულად სძულდათ და ეშინოდათ მისი და ისიც, თავის მხრივ, იმავე გრძნობებით პასუხობდა. მამაკაცი მოიღუშა, შევნიშნე, ხელი აუკანკალდა, როდესაც სცადა სავარძლის სახურავს ჩაბლაუჭებოდა. ეპისკოპოსმა ცარიელ თაროებსა და ბუნარზე მიუთითა, სადაც დამწვარი წიგნის ფერფლთან ერთად ნაკვერჩხალი ინავლებოდა. პირველად მოსულმა ცალკეად გაიცინა და მაგიდაზე მყოფი მომცრო საგნისკენ მარცხენა ხელი გაიშვირა, მისი ალება მოინდომა. უმაღლ ყველა დაიზაფრა. მღვდელმსახურთა გუნდმა ოთახიდან გასვლა იწყო, იატაკში არსებული ხვრელის მეშვეობით. სანამ თვალს მოეფარებოდნენ, ტრიალდებოდნენ და ჟესტებით მუქარას გამოხატავდნენ. ყველაზე ბოლოს ოთახი ეპისკოპოსმა დატოვა.

პირველად მოსული ოთახის ბოლოს, კედელში ჩაშენებულ კარადასთან მივიდა და იქიდან თოკის ხვია გამოიღო. შემდეგ სკამზე შედგადა, თოკის ერთი ბოლო კაუჭს მიაბა, რომელიც ჭერში გადაბუღულ მუხის ცენტრალურ კოჭში გახლდათ ჩაჭედებული. მარყუჟი შეკრა. გავაცნობიერე, რომ თავის ჩამოხრჩობას აპირებდა, მისკენ გავექანე, მინდოდა გამეჩერებინა ან ბოლო წამს მაინც გადამერჩინა. მან შეშინებულა და გაჩერდა, გამარჯვებულის გამომეტყველებით გამოძხედა, რამაც დამაფიქრა და შემაშფოთა კიდევ. სკამიდან ნელ-ნელა ჩამოვიდა და ჩემსკენ მსუბუქი ნაბიჯებით დაიძრა. თხელტუჩება, ჩამუქებულ სახეზე საზარელმა, მხეცურმა ღიმილმა გადაურბინა.

სასიკვდილო საფრთხე ვიგრძენი და თავდასაცა-

ვად, როგორც იარაღი, უცნაური ფარანი მოვიმარჯვე. რატომ ვიფიქრე, რომ მას ჩემი შველა შეეძლო, ნამდვილად არ ვიცოდი. ფარანი ავანთე და სახეზე მივანათე. დავინახე, მოყვითალო სახე ჯერ იისფრად, შემდეგ კი ვარდისფრად შეეღება. სახეზე მხეცური სინარულის გამომეტყველება შეეცვალა, ახლა ის უკვე საშინელ შიშს გამოხატავდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, ტრიუმფის გამომეტყველებას როგორღაც მაინც ინარჩუნებდა. ადგილზე შედგა, მერე კი ხელების ქნევით უკან დახევა დაიწყო. დავინახე, რომ იატაკში არსებული ხვრელის კიდეც უახლოვდება. შევეცადე ყვირილით გამეფრთხილებინა, მაგრამ მან ჩემი არ ესმოდა. მომდევნო წამს ხვრელში გაუჩინარდა.

გაჭირვებით მივუახლოვდი იატაკის ღიობს, კიბეს ჩავხედე, მაგრამ დამტვრეული სხეული იატაკზე ვერ დავინახე. უეცრად ქვემოდან ადამიანთა შეძახილები მომესმა, რომლებიც სანათურებით ხელში ზევით მოემართებოდნენ. თითქოს ყველანაირი ჯადო მომეხსნა და ახლა უკვე ყველაფერი მესმოდა, ფიგურებს სამმაგ განზომილებაში აღვიქვამდი. აშკარად რალაცამ მოიყვანა აქ ეს ბრბო. იქნებ ხმაურმა, რომელიც მე ვერ გავიგე? მალე ორმა ადამიანმა (უბრალო სოფლელები იქნებოდნენ), წინ რომ მოდიოდნენ, დამინახეს და ადგილზე გაქვავდნენ. ერთ-ერთმა ხმამაღლა შეჰყვირა:

– ოოჰ!.. ისევ თქვენ ხართ, სერ? ისევ?

ყველანი შებრუნდნენ და შეშინებულნი გაიქცნენ, გარდა ერთისა: როდესაც ბრბო გაიფანტა, შევნიშნე თეთრწვერა კაცი, აქ რომ მომიყვანა. მარტო იდგა სანათურით ხელში. მის მხერაში გაცეცხა იკითხებოდა, თუმცა შეშინებული არ ჩანდა. კიბეზე ამოვიდა, ჩემს წინ დადგა და მითხრა:

– ესე იგი, თქვენ იმ საგანს მაინც შეეხეთ! ძალიან სამწუხაროა. ვიცი, აქ რაც მოხდა. ეს წინათაც მოხდა უკვე ერთხელ, მაგრამ ის კაცი შეშინდა და თავი მოიკლა. თქვენ არ უნდა მიგეცათ მისთვის საშუალება, დაბრუნებულიყო. თქვენ ხომ იცით, მას რა სურს. მაგრამ თქვენ იმ კაცივით არ უნდა შეშინდეთ. რალაც მეტად საოცარი და საზარელი მოხდა თქვენ თავს, მაგრამ ყველაფერი ისე ღრმად არ არის წასული, თქვენი გონება და პიროვნება რომ დაახიანოს. თუკი თქვენ სიმშვიდეს შეინარჩუნებთ და თქვენს ცხოვრებაში მომხდარ რადიკალურ ცვლილებას შეეგუებით, მაშინ შესძლებთ ცხოვრებით დატკბეთ და თქვენი განსწავლულობის ნაყოფით ისარგებლოთ. მაგრამ თქვენ აქ ვერ დარჩებით – და არა მგონია, ლონდონში დაბრუნება მოგიხდეთ. მე ამერიკაში გამგზავრებას გირჩევდით.

ამ საგანს ხელი აღარასოდეს ახლოთ. უკანა გზა მოჭრილია. ახალი მცდელობა მხოლოდ გააუარესებს თქვენს მდგომარეობას. თქვენ არც ისეთი საშინელება მოგივიდათ, ვიდრე შეიძლებოდა, – მაგრამ აქედან ახლავე უნდა წახვიდეთ და სხვაგან იცხოვროთ. ღმერთს მადლობა უნდა უთხრათ, უარესი რომ არ მოხდა...

შევეცდები შეგამზადოთ. თქვენს გარეგნობაში გარკვეული ცვლილებები მოხდა. იგი ყოველთვის იწვევს ამას, მაგრამ ახალ ქვეყანაში ყველაფერს შეეგუებით. ამ ოთახის ბოლოში სარკე კიდეა, ახლა ვაპირებ იქ მივიყვანოთ. ვშიშობ დაიხაფრებით, მაგრამ გარწმუნებთ, განსაკუთრებულად საზარელს ვერაფერს იხილავთ.

მომაკვდინებელი შიშისგან კანკალმა ამიტანა, წვეროსანი დამეხმარა ოთახის მეორე ბოლოში სარკესთან მივსულიყავი. მოხუცს ცალ ხელში ლამაზ ეჭირა და გზას მინათებდა (თავისი, კიდეც უფრო მქრქალი სანათური იატაკზე დადგა). აი, სარკეში რა დავინახე:

ჩემს წინ იდგა გამხდარი, შავთმიანი მამაკაცი, საშუალო სიმაღლის, ანგლიკანური ეკლესიის მღვდელმსახურის სამოსში გამოწყობილი. ოცდაათ წელზე მეტს ვერ მისცემდი. ძალზე მაღალი შუბლი ჰქონდა, უჩარხოლო, ფოლადისსამაგრიანი სათვალე ეკეთა.

ეს გახლდათ პირველად მოსული, რომელმაც წიგნები დაწვა.

მთელი ჩემი დარჩენილი ცხოვრება გარეგნულად ის კაცი უნდა ვიყო!



თარგმნა გიორგი მაჭარაშვილმა



ჰოვარდ ლავკრაფტი

უნობი მთვარის შუქზე

მორგანი მწერალი არ გახლავს; მეტიც, იგი ნორმალურადაც კი ვერ საუბრობს ინგლისურად. სწორედ ეს იწვევს ჩემს განცვიფრებას, მაგრამ დანარჩენებს ეს ფაქტი სასაცილოდაც არ ჰყოფნით.

ერთხელ საღამო ხანს, როცა ის მარტოდმარტო იყო, უეცრად რაღაცის დაწერის დაუძლეველი სურვილი დაეუფლა. მაშინვე კალამს დაავლო ხელი და წერას შეუდგა:

„ჩემი სახელია ჰოვარდ ფილიპსი. ვცხოვრობ როდ აილენდის შტატში მდებარე ქალაქ პროვიდენსში, კოლექტორის 66 ნომერში. 1927 წლის 24 ნოემბერს(არადა წარმოდგენა არ მაქვს ახლა რომელი წელია), მე ჩამეძინა და სიზმარი ვიხილე. ამის შემდეგ ვერაფრით ვერ შევძელი გაღვიძება.

ჩემი სიზმარი დაიწყო ნესტიან, ლერწმით დაფარულ, დაჭაობებულ ადგილას, რომლის ჩრდილოეთ მხარესაც რუხი შემოდგომის ცისკენ აზიდულიყო ლიქენებით დაფარული ქარაფი. უცნაური ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი ქარაფზე ავედი, იმ ადგილას, სადაც ორად იყო გაყოფილი. ყურადღება მივაქციე ბევრ საზარელ ხერელს, რომლებიც ნაპობის ორივე მხარეს მრავლად ჩანდა. სოროები მთის სიღ-

რმეში იკარგებოდა. ალაგ-ალაგ შევნიშნე, რომ ხერელები ზემოდან ჩამოცვენილ ქვებს დაეგმანათ, რაც ხელს მიშლიდა დამენახა შიგნით რა ხდებოდა. ერთ ასეთ ბნელ ადგილას გაუგებარი შიშის გრძნობა დამეუფლა. თითქოს რაღაც უხილავი და უსულო ემანაცია, ქვის უძირო ღრმულს რომ ეკუთვნოდა, ჩემთვის სულის ამორთმევას ცდილობდა. ვერ მოვახერხე დამენახა, თუ რამ შემაშინა ასე. როგორც იქნა, ხავსით დაფარულ „მოედანს“ მივალწვი, რომელიც მთვარის მკრთალი შუქით იყო განათებული (მთვარე ახალი ამოსული იყო). მიმოვიხედე, მაგრამ ირგვლივ სულიერი ვერ შევნიშნე. თუმცაღა, დარწმუნებული ვიყავი, ლერწმით დაფარულ ჭაობში რაღაც არსება მოძრაობდა. მცირე მანძილი გავიარე; რკინიგზის ჟანგიან რელსებსა და ჭიებისგან გამოხრულ ბოძებს შევეჩეხე. ბოძებზე ჯერ კიდევ შემორჩენილიყო ელექტრო სადენები. რელსებს გავუყევი და მალე დავინახე ყვითელი ვაგონი, ნომრით „1852“. ჩვეულებრივი ორმაგი ვაგონი, რომელსაც 1900-1910 წლებში ამზადებდნენ. ცარიელი იდგა, მაგრამ გასამგზავრებლად მზად იყო, რადგან ელექტრო სადენებზე მიერთებული გახლდათ. თავად ვაგონს მუხრუჭი აჩერებდა, - იატაკის

ქვეშ რალაც გუგუნებდა. ვაგონში ავედი. ჩამრთველს დაუწუყე ძებნა, მაგრამ უშედეგოდ. ყურადღება მივაქციე იმას, რომ საკონტროლო ბერკეტი არ ჩანდა, რაც მეტყველებდა, მძლოლი დროებითაა გასული. რელსების ახლოს მდებარე ჯიხურთან ჩამოვჯექი და მაშინვე ბალახის შრიალი მომესმა. ხმის გაგონებისთანავე, მთვარიანი ცის ფონზე დავინახე ორი მამაკაცის შავი სილუეტი. ისინი სარკინიგზო კომპანიის ფორმებში იყვნენ გამოწყობილი. არც კი დავეჭვებულვარ, რომ ეს მძლოლი და გამცილებელი უნდა ყოფილიყო. იმავე წამს, ერთ-ერთმა მათგანმა ჰაერი ხარბად, ხმაურით შეიყნოსა, თავი ასწია და მთვარეს შეჰყვებოდა. მეორე კი ოთხზე დამდგარი ჩემკენ გამოიქცა. წამოვხტი და თავქუდმოვლევჯილი გავიქეცი, ვირბინე მანამ, სანამ ძალა არ გამომელია. იმიტომ კი არ გავიქეცი, რომ გამცილებელი ჩემსკენ დაოთხილი გამოიქცა, არამედ იმიტომ, რომ დავინახე მძლოლის სახე -- სისხლივით წითელ საცეცხზე მიკრული თეთრი კონუსი. ვიცოდი, რომ ეს ყველაფერი სიზმარი იყო, მაგრამ თავს მაინც საშინლად ვგრძნობდი.

ამ ღამის შემდეგ ვლოცულობ, რათა გავიღვიძო, მაგრამ სულ ტყუილად.

ასე და ამგვარად მოვექეცი ჩემი საზარელი სიზმრის ტყვეობაში. ღამე ღილამ შეცვალა, მე კი კვლავ უკაცრიელ ჭაობში დავბორიალობდი. როდესაც დაღამ-

და, ისევ დავბორიალობდი და ვოცნებობდი გაღვიძებაზე.

ერთხელ, როცა ლერწამი გადავწიე, ზუსტად ჩემს წინ დავინახე გრძელი სარკინიგზო ვაგონი და იქვე კონუსის მსგავსი სახის მქონე არსება, რომელსაც თავი აეწია, უცნაურად ყმუოდა მთვარის შუქზე.

ყოველდღე ერთი და იგივე მეორდება. ღამით მე ისევ იმ საშინელ ადგილს ვუბრუნდები. ვცადე არ წავსულიყავი, შევეწინააღმდეგე, მაგრამ ჩემდა უნებურად მაინც მივდივარ იქ და ისევ მესმის საზარელი ყმუილი მთვარის შუქზე. მაშინ კი გიჟივით გავრბივარ იმ ადგილიდან.

ღმერთო, როდის გამეღვიძება?“

ეს დაწერა მორგანმა. მე წავიღოდი კოლეჯ სტრიტის 66 ნომერში, ქალაქ პროვიდენსში, მაგრამ მეშინია იმისა, რაც შეიძლება იქ ვიხილო.

თარგმნა ვიორგი მაჭარაშვილმა

მთარგმნელის შენიშვნა

მოთხრობა წარმოადგენს ლავკრაფტის პირადი წერილის ფრაგმენტს, რომელიც მან 1927 წლის 24 ნოემბერს მისწერა თავის მეგობარ ღონაღლ უანდრეის.

მეშაოზ, როგორც ღოკუმენტურ, ასევე მხატვრულ პროზაზე - მთარგმნელი გიორგი მაჭარაშვილი



დაიბადა ქალაქ თბილისში, 2000 წელს. ვარ მოსწავლე, თუმცა ამასთან ერთად ვწერ მოთხრობებს, ესეებს, ლექსებს. ასევე დაკავებული ვარ თარგმნით. ვთარგმნი ინგლისურიდან. ჩემი დებიუტი შედგა 2014 წელს, როცა რისმაგ გორდემიანმა ჩემი ნაწერი შეიგანა კრებულში („საგანმანათლებლო საქმიანობა ათონის მთაზე“). ეს გახლდათ კონკურსი 8-12 კლასის მოსწავლეთათვის, რომელიც ჩაგარდა ქართულ-ბერძნული ფესტივალის, "ოქროს საწმისის" ფარგლებში - მონაწილეს უნდა დაეწერა ნარკვევი (იყო ალგერნატიული თემები). მე ავირჩიე „საგანმანათლებლო საქმიანობა ათონის მთაზე“. დავწერე ნარკვევი, რომელიც შემდეგ წარვუღვინე ბაგ-

ონ რისმაგს (მქონდა პრემენგაცია). ამის შემდეგ კი ჩემი ნამუშევარი მოხვდა 2014 წლის საუკეთესო ნარკვევების კრებულში, რომელსაც ბაგონი რისმაგ გორდემიანი ყოველწლიურად გამოსცემს. ასევე 2015 წელს კვლავ გავხდი ქართულ-ბერძნული ფესტივალის, „ოქროს საწმისის“ გამარჯვებული და მოვხვდი კიდევ ერთ კრებულში თემით – „ანტიგონეს სახე“. ლიგერაგურის გარდა მიღწევები მაქვს სხვადასხვა საგნებში (ვარ რამდენიმე ოლიმპიადის პრიზიორი). ვმეშაობ როგორც ღოკუმენტურ, ისე მხატვრულ პროზაზე. განსაკუთრებით მიყვარს: სტივენ კინგი, რობერტ ლუის სტივენსონი, რობერტ ბლოხი და ჰოვარდ ფილიპს ლავკრაფტი.



ჰოვარდ ლავკრაფტი

ულთარის კატები

ამბობენ, რომ ქალაქ ულთარში, რომელიც მდინარე სკაის მიღმა მდებარეობს, არავის აქვს კატის მოკვლის უფლება. მეც შევეყურებ კერიის პირას მჯდარ ამ მოკრუტუნე არსებას და სრულიად ვეთანხმები კანონს, რადგან კატა იღუმალეებითაა მოცული, ის ახლოსაა იმ უცნაურ არსებებთან, რომელთა დანახვაც არ ძალგვიძის. იგი ანტიკური ეგვიპტის სული და მივიწყებული ქალაქების - მეროეს და ოფირის ისტორიების მოხრობელია, ჯუნგლების მმართველთა მოგვარე, კატა უძველესი და ავბედითი აფრიკის საიდუმლოებათა შემკვიდრეა. სფინქსი მისი ბიძაშვილია და მისავე ენაზე საუბრობს. მიუხედავად იმისა, რომ კატა სფინქსზე მსცოვანია, ისიც კი ახსოვს, რაც მას დაავიწყდა.

სანამ მოქალაქეები კატების კვლას აკრძალავდნენ, ულთარში ერთი ფერმერი სახლობდა თავის ცოლთან ერთად. ამ წყვილს უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა მეზობლების კატების დატყვევება და მოკვლა. მიზეზი

მსგავსი ქმედებისა ჩემთვის უცნობია, თუმცა ზოგიერთს ღამით კატების ხმა ზარავს და ავისმომასწავლებლად მიაჩნია შებინდებისას მათი ეზოებში მალული ნავარდი. მიუხედავად მიზეზისა, მოხუცი და მისი ცოლი სიამოვნებით იჭერდნენ და კლავდნენ ნებისმიერ კატას, რომელიც მათ კოტეჯს მიუახლოვდებოდა. ამ საზარელი სახლიდან გამოსული დამეული ხმების გამო, მრავალი მაცხოვრებელი ფიქრობდა, რომ მკვლელობის მეთოდი ერთობ უჩვეულო უნდა ყოფილიყო. თუმცა მოქალაქეები ამ თემაზე ფერმერთან და მის ცოლთან საუბარს ერიდებოდნენ; ალბათ მათი დამჭკნარი სახეების უცნაური გამომეტყველება ზარავდათ, ან კიდევ მათი კოტეჯი, რომელიც მიტოვებულ ეზოში, მუხათა ფართოდ გაშლილი ტოტების ბნელში იყო ჩამალული. ერთი სიტყვით, კატების პატრონებს იმაზე მეტად ეშინოდათ ფერმერის და მისი ცოლის, ვიდრე სძულდათ. ასე რომ მათი, როგორც სასტიკი მკვლელების დასჯის

ნაცვლად, უბრალოდ ცდილობდნენ თავიანთ საყვარელ ცხოველს გზა არ აბნეოდა და საზარელ ეზოს არ მისდგომოდა და თუ რომელიმე მანც დაიკარგებოდა და ღამით მის განწირულ ხმას გაიგებდნენ, პატრონი მხოლოდ უძწეოდ იგლოვებდა და თავს იმით დაიმშვიდებდა, რომ ბედისწერამ ასე ინება. ულთარში უბრალო ხალხი ცხოვრობდა და მათ არაფერი იცოდნენ კატების თავდაპირველი წარმოშობის შესახებ.

ერთ დღეს ულთარის ვიწრო, მოკირწყლულ ქუჩებში სამხრეთიდან უცნაური ქარავანი შემოვიდა. შავგვრემანი მოგზაურები საერთოდ არ ჰგავდნენ იმ მოხეტიალე ხალხს, რომლებიც ულთარში წელიწადში ორჯერ მოდიოდნენ. მოედანზე ისინი ვერცხლის სანაცვლოდ მკითხაობდნენ და ვაჭრებისგან ღამაზ თვლებს ყიდულობდნენ. არავინ უწყობდა, რომელ მიწას ეკუთვნოდნენ ეს მოგზაურნი. თუმცა მალევე შესამჩნევი გახდა მათი უცნაური ლოცვა და ვაგონების კედლებზე მოხატული არნახული არსებების ფიგურები - ადამიანის სხეულით და კატების, ქორების, ვერძების ან ლომების თავებით. ქარავნის მეთაურის თავსაბურავს ორი რქა ქონდა მათ შორის საკვირველი დისკოთი.

ამ ქარავანში ერთი მარტოხელა უდედამამო ბიჭი იყო, რომელსაც ერთადერთი ახლობელი პატარა შავი კნუტი ჰყავდა. ვაჭირებისგან დანდობას მოკლებულს, ეს პატარა, ბეწვიანი არსება ჰგვრიდა შვებას და უმსუბუქებდა ცხოვრებას. ასე რომ ბიჭი, რომელსაც მენესს ეძახდნენ, უფრო ხშირად მხიარულებით იყო მოცული, ვიდრე მწუხარებით და მის კოხტა კნუტთან ერთად თამაშობდა უცნაურად მოხატული ვაგონების გარშემო.

მოგზაურების ჩამოსვლიდან მესამე დღეს მენესმა თავის კნუტს ველარსად მიაგნო. მოედნის შუაში ხმამაღლა მტირალს კი რამდენიმე მაცხოვრებელმა მოხუცისა და მისი ცოლის შესახებ მოუყვა და თან ღამეული ხმების შესახებაც ამცნო. ამის გამგონებ ტირილი მაშინვე შეწყვიტა და მედიტაცია დაიწყო, რაც შემდგომ ლოცვაში გადაიზარდა. მენესს ხელები მზისკენ ჰქონდა მიმართული და ისეთი სიტყვებით ლოცულობდა, რომელიც ყველა მოქალაქისთვის გაუგებარი იყო; თუმცა მათ გაგება არც უცდიათ, რადგან მთელი ყურადღება ცისკენ ჰქონდათ მიპყრობილი, კონკრეტულად კი ღრუბლებისაკენ, რომლებიც თანდათანობით უცნაურ ფორმას იღებდნენ. ეს წარმოუდგენელი იყო, მაგრამ ბიჭის სიტყვებთან ერთად, ზემოთ იმ არნახული ჰიბრიდი არსებების მსგავსი ბუნდოვანი ფუგურები იკვეთებოდა, რომლებსაც რქებით გამაგრებული დისკოს გვირგვინი

ედგათ. ბუნება სავსეა მსგავსი ილუზიებით, რომლებსაც მდიდარი წარმოსახვის მქონე ადამიანების გაოცება უშუღიათ.

იმ ღამეს მოგზაურებმა ულთარი დატოვეს და ისინი აღარასდროს უნახავთ. მაცხოვრებლები საგონებელში ჩავარდნენ, როდესაც მთელ სოფელში არცერთი კატა აღარ დახვდათ. კატები ყოველი კერიიდან გაქრნენ: დიდი და პატარა, შავი თუ თეთრი, ნაცრისფერი, ზოლიანი და ყვითელი. მოხუცი კრანონი, ქალაქის მთავარი, იფიცებოდა, რომ შავგვრემანმა ხალხმა მენესის კატის მოკვლისთვის შურიძიების მიზნით ყველა კატა წაიყვანა და პატარა ბიჭს თავის ქარავნიანად წყევლიდა. თუმცა ნითმა, გამხდარმა ნოტარიუსმა, მოხუცი ფერმერი და მისი ცოლი გამოაცხადა დამნაშავეებად, რადგან მათი სიძულვილი კატებისადმი ცნობილი და უკვე საკმაოდ მოურიდებელიც კი იყო. თუმცა ვერავინ გაბედა აბედიითი წყვილისთვის შენიშვნის მიცემა მაშინაც კი, როდესაც სასტუმროს მეპატრონის პატარა ვაჟმა, ატალმა დაიფიცა, რომ შებინდებისას, ულთარის ყოველი კატა იმ წყვეულ ეზოში დაინახა, ხეების ქვეშ. მათ კოტეჯის გარშემო წრე ჰქონდათ შემორტყმული და ორ რიგად, ნელ ტემპში წინ მიიწევდნენ, თითქოს მხეცთა რაიმე უცხო რიტუალს ასრულებდნენ. მაცხოვრებლები დარწმუნებულნი არ იყვნენ შეიძლებოდა თუ არა ამ პატარა ბიჭის ნდობა და თუმცა სჯეროდეთ, რომ სავარაუდოდ წყვილმა სასიკვდილოდ მოაჯადოვა კატები, მათ მოხუცი ფერმერის შეწუხებას დალოდება არჩიეს. კითხვების დასმა უპრიანი იქნებოდა, როდესაც მას საკუთარი საზიზღარი ეზოდან გამოსულს ნახავდნენ.

ასე ფუჭი ბრაზით გადაეშვა ძილში ულთარი და როდესაც ხალხმა გაიღვიძა – შეხედეთ! ყოველი კატა თავის ჩვეულ კერიასთან დახვდათ! დიდი და პატარა, შავი თუ თეთრი, ნაცრისფერი, ზოლიანი და ყვითელი – არცერთი იყო დაკარგული. თუმცა მშვიდად მოკრუტუნე, ყოველი მათგანი საკმაოდ მოსუქებული და კმაყოფილი ჩანდა. მოქალაქეები გაოცებულნი იყვნენ და გაუთავებლად მსჯელობდნენ ამ შემთხვევაზე. მოხუცი კრანონი კვლავ ამტკიცებდა, რომ შავგვრემან ხალხს მიუძღვოდათ წვლილი მათ გაქრობაში, რადგან ფერმერისა და მისი ცოლისგან არცერთი კატა არ დაბრუნებულა ცოცხალი. თუმცა ყველა ერთხმად თანხმდებოდა იმაზე, რომ კატების გაურკვეველი მარხვა ძალიან უცნაური იყო. 2 დღის განმავლობაში არცერთ კატას პირი არ დაუკარებია ხორცისა და რძისთვის, მხოლოდ ბუნებრივად მშვიდად იყვნენ და თვლემდნენ.



მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ შეამჩნიეს მაცხოვრებლებმა, რომ საღამოთი მუხების ქვეშ კოტეჯში შუქი არ ინთებოდა. შემდეგ გამხდარმა ნითმა აღნი-

შნა, რომ მოხუცი და მისი ცოლი იმ ღამის შემდეგ არავის უნახავს, რაც კატები გაქრნენ. ერთი კვირის შემდეგ ქალაქის მთავარმა მოახერხა შიშის დაძლევა და გადაწყვიტა გაუგებრობაში გარკვეულიყო, თუმცა სიფრთხილისთვის თან მჭედელი შანგისა და ხისმჭრელი თჭულის წაყვანაც არ დაეწყებია; ხოლო როდესაც მათ სახლის კარი შეამტვრიეს, შიგნით შემდეგი სურათი დახვდათ: ორი სრულად მოსუფთავებული ჩონჩხი იატაკზე და რამდენიმე ეული ხოჭო ბნელ კუთხეებში.

შემდგომში, ცხადია, ულთარის მაცხოვრებლებს შორის მრავალი დისკუსია გაიმართა. ზათი, ქალაქის გამოძიებელი და გამხდარი ნოტარიუსი, ნითი, ცხარე კამათში იყვნენ ჩართულნი. კრანონი, შანგი და თჭული კი კითხვებით წააქვეს. პატარა ატალიც კი, სასტუმროს მეპატრონის შვილი, მკაცრად დაიკითხა და ჯილდოდ ტკბილეულიც მიიღო. ისინი საუბრობდნენ მოხუც ფერმერზე და მის ცოლზე, შავგვრვემანი მოგზაურების ქარავანზე, პატარა მენესზე და მის კნუტზე, მენესის ლოცვაზე და ლოცვისას ცაში გამოსახულ ფიგურებზე, ქარავნის წასვლის შემდეგ კატების ნამოქმედარზე და იმაზე, თუ რა იპოვეს ბნელი ხეების ჩრდილქვეშ, შემზარავ ეზოში მდებარე კოტეჯში.

საბოლოოდ კი მაცხოვრებლებმა ეს ჩინებული კანონი მიიღეს, რომელზეც ჰათევის ვაჭრები და ნირის მოგზაურები ჰყვებიან. კერძოდ ის, რომ ულთარში არავის აქვს უფლება მოკლას კატა.

თარგმნა სანდრო ჯაკონიამ

**სანდრო ჯაკონია, მთარგმნელი –
სამეცნიერო ფანტასტიკა ახლა აღმოვაჩინე**

მე ვარ სანდრო ჯაკონია, დავიბადე 1994 წლის 28 ნოემბერს ქალაქ თბილისში.

2013 წელს დავამთავრე თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა და იმავე წელს ჩავაბარე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში. ამჟამად ვსწავლობ მედიცინის ფაკულტეტის II კურსზე.

თავიდანვე მრავალი ჰობი მქონდა: სპორტი, ხაგვა, კომპიუტერული თამაშები, ფილმები და, რაც მთავარია კითხვა, განსაკუთრებით ფენტეზისა და ჰორორის ჟანრში, რაც შეეხება სამეცნიერო ფანტასტიკას, ის ახლახან აღმოვაჩინე და არანაკლებ დამაინტერესა, ვიდრე ბავშვობის საყვარელმა ჟანრებმა.





ჰოვარდ ლავკრაფტი

უცხო

That night the Baron dreamt of many a woe;
And all his warrior-guests, with shade and form
Of witch, and demon, and large coffin-worm,
Were long be-nightmared.

ჯონ კიტსი, „წმ. აგნესას წინა ღამე“

საბრალოა ადამიანი, რომლისთვისაც ბავშვობის მოგონებები მხოლოდ შიშითა და მწუხარებითაა აღსავსე. უბედურია იგი, ვინც აურაცხელი მარტოსული საათები გაატარა უშველებელ, ყავისფერი ფარდებით მორთულ, მიტოვებულ ოთახში, რომელიც სიგიჟედ მრავალი ანტიკური წიგნებით იყო სავსე, ან ვინც დარაჯად ედგა საზარელი ლიანებით დახუნძლულ ნისლიან ტყეს, სადაც ხეები თავიანთ დახლართულ ტოტებს ნიავთან ერთად ნელა არხევდნენ. აი, ეს ქონება მიბოძეს ღმერთებმა მე – შეცბუნებულს და იმედგაცრუებულს, უმინაარსოს და მოტეხილს; თუმცა მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ვახერხებ თავის ხელში აყვანას, განწირული ვეჭვილები ამ დამჭკნარ მოგონებებს, როდესაც ჩემი გონება იმქვეყნიურის მიღმა მიიწევს.

არაფერი ვიცი ჩემი დაბადების ადგილის შესახებ, გარდა იმისა, რომ სასახლე უსასრულოდ ძველი და საზარელია; ბნელი ბილიკებით დაქსელის უზარმაზარი ჭერი აქვს, სადაც თვალი მხოლოდ ჩრდილებს და აბლაბუდებს თუ გაარჩევს. დანგრეულ დერეფნებში ქვები მუდმივად გულისამრევად ნესტიანი მეჩვენებოდა და ეს წყეული სუნიც არ მასვენებდა, რომელიც თითქოს საუკუნეების განმავლობაში დახვავებულ მკვდარ თაობებს ასდიოდათ. სინათლე არასდროს ანათებდა, ასე რომ, ხანდახან სანთელს ვანთებდი და ხანგრძლივად ვუყურებდი დასამშვიდებლად. მზე არც გარეთ მოჩანდა, რადგან შემზარავი ხეები ჯერ კიდევ გადარჩენილ კოშკებზე ბევრად მაღლა იყვნენ აზიდულნი. უცხო ცას ტყის ზემოთ მხოლოდ ერთი შავი კოშკი სწვდებოდა, თუმცა ის ნაწილობრივ დანგრეულიყო და მასზე ასვლა, შიშველ კედელზე აცოცების გარეშე, შეუძლებელად მიმაჩნდა.

ალბათ, წლებია, რაც აქ ვცხოვრობ, თუმცა დროის განსაზღვრა არ შემიძლია. ვიდაც ალბათ ზრუნავდა ჩემზე, მაგრამ საკუთარი თავის გარდა ვერავის ვიხსენებ; ცოცხალი არაფერი მინახავს გარდა ჩუმი ვირთხების, ღამურებისა და ობობებისა. ვფიქრობ, ვინც მივლიდა წარმოუდგენლად მოხუცი უნდა ყოფილიყო, რადგან ჩემ მიერ დანახული თავდაპირველი ხატი ცოცხალი ადამიანისა თითქოს მე მგავდა, თუმცა

მრუდე, დავიწროებული და ამ სასახლესავით მიხრწნილი იყო. ჩემთვის საერთოდ არ იყო შემზარავი ის ძვლები და ჩონჩხები, რომლებითაც საძირკვლის სიღრმეში არსებული ქვის აკლამები იყვნენ გადავსებული. ამ ნარჩენებს წარმოსახვითად ვუკავშირებდი ყოველდღიურ მოვლენებს და ისინი უფრო ბუნებრივად მიმაჩნდნენ, ვიდრე ფერებით აღსავსე ცოცხალი არსებები, რომლებსაც ობმოკიდებულ წიგნებში ვნახულობდი. სწორედ ამ წიგნებიდან შევიძენე ყველაფერი, რაც ვიცო. არც ერთ მასწავლებელს არ დაუძალებია ან უსწავლებია ჩემთვის არაფერი და არასდროს გამიგია ადამიანის ხმა, საკუთარიც კი. მიუხედავად იმისა, რომ ვკითხულობდი, რაიმეს ხმამაღლა წარმოთქმა არასდროს მიცდია. ჩემი აღნაგობის შესახებაც არანაირი წარმოდგენა არ გამაჩნდა, რადგან სასახლეში სარკეები არ იყო. მე მხოლოდ ინსტინქტურად შეძემლო საკუთარი თავი იმ ახალგაზრდა ფიგურებთან დამეკავშირებინა, რომლებიც წიგნში დაეხატათ. ახალგაზრდად კი იმიტომ მიმაჩნდა თავი, რომ ჩემს ცნობიერებაში მხოლოდ მცირედი მახსოვრობა არსებობდა.

გარეთ, მყარლი თხრილის გაყოლებაზე და ბნელი მუნჯი ხეების ქვეშ, ხშირად წამოვწვებოდი და საათობით ვოცნებობდი წიგნებში ამოკითხულზე. საკუთარ თავს უსასრულო ტყის მიღმა მზიან სამყაროში წარმოვიდგენდი, მხიარულ ბრბოსთან ერთად. ერთხელ ტყით ვცადე თავის დაღწევა, თუმცა როგორც კი სასახლეს გავცდი, ჩრდილები უფრო გამუქდნენ და შიშმა შემიპრყრო, ასე რომ თავქუდმოვგლეჯილი გამოვიქეცი უკან, რათა ამ აუტანელ ღუმიღლის ლაბირინთში არ დაგვარგულიყავი.

ასე ვოცნებობდი დიდხანს და ველოდი, ოღონდ რას – თვითონაც არ ვიცოდი. ერთხელაც, ამ ბნელ მარტობაში ჩემი სინათლისადმი წყურვილი იმდენად ძლიერი გახდა, რომ მოსვენება დავკარგე და იმ შავ კოშკს მივადექი, რომელიც ტყის ზემოთ უცხო ცას სწვდებოდა. საბოლოოდ გავებედე და მიუხედავად იმისა რომ ჩამოვარდნის საშიშროება გააზრებული მქონდა, აძრომა გადავწყვიტე. მიჯობდა ერთხელ მენახა ცა და გაემქრალიყავი, ვიდრე დღის სინათლის უნახავად მეცოცხლა.

ნესტიან ბინდში დავიწყე გაცვეთილ და ძველ კიბეებზე ასვლა, სანამ იმ სართულს არ მივადექი, სადაც ისინი წყდებოდნენ. ამის შემდეგ კი განწირული ვეჭიდებოდი სახიფათო ქვის საბჯენებს და მალლა მივიწვედი. შემადრწუნებელი და საზარელი იყო მკვდარი, უკიბო ქვის ცილინდრი; შავი, დანგრეული და მიტოვებული, ავისმომასწავლებელი და-

მურებით სავსე, რომელთა ფრთებიც ხმას არ გამოსცემდნენ. თუმცა ჩემი აღმასვლის ტემპი უფრო შემადრწუნებელი და საზარელი იყო, რადგან რამდენიც არ უნდა მეცოცა, ზემოთ წყვდიადი არ ვიწროვდებოდა და ახალმა ძრწოლამაც ამიჭანა, თითქოს დაწყვეტილი ობიანი კედლები მესხმოდნენ თავს. კანკალით მივიწვედი ზემოთ და მიკვირდა, სინათლეს რატომ ვერ ვხედავდი, ქვემოთ ჩახედევა კი ვერ გამებედა. ვვარაუდობდი, რომ ალბათ დაღამდა და ამოდ ვეჭიდებოდი თავისუფალი ხელით სათოფურს, რათა გარეთ გამებედა და სიმაღლე გამომეთვალა.

მოულოდნელად, ამ საზარელი ხრამის ზემოთ უსასრულო ბრმა ცოცვის შემდეგ, ჩემი თავი რაღაც მყარს შეეხო. მივხვდი რომ ჭერს, ან რაიმე სართულს მაინც მივადწვიე. სიბნელეში ავწვიე ერთი ხელი და ბარიერი შევამოწმე, რომელიც უძრავი ქვის იყო. საბოლოოდ რაღაც ფილას მივაგენი, რომელიც დაიდრა და მთელი ძალით მივაწვიე თავით ისე, რომ ორივე ხელის ასაცოცებლად ვიყენებდი. ზემოთ სინათლე არ დამხვდა და მივხვდი, რომ ჩემი ცოცვა არ დამთავრებულიყო. ფილა უბრალოდ ერთ-ერთ ზედა სართულზე ასასვლელი ღრიჭო აღმოჩნდა, სადაც ალბათ ფართო ობსერვატორია მდებარეობდა. შევეცადე ქვა ისევ ქვემოთ არ ჩავარდნილიყო და ჩასასვლელი არ დაეკეტა, თუმცა ამოდ. ღონეგამოცლილი ვეგდე იატაკზე და მესმოდა მისი დაცემის ექო, მაგრამ ვიმედოვნებდი, რომ საჭიროების შემთხვევაში ისევ გავაღებდი.

რწმენით, რომ უკვე გასაოცარ სიმაღლეზე, წყეული ხის ტოტებს გამცდარი ვიყავი, იატაკიდან ავიწვიე და ფანჯრების ძიება დავიწყე, რათა ცისთვის შემებედა და ის მთვარე და ვარსკვლავები მენახა, რომელთა შესახებაც ამდენი წამეკითხა. თუმცა კვლავ იმედგაცუება განვიცადე, რადგან ერთადერთი რაც ვიპოვე, უშველებელი მარმარილოს თაროები იყო, რომლებზეც საძულველი, არანორმალური ზომის ყუთები ეწყო. უფრო და უფრო მეტს ვფიქრობდი თუ რა შემზარავ საიდუმლოებებს ინახავდა ეს სასახლეს მრავალი წლის განმავლობაში მოწყვეტილი სართული. შემდეგ მოულოდნელად ჩემი ხელები კარის ზღურბლს შეეხო. იგი ქვის კარიბჭეს ეკუთვნოდა, რომელიც უცნაური ორნამენტებით გაუხეშებული იყო. შეღება ვცადე, მაგრამ დაკეტილი აღმოჩნდა. თუმცა ძალის არანორმალური მოჭარბებით ყველა დაბრკოლება გადავლახე და კარი შიგნით შევადე. სწორედ ამ მომენტში შევიგრძენი არნახული, წმინდა ნეტარება, რადგან რკინის მორთული ცხაურის ზემოთ და მოკლე კიბეების გასწვრივ სავსე მთვარე

ანათება, რომელიც ადრე არსად მენახა, გარდა სიზმრებისა და ბუნდოვანი ხილვებისა, რომელთაც მოგონებებსაც კი ვერ ვუწოდებ,

იმ იმედით, რომ სასახლის უმაღლეს მწვერვალს მივალწიე, კარის მიღმა კიბეებს გაუყევი, მაგრამ მთვარეს უეცრად ღრუბელი აეფარა და წავბორძიკდი. ხელის ცეცებით გავაგრძელე ბნელში გზა და მალე გისოსებს მივადექი. მოვსინჯე და ღია აღმოჩნდა, მაგრამ ამ უზარმაზარი სიმაღლიდან გადავარდნის შიშით გაღება ვერ გავებდე. ამ დროს მთვარემ გამოანათა.

ყველაზე შემადრწუნებელი შოკი ყოველთვის სიღრმისეულად წარმოუდგენელი და დაუჯერებელია. ჩემ მიერ განცდილი არცერთი ძრწოლა არ შეედრებოდა იმ საშინელებას, რაც თვალწინ მედგა; იმ უცნაურ სასწაულს რასაც თვალწინ გადაშლილი ხელი მთავაზობდა. საკუთრივ ხელი კი ისეთივე მარტივი იყო, როგორც განმაცვიფრებელი, რადგან მხოლოდ შემდეგს მოიცავდა: დიდებული მწვერვალთან დანახული თავბრუდამხვევი ხის კენწეროების ნაცვლად, ჩემს გარშემო გისოსების დონეზე გადაჭიმული იყო არც მეტი არც ნაკლები მყარი მიწა, რომელიც მარმარილოს ლოდებითა და სვეტებით იყო დაფარული, ხოლო ზემოდან უძველესი ქვის ტაძარი დაჰყურებდა, რომლის დანგრეული მწვერვალი არაამქვეყნიურად ირეკლავდა მთვარის შუქს. თითქმის უგონოდ გამოვადე გისოსები და თეთრი სრეშით მოფენილ ბილიკზე გამოვბარბაცდი, რომელიც ორი მიმართულებით გრძელდებოდა. ჩემი ცნობიერება თუმცა დაბინდული და ქაოსით მოცული იყო, კვლავ სინათლისკენ მიისწრაფოდა და ის სასწაულიც კი, რისი მომსწრეც გახვდით, ჩემს აღბურღულ გეზს ვერ ცვლიდა. არც ვიცოდი და არც მაინტერესებდა ჩემი თავგადასავალი სიგიჟე იყო, სიზმარი თუ მაგია, მაგრამ მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, რომ ბრწყინვალეებისა და მხიარულებისთვის ნებისმიერ ფასად შემეველო თვალი. არ ვიცოდი ვინ ან რა ვიყავი, ან ეს არემარე რას წარმოადგენდა, თუმცა ჩემი კოჭლობით ხეტიალის განმავლობაში არანაირი შემზარავი მოგონება არ მახსოვს, რამაც ჩემი წინვლა შეაყოვნა. ლოდებისა და სვეტების არეს თალის ქვეშ გავლით დავალწიე თავი და სხვა გარემოში შევდგი ფეხი. ბილიკს მივყვებოდი, თუმცა ხანდახან გვერდზეც გავუხვევდი მდელოების გასწვრივ, სადაც მხოლოდ ძველისძველი ნანგრევები თუ მიმანიშნებდა გზის არსებობაზე. ერთხელ მდინარეც კი გადავიარე, სადაც დანგრეული, ხავსით დაფარული აგურების წყობა თითქოს დიდი ხნის წინ გამქრალ ხიდზე მო-

მითხრობდა.

დაახლოებით ორი საათი უნდა გასულიყო, სანამ იმას მივალწიე, რაც ჩემს მიზანს ძალიან ჰგავდა - სქელი ხეებით გარშემორტყმული დარბაისლური სასახლე; გამაგიჟებლად ნაცნობი და ამავედროულად სიუცხოვით აღსავსე. შევამჩნიე, რომ თხრილი ამოვსებული იყო და რამდენიმე კოშკიც სიძველისგან ინგროდა, მაშინ როდესაც ახლად აშენებული რამდენიმე ფრთა დამახვევლად გამოიყურებოდა, მაგრამ რასაც მთელი ინტერესითა და აღტაცებით ვაკვირდებოდი, იყო თვალისმომჭრელი სინათლით გაბრწყინებული ღია ფანჯრები, საიდანაც მხიარული ღრეობის ხმა გამოდიოდა. ერთ-ერთს მივუახლოვდი და შევიხედე, რათა შიგნით უცნაურად ჩაცმული ხალხი დამენახა, რომლებიც ერთობოდნენ და ერთმანეთს მხიარულად ესაუბრებოდნენ. აქამდე არასდროს გამეგონა ადამიანის ხმა და მხოლოდ ბუნდოვნად ვხვდებოდი მათ ნასაუბრევს. რამდენიმე სახის გამომეტყველებამ გასაოცრად შორეული მოგონებები ამომიტივტივა, მაშინ როდესაც სხვები აბსოლუტურად უცნობი იყვნენ.

დაბალი ფანჯრიდან ბრწყინვალედ განათებულ ოთახში შევაბიჯე და ამ ნაბიჯთან ერთად ჩემი ერთადერთი იმედის ნაპერწკალი ყველაზე ბნელ, სულისშემძვრელ სასოწარკვეთად იქცა. კოშმარი უეცრად დადგა; ზღურბლს ოდნავ გადავაბიჯე თუ არა, მთელ საზოგადოებას შემზარავი შიში დაუეფლათ, სახეები დაუმახინჯდათ და ყელთან საშინელი კივილი ამოუშვეს. ერთბაშად ყველანი გაიქცნენ, ამ აურზაურსა და პანიკაში ზოგიერთს გული წაუვიდა და თავიანთმა ლტოლვილმა მეგობრებმა წაათრიეს. ბევრი თვალზე ხელს იფარებდა და უხერხულად გარბოდა, ავეჯს აყირავებდა და კედლებს ეჯახებოდა, სანამ მრავალი კარებიდან რომელიმეს მიაღწევდა.

კივილი შემადრწუნებელი იყო. ვიდექი ბრწყინვალე ოთახში მარტოსული და განცვიფრებული, ვუსმენდი მათ წარმავალ ექოებს და კკანკალებდი იმაზე ფიქრით, თუ რა იმალებოდა ჩემს ახლოს ასე უხილავად. ერთი შეხედვით ოთახი ცარიელი ჩანდა, თუმცა როდესაც ერთ-ერთ ნიშას მივუახლოვდი, თითქოს ვიდაც შევნიშნე; ოქროს ჩარჩოიანი კარის მიღმა, რომელიც სხვა, საკმაოდ მსგავს ოთახში გადიოდა, რაღაც შეირხა. რაც უფრო ვუახლოვდებოდი, ჩარჩოს მით უფრო კარგად ვარჩევდი ფიგურას და უეცრად ცხოვრებაში პირველი და უკანასკნელი ხმა აღმომხდა - რაღაც კივილის მსგავსი, რომელმაც ისევე შემძრა, როგორც მისმა გამომწვევმა დამლუპველმა მიზეზმა - სრული სიცხადით დავინახე

მიუწვდომელი, ენითალუწერელი და უხსნებელი მონსტრი, რომელმაც თავისი გარეგნობით მხიარული საზოგადოება შეშლილ ლტოლვილებად აქცია.

მიახლოებითაც კი არ ძალშიძს მისი აღწერა, იგი იყო ნაზავი ყველაფერი ბინძურის, უცნაურის, მიუღებლის, არანორმალურისა და საძულველის. ხრწნის, სიძველისა და განადგურების საზიზღარი აჩრდილი, დამპალი ლანდი, ის ფენა, რომელსაც დედამიწა ყოველთვის უნდა ფარავდეს. ღმერთია მოწმე, რომ ის ამ სამყაროს არ ან აღარ ეკუთვნოდა – თუმცა ჩემი ძრწოლის ფონზე, მისი შეჭმული და გაძვალტყავებული კონტურების მიღმა, ადამიანის აღნაგობასთან მსგავსებას ვხედავდი და თავის ობმოკიდებულ, დაქუცმაცებულ ტანისამოსში უფრო მეტად მზარავდა.

თითქმის პარალიზებული, უბადრუკად ვცდილობდი გაქცევას. ვერც წაბორძიკებამ დამიხსნა იმ ჯადოსგან, რომლითაც უსახელო და უხმო მონსტრს ვყავდი დატყვევებული. ჩემი თვალები მათში მომზირალმა ორმა შუშის სფერომ ისე მონუსხა, რომ დახუჭვაზე უარს აცხადებდნენ, მაგრამ ღმობიერად დაბინდულნი, თავდაპირველი შოკის შემდეგ ამ საზარელ არსებას მხოლოდ ბუნდოვნად მიჩვენებდნენ. ხელის აწევა ვცადე, რათა ხელი დამეჩრდილა, მაგრამ მკლავი დამბლადაცემულივით აღარ მემორჩილებოდა; თუმცა მხოლოდ მცდელობაც კი საკმარისი აღმოჩნდა წონასწორობის დასაკარგად... წინ რამდენიმე ნაბიჯით წავბარბაცდი, რათა არ წავქცეულიყავი, რის შედეგადაც მოულოდნელად და შემზარავად გავაცნობიერე იმ საძაგელი არსების სიახლოვე, რომლის შემადრწუნებელი სუნთქვა უკვე ყურში ჩამესმოდა. თითქმის ჭკუიდან გადასულმა ამ გულისამრევი მოჩვენების თავიდან მოსაცილებლად ხელი გავიქნიე და სწორედ ამ არაამქვეყნიურ და ჯოჯოხეთურ, გამანადგურებელ წამში ჩემი თითები ოქროს ჩარჩოს ქვეშ მდგომი მოსტრის წინ გამოწვდილ, მიხრწნილ თათს შეეხნენ.

არ მიკვილია, მაგრამ ჩემს ნაცვლად დამეუღ ქარში მოფარფატე ეშმაკეულნი კიოდნენ, რადგან სწორედ იმ წამს, ჩემს ცნობიერებაში სულისშემძვრელი მოგონება ზვაკივით ჩამოწვა. იმ წამსვე მიეხვდი ყველაფერს. მომაგონდა საზარელი ციხესიმაგრე ხეების მიღმა და ეს გადაკეთებული ნაგებობაც, სადაც ეხლა ვიდექი. ყველაზე საშინელი კი – ჩემ წინ დაყუდებული უწმინდური, ზიზღისმომგვრელი არსებაც ვიცანი.

უდიდესი შიშის შედეგად შავბნელი მოგონება სხვადასხვა სურათების ექოთა ქაოსში ჩაიძირა. ძილბურანში მოცვილდი ამ წყეულ ადგილს და მთვარის

შუქივით ჩუმად და მარდად გავიქეცი. როდესაც ეკლესიას და მარმარილოს სვეტებს მივაღწიე, კიბეზე ჩავედი და აღმოვაჩინე, რომ ქვის ფილის დაძვრა შეუძლებელი იყო, მაგრამ არ მწყენია, უძველესი სასახლე და ხეები მაინც მძულდა. ეხლა დამცინავ და მეგობრულ ეშმაკეულ მოჩვენებებთან ერთად დამეუღ ქარში ვფარფატებ, დღისით კი ნეფრენ-კას კატაკომბებში ვთამაშობ, რომელიც ნილოსის პირას, ჰადოთის უცნობ მინდვრებშია მიკარგული. ვიცი, რომ



სინათლე ჩემთვის არ არსებობს, გარდა ნების ქვის აკლდამებზე მანათობელი მთვარის შუქისა და არც მხიარულება მეკუთვნის, გარდა დიდი პირამიდის ქვეშ უსახელო ნიტოკრის წვეულებებისა. ამ ახალ სიველურესა და თავისუფლებაში მარტობის სიმწარეს თითქმის მივესალმები.

მიუხედავად იმისა, რომ ნებნთემ დამამშვიდა, ყოველთვის მახსოვს რომ უცხო ვარ, უცნობი ამ საუკუნესა და მათთვის, ვინც ჯერ კიდევ ადამიანია. ეს იმ დროიდან მახსოვს, რაც თითები მოლოქროვილი ჩარჩოს ქვეშ მდგომი საზიზღრობისკენ გავწიე. თითები გავწიე და გლუვი შუშის ცივ, უღრეკ ზედაპირს შევეხე.

თარგმნა სანდრო ჯაკონიამ



კაშინგტონ ირპინგი

ალკამბრა ანუ ამბავი არაბი მარსკვლავთმორისხველისა

შორეულ წარსულში, ძალიან დიდი ხნის წინ, მავრთა ქვეყანაში ცხოვრობდა მეფე, რომელსაც სახელად აბენ ჰაბუსი ერქვა. ამ ქვეყნის მთავარი ქალაქი გრანადა და მთელი მისი შემოგარენი მრავალი ბრძოლით და ომით ჰქონდა დაპყრობილი ხსენებულ მეფეს. ახალგაზრდობაში უძლეველ მეომრად ცნობილი აბენ ჰაბუსი იმხანად უკვე მოხუცებული იყო და, სიმშვიდის გარდა, აღარაფერს ნაგრობდა ქვეყნად. ბრძოლებით გადაღლილი ხელმწიფის საზრუნავი მხოლოდ ის იყო, მემობლად მდებარე დაპყრობილი ქვეყნები მორჩილებაში ჰყოლოდა. იჯდა ასე განცხრომით სამეფო ტახტზე აბენ ჰაბუსი და ნებივრობდა იმ სიმდიდრეში, ოდესღაც სხვებს რომ წაართვა.

მაგრამ ვაი, რომ დაბრძენებულ და მშვიდობისმოყვარე მეფეს მალე ბევრი მგერი გამოუჩნდა. აბენ ჰაბუსის სიმდიდრე მოსვენებას არ აძლევდა ახალგაზრდა უფლისწულებს. მათ გრანადის დიდ მპყრობელთან შუღლით და ჭიდილით დიდების მოპოვებას სურდათ და წინაპართა ჯავრის ამოყრასაც ნაგრობდნენ.

დიდი და თვალუწვედნელი გახლდათ მავრთა ქვეყანა, მისი სამფლობელოები კი დედაქალაქიდან შორეულ მხარეებამდე იყო გადაჭიმული. იყო ღრო, როცა ყველა უსიგყვოდ მორჩილებდა აბენ ჰაბუსს, მაგრამ მალე ესეც დავიწყებას მიეცა. ხან ერთ და ხან მეორე მხარეში, ღროდაღრო აჯანყდებოდნენ ხოლმე ხელმწიფის დაუბინებუ-


ლი მგრები და ისინი ქვეყნის მთავარ ქალაქზე გალაშქრებასაც ბედავდნენ. ამიგომაც იტველა მრავალ საფრთხეს უკაცრიელი, კლდოვანი მთებით გარს შემორტყმული საბრძანებელი აბენ ჰაბუსისა. გამუდმებული შფოთვით შეწუხებულ მეფეს მოსვენების უფლებას არაფერ აძლევდა, ის სულ იმის ფიქრში იყო, თუ საიდან შემოესოდა მგერი.

რა აღარ იღონა, რომელ ხეობაში აღარ ჩააყენა მოღარაჯეთა რაზმები, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდა საბრძოლო მბრძანებელი გრანადისა.

„მგრები თუ შემოგვესივნენ, ღამით კოცონი აანთეთ და ღლისით ცას კვამლი მიაწვდინეთ“ - ნაბრძანები ჰქონდათ მოღარაჯეებს, მაგრამ რა? - მარჯვე და მოხერხებული ყაჩაღები გვერდს ადვილად უვლიდნენ ხოლმე ხაფანგს და აბენ ჰაბუსის ცხვირწინ აპარტახებდნენ დედაქალაქის შემოგარენს და ნაძარცვით დატვირთულნი, გყვებთან ერთად, კვლავ მთებში უჩინარდებოდნენ.

აბა, როგორ უნდა ეცხოვრა მოსვენებით, როგორ უნდა მისცემოდა მშვიდობიან განცხრომას აბენ ჰაბუსი, რომლის საბრძოლო ჯინი წარსულის ხსოვნასდა შემორჩენოდა?

სად იყო და სად არა, ერთ მშვენიერ დღეს, უიმედოდ დარჩენილი მეფის სასახლეს ერთი მოხუცი არაბი ეწვია. ამ მოხუცს უბადლო მკურნალის სახელით იცნობდა ყველა. მთლად გათეთრებუ-



ლი წვერი ლამის მუხლებამდე ჰქონდა ჩამოფენილი და ცხადზე უცხადესი იყო, რომ მეგად ხანდაზმული ასაკის ბრძანდებოდა. მოხუცს სახელად იბრაჰიმ იბნ აბუ აიუბი ერქვა.

ხმა დაირხა – ეგვიპტიდან მავრთა ქვეყანამდე ფეხით იარაო ამ არაბმა... გზას ეგვიპტური იეროგლიფებით აჭრელებული ჯოხით მოიკვლევდაო... ყველგან პაგივით და მოკრძალებით ხვდებოდნენო მას...

იმასაც ამბობდნენ – ალაჰის მოციქულის მაჰმადის სიცოცხლესაც კი შესწრებია ეს ბრძენკაცი და რომ მამამისი, აბუ აიუბი, მუსლიმანთა დიდი წინაპრის ერთგული მსახურიც კი ყოფილაო.

ზოგს ისიც სმენოდა, რომ სიემაწვილის ასაკში ეს კაცი ეგვიპტეში არაბთა ლაშქარს ჩაჰყოლია, რომელსაც ამრუ მიუძღვოდა წინ. იქ თითქმის მთელი ცხოვრება გაუტარებია და ბნელეთით მოცული მრავალი მოძღვრება და ჯადოსნობა შეუსწავლია ეგვიპტელი ქურუმებისგან.

მაგანნი გაიძახოდნენ – უკვდავების წამალი გამოიგონა ამ არაბმა და 200 წლის ასაკს სწორედ მისი წყალობით მიაღწიაო. ასეთი წამალი კი ხანდაზმულობის ასაკში შეუქმნია და ამიგომაც სამარადისოდ მხოლოდ თეთრი წვერის და დანაოჭებული სახის შემონახვა შეძლო მან.

დიდი პაგივით მიიღო ეს უცნაური მოხუცი გრანადის მბრძანებელმა. იმხანად მეფე აბენ ჰაბუსი, როგორც ყველა ასაკოვანი კაცი, თავის ჯანმრთელობაზე დიდად ზრუნავდა და ამიგომაც ისურვა, სასახლეში დაეზინავებინა სტუმარი, მაგრამ არაბმა ბრძენმა საცხოვრებლად ერთი გამოქვაბული არჩია. ეს გამოქვაბული სწორედ იმ მთაში იყო ნაკვეთი, რომელიც გრანადას გადმოჰყურებს და სადაც მოგვიანებით თავად ალჰამბრას სასახლე ააშენეს. არაბი ვარსკვლავთმრიცხველის სურვილით გამოქვაბული მეგად გააფართოვეს და წრიულ დარბაზს დაამსგავსეს. მან ისიც ინება, რომ, ჭიდან ამომავალი ხვრელივით, ბეცისკენ სარკმელი გაეჭრაო, რათა დღისით თუ ღამით ვარსკვლავებისთვის ემზირა. გამოქვაბულის კედლები არაბმა ბრძენმა ეგვიპტური იეროგლიფებით და ზოლიაქოს ნიშნებით მოხაგა. შემდეგ დარბაზში თავი მოუყარა უამრავ ხელსაწყოს, რომლებიც მისი მითითებით გრანადის ცნობილმა ოსტატებმა დაამზადეს, ხელსაწყოთა მოხმარების იდუმალება კი მხოლოდ ამ უცნაური მოხუცისთვის იყო ცნობილი თურმე.

მაღე იბრაჰიმ იბნ აბუ აიუბი მთავარი მრჩეველი გახდა მეფისა. გაჭირვების კამს აბენ ჰაბუსი მხოლოდ მას ეთათბირებოდა და რჩევასაც ყურად იღებდა. ერთხელ მეფემ ისიც დაიჩივლა ბრძენ-

კაცთან, რომ მეზობლები ძლიერ აწუხებდნენ და გამუდმებულ შფოთსა და მღელვარებაში უხდებოდა ცხოვრება. ეს ამბავი რომ შეიგყო, ვარსკვლავთმრიცხველი ერთხანს მღუმარედ უმზერდა მეფეს და ბოლოს უთხრა:

„მინდა გაუწყობო მბრძანებლო, რომ ეგვიპტეში ყოფნისას, მე ვნახე საოცარი რამ, რომელიც ოდესადაც გრძნეულ ღედაბერს შეუქმნია. იქ არის ერთი მთა, საიდანაც ხელისგულივით მოჩანს ქალაქი ბორსა და ნილოსისპირა ღიდი ველები. მთაზე კი ერთი ვერძი დგას, რომელსაც ბურგბე მამალი შემოსჯდომია. ვერძიც და მამალიც გაღამდნარი სპილენძითაა ნაქანდაკარი და ორივე მათგანს ღერძის გარშემო ადვილად შეუძლიათ ბრუნვა. ყოველთვის, როცა მგრები მოადგებიან ქვეყნის საზღვრებს, ვერძი იმ მხარეს იბრუნებს ხოლმე პირს, საიდანაც მოძალადენი მოდიან და მამალიც თავისებურად იწყებს ყვილს. ამის წყალობით ქალაქის ბინადრებმა წინასწარ იციან, საიდან მოვლით საფრთხე და თავის დაცვასაც ადვილად ახერხებენ.

„დიდება უფალს! – შესძახა მშვიდობას მონაგრებულმა აბენ ჰაბუსმა. – ო, რა ღიდი საჩუქარი იქნებოდა ჩემთვის ასეთი ვერძი, რომელიც მგრების მოახლოებას მამცნობდა და ის მამალიც, ყვილს რომ მორთავდა საფრთხის დროს! დიდ არს ალაჰი! ო, რა მშვიდად დავიძინებდი სასახლეში, მის სახურავზე ასეთი დარაჯები რომ მყოლოდა.

ვარსკვლავთმრიცხველი ერთხანს გაყუჩდა, ვიდრე აბენ ჰაბუსის მღელვარება დაცხრებოდა და შემდეგ განაგრძო:

„მას შემდეგ, რაც ძღვევამოსილმა ამრუმ (შეინდოს უფალმა მისი სული!) ეგვიპტის დაპყრობა დაასრულა, მე ამ ქვეყნის ქურუმებთან დავრჩი. მსურდა, მათგან წარმართულ რწმენათა ადათ-წესები შემესწავლა და თავადაც ჩავწვდომოდი იმ იღუმალ გრძნეულებას, რამაც ქურუმებს ამქვეყნად სახელი გაუთქვა.

ერთხელ ნილოსის ნაპირზე ვიჯექი და ერთ მხცოვან ბრძენთან ლაპარაკით ვიქცევიდი თავს. უცებ საუბრისას მან თითი გაიშვირა უზარმაზარი პირამიდებისკენ, რომლებიც მთებივით აღმართულიყვნენ ჩვენს მახლობლად გადაშლილ უდაბნოში.

„ჩვენთან ბევრი რამ შეგიძლია ისწავლო - მითხრა მოხუცმა – მაგრამ ეს არაფერია იმ სიბრძნესთან შედარებით, რაც ამ ვეება ნაგებობს

შორისაა გადამალული. მთავარი პირამიდის შუაგულში არის იღუმალებით მოცული ერთი სამარხი და იქ განისვენებს მუშია უზენაესი ქურუმისა... კაცისა, რომლის ნება-სურვილითაც ააგეს ის უზარმაზარი პირამიდა. მუშიასთან ერთად სამარხში არის ერთი საოცარი წიგნიც, სადაც გრძნეულების და ჯადოსნობის ყველა საიდუმლოა თავმოყრილი ერთად. ეს წიგნი სამოთხიდან დევნილმა ადამმა წამოიყოლა თურმე და მას შემდეგ თაობიდან თაობას გადაეცემოდა, ვიდრე ბრძენთაბრძენ მეფე სოლომონს არ ჩაუვარდა ხელში. ამბობენ – სწორედ ამ წიგნის წყალობით ააშენაო სოლომონმა იერუსალიმში წმინდა ტაძარი... და არავინ იცის, ყოვლისმცოდნე უფლის გარდა, თუ როგორ დაეპაგრონა წიგნს პირამიდების ამშენებელი გრძნეული ქურუმი.

ეგვიპტელ ბრძენკაცთან საუბრის შემდეგ, ერთადერთი სურვილით ამიბგერდა გული, რომ როგორმე ხელში ჩამეგლო ის წიგნი. ჩემს ნება-სურვილს მაშინ არაბთა ლაშქრის ბევრი მეომარი და ეგვიპტის სხვა მრავალი ბინადარიც ემორჩილებოდა. გავუძეხი მათ წინ და ერთობლივი ძალით პირამიდებს შორის დახვავებულ ლოდებში გავიკვლიეთ გზა. დიდი წვალების და ოფლისღვრის შემდეგ, როგორც იქნა, მივედი შორეულ სიღრმეში მიმალულ ერთ შესასვლელ კართან. შიგნით რომ შევედი, საზარელ ლაბირინთებს გავცდი და ბოლოს პირამიდის შუაგულში ამოვყავი თავი. სწორედ იქ ვიხილე ის იღუმალებით მოცული სამარხი, სადაც უზენაესი ქურუმის მუშია მრავალსაუკუნოვან ძილს მისცემოდა... ფრთხილად ავხაღე სახურავი მუშიის განსასვენებელს, დავიწყე აურაცხელი სახვევის და არგახის შეხსნა, ვხსნიდი და ვხსნიდი... სანამ არ მივაგენი ჩემთვის სანაგრელ წიგნს. ხელის კანკალით დავწვდი მას, შემოვბრუნდი და ძლივს და გამოვიკვლიე სინათლისკენ გზა... მუშია კი დარჩა სამარხის მარადიულ მღუმარებასა და სიწყვდიადეში და დღესაც მოელის მკვდრეთით აღდგომის და განკითხვის დღეს“.

„ო, ძეო აბუ აიუბისა! - შესძახა მეფე აბენ ჰაბუსმა – მრავალი საოცრების და გრძნეულების მნახველი მოგზაური ყოფილხარ! მაგრამ მე რით მანუგემებს იღუმალი პირამიდის ამბავი? ან რას მომცემს სიბრძნე სოლომონ ბრძენის წიგნისა?“

„სწორედ ამას მოგახსენებ, მეფეო! დიადი წიგნის წყალობით მე ჩავწვდი ჯადოსნობის ამრს და შემიძლია ჩემს სურვილს დავუმორჩილო ყვე-



ლა ჯინი და გრძნეული არსება. ბორსას მფარველ ავგარომად ქცეული ვერძი აღარ არის ჩემთვის შეუცნობი რამ, მისი მსგავსი და მასზე უკეთესი მეც შემიძლია შევექმნა...”

„ო, ბრძენთაბრძენო იბრაჰიმ იბნ აბუ აიუბ! – კვლავ შესძახა აბენ ჰაბუსმა – ერთი ასეთი ავგაროში აჯობებს ყველა დარაჯს და მოთვალთვალეს, მე რომ მთებში მყავს ჩაყენებული. სადმე ჩემთვისაც აღმართე ასეთი მფარველი და მთელ

ჩემს სიმდიდრეს და განძეულობას არ დავიშურებ შენთვის.

არაბი ვარსკვლავთმრიცხველი მაშინვე შეუდგა ხელმწიფისათვის სასურველი ავგარომის შექმნას. მისი ბრძანებით ალბასინის მთის წვერზე აშენებული სამეფო სასახლის სახურავზე მაღალი კოშკი აღმართეს. ეს კოშკი ეგვიპტიდან ჩამოტანილი ქვებით ააგეს და ხმა დაირხა – ამ ქვებით პირამიდა ყოფილათ აშენებული ერთდროს. კოშკის გედა ნაწილს მრგვალი დარბაზი აგვირგინებდა, რომლის ოთხი ფანჯარა ქვეყნიერების ოთხი მხარისკენ იყო მიმართული. ყოველი ფანჯარის წინ იდგა მაგიდა, რაზედაც ჭადრაკის ფიგურებივით ელაგა ხისგან ნაკეთები ცხენოსანი და ქვეითი ჯარი; მთელი ლაშქრის სათავეში კი იმ ქვეყნის ხელმწიფის პაგარა გამოსახულება ჩანდა, საითაც ფანჯარა იყურებოდა. თითოეულ მაგიდაზე იდო სადგისისხელა პაგარა შუბიც, მათზე კი ქალღვევლთა ანბანის ასოები იყო ამოგვიფრული. დარბაზში შესასვლელი სპილენძის კარი საიმედოდ იყო ჩარაბული ფოლადის საკეციტო, გასაღები კი თავად მეფეს ჰქონდა და სხვას არავის ანდობდა ცოცხალი თავით.

კოშკის წვეროზე მაგრი ცხენოსნის ბრინჯაოს ქანდაკება იდგა, რომელიც ღერძის გარშემო ბრუნავდა. ამ ქანდაკებას ერთ ხელში ფარი, მეორეში კი ცისკენ მემართული შუბი ეჭირა. ბრინჯაოს მხედარს სახე ქალაქისკენ ჰქონდა მიმართული, თითქოს თვალყურს ადევნებსო ქალაქელთა ყოფას და ცხოვრებას, მაგრამ თუ საიდანმე მგერი გამოჩნდებოდა, მხედარს უმაღიქით უნდა ებრუნებინა სახე და შუბიც იქით მიემართა ისე, თითქოს ბრძოლის დაწყებას აპირებო მგერთან.

როდესაც დასრულდა მფარველი ავგარომის აგება, მეფე აბენ ჰაბუსს ერთი სული ჰქონდა, მისი გრძნეულება საქმეში გამოეცადა. ამიგომაც მოენატრა კვლავ ომი და სისხლისღვრა მანამდე მშვიდობის მაძიებელ მეფეს და მისი საწადელი სულ მალე ასრულდა კიდევ. ერთხელ, განთიადისას კოშკის სათვალთვალოდ მიჩენილმა გუშაგმა მეფეს ამცნო – ბრინჯაოს მხედარი ელვირის მთებისკენ შებრუნდა და შუბი პირდაპირ ლოპეს უღელგეხილისკენ გაიშვირაო.

„დაჰკარით დაუდაფებს, ბუკის ხმა მიაწვდინეთ ქალაქის ლაშქარს, მთელი გრანადა ფეხზე დადგეს!“-ო - გასცა ბრძანება აბენ ჰაბუსმა.

„მეფეო! - უთხრა ვარსკვლავთმრიცხველმა. -

ძილს ნუ დაუფრთხობ შენს ქალაქს, ნურც მეომრებს უბრძანებ იარაღის ასხმას. ჩვენ უკვე აღარ გვჭირდება ძალების მოკრება მგრის მოსაგერიებლად. მიუშვი თავის ნებაზე შენი ამაღლა, ჩვენ კი მარგონი ავიდეთ კოშკის საილუმლო დარბაზში.“

მოხუცი აბენ ჰაბუსი აუყვია კოშკის კიბეებს; ის მასზე ბევრად უფრო ასაკოვანი იბრაჰიმ იბნ აბუ აიუბის მხარს ეყრდნობოდა და წვალებით მიიკვლევდა გზას მემოთ. მათ გააღეს სპილენძის კარი და დარბაზში შევიდნენ, იქ კი ფანჯარა, რომელიც ლოპეს უღელგეხილს გასცქეროდა, ღია დახვდათ.

„აი, ამ მხარიდან მოდის შენი მგერი – უთხრა ვარსკვლავთმრიცხველმა მეფეს. – მივიდეთ მაგიდასთან და გაჩვენებ, მეფეო, რა სასწაულმოქმედი ძალაც აქვს მას!“

აბენ ჰაბუსი მიუახლოვდა მაგიდას, რომელზედაც ხის ცხენები და კაცუნები იყვნენ ჩამწკრივებული. უცებ მეფემ თავისდა გასაოცრად დაინახა, რომ უსულო ფიგურები ამოძრავდნენ. ცხენები ფლოქვებს სცემდნენ და ყალყზე დგებოდნენ, მეომრები აქეთ-იქით იქნევდნენ ფარ-ხმალს, ყრუდ ისმოდა სალაშქრო ბუკ-ნადარის ხმა და დროდადრო ცხენების ჭიხვინიც სწვდებოდა ყურთასმენას. თუმცა ეს ყველაფერი ფუტკრების მუშუნს და ბუშების ბზუილს უფრო ჰგავდა, ჩრდილში მთვლემარე კაცს რომ ჩაესმის ხოლმე პაპანაქება სიცხეში.

„შეხედე, მეფეო! - თქვა ვარსკვლავთმრიცხველმა - ესენი შენი მგერები არიან, რომლებიც უკვე მზად არიან თავს დაგესხან. ისინი აი, იმ მთებიდან სადაცაა ლოპეს უღელგეხილს მოადგებიან. თუ გინდა, რომ მათ შორის არეულობა და ჩოჩქოლი შეიგანო და სისხლის დაუღვრელად აქცევინო მურგი, ამ ჯადოსნური შუბის ბლაგვი წვერი შეახე ხის კაცუნებს და თუ გწადია, რომ ისინი დაერიონ და მუსრი გაავლონ ერთმანეთს, კაცუნებს შუბის წვერი შეახე“.

აბენ ჰაბუსს სახე გაუფითრდა, აკანკალებული ხელით დასწვდა პაგარა შუბს, მაგიდისკენ დაინახა და მას მღელვარებისგან თეთრი წვერიც კი აუცახცახდა:

„აბუ აიუბის ძეო! – თქვა მეფემ და ეშმაკურად ჩაიქირქილა. – მე მგონი, ჩვენ მცირეოდენი სისხლის დაღვრა მაინც მოგვიხდება აქ“.

ამის თქმა იყო და მეფემ ზოგ კაცუნას ჯადოსნური შუბის წვერი აძგერა, ზოგს კი ბლაგვი ბოლოთი შეეხო; შუბით განგმირულნი უმაღლეს

ლოდ დაეცნენ დაფაზე, დანარჩენები კი ერთმანეთს დაერივნენ და ატყდა ერთი ვაი-უშველებელი, ბრძოლა შემზარავ მელახორას დაემგვანა.

ძლივსღა მოახერხა ვარსკვლავთმრიცხველმა ერთდროს ყველაზე მშვიდობისმოყვარე მეფის შეჩერება; რომ არა ბრძენი არაბი, აბენ ჰაბუსი თავის მგრებს ერთიანად გაჟლეტდა. მერე იმაშიც დაარწმუნა, რომ კოშკიდან უნდა ჩასულიყვნენ და ლოპეს უღელგეხილისკენ მიკრიკები გაეგზავნათ ამბის გასაგებად.

მიკრიკები მალე დაბრუნდნენ და აუწყეს მეფეს, რომ ქრისტიანთა ლაშქარი თითქმის გრანადის ბლუღებთან იყო მომდგარი. მაგრამ მოულოდნელად მათს რიგებში განხეთქილებამ იჩინა თავი. მეომრებმა ერთმანეთისკენ მიმართეს იარაღი და ენითაუწერელი სისხლისღვრის შემდეგ ხელმოცარულნი უკან გაბრუნდნენ.

აბენ ჰაბუსი აღაფრთოვანა ავგარომის სასწაულმოქმედმა ძალამ.

„ბოლოსდაბოლოს შემძლია მშვიდად ვიცხოვრო – თქვა მეფემ – და ყველა მგერი ჩემს ნებას დავემორჩილო. ო, ბრძენო იბრაჰიმ იბნ აიუბ, ასეთი დიდი წყალობის სანაცვლოდ რით შემძლია დაგასაჩუქრო?“

„მეფეო, განა რა უნდა ისურვოს უკვე მოხუცებულმა და დღედაღამ სიბრძნის მაძიებელმა კაცმა, მცირეოდენი გასამრჯელოს გარდა? მომეცი მხოლოდ ის, რაც ჩემს სენაკში ცხოვრებას გამოადვილებს და სხვა არაფერი მინდა შენგან.“

- „ღიახ, ნამდვილ ბრძენს ყოველთვის ამშვენებს მოკრძალებული სურვილი!“ - აღმოხდა მეფე აბენ ჰაბუსს და ფარული კმაყოფილება იგრძნო ასეთი უმნიშვნელო გასამრჯელოს მოთხოვნის გამო. მან თავის ხაზინადარს უხმო და უბრძანა, რომ მიეცა იბრაჰიმისთვის ყველაფერი, რაც მისი სენაკის მორთვა-მოკაზმვას დასჭირდებოდა.

...და ვარსკვლავთმრიცხველმა ისურვა, პიგალო კლდეში კიდევ რამდენიმე ოთახი გამოეკვეთათ, ოღონდ ისე, რომ ეს ოთახები გასასვლელით დაკავშირებოდნენ მის მთავარ სამუშაო დარბაზს. მან ისიც ინება, რომ ძვირფასი გახვები და სავარძლები დაედგათ ოთახებში, კედლები კი უნატიფესი ფარჩით და აბრეშუმით მოერთოთ.

„მე უკვე მოვხუცდი და ჩემი ძვლები ქვაზე წოლას ვეღარ უძლებენ... ეს ნესტიანი კედლებიც ხომ უნდა დაიფაროსო რამით“ - ამბობდა ვარსკვლავთმრიცხველი.

მალე მან ესეც არ იკმარა და თავისთვის აბან-



ოც მოიწყო, სადაც ნაირგვარი ნელსაცხებლები მოაგანინა აბენ ჰაბუსის მსახურებს... „ხშირი დაბანა აუცილებელიაო სიბერის სნეულებათა დასაძლევად – ეუბნებოდა მათ ბრძენი არაბი. – ფიქრით გადაღლილ გონებას კი სხეულის მხნეობა და სიმტკიცე სჭირდებაო მუღამ“.

მერე ბრძანა, ვერცხლის და ბროლის აურაცხელი სანათი ჩამოეკიდათ სენაკის კედლებზე. მათში სურნელოვანი ზეთი ჩაასხა მან, ამ ზეთის დამზადების წესი კი ეგვიპტის პირამიდების გაცნობისას ჰქონდა შესწავლილი თურმე. ნამდვილად საოცრება იყო ეს - ზეთი არასოდეს ილეოდა სანათში და მისი წყალობით დღის სინათლესავით მკრთალი შუქი იფრქვეოდა ირგვლივ. "მზის ეღვარე სინათლეს ვერ უძლებენო მოხუცებულთა თვალები. ჩემს საფიქრალს კი სწორედ ასეთი სანათის ციმციმი მოუხდებაო" – ამბობდა ვარსკვლავთმრიცხველი.

აბენ ჰაბუსის ხაზინადარს ისღა დარჩენოდა ბუზღუნით ეთვალა ქონება, რასაც დღითიდღე ფლანგავდა არაბი ბრძენის სენაკის მოსართავად. მაგრამ ადგა ერთხელ ხაზინადარი და ხელმწიფეს შესჩივლა ეს ამბავი, თუმცა კი კარგად იცოდა, რომ მეფის სიგყვას ვერაფრით შეცვლიდა. აბენ ჰაბუსმა მხრები აიჩეჩა: – „მოთმინება გემართებსო ყველას. მოხუც ბრძენკაცს უნდა, რომ

ეგვიპტის პირამიდების ნანგრევებში შემორჩენილ დარბაზებს დაამგვანოს თავისი საცხოვრებელი. დასასრული ყველაფერს აქვს და ოდესმე მისი გამოქვაბულიც აივსებაო ყველა სიკეთით“ - თქვა მეფემ და ასეც მოხდა:

ბოლოსდაბოლოს დასრულდა ვარსკვლავთმრიცხველის დარბაზების მორთვა-მოკაზმვა და ის მიწისქვეშეთის მდიდრულ სასახლედ გადაიქცა. „ახლა სხვა აღარაფერი მინდა“ - თქვა ამ სასახლის მფლობელმა, განმარტოვდა თავის საცხოვრებელში და სამი დღედაღამე თვალით აღარავის უნახავს. მეოთხე დღეს კი კვლავ ესტუმრა ხაზინადარს და უთხრა: - „კიდეც მჭირდება ერთი რამ - დროდადრო მცირედი გასართობიც მოუხდებოდა ჩემს დაუსრულებელ საფიქრალს“.

– „ო, ბრძენო იბრაჰიმ! ნაბრძანები მაქვს შენს სასიკეთოდ ყველაფერი გავაკეთო... მითხარი, რას ინებებ კიდევ?“

– „კარგი იქნებოდა, მოცეკვავე ქალებიც რომ მყოლოდა“.

– „მოცეკვავე ქალები?“ - შეიცხადა გაოცებულმა ხაზინადარმა.

– „ჰო, მოცეკვავე ქალები – დარბაისლურად დაუდასტურა ბრძენმა – ოღონდ ისინი ახალგაზრდები და ლამაზები უნდა იყვნენ, რომ სიყ-

მაწვილის და სილამაზის მშვერამ ხალისი შემაგოს ჩემს სიბერეს... ხომ იცი, საფიქრალში ჩაფლული ერთი უბრალო კაცი ვარ და ასეთი მცირედი სურვილიც ამიგომ გამიჩნდაო“ - თქვა ბოლოს ვარსკვლავთმრიცხველმა.

სანამ სწავლული იბრაჰიმ იბნ აიუბი თავის სენაკში ბრძნულ საფიქრალს მისცემოდა, მშვიდობისმოყვარე აბენ ჰაბუსი კოშკში იჯდა და ხის კაცუნების გააფთრებული ბრძოლების ცქერით ირთობდა თავს. ეს სწორედ რომ დიდებული გასართობი იყო მისი მსგავსი მოხუცებული კაცისთვის. კოშკიდან გაუსვლელად მას ისე შეემლო გაეჟღიჭა მგრის აურაცხელი ლაშქარი, თითქოს ჭიანჭველების გროვას გაავლოო მუსრი.

მცირე ხნის შემდეგ აბენ ჰაბუსი მთელი არსებით ჩაეფლო საბრძოლო თავგადასავლებში და მემობელ ხელმწიფეებს თავად იწვევდა ბრძოლის ველზე დასაცინად და დასამცირებლად. მრავალმა მათგანმა იწვინა მწარე მარცხი, აღარავის შეეძლო მასთან გამკლავება და ამიგომაც დაფრთხნენ ძველი მგრები, აღარავინ აწუხებდა აბენ ჰაბუსის სამფლობელოს შემოსევებით. ბრინჯაოს მხედარი მრავალი და მრავალი თვის განმავლობაში მხოლოდ მშვიდობიან ცხოვრებას დასცქეროდა და შუბი გამუდმებით ცისკენ ჰქონდა აღმართული. გრანადის მოხუცებულ ხელმწიფეს კი მშვიდობიანი ყოფა აღარ სურდა, ენაგრებოდა საყვარელი თავშესაქცევი და ბუმბუნითა აგარებდა მოსაწყენად ქცეულ წუთისოფელს.

და ერთ მშვენიერ დღეს, როგორც იქნა, ამოდრავდა ავგარობაქცეული მხედარი – ის უცებ შემობრუნდა თავისი ღერძის ირგვლივ და ერთ ადგილზე გაქვავებულმა შუბი გვადიქსის მთებისკენ გაიშვირა. აბენ ჰაბუსი გულისფანქრალით ავიდა კოშკში, მაგრამ დაინახა, რომ მოსალოდნელი საფრთხის მიმართულებით დადგმულ მაგიდაზე არცერთი კაცუნა არ იძვროდა. გაოცებულმა მეფემ მთებში უმაღლესსაანთა რაზმი გაგზავნა იქაურობის დასაზვერად. სამი დღის შემდეგ მშვერავები ასეთი ამბით დაბრუნდნენ:

- „ჩვენ ყველა მთა და ხეობა მოვიარეთ – მოახსენეს მათ მეფეს, – მაგრამ ერთი მეომრის შუბი ან ჩაფხუტიც კი არსად გაელვებულა არსად. იქ მხოლოდ ერთ საოცრად ლამაზ ქრისტიან ქალწულს გადავეყარეთ. მას ნაშუადღევს წყაროს პირას ჩასძინებოდა, ჩვენ ის შევიპყარით

და აქ მოგვევარეთ, დიდო მეფეო!“

- „საოცრად ლამაზი ქალწული?! - შესძახა აბენ ჰაბუსმა და თვალები აღგაცებით აუციმციმდა - ახლავე აქ მომიყვანეთ და მაჩვენეთ!“

მეფის ბრძანება უმაღლესად შეასრულეს და მოუყვანეს მშვენიერი ქალწული, რომელსაც ტანზე იმდროინდელი საუკეთესო სამოსი ეცვა. სწორედ ასე იმოსებოდნენ არაბთა დაპყრობის ხანაში ესპანელთა ტომის ქალები. გიშრისფერ თმაში უსპეგაკესი მარგალიტები ჰქონდა ჩაწული ქალწულს; მის შუბლს უძვირფასესი ლალი ამშვენებდა, ბრწყინვალეობით გოლს რომ არ უდებდა მისავე ელვარე თვალებს. ყელზე კი ოქროს ძეწკვი ჰქონდა შემოვლებული, რაზედაც წელამდე ჩამოწვდენილი ვერცხლის ჩანგი ეკიდა.

ქალწულის შავად მოელვარე თვალებიდან ისეთი სხივები იფრქვეოდა, რომლებიც ცეცხლად ეღებოდნენ აბენ ჰაბუსის დაბერებულ გულს და ისიც კვლავ ახალგაზრდულად ძგერდა. ლამაზმანის ნარნარმა მიმოხვრამ კი მთლად გადარია მოხუცი ხელმწიფე.

- „ო, ქალთა შორის ულამაზესო! – შესძახა გრძნობამორეულმა აბენ ჰაბუსმა – ვინ ხარ და საიდან ხარ შენ?“

- „მე ვარ ასული გოთების ხელმწიფისა, რომელსაც მცირე ხნის წინ ეს ქვეყანა ემორჩილებოდა. მამაჩემის ლაშქარი რაღაც უხილავემა ძალამ მთლად ამოქვლია მთებში, მან ძლივს დააღწია თავი ბრძოლის ველს, მე კი – მის ქალიშვილს – ტყვეობა მერგო წილად.“

- „ფრთხილად იყავი, მბრძანებელო! – ჩასჩურჩულა იბრაჰიმ იბნ აიუბმა მეფეს – შეიძლება ეს ლამაზმანი სწორედ ის ჩრდილოელი ჯადოქარია, რომლის შესახებაც ბევრი რამ გვსმენია. ხომ იცი, მას შეუძლია ისეთი მშვენიერი სახე მიიღოს, რითაც აცდუნებს ყველას, ვინც დაუჯერებს. მე ვხედავ ჯადოს მის თვალებში და გრძნეულებას ვამჩნევ მის ყოველ მიმოხვრაში. ეჭვი არ არის, სწორედ ეს არის მგერი, რომელზეც ავგარომმა მიგვანიშნა.“

- „ყური დამიგდე, აბუ აიუბის ძეო – უპასუხა მეფემ. – შენ გონიერი კაცი ხარ და ვიცი, უსაზღვრო ცოდნასაც ფლობ, მაგრამ ქალებისა ბევრი არაფერი გაგეგება. ამ საქმეში მე ვერავინ შემედრება, თუნდაც ის ცოლებით და მხეველებით განებივრებული სოლომონ ბრძენი იყოს. ამ ქალწულში მე სახიფათოს ვერაფერს ვხედავ... ის ისეთი მშვენიერია, რომ ძნელია თვალი მოსწყვი-



ტო“.

– „ერთსაც გეცევი, მბრძანებელო – კვლავ ჩას-
ჩურჩულა ვარსკვლავთმრიცხველმა – ჩემმა ავ-
გარომმა შენ ბევრი გამარჯვება და სიმდიდრე
მოგიტანა, მე კი არასოდეს მითხოვია მათგან
რაიმე სარგებელი. მაშ, მე მომეცი ეს უნებლიეთ
გყვედჩავარდნილი ქალი, რომ ვერცხლის ჩანგის
დაკვრით გამამხიარულოს მარტოობისას. და თუ
ის მართლა ჯადოქარია, მე მოვუძებნი შე-
ლოცვებს მის გრძნეულ ძალას“.

– „რაო! შენ ეს ქალიც გინდა?! - დაიყვირა აბენ
ჰაბუსმა - მოცეკვავე ქალები აღარ გყოფნის მარ-
ტოობისას?!“

– „ღიას, მბრძანებელო! მოცეკვავე ქალები მყავს,
მაგრამ მომღერალი არავინ არის. ჩემს დამქანცე-
ელ ფიქრებს კი ადვილად გამიქარვებდა მცირე-
ოდენი ჰანგები ტკბილხმოვანი სიმღერისა“.

– „თავი მომაბეზრე შენი მარტოობით და
ფიქრებით“ – შეჰყვირა უცებ აბენ ჰაბუსმა. – ეს
ქალი ჩემთვის მინდა. მე ის უფრო მეტ სიამეს
მანუქებს, ვიდრე სოლომონ ბრძენის მამას, დაფ-
ითს სჩუქნიდა პირმშვენიერი აბიშად სუნამითე-
ლი“.

ვერც თხოვნა-ვედრებით და ვერც გაფრთხ-

ილებით მოინადირა ვარსკვლავთმრიცხველმა
გაჯიუტებული მეფის გული და ბოლოს ძლიერ
მომღერებულნი დაშორდნენ ერთმანეთს. წავი-
და იმედგაცრუებული ბრძენი და თავის სენაკში
გამოიკეცა. წამოსვლის წინ კი ერთხელაც
გააფრთხილა მეფე, რომ ყურადღება არ მოეკ-
ლო ამ სახიფათო გყვექალისათვის. მაგრამ რო-
დის იყო, შეყვარებული ბერიკაცი უჯერებდა
ვინმეს? აბენ ჰაბუსმაც არად ჩააგლო გაფრთხ-
ილება და მთელი არსებით დანებდა გრფიალის
ძალას. ახლა მას ისღა უნდოდა, რომ თავი მოე-
წონებინა ქრისტიანი ლამაზმანისთვის. მართა-
ლია, მეფე ახალგაზრდობით ვედარ შეაყვარებდა
თავს ქალწულს, მაგრამ ის ძალიან მდიდარი იყო
და გულუხვობით ცდილობდა თავისი სიბერე დაე-
ვიწყებინა საგრფოსთვის.

* * *

იმხანად მთელი გრანადა სავსე იყო უძვირ-
ფასესი აღმოსავლური საქონლით და სამშვენისე-
ბით; რას აღარ ნახავდით იქ: ფარჩა-აგლასს თუ
აბრეშუმს, თვალ-მარგალიტსა თუ სამკაულებს და
უნამუსი სურნელების ნელსაცხებლებს. ამის და
აფრიკის მთელი სიმდიდრე და ძვირფასეულობა
საჩუქრად მიართვა მეფემ სანაგრელ ასულს.
ათასგვარი სეირი და გასართობა მოიგონა მის-
თვის ხელმწიფემ: მომღერლები და მოცეკვავეე-
ბი გოლს არ უდებდნენ ერთმანეთს, ფალავანთა
ჭიდილს ხარებთან ბრძოლა ენაცვლებოდა... და
ასე დაემსგავსა ერთხანს ქალაქი გრანადა ერთ
დიდ და უსასრულო სანახაობას.

მაგრამ გოთების დედოფალი ისეთი თვალით
უმზერდა ამას, თითქოს ყველაფერი ჩვეული და
ნაცნობი იყო მისთვის. ის ყველა ძღვენს საკუ-
თარი ღირსების საკადრის პაგივად, ან ეგებ თავი-
სი მშვენიერების დამსახურებადაც თვლიდა... მშ-
ვენიერება კი ხშირად მეტად ფასობს, ვიდრე ნებ-
ისმიერი ღირსება. ან ეგებ ფარულ სიამესაც ანი-
ჭებდა ხელმწიფის უსამღვრო გულუხვობა ქალ-
წულს? მეფის ხაზინა ცარიელდებოდა და ამას
ლამაზმანი აუღელვებლად ადევნებდა თვალს. რა
აღარ იღონა, რით აღარ ეცადა ქალწულის გუ-
ლის მონადირებას, მაგრამ სიყვარულით გაბრუე-
ბული ხელმწიფე მაინც ვერაფერს გახდა. მარ-
თალია, წარბს არ იკრავდა ქალი მეფის დანახ-
ვაზე, მაგრამ არც ღიმილის ღირსს ხდიდა მას.
როგორც კი გრძნობას გაუმხელდა აბენ ჰაბუსი
საგრფოს, ქალწული მაშინვე ააქდერებდა ხოლმე

ვერცხლის ჩანგს. ამ ჩანგის ხმაში კი რაღაც გრძნეული ძალა ბუღობდა, რითაც მეფე უმაღლეს ბრუვდებოდა, თვლელმა ერეოდა და მალე ღრმა ძილით იძინებდა. ძილი მას თითქოს ახალ სიცოცხლეს მაგებდა, გამოღვიძებულს ყმაწვილური ძალაც ეძლეოდა, თუმცა მცირე ხნით ავიწყდებოდა საგრფოც და მგანჯველი გრძნობებიც. გაოგნებულ ხელმწიფეს ერთხანს აღარაფერი ახსოვდა, კვლავ საამო სიმშრებთან დაბრუნებას ნაგრობდა და ტკბილ მზანებებში იქარვებდა სიყვარულის გრძნობებს.

ასე დაუსრულებლად თვლელმა აბენ ჰაბუსი, ამასობაში კი მთელი გრანადა დასცინოდა მის სასიყვარულო გაგაცებას და ყველა ჩიოდა, რომ გრძნეული სიმღერის ჰანგებს ქვეყნის სიმღიდრე ეწირებოდა.

ბოლოსდაბოლოს მოხდა ის, რომ აბენ ჰაბუსს დიდი საფრთხე დაემუქრა, რაც წინასწარ თვით მფარველმა ავგარომბმაც ვერ გააგებინა მეფეს. აჯანყებამ თავად დედაქალაქში იფეთქა. იარაღასხმულმა ხალხმა ალყა შემოარტყა მეფის სასახლეს და სიკვდილით ემუქრებოდნენ მეფესაც და მის ქრისტიან საგრფოსაც. ამან აბენ ჰაბუსის მიძინებულ მეომრულ სულში კვლავ ბრძოლის ქინი ააბრიალა, ის წინ გაუძღვა თავის ერთგულ ჯარისკაცებს, მემბოხენი უკუაქცია და აჯანყება ძირშივე ჩაახშო.

გრანადაში კვლავ მშვიდობამ დაისადგურა და ქვეყნის მბრძანებელმა თავისთან იხმო ვარსკვლავთმრიცხველი, რომელიც სენაკში გამოკეცილიყო და მეფისგან მიღებულ წყენას გულიდან ვერ იშორებდა.

აბენ ჰაბუსმა წყენის გასაფანტავად მშვიდად უთხრა ვარსკვლავთმრიცხველს:

– „ო, ბრძენო იბრაჰიმ იბნ აიუბ! შენ მართალი იყავი, რომ მეუბნებოდი – უფრთხილდით ლამაზმან გყვექალს. შენ ხომ ყველაფერი იცი! მაშ, მირჩიე, როგორ ავიცილო თავიდან ჩემი ახლანდელი გასაჭირი?“

– „თავიდან მოიშორე გრძნეული ქალწული... სწორედ ის არის ყველაფრის მიზეზი“ – უპასუხა ბრძენმა.

– „არა! – დაიღრიალა აბენ ჰაბუსმა. – უმაღლეს ჩემს სამეფოს მოვიშორებ თავიდან... ქალს კი – არა!“

– „ფრთხილად იყავი, მეფეო, ორივე არ დაკარგო!“ – უთხრა ვარსკვლავთმრიცხველმა.

– „ნულარ მიწყრები, ბრძენთა შორის უბრძე-

ნესო, მოილბე გული და შემებრალე მე, როგორც მეფე და როგორც შეყვარებული – კვლავ დაუყვავა აბენ ჰაბუსმა. – ეგებ კიდევ მოიფიქრო რამ, რაც ამ გაჭირვებიდან გადამარჩენს?! არ მინდა სიღიადე... არ მინდა სიმღიდრე... ოღონდ მქონდეს სადმე თავშესაფარი და შემეძლოს ვიცხოვრო იქ წყნარად... გავშორდე ამქვეყნის ყველა დარდსა და სამრუნავს... ეგებ დარჩენილი სიცოცხლე მაინც გავაგარო მშვიდობით და სიყვარულით“.

ვარსკვლავთმრიცხელმა წარბი შეიკრა და წამიერი მშერა შეავლო მეფეს:

– „...და რას მომცემ, თუ მე ასეთი თავშესაფარი მოგიძებნე?!“ – იკითხა არაბმა.

– „თავად აირჩიე შენი საჩუქარი! – შესძახა მეფემ. – ვფიცავ ჩემს სიცოცხლეს, არაფერს დავიშურებ შენთვის და მოგცემ ყველაფერს, რის მოცემაც შემეძლება“.

– „შენ, ალბათ, გსმენია, მეფეო, რომ სვებენდინერ არაბეთში არის ერთი საოცარი ბაღი, რომელსაც აირემის სახელით იცნობს ყველა...“

– „მსმენია – უპასუხა მეფემ – ეს ბაღი ყურანშის იმ თავშიც არის ნახსენები, რომელსაც „გათენება“ ჰქვია. მექაში ნამყოფ მლოცვეებსაც ბევრი უცნაური ამბავი უთქვამთ ამ ბაღის შესახებ. მაგრამ მგონია, რომ მათი ნაამბობი სულ გყუილია. ასეთ ზღაპრებს ხშირად ყვებიან ხოლმე უცხო ქვეყნებიდან დაბრუნებული მოგზაურები“

– „ნუ სძრახავ, მეფეო, მოგზაურთა ნაამბობს! – პირქუშად შეიცხადა ვარსკვლავთმრიცხველმა. – მათ შორეული ქვეყნებიდან ხშირად ჩამოაქვთ ცოდნა-განათლებისთვის საჭირო უძვირფასესი ცნობები. გჯეროდეს, სრული სიმართლეა, რაც მათ აირემის სასახლის და ბაღის შესახებ გიამბებს. მე ჩემი თვალთ მინახავს ყველაფერი და მინდა ჩემგანაც მოისმინო ერთი თავგადასავალი, რითაც შენი გაჭირვების სამეველსაც მოგახსენებ მალე“. – თქვა ვარსკვლავთმრიცხველმა და ასეთი რამ უამბო მეფეს:

– „ყმაწვილობისას მეც უდაბნოს ბინადარი არაბი ვიყავი და მამაჩემის აქლემებს ვმწყემსავდი ხოლმე ხშირად. ერთხელ, აღენის უდაბნო რომ გადავიარე, ერთი აქლემი ჩამორჩა ქარავანს და დავკარგე ის. ძალიან დიდხანს, მაგრამ ამაოდ ვძებნე დაკარგული; შუადღისას დაღლილ-დაქანცულმა ერთი პალმის ძირას ჩავიმუხლე და იქვე, დამშრალი ჭის გვერდით ღრმა ძილს მივეცი თავი. რომ გამეღვიძა, ქალაქის ჭიშკარს მოვკარი თვალი. შევედი ქალაქში და თვალწინ უამრავი ქუ-

ჩის, ბალის და ბაზრების ხედები გადამეშალა. ირგვლივ სრული ღუმილი სუფევდა და ადამიანის ჭაჭანებაც კი არ იყო სადმე. დიდხანს ვიხეგიალე ქალაქში სანამ ერთ მდიდრულ სასახლეს არ მივაღეჭი. სასახლის გარშემო ბალი იყო გაშენებული, სადაც მრავალი შადრევანი თუ აუზი, მდელიო თუ ყვავილნარი ახარებდა თვალს. იქვე საუცხოო ხილით გოგებდამძიმებული ხეებიც მოჩანდა, მაგრამ სულიერი არსება არც აქ იყო სადმე. იდუმალებით მოცულმა მარგობამ შემაშინა და უკან დაბრუნება გადავწყვიტე. ჭიშკარს რომ გავცდი, ერთხელაც მომინდა საოცარი ქალაქისთვის თვალის შევლება, მოვბრუნდი, მაგრამ, უკიდევანო უდაბნოს გარდა, ველარაფერი დავინახე იქ.

მაღე იქვე მახლობლად ერთი ღერვიშს წავაწყდი, რომელიც იმ ქვეყნის ყველა წესის და საიდუმლოს ცოდნას იხმებდა და ვუამბე, თუ რა საოცარი ამბავი გადამხდა თავს.

– შენ რაც ნახე, სახელგანთქმული აირემის ბაღია – მითხრა ღერვიშმა. – უდაბნოს ეს საოცრება ხშირად ელენდებათ შენსავით გზაბნეულ მოგზაურებს და მათს მზერას მდიდრული ციხე-კოშკებით თუ გოგებდახუნძლული ხეხილის ბაღებით აგყვევებს, მაგრამ მაღე ბალი ქრება და უდაბნოს მეტი აღარაფერი ეჩვენებაო თვალს. – დაასრულა ღერვიშმა და შემდეგ ასეთი რამ მიამბო:

უძველეს დროს, როცა ამ მიდამოებში მომთაბარე გომები თარეშობდნენ, ნოეს შვილიშვილმა და ელის შვილმა, დიდმა მეფე შედადმა გადაწყვიტა, აქ საუცხოო ქალაქი აეშენებინა. მშენებლობა რომ დასრულდა, მეფეს თვალწინებით აუწერელი სიდიდაღე გადაეშალა. მას გული მვიადი და ამაყი გრძნობებით აღევსო და ქალაქის შუაში სამეფო სასახლის აგებაც განიზრახა. ხელმწიფემ ისიც ინება, რომ იქვე ბაღები გაეშენებინათ, რომლებიც ყურანში ნახსენები სამოთხის ბაღს გოლს არაფერში დაუღებდნენ. მაგრამ მის მედიდურ ზრახვებს ზეციური რისხვა დააგყდა თავს. მეფეც და მისი ყველა ქვეშევრდომიც ერთ ღღეს აღიგავენენ პირისაგან მიწისა, სასახლეს და ბაღებს კი სამარადისო წყევლა დაეუბდათ. იმ ღღის შემდეგ აღარავის შეუძლია ქალაქის დანახვა და ის მხოლოდ დროდადრო მოელანდება ხოლმე რომელიმე მოკვდავს, როგორც მარადიული ხსოვნა ადამიანთა ცოდვისა“.

ო, დიდო მეფეო! ღერვიშის ნაამბობი და ჩემივე თვალით ნანახი საოცრება სამუდამოდ ჩამეჭვდა

გონებაში. დიდი ხნის შემდეგ, როცა ეგვიპტეში აღმოვჩნდი და სოლომონ ბრძენის მოძღვრებათა წიგნს დავეუფლე, გადავწყვიტე უდაბნოში დავბრუნებულიყავი და აირემის ბალი ერთხელაც მენახა. ასეც მოვიქეცი და მაღე მივაგენი გრძნეულებით შეიარაღებული თვალით უდაბნოს საოცრებას. შევედი მეფე შედადის სასახლეში და რამდენიმე ღღე მის მიერ შექმნილ სამოთხეში გავაგარე. ჯინები და ავსულები, რომლებიც სასახლეს დარაჯობდნენ, მაღე ჩემს ჯადოსნურ ძალას დამორჩილდნენ. სწორედ მათი წყალობით ჩავწვდი იმ საიდუმლო წყევლას, რითაც ბალი და მთელი ქალაქი უჩინარი არსებობისთვის იყო განწირული. ო, დიდო მეფეო, ასეთი ბალი და სასახლე მეც შემიძლია ავაშენო შენთვის თუნდაც აი აქ. ამ ქალაქის თავზე აღმართული მთის წვერზე. ხომ გჯერა უკვე, რომ ჩემს ძალას ემორჩილება ყველა გრძნეულება? ხომ იცი, რომ სოლომონ ბრძენის მოძღვრებათა წიგნი სრულყოფილად მაქვს შესწავლილი?“

– „ო, ბრძენთაბრძენო იბრაჰიმ იბნ აიუბ! – შესძახა მღელვარებით აკანკალებულმა აბენ ჰაბუსმა. – შენ ნამდვილად დიდი მოგზაური ხარ და მრავალი საოცრება გინახავს ამქვეყნად. მაშ, ჩემთვისაც შექმენი ასეთი სამოთხე და მთხოვე მერე, რაც გინდა... თუნდაც ეს ჩემი სამეფოს ნახევარი იყოს“.

– „ვია, რომ ბევრს ვერაფერს მოგთხოვ, მეფეო – უპასუხა არაბმა – მე ერთი მოხუცი სწავლული ვარ და მცირედითაც შემიძლია დაკმაყოფილება. ერთადერთს გთხოვ – მაჩუქე ის ცხენი თავისი მხედრით ან პირუტყვი თავისი სასაპალნეთი, რომელიც პირველი შევა იმ სამოთხის გრძნეულებით მოცულ კარიბჭეში“.

ხელმწიფე სიხარულით დასთანხმდა ასეთ უმნიშვნელო სათხოვარზე და ვარსკვლავთმრიცხველი საქმეს შეუღდა. იმ მთის წვერზე, რომლის წიაღში თავად ბრძენის სენაკი იყო გათხრილი, არაბმა მოხუცმა დიდი ჭიშკრის აშენება ბრძანა, მის იქით კი, შუაგულ ადგილას, მიუვალი კოშკის აგება დაავალა მშენებლებს.

კოშკის მისადგომებთან ძალიან მაღალი თაღიც ააგეს, რომლის ქვეშ ალაყაფის ორი მძიმე კარი ჩამოკიდეს. ალაყაფის ჩამრამავ საკეგზე ვარსკვლავთმრიცხველმა საკუთარი ხელით ამოჭრა ვეებერთელა გასაღების გამოსახულება, ჭიშკრის გემოთ კი უმარმაზარი ხელი დაკიდა. მან სწორედ ამ თილისმებს ანლო ის სასწაულმოქმედი ძალა,



რაც მათში ყველასათვის უცნობ ენაზე, გრძელ-გრძელი შელოცვებით, ჩააქსოვა.

ჭიშკრის აგება რომ დაასრულეს, ვარსკვლავთმრიცხველი თავის სამისნო დარბაზში გამოიკეცა და ორი ღლის განმავლობაში იღუმალ ჯადოსნობას მიეცა. მესამე ღლეს კი მთის წვერზე ავიდა და დილიდან დაღამებამდე არ დაბრუნებულა იქიდან. მხოლოდ შუალამისას გამოჩნდა არაბი ბრძენი სასახლეში და პირდაპირ მეფეს ეახლა.

– „როგორც იქნა დასრულდა ჩემი სამუშაო, დიღო მეფეო – თქვა ვარსკვლავთმრიცხველმა. – მთის წვერზე აღმართულია უმშვენიერესი სასახლე, რომლის მსგავსი არც ვინმე ვინმე ვინმე და არც გულით უნაგრია ოდესმე. მასში ბევრი მდიდრული დარბაზი და ღერეფანია; მის გარშემო წალკოგის მსგავსი ბაღები ყვავის, სადაც შადრევნებიც გაგაგრძელებს და სურნელების მფრქვეველ აუზებშიც შეგეძლება განის დაბანა. სიგყვით არ ითქმის, თუ როგორ სამოთხედ გადაიქცა მთის შემოგარენი. აირემის ბაღის მსგავსად შენს სასახლესაც ჯადოსნური ძალა იცავს და მას ვერასდროს ნახავს და ვერც ვერსად დაღანდავს ადამიანის თვალი, რადგან თილისმების გრძნეულების დაძლევა არავის შეუძლია.“

იმ ღამეს ბედნიერ ხელმწიფეს თვალი არ მოუხ-

უჭავს. განთიადისას, როცა მზის ათინათი სიერანევალის თოვლიან მთებზე ათამაშდა, აბენ ჰაბუსი შეჯდა თავის ბელაურზე და ორიოდე რჩეულ მხლებელთან ერთად მთის ციცაბო კალთებზე მიმავალ ბილიკს შეუყვია. მის გვერდით მოჩანდა თეთრ მერანზე შემომჯდარი გოთების დელოფალი, რომელსაც მთელი სამოსი სამკაულებით ჰქონდა მორთული, ყელზე შემოვლებულ ძეწკვზე კი ვერცხლის ჩანგი ჰქონდა ჩამოკიდებული. იქვე, მეფის შორიახლოს კი ვარსკვლავთმრიცხველი ფეხით მიუყვებოდა ბილიკს და გზას იეროგლიფებით მოხატული ჯოხით მიიკვლევდა, რადგან ცხენზე ამხედრება მისთვის მიუღებელი ფუფუნება იყო მუდამ.

აბენ ჰაბუსი ამაოდ ცდილობდა ცადაზიღული მთის წვერზე მოელვარე კომკების დანახვას და ვერც გერასებზე დაფენილ ბაღებს ხედავდა მისი თვალი.

– „ეს იმიგომ, რომ აქაურობას ჯადოსნობით შენიღბული ძალა იცავს – ამშვიდებდა მეფეს ვარსკვლავთმრიცხველი. – არავის შეუძლია სასახლის დანახვა, სანამ იღუმალებით მოცული ჭიშკარი არ გაიღება მისთვის“.

ჭიშკარს რომ მიაღწიეს, ვარსკვლავთმრიცხველი შედგა და მეფეს თაღებქვეშ დაკიდული გრძნეულებით მოსილი ხელი და გასაღები დაანახა.

– „აი, თილისმები, რომლებიც ამ სამოთხეში

შესასვლელ კარს იცავენ – უთხრა არაბმა ბრძენ-მა აბენ ჰაბუსს. – სანამ ეს ხელი არ დასწვდება გასაღებს, არც სულიერს და არც უსულოს არ შეეძლება ამ მთის ბაგონ-პაგრონს სიავით ავნოს რამე“.

სანამ აბენ ჰაბუსი გაოცებისგან პირღია შესცქეროდა გრძნეულ თილისმებს, მშვენიერი ქალწულის ცხენმა გზა განაგრძო, თავის მხედართან ერთად ჭიშკარს გასცდა და შარაგზის შუაგულში აღმოჩნდა.

„შეხედე! - დაიყვირა ვარსკვლავთმრიცხველმა - აი, შენგან დაპირებული საჩუქარიც - ის ცხენი თავის მხედრით, რომელმაც პირველმა შეაბიჯა სამოთხის ჭიშკარში“.

აბენ ჰაბუსმა გაიღიმა და ეს სიგყვები მხოლოდ ხუმრობად ჩათვალა, მაგრამ მალევე დარწმუნდა, რომ მოხუცი არაბი მართლაც ითხოვდა დანაპირებს და მას ჭაღარა წვერი მრისხანებისგან აუცახცახდა:

– „იბრაჰიმ იბნ აიუბ! – შეიცხადა სახემოლუშულმა მეფემ – აიქნებ ეშმაკობით გინდა გამაბრძოლო? კარგად იცი, რასაც დაგპირდი – ცხენი თავისი მხედრით ან პირუტყვი თავისი სასაპალნეთი... შეარჩიე საუკეთესო ბელაური ჩემს ამაღლაში, აჰკიდე მას ჩემი საგანძურის უძვირფასესი ნივთები და შენი იყოს ყველაფერი. ამ ქალწულზე კი ფიქრიც არ გაბედო! – ის მხოლოდ ჩემს გულს უნდა ახარებდეს...“

– „რად მინდა შენი საგანძური? - ქედმაღლურად შეეპასუხა ვარსკვლავთმრიცხველი - მე ისიც მყოფნის, რომ სოლომონ ბრძენის მოძღვრებათა წიგნი მაქვს და მისი წყალობით მთელი ქვეყნიერების სიმდიდრეს დავეპაგრონები. წესით და კანონით, ქალწული ჩემია. შენი მეფური სიგყვა უკვე ითქვა და ვითხოვ მას, რაც მხოლოდ მე მეკუთვნის“.

ამასობაში კი თეთრ მერანზე ამხედრებული მშვენიერი ასული ამაყად იმზირებოდა და სიყმაწვილის და მშვენიერების დაპაგრონების ჟინით შეპყრობილი ორი მოხუცის კამათზე მის ვარდისფერ ღაწვებს დამცინავი ღიმილი დასთამაშებდა. აბენ ჰაბუსის მრისხანება კი საზღვარს გასცდა და დაიყვირა: „ეი შენ, უღაბნოს საბრალო ნაშიერო! დიდი ცოლნის და ოსტატობის მბრძანებლად მოგაქვს თავი, მაგრამ იცოდე – შენი მბრძანებელი მე ვარ და გრძნეული ხრიკებით ვერ

გააბრძოლებ შენს ხელმწიფეს“.

„ – ჩემი მბრძანებელი?! ჩემი ხელმწიფე?! – გამოძახილივით შეეპასუხა მეფეს ვარსკვლავთმრიცხველი – შენ, თხუნელასავით სოროში შემძვრალ კაცს, გინდა იბაგონო ჩემზე – სოლომონის თილისმების მფლობელზე?! მაშ, მშვიდობით, აბენ ჰაბუს! იმეფე შენს უბადრუკ ქვეყანაში და მოილხინე ბრძევთა სამოთხეში! მე კი მწარედ დაგცინებ, ჩემს ფიქრებთან რომ მარგო დავრჩები.“

თქვა ეს არაბმა ბრძენმა, ქალწულის ცხენის სადავეს სწვდა და თავისი ხელჯოხი მიწას დაჰკრა. იმავე წამს მიწამ პირი დაალო და ისე ჩაყლაპა ვარსკვლავთმრიცხველიც და გოთების დედოფალიც, რომ ჭიშკრის თაღებქვეშ მათი ნაკვალევით კი აღარსად დარჩა.

ამის შემხედვარე აბენ ჰაბუსს ერთხანს ენა წაერთვა. გონს რომ მოეგო, ბრძანება გასცა, მოეყვანათ ნიხბებით და წერაქვებით შეიარაღებული ათასი მუშა და ამოეთხარათ მიწა იქ, სადაც ვარსკვლავთმრიცხველი გაუჩინარდა.

მათ დაიწყეს თხრა... თხრიდნენ... თხრიდნენ, მაგრამ სულ ამაოდ... ბარი და წერაქვი ვერ ერეოდა ქვადქცეული მთის წიაღს. თუკი სადმე ამოთხრიდნენ პაგარა ორმოს, ის იმდენივე მიწით ივსებოდა, რამდენის ამოყრასაც ასწრებდნენ მუშები ბემით. მერე აბენ ჰაბუსმა გადაწყვიტა მთის ძირში მღვიმის შესასვლელი ეპოვა. სწორედ ამ მღვიმიდან შედიოდა ვარსკვლავთმრიცხველი თავის სენაკში... მაგრამ ამასაც ვეღარ მიაგნო მეფემ. იქ, სადაც ადრე შესასვლელი კარი იყო, ახლა მხოლოდ მთაში ჩაკირული უზარმაზარი ლოდები ჩანდა. იბრაჰიმ იბნ აიუბის გაქრობასთან ერთად ავგარომებმაც დაკარგეს გრძნეული ძალა. ბრინჯაოს მხედარი ერთ ადგილზე გაშეშდა და სწორედ იმ მთისკენ მიმართა შუბი, სადაც ვარსკვლავთმრიცხველი გაუჩინარდა, თითქოს სწორედ იქ იმალებოდა აბენ ჰაბუსის დაუძინებელი მგერი.

დროდადრო მუსიკის ჰანგები და ვიდაც ქალის სიმღერის ხმა მოისმოდა ხოლმე მთის შუაგულიდან. ერთხელ კი ერთმა გლეხკაცმა მეფეს ასეთი ამბავი აუწყა: „წუხელის კლდის ნაპრაღში შევძვერი და უცებ მიწისქვეშეთის ღარბაზის კარს მივაღექი. კარს მიღმა მდიდრულ გახტრევიანზე წამომჯდარი ვარსკვლავთმრიცხველი მოჩანდა. ის თავგაქინდრული თვლემდა, მშვენიერი ქალ-

წული კი ვერცხლის ჩანგს უკრავდა და, მგონი, ამით ჰყავდა მოჯადოებული მოხუცი მსმენელი“.

აბენ ჰაბუსმა მაშინვე დაიწყო კლდეებში ნაპრალის ძებნა, მაგრამ ირგვლივ ყველაფერს პირი ჰქონდა შეკრული. მეფე ისევ შეეცადა თავისი მგერი მიწიდან ამოეთხარა, მაგრამ ისევ ამაოდ. სასახლის თილისმებად ქცეული ხელი და გასაღები კი არაფრით ემორჩილებოდნენ უბრალო ადამიანის ნებას. მთის წვერზეც არსად ჩანდა არც სასახლე, არც ბაღები და მთელი ის არემარე უკაცრიელ სანახაობად ქცეულიყო. არავინ იცის, დაპირებულ სავანეს რაიმე გრძნეულება მაღავდა ადამიანის მზერისგან თუ ყველაფერი ვარსკვლავთმრიცხველის შეთხზული მღაპარი იყო. ბოლოსდაბოლოს ხალხმა ყველაფერი გყუილად ჩათვალა და ზოგი მას „მეფის უგნურებას“, ზოგი კი „ბრიყვთა სამოთხეს“ უწოდებდა.

აბენ ჰაბუსის გაჭირვებას სხვა უბედურებაც დაერთო ზედ. ძალა დაკარგა მისმა მფარველმა ავგარომმა მხედარმა, რომლის წყალობითაც გრანადის მეფე შემოსეულ მგრებს მუდამ აშარცხებდა და მათი მუსრის გავლებით სიამეში და ნეგარებაში ნებივრობდა. მოშურნე მეზობლებმა გაიგეს აბენ ჰაბუსის დაუძლურების ამბავი და კვლავ ყველა მხრიდან შემოუჭიეს მის საბრძანებელ მიწა-წყალს. ასე გადაიქცა მშვილობისმოყვარე ხელმწიფის დარჩენილი ცხოვრება დაუსრულებელი შიმის და საფრთხის აბლაბუდად.

* * *

ბოლოსდაბოლოს აბენ ჰაბუსი მოკვდა და ისიც მიწას მიაბარეს. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მრავლისმნახველი მთის წვერზე აღჰამბრად

წოდებული სასახლე ააშენეს, რომელიც მღაპრული მშვენიერებით თითქოს აირემის ბაღის ორეულად იქცაო. მის შიგნით კი ისევ არსებობს გრძნეულებით მოცული ჭიშკარი. ეჭვი არავის ეპარება, რომ ამ ჭიშკარს კვლავაც იცავენ მისი თილისმები – ჯადოსნური ხელი და გასაღები. ახლა მას მართლმსაჯულების ჭიშკარი ჰქვია და ციხე-სიმაგრის მთავარ შესასვლელს წარმოადგენს. ამბობენ, მის ქვემოთ, მიწისქვეშეთის დარბაზებში, გახტრევეანზე ისევ ზის მთვლემარე ვარსკვლავთმრიცხველი და ქალწულის ვერცხლის ჩანგის ჰანგები იავნანასავით ჩაესმის ძილში.

იმასაც ამბობენ, რომ ბაფხულის ღამეებში სასახლის ჭიშკრის მოხუც და ხეიბარ დარაჯებს ხშირად ესმით მუსიკის ხმა. ვერც ისინი უძლებენ ამ ჰანგების მომწუსხველ ძალას და მშვიდად თვლებენ თავის სადარაჯოზე. უფრო მეტიც – იმ ადგილის ძილისმომგვრელი იღუპალება დღისით-მზისით მოღარაჯე მცველებსაც აბრუებს და ხშირად ნახავთ მათ ალაყაფის ქვის სკამებზე ან სადმე ხის ძირებში ჩაძინებულებს. ამიგომაცაა, რომ აღჰამბრას ჭიშკრის სადარაჯოები მთელ ქრისტიანულ სამყაროში ყველაზე მეტად უკარგავენ სიფხიმლეს სამხედრო გუშაგებს. და როგორც ძველი თქმულება გადმოგვცემს, ასე გრძელდება საუკუნიდან საუკუნემდე: ქალწული მუსიკით აცყევეებს ვარსკვლავთმრიცხველს... ვარსკვლავთმრიცხველი თავს ვერ აღწევს გრძნეულებით მოცულ თვლემას და ასე იქნება მანამ, სანამ ჯადოსნური ხელი არ დასწვდება მისთვის მომარჯვებულ გასაღებს და გრძნეულებას არ განაშორებს მოჯადოებულ მთას.

თარგმნა ალექსანდრე ელერდაშვილმა



გიორგი მაჭარაშვილი

ჰოვარდ ფილიპს ლავკრაფტი – კორტრეპიტის მონახაზი

ჰოვარდ ფილიპს ლავკრაფტი დაიბადა 1890 წლის, 20 აგვისტოს, როდის კუნძულზე. დედამისს სარა სიუმენ ფილიპსი ერქვა, მამას – უინფილდ სკოტ ლავკრაფტი. ჰოვარდი სამი წლისა დაობლდა, მამა, რომელიც სავაჭრო კომპანიაში მუშაობდა, გულის შეტევით გარდაიცვალა. ავი ენები ამბობენ, სიფილისი სჭირდაო, თუმცა დაზუსტებით არავინ არაფერი იცის. პაგარა ჰოვარდს მამის გარდაცვალება მაშინვე აცნობეს. ბავშვზე ამან საშინლად იმოქმედა. დედამისმა ასევე ძალზე მძიმედ გადაიგანა მეუღლის სიკვდილი.

ბავშვობაში ჰოვარდი თურმე ბევრს კითხულობდა და ასკრონომობაზე ოცნებობდა – დამლობით ხშირად აკვირდებოდა ვარსკვლავებს, დამოუკიდებლად ცდილობდა ასკრონომიის შესწავლას. გარდა ამისა, უყვარდა ხაზვა, ქიმი და გოთიკური პროზა. გედმიწევნით კარგად იცნობდა ედგარ ალან პოს შემოქმედებას. თუმცა ლავკრაფტის ოცნება ასკრონომობაზე აუხდენე-

ლი დარჩა, რადგან გარკვეული ფსიქიკური პრობლემების გამო უმალლესი განათლების მიღება ვერ შეძლო. ბავშვობიდან მრავალმხრივ ნიჭიერი ყოფილა. უკვე 2 წლის ასაკში ლექსებს კითხულობდა, 6-8 წლისას კი პირველი მთხრობებიც შეუქმნია, თუმცა ჩვენამდე მას არ მოუღწევია. მხოლოდ 14 წლის ასაკში დაწერილი მთხრობით (“მხეცი გამოქვაბულში”) იწყება ჩვენთვის ლავკრაფტის ერა, რომელმაც არც თუ ისე დიდხანს გასგანა.

ლავკრაფტის მეორე გაგაცემა მწერლობა გახლდათ. იგი აღნიშნავდა: „როცა რაიმე ნაწარმოებს ვწერ, ჩემი მუზა ედგარ ალან პოა“ (1916 წლის 20 იანვრით დათარიღებული წერილი). „პო ჩემთვის ფანტასტიკის ღმერთია“ (1916 წლის 2 თებერვლით დათარიღებული წერილი).

ლავკრაფტი წერდა ფანტასტიკისა და ჰორორის ჟანრში. წერდა გაგაცებით, მოგჯერ, მუშაობის პროცესში, ღამეს ათენებდა. თვითნასწავლი

ლავეკრაფტი ყველას აოცებდა ისტორიის, ქიმიის, ასტრონომიისა და ენების ცოდნით. მიუხედავად ფსიქიკური დაავადებისა, მუდმივად თვიგანვითარებით იყო დაკავებული. ეს მის ნაწარმოებებშიც კარგად იგრძნობა. ვოლგერის შემდეგ იგი ერთადერთი მწერალია, რომელსაც 100000 პირადი წერილი აქვს დაწერილი. მათი უმეტესობა ძალიან მოკლეა, თუმცა კი, მრავლისმეტყველი. ჰოვარდის პირველი მოთხრობა, „ალქიმიკოსი“ 1916 წელს გამოქვეყნდა. როგორც ამბობენ, ჰოვარდს მანამდე უკვე შექმნილი ჰქონდა რამდენიმე ლექსი და ესე.

ლავეკრაფტის მოთხრობებსა და რომანებში იგრძნობა შიში, სევდა, დიდი ტკივილი. მისი ხასიათის შესაფასებლად გამოგვადგება ნაწყვეტი მისი მოთხრობიდან „საფლავის ქვა“:

„ჩემი სახელია ჯერვის დაგლასი. ბავშვობიდანვე ვარ მეოცნებე და ფანტაზიორი.“

მწერალი სწორედ ასეთი ღეგალებით ახერხებს მიგვანიშნოს საკუთარ თავზე და გამოხატოს ის დიდი სევდა, რასაც მისი გული იტევდა. ლავეკრაფტი ხშირად წერდა შიშის სინდრომზე:

„ყველაზე ძველი და ძლიერი გრძნობა ადამიანისა არის შიში და შიშის ყველაზე ძლიერ კატეგორიად მიიჩნევა შიში უცნობის წინაშე.“

ლავეკრაფტი თითქმის ყველა ქანრში წერდა. მის კალამს ეკუთვნის სამეცნიერო სტატიებიც.

ლავეკრაფტი თავის ნაწარმოებებში ცდილობდა გაეცოცხლებინა ის სამყარო, რომელიც ჩვენთვის წარმოუდგენელია. ბევრი ფიქრობს, რომ მწერალმა ამას კოსმოსზე დაკვირვების შედეგად მიაღწია. მის მიერ დაწერილი ნაწარმოებები თითქოს ეყრდნობა ძველ ისტორიებს, მაგრამ კარგად ჩანს ლავეკრაფტის მსოფლმხედველობა. მწერლის ნაწარმოებების კითხვისას ადამიანს თვალწინ წამრმოუდგება უცნაური არსებები, რომლებიც მანამდე ვერც კი წარმოედგინა. ლავეკრაფტის მოთხრობები რეალობისა და ფანტასტიკის ნაზავს წარმოადგენს. ჰოვარდ ფილმის ლავეკრაფტი ამოუცნობი ადამიანი გახლდათ, რასაც მის შესახებ არსებული მითები მოწმობს:

მითი 1

ჰოვარდ ფილმის ლავეკრაფტზე ბევრი მითქმამოთქმა ვრცელდებოდა. მაგალითად, მასზე ამბობდნენ, რომ ჰომოსექსუალი იყო. ამ ვარაუდს ასე ასაბუთებდნენ: ა) ჰყავდა ბევრი მამაკაცი მეგობარი, მათ შორის ჰომოსექსუალებიც (მაგალ-

ითად: სამუელ ლოვმანი, ჰართ კრეინი). ლავეკრაფტი კი თითქოს ამ ფაქტს ვერც ამჩნევდა. ბ) მწერალი ადამიანში უპირველესად აფასებდა მის ინტელექტს და საპირისპირო სქესის წარმომადგენლებთან სექსუალური კავშირის დამყარება ნაკლებად იტაცებდა.

მითი 2

ამბობენ, რომ მწერალს წაკითხული ჰქონდა „ნეკრონომიკონი“ (როგორც ამბობენ, არაბი მწერლის ალჰამრედის მიერ შექმნილი. "ნეკრონომიკონი" ძველი ლეგენდების წიგნია, რომლის ადგილსამყოფელი დღემდე უცნობია. მასში მოცემულია წარმოდგენები ასტრონომიისა და ასტროლოგიაზე და მრავალი გადმოცემა ამა თუ იმ უხილავ არსებაზე). ეს ცნობა დაუმზსტებელია, ისევე, როგორც "ნეკრონომიკონის" არსებობა, თუმცა ერთი რამ ნათელია. მწერალი რაზეც წერს, ამის მოფიქრება ადამიანის გონებისთვის ძალზე რთულია. ასევე, ხშირად ლავეკრაფტი ასე ასათაურებს თავის ნაწარმოებს – „ნეკრონომიკონი-დაგონი“. ეს კი მკვლევარებს აძლევთ საბაბს იფიქრონ, რომ ეს მითი რეალობაა.

მითი 3

მკვლევარებმა დაასკვნეს, რომ ჰოვარდ ფილმის ლავეკრაფტი მოთხრობის სახელებს შუმერული და ბაბილონური მითოლოგიიდან იღებდა. მაგალითად, ავიდოთ რამდენიმე ინგლისური დასახელება და შევადაროთ შუმერულს:

ლაპპრაშტის	შუმერული
პერსია	პერსია
ჩტჰულჰუ	ჩტჰალუ, უტულუ
მაგჰოტჰ	მაგ-გჰოტჰ
შჰუბ-იგგურაგჰ	შჰუბ ისჰნიგგარაბ

როგორც ვხედავთ, სახელები ერთმანეთს ემთხვევა ან ძალიან ჰგავს. ეს კიდევ უფრო ამტკიცებს მეორე მითის რეალურობას. "ნეკრონომიკონი" ბაბილონურ და შუმერულ მითოლოგიას ეყრდნობა.

ლავეკრაფტი დაქორწინებული გახლდათ სონია ჰოვთ გრინზე, თუმცა მათ შვილი არ შესძენიათ. ამბობენ, რომ, მიუხედავად სონიას მოთხოვნისა, თავად ლავეკრაფტი ყოველგვარი სექსუალური კავშირის წინააღმდეგი იყო.


ლავერაფტის სამეგობრო წრესაც გავეცნოთ: უილიამ ფრედერიკ ენგერი – ფანტასტიკის მოყვარული, მოგვიანებით ლავერაფტის კორესპონდენტი. რობერტ ბლოხი – ცნობილი ამერიკელი მწერალი, სახელი გაითქვა რომანით „ფსიქო“. მას ლავერაფტთან აქტიური მიმოწერა ჰქონდა 1933-1937 წლებში. ბლოხს სწორედ ამან მისცა იმუპულსი, ფანტასტიკის ჟანრში დაეწყო წერა. ამ ამბავს იგი ხშირად იხსენებდა ინტერვიუებში. ცნობილია რობერტ ბლოხის საუბრები ედგარ ალან პოსა და ლავერაფტზე, სადაც მწერალი დეტალურად ადარებს ორ ბუმბერაზ ამერიკელ შემოქმედს.

1937 წელს მწერალს ნაწლავის სიმსივნეც აღმოაჩნდა. ლავერაფტი ამავე წლის 19 მარტს საგიჟეთში გარდაიცვალა. შიშოფრენით დაავადებულს რამდენიმე რომანი დაუმთავრებელი დარჩა. თუ მის საფლავს ოდესმე ახლოს ჩაუვლით,

უთუოდ შენიშნავთ ქვაზე ამოკვეთილ წარწერას: „მე შორსმჭვრეტელი ვარ!“

ლავერაფტი წერდა: „მე მსურს, რომ ვიყო ისეთი წმინდა გენიოსი, როგორიც პოა, მქონდეს ისეთი წარმოსახვის უნარი, როგორიც ჰქონდა ბლექ-ვულს და ვცხოვრობდე ისეთი ყოველდღიურობით, როგორითაც ცხოვრობდა დანსენი.“

P.S. სამწუხაროდ, ლავერაფტს ჩვენთან სათანადო პატივს არ მიაგებენ. ბევრს მისი სახელი არც კი სმენია. ქართულად მხოლოდ რამდენიმე ნაწარმოებია ნათარგმნი. არადა, ლავერაფტი მსოფლიო ფანტასტიკის ერთ-ერთ მამამთავრად, და თავის ჟანრში, ერთ-ერთ საუკეთესო ავტორად მიიჩნევა. მისი ნაწარმოებები ამქვეყნიური წარმოსახვის საზღვრებს სცდება.



ილუსტრაციაში გამოყენებულია მოქანდაკე გომ კიუბლერის ლავერაფტის ქანდაკების ფრაგმენტი

ირაკლი ლომოური

უელბეკი ლავკრაფტზე



უნდა ვაღიარო, ლავკრაფტი ჩემი საყვარელი მწერალი არ გახლავს – მაშ, რაგომ მივუძღვენი ჟურნალის მეორე ნომერი? მიზეზი რამდენიმეა: არსებითი, პროზაული და „იდუმალი“.

არსებითი მიზეზი ისაა, რომ ლავკრაფტს საქართველოში კარგად არ იცნობენ. არადა, თანამედროვე ფანტასტიკა (ფართო გაგებით), მის გარეშე არ არსებობს. წარმოუდგენლად დიდა მისი გავლენა დღევანდელ მასობრივ კულტურაზე, მან დამოუკიდებელი ჟანრი, ე.წ. „ლავკრაფტისული“ პორტორი შექნა...

პროზაული მიზეზი შემდეგია – „ფანტასტის“ პირველი ნომრიდან (რომელიც, მოგეხსენებათ, რეი ბრედბერის მიეძღვნა), საკმაო რაოდენობით დაგვარჩა გამოუყენებელი მასალა, ნომერში რომ ვერ წავიდა... მათ შორის, იყო ლავკრაფტის ორი მოთხრობა და მისი ბიოგრაფიული პორტრეტი. გარდა ამისა, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ანუ კიდევ ერთი პროზაული მიზეზი – ლავკრაფტის საავტორო უფლებების შექმნა არაა საჭირო, რადგან მისი გარდაცვალებიდან 70 წელზე მეტია გასული (საავტორო უფლებების საერთაშორისო კონვენციით ასეა განსაზღვრული) – ფული კი, ალბათ, მოგეხსენებათ, ქართველ ფანტასტებს ჯერჯერობით არ გაგვანჩნია (იმედია, გამოგვიჩნდებიან სპონსორ-ფილანტროპ-მეცენატები!).

და არის მესამე, უმთავრესი („იდუმალი“) მიზეზი

– ლავკრაფტის პოროვნება, თავისთავად, გამოცანას წარმოადგენს. მისი შემოქმედება, მისი ცხოვრება რეალურად არსებულ საიდუმლოებას წარმოადგენს, რომელიც გაშიფვრას, გაგებას, ამოხსნასა და განმარტებას მოითხოვს... ანუ ბურუსით მოცული მოვლენაა, ფენომენია... და უკვე ამითია ძალზე საინტერესო.

როგორც აღვნიშნეთ, ლავკრაფტის შემოქმედების გავლენა თანამედროვე მასობრივ კულტურასა და ცნობიერებაზე განუზომლად დიდა. რა არის ამის მიზეზი? რას წარმოადგენს თავად ჰოვარდ ფილიპს ლავკრაფტი (ანუ „ჰ.ფ.“ – სიმოკლისთვის ასე ლაწეროთ ხოლმე დროდადრო)?

ამ კითხვებზე პასუხის მოძიებაში – ანუ ლავკრაფტის საიდუმლოების ამოხსნაში – დაგვეხმარება გამოჩენილი ფრანგი მწერალი მიშელ უელბეკი, რომელსაც მის პიროვნებასა და შემოქმედებაზე ვრცელი ესე აქვს დაწერილი, – თავად უელბეკი მას „ბიოგრაფიულ რომანს“ უწოდებს.

აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ უელბეკის ნაშრომი სუბიექტურია (რომანი, რასაკვირველია, ობიექტური ვერ იქნება!) ამიგომ თავიდანვე ვიცყვი, რომ ფრანგი მწერლის ვარაუდები თუ ინტერპრეტაციები ლავკრაფტის ფანებისთვის საკამათო, ან სულაც, მიუღებელიც შეიძლება აღმოჩნდეს, მაგრამ, თავისთავად, ძალზე ყურადსაღებო მასალას გვაწვდის – მოცულობითი სურათის,

საფუძვლიანი წარმოდგენის შესაქმენლად, – დასკვნებს კი, საბოლოოდ, მკითხველი თავად გამოიგანს.

სათაური უელბეკის ესეც ერთობ ორიგინალური აქვს: „ჰ. ლავკრაფტი კაცობრიობის წინააღმდეგ, პროგრესის წინააღმდეგ“ (*H.P. Lovecraft. Contre le monde, contre la vie*)

მართლაც, ერთი შეხედვით, უცნაურიც კია, უელბეკი ლავკრაფტს სათაურშივე მკვეთრად ნეგატიურ შეფასებას აძლევს. რა არის ეს, მკითხველის ყურადღების მიპყრობის სურვილი? ერთგვარი სარეკლამო ხერხი? „ღამიანგრიგებელი“ სვლა? ან იქნებ, ერთგვარი ლიტერატურული თამაში?

ან იქნებ, ავტორი მართლაც ასე ფიქრობს? ესეც გასარკვევია, ესეც ახალი გამოცანაა – ანუ ლავკრაფტის გამოცანას უელბეკის გამოცანაც ემაგება... საკითხავი ორმაგად საინტერესო ხდება! მაგრამ, მოდი, უელბეკის ტექსტს მივყვეთ...

შესავალში ავტორი აღნიშნავს, როდესაც ამ ესეც წერა დაიწყო (1988 წლის ბოლოს), მრავალი ათეულობით ათასი მკითხველის მდგომარეობაში ვიყავით ჩააფრდნილი. ლავკრაფტი 16 წლის ასაკში აღმოაჩინა და ისე გაიგაცა, რომ ყველაფრის კითხვა დაიწყო, რაც კი „ჰ.ფ.“-ს კალამს ეკუთვნოდა, და რაც იმ დროისთვის ფრანგულად იყო ნათარგმნი. მოგვიანებით, შედარებით ნაკლები ინტერესით, გავეცანიო ქთულხუს მითის გაგრძელებებს, და იმ ავტორებსაც, ვისთანაც ლავკრაფტი სიახლოვეს გრძნობდა (მათ შორის იყვნენ დანსენი, რობერტ ჰოვარდი, კლარკ ეშტონ სმიტი). დროდადრო ვუბრუნდებოდი ლავკრაფტის ძირითად, ე.წ. „უფროს ტექსტებს“. ჩემთვის მათ უცნაური მიმზიდველობა ჰქონდათ, – აღნიშნავს ფრანგი მწერალი, – რაც ჩემს დანარჩენ ლიტერატურულ გემოვნებას ეწინააღმდეგებოდა, მის ცხოვრებაზე კი არაფერს ვუწყოდიო. უელბეკი წერს: „ახლა მგონია, რომ ეს წიგნი დავწერე, როგორც თავისებური, რომანი, ჩემი პირველი რომანი, რომელსაც ერთადერთი პერსონაჟი ჰყავს (თავად ლავკრაფტი) – რომანი, რომელიც შემობლუდულია შემდეგი მოთხონით: ყველა ფაქტი, ყველა ციტატა მუსტი უნდა იყოს. თუმცა ეს მაინც რომანია. პირველი, რამაც განმაცვიფრა, როდესაც ლავკრაფტს გავეცანი, იყო მისი სრული და აბსოლუტური მაგერიალიზმი. მრავალი თაყვანისმცემლისა და კომენტატორისგან განსხვავებით, ლავკრაფტისთვის მის მიერ შექმნილი მითები, თეოგონიები, „უძველესი რასები“

სხვა არაფერია, თუ არა ფანტაზიის ნაყოფი. მეორე, რამაც ასევე განმაცვიფრა, იყო მისი მანიაკალური რასიზმი. ლავკრაფტის სიმბრისეული, კომპარული მონსტრების აღწერათა კითხვისას ვერასოდეს დავიჯერებდი, რომ მათ რეალური ადამიანებზე წარმოდგება ასაზრდოებს.“

ლიტერატურაში რასიზმის ანალიზი სელინით შემოიფარგლებოდაო, აღნიშნავს უელბეკი, არადა, ლავკრაფტის მაგალითი უფრო საინტერესოცაა და უფრო ნიშანდობლივიცო. ინტელექტუალური კონსტრუქციები, დაცემისა და გადაგვარების თეორიული ანალიზი მასთან მეორეხარისხოვან როლს თამაშობს. ფანტასტიკურის შემოქმედს – და ერთ-ერთ უდიდეს შემოქმედს, – რასიზმი თავის ყველაზე ღრმა პირველწყაროზე, შიშზე დაჰყავს. მისი საკუთარი ცხოვრება, ამ მხრივ, ნიმუშად შეიძლება წარმოვიდგინოთო. პროვინციაში მცხოვრები ჯენგლმენი, დარწმუნებული ანგლოსაქსური წარმომავლობის უპირატესობაში, სხვა რასებს გემოდან უყურებს, არაფრად აგდებს. მაგრამ პერიოდმა, როდესაც ლავკრაფტს ნიუ-იორკის ღარიბულ კვარტალში მოუწია ცხოვრება, ყველაფერი შეცვალა. ეს უცხოტომელები მისთვის კონკურენტებად, მტრებად იქცნენ. უხეში ფიზიკური ძალის მხრივ, ისინი „ჰ.ფ.“-ზე მაღლა იდგნენ. და სწორედ მაშინ გამძაფრდა მისი რასიზმი, მათი განადგურების სურვილად იქცა....

აქ მკითხველს ერთი ლოგიკური კითხვა შეიძლება გაუჩნდეს. რამდენად ადეკვატურად აღწერს უელბეკი ლავკრაფტს? იქნებ რაღაცას ამვიადებს? განზრახ აჭარბებს, ამხაგვრულებს თუ აგროტესკებს? ამის განმსჯელი მე ნამდვილად ვერ ვიქნები. ჩემი წერილის მიზანი ერთობ მოკრძალებულია – მოგიხსნოთ, რას წერს უელბეკი ლავკრაფტზე. საინტერესოა, როგორი რეაქცია ექნებათ ამაზე ლავკრაფტის ქართველ მოყვარულებს – ვინ იცის, იქნებ პასუხიც კი დაუწერონ უელბეკს? (ესეც ახალი ინტრიგა!). მსგავს „აპოლოგეტურ“ წერილს ჩვენს ქურნალში სიამონებით დავბეჭდავ (მერე კი ფრანგულად ვათარგმნინოთ და გავუგზავნით მოსიე მიშელს), თუმცა, მოდი, უელბეკის ტექსტს მივყვეთ. მისი „ბიოგრაფიული რომანის“ ყველა პასაჟს, ცხადია, ვერ გადმოცემთ, რაღაც მომენტების, მონაკვეთების გამოტოვება, ანდა შეკუმშვა მომიწევს, მაგრამ ყველაზე მთავარსა და არსებითს პატიოსნად გადმოვცემთ. ყოველ შემთხვევაში, ვენდები.

უელბეკი ესეს პირველ ნაწილს, – რომელსაც ჰქვია „სხვა სამყარო“, – ლავკრაფტის ფრანგი მთარგმნელის, ლ. ბერჟიეს ციტირებით იწყებს: „აღბათ, ბევრი უნდა იგანჯო, ლავკრაფტი რომ დააფასო“.

ლავკრაფტს რომ მძიმე ცხოვრება ჰქონდა, ეს მეგ-ნაკლებად ცნობილია. სწორედ, ესაა, აღბათ, რაც ჩვენი ჟურნალის მკითხველთა უმრავლესობამ იცის ლავკრაფტის პიროვნებაზე, და რაც ერთ სიტყვაზე დაიყვანება: „შემლილი“. ანუ ლავკრაფტი იყო კაცი, რომელიც სულიერად, ფსიქიკურად იგანჯებოდა, მაგრამ თან მხაგვრულ გექსტებს წერდა – ანუ შემოქმედი გახლდათ. მაგრამ რისგან იგანჯებოდა? რატომ და როგორ?

1908 წელს 18 წლის ასაკში ლავკრაფტი გახდა მსხვერპლი იმისა, რასაც ექიმებმა მოგვიანებით შემდეგი დიაგნოზი დაუსვეს: „ნერვული გამოფიგვა“. ჰ. ფ. ლ ჩაიბირა სტუპორში, რომელიც ათიოდე წელი გაგრძელდა. იმ ასაკში, როდესაც მისი სკოლის ამხანაგები ბავშვობას დაემშვიდობნენ და ცხოვრებაში შეაბიჯეს, როგორც საოცარ თავგაღსავალში, ლავკრაფტი თავის თავში ჩაიკეტა. დედის გარდა, არავის ელაპარაკებოდა, დილით ადგომამდე უარს ამბობდა, ღამ-ღამობით სახლში დაბორილობდა გრძელ ღამის პერნგში გამოწყობილი. თანაც, არც წერდა. მაშ, რას აკეთებდა? შესაძლოა, წიგნებს კითხულობდა. მისმა ბიოგრაფებმა ესეც კი არ იციან დანამდვილებით. ანუ ბიოგრაფები იძულებულნი არიან აღიარონ, რომ ძალზე ცოტა რამ იციან. ყოველ შემთხვევაში, ლავკრაფტი 18-დან 23 წლამდე, როგორც ჩანს, სრულიად არაფერს აკეთებს. შემდეგ მდგომარეობა ნელ-ნელა გაუმჯობესდა, 1913-დან 1918 წლამდე მან თანდათანობით აღადგინა ურთიერთობა ადამიანებთან. ეს მას საკმაოდ გაუჭირდა. ლავკრაფტი სწერდა ალფრედ გალინს: „მე მხოლოდ ნახევრად ვარ ცოცხალი, ძალების უმეტესი ნაწილი იმაზე მეხარჯება, რომ ვიჯდე და ვიარო. ჩემი ნერვული სისტემა სრულიად მოშლილია, სრულ აპათიაში ვარ...“

თუმცა მეტისმეტად ფსიქოდრამატული სურათების წარმოდგენა არ ღირს, – შენიშნავს უელბეკი, – რადგან ლავკრაფტი საღი გონების, ჭკვიანი და გულწრფელი ადამიანი იყო. რაღაც საშინელება დააგყდა თავს 16 წლის ასაკში, როდესაც გააცნობიერა, რომ გაიზარდა და ვეღარ ითამაშებს თავის საყვარელი სათამაშოებით. 1920 წლით დათარიღებულ წერილში ლავკრაფტი ამ-

ბობს: „ზრდასრული ასაკი – ეს ჯოჯოხეთია“.

ესოდენ კატეგორიული განცხადების წინაშე ჩვენი დროის „მორალისტები“, აღბათ, გაურკვეველ, გამკიცხავ ბუმბუნს მოჰყვებიან, მომენტს დაელოდებიან, თავისი უხამსი მინიშნებები რომ ჩაურთონ. თუმცა სავსებით შესაძლებელია – და ამას სერიოზულად ვწერო, ხაზს უსვამს უელბეკი, – ლავკრაფტს მართლა არ შეეძლო გაზრდილიყო, თუმცა უფრო კონკრეტულად შეიძლება ითქვას, რომ მას ეს ნამდვილად არ სურდა. და თუკი გავითვალისწინებთ იმ ღირებულებებს, ზრდასრულთა სამყაროში რომაა გაბატონებული – სიამოვნების მუდმივი ძიება, განუწყვეტელი კონკურენტული ბრძოლა, სექსი და ფულის მოხვეჭის სურვილი, – იქ მოსაწონი, მაინცდამაინც არაფერია.

ლავკრაფტმა იცოდა, რომ არაფერი აქვს საერთო ამ სამყაროსთან. იგი თამაშობდა და ყოველ სვლაზე რაღაცას კარგავდა – ანუ აგებდა. დაკარგა ბავშვობა, დაკარგა რწმენა. სამყარო მიზნს აღუძრავდა, არ უშვებდა ამრს, რომ ყველაფერი შეიძლება უკეთესად გამოჩნდეს მის ცხოვრებაში. ნებისმიერი რელიგია „დაგვიბილულ ილუზიად“ მიაჩნდა, ყავლი რომ გაუვიდა ცოდნის დაგროვების კვალობაზე. კარგ გუნებაზე ყოფნის უიშვიათეს მომენტებში რელიგიური აღმსარებლობის „მომნუსხავ სფეროზე“ ლაპარაკობდა, თუმცა საკუთარი თავი ამ სფეროდან განდევნილად მიაჩნდა.

უელბეკი შენიშნავს, რომ ცოტა ყოფილა ამქვეყნად ადამიანი, რომელიც ლავკრაფტივით ესოდენ გამსჭვალული იქნებოდა უსასოობით, იმედის უარყოფით. მისთვის სამყარო – სხვა არაფერია, თუ არა ელემენტარული ნაწილეკების მეყსეული კომბინაცია. ესაა ქაოსად ქცევის სიმბოლო. და ქაოსი, ბოლოსდაბოლოს, სამყაროს შთანთქმავს. კაცობრიობა გაქრება. გამოჩნდებიან ახალი რასები, მერე კი ისინიც გაქრებიან. ვარსკვლავებიც ჩაქრებიან, ყველაფერი გაქრება. ადამიანთა მოქმედება ისევე თავისუფალია და ისევე ამრსმოკლებული, როგორც ელემენტარულ ნაწილაკთა თავისუფალი მოძრაობა. სიკეთე, ბოროტება, მორალი, გრძნობები? ეს ყველაფერი, მხოლოდ და მხოლოდ „ვიქტორიანიული გამოწვინაა“. არსებობს მხოლოდ ეგოიზმი – ცივი, ურყევი, კამკაშა.

ლავკრაფტი ამ თავისი დასკვნების დამთრგუნველ ხასიათს კარგად აცნობიერებდა. 1918 წელს იგი წერს: „ნებისმიერი რაციონალიზმი სიცოცხლის ფასეულობისა და მნიშვნელობის დაკნინებას იწვევს და ადამიანური ბედნიერების საერთო

რაოდენობას ამცირებს. უმრავლეს შემთხვევაში სიმართლე შეიძლება გახდეს თვითმკვლელობის მიზეზი ან, ყოველ შემთხვევაში, მომაკვდინებელი ღეპრესია გამოიწვიოს”

ლავეკრაფს თავისი მაგერიალისტური და ათეისტური შეხედულებები არ შეუცვლია. წერილებში იგი აშკარა მაზოხისტური სიამოვნებით უბრუნდებოდაო მათ, – შენიშნავს უელბეკი. მართალი გითხრათ, ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ იღუმალი, საზარელი, საოცარი სამყაროს მეხოცბე, მისტიკოსი ლავკრაფტი მაგერიალისტი და ათეისტი აღმოჩნდებოდა. თუმცა ეს, ალბათ, იმაზე მეტყველებს, რომ ლავკრაფტის შემოქმედებას და ცხოვრებას მედაპირულად ვიცნობდი.

სამყაროსადმი ლავკრაფტის დამოკიდებულებას და მისი შემოქმედების ადგილსა და მნიშვნელობას უელბეკი თავისებურ შეფასებას აძლევს, როდესაც შენიშნავს: „ლავკრაფტის წარმატება თავისთავად სიმპტომაა“. ანუ, შეიძლება ვიგულისხმობთ, რომ იგი, ერთის მხრივ, პროლუქტია უღმერთო, მაგერიალისტური ცივილიზაციისა და, მეორე მხრივ, ამ ცივილიზაციის ვარსკვლავია, შემოქმედი, ასაზრდოებს მას იმ გრძნობებით, რაც ისედაც შინაგანად მახლობელია და თან, საზარელი... შეიძლება ვიფიქროთ, რომ ლავკრაფტის კითხვა თანამედროვე ადამიანისთვის ერთგვარი ფსიქოთერაპიაა, – რაც უნდა პარადოქსულად ეღერდეს.

მაგერიალიზმში და ათეიზმში დღეს, XXI საუკუნეში, პირადად მე პრიმიტივიზმის, ერთგვარი შებლულულობის გამოვლინებად მიმაჩნია, თუმცა XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ყველაფერი სხვანაირად ჩანდა, ცხადია. მაშინ ღმერთის რწმენა და რელიგიურობა ითვლებოდა პრიმიტივიზმად – მეცნიერების და ტექნიკის აფეთქებისებურმა განვითარებამ მაშინ შექმნა ილუზია, რომ მეცნიერება ყველა საილუმოებას ამოხსნის და სამყაროს ადამიანს დაუმორჩილებს. ღმერთისთვის ასეთ სამყაროში ადგილი აღარ დარჩა. მაგრამ ახლა, XXI საუკუნეში, გამოჩნდა, რომ მეცნიერება, ცოდნის გაღრმავების კვალდაკვალ, ხედავს – სამყარო გაცილებით რთულადაა მოწყობილი, ვიდრე ერთი საუკუნით ადრე ეგონათ, და იძულებულია აღიაროს – მეცნიერული კვლევის გარიჟრაჟზე წარმოსახული სურათი ადეკვატური არ გახლავს. კვანტური მექანიკა, გენეტიკური კოდის არსებობა, ანთროპული პრინციპი „უმარტივესი“ ბაქტერიის ურთუ-

ლესი აგებულება და მრავალი სხვა ფაქტი, მოვლენა თუ აღმოჩენა მოწმობს, კოსმოსი გეგმაზომიერი ჩანაფიქრის, შემოქმედების შედეგია და არა ბელნიერი (ადამიანისთვის ბელნიერი) შემთხვევებისა თუ დამთხვევების შედეგი. ანუ მეცნიერები ისევ მიუბრუნდნენ შემოქმედი ღმერთის – აბსოლუტის – იდეას, რადგან ამ იდეის გარეშე სამყაროსეულ რეალიებს ვერანაირად ვერ ხსნიან. თუმცა ეს ცალკე საუბრის თემაა... ლავკრაფტს მივუბრუნდეთ.

უელბეკი წერს: „ლავკრაფტისთვის ცხოვრებას აზრი არ ჰქონდა. მაგრამ, ასევე, არც სიკვდილს ჰქონდა აზრი. ეს ერთ-ერთი იმგვარი მომენტია, რომლის გაცნობიერებით ძარღვებში სისხლი გეყინება, – როდესაც თვალწინ ჰ. ფ. ლ. - ს სამყარო გადაგეშლება. მისი გმირების სიკვდილს არავითარი აზრი არ აქვს. სიკვდილს არანაირი შვება არ მოაქვს. ის არც თხრობის დასრულების საშუალებას იძლევა. ავტორი ისე სპობს თავის პერსონაჟებს, გეგონება მარიონეტებს ანადგურებდეს და ანაწევრებდეს. მათი სავალალო ბედისადმი სრულიად გულგრილია. კოსმიური ძრწოლა ძლიერდება, ფართოვდება, ორგანიზებულ სახეს იღებს. დიადი ქთულხუ იღვიძებს“.

მაგრამ რას წარმოადგენს ეს დიადი ქთულხუ? – კითხვას სვამს უელბეკი. ელექტრონების კომბინაცია, ისევე, როგორც ჩვენ, ადამიანები. ლავკრაფტის ჰორორი მკაცრად მაგერიალისტურია. მაგრამ კოსმოსის ძალთა თავისუფალი ავბელითობის გამო, სავსებით შესაძლებელია, რომ დიად ქთულხუს ჩვენზე შეუდარებლად მეტი ძლევავამოსილება ჰქონდეს, რაც კაცობრიობას, აპრიორი, კარგს არაფერს უქადის.

როდესაც ლავკრაფტი არამიწიერ გონიერ სიცოცხლესთან შეხვედრის შესაძლებლობაზე მსჯელობს, გეთავიზობს გავიხსენოთ, ჩვენ თვითონ როგორ ვექცევით ჩვენზე დაბლა მდგომ ცოცხალ არსებებს, მაგ. კურდღელსა თუ ბაყაყს. უკეთეს შემთხვევაში ჩვენ მათსაკვებად ვიყენებთ, ხშირად კი უბრალოდ იმისთვის ვხოცავთ, რომ ვისიამოვნოთ. ეს კი წინასახეა ჩვენი მომავალი კონტაქტისა და ურთიერთობისა „არამიწიერ სიცოცხლესთან“. სასაცილოა ველოდოთ, რომ სიბრძნითა და კეთილგანწყობით აღსავსე არსებები შეგვხვდებიან. ყველაზე სრულყოფილ, გამორჩეულ ადამიანებს, ბოლოს, შესაძლოა უცხოპლანეტელი პრეპარატორის მაგიდაზე მოხვედრა ეღირსოთ. მაგრამ ამასაც არანაირი აზრი არ იქნება.

XX საუკუნუს ბოლოს (როდესაც უელბეკი წიგნს წერდა) მცხოვრები ადამიანისთვის ასეთი, სასოწარკვეთით აღსავსე კოსმოსი სრულიად მახლობელია, „მისეულია“. ეს საზიზღარი სამყარო, სადაც ჩაბუდებულია შიში, ფართოვდება და ყოვლისმომცველი ხდება, რაღაც საზარელი გამოცხადების სახეს იღებს, სადაც ერთადერთი, რაც მოგველის, რაც გვიწერია, ისაა, რომ დაგვაქუცმაცებენ და გვმთანთქამენ – ეს, ეჭვგარეშეა, აღიქმება, როგორც ჩვენი გონისმიერი, ჩვენი შინაგანი სამყარო. ვისაც სურს ჩვენი გონების მდგომარეობა მუსკად შეაფასოს, მისთვის. ლავკრაფტის წარმატება მართლაც თავისთავადი სიმპტომია. დღეს, როგორც არასოდეს, შეგვიძლია მოვაწეროთ ხელი იმ შეხედულებებს, რითიც იწყება ჰ. ფ. ლ. -ს მოთხრობა „არგურ ჯერმინი“ – წერს უელბეკი, – „ცხოვრება თავისთავად საშინელი და ამაზრზენია, მაგრამ მის შესახებ ჩვენი მოკრძალებული ცოდნის ფონზე ხანდახან ჭეშმარიტების ისეთი საზარელი შუქ-ჩრდილები გამოკრთება ხოლმე, რომ ამის შემდეგ ასმაგად ამაზრზენი და საშინელი გვეჩვენება.“

თუმცა პარადოქსი ისაა, – წერს უელბეკი, – რომ ლავკრაფტისეული სამყარო, რაც უნდა საშინელი იყოს, რეალობას მაინც გვიჩვენებია. ამ გაგებით, ჩვენ სწორედ ისეთი მკითხველები ვართ, რომლებსაც იგი ელოდა. ჩვენ მის მოთხრობებს მუსკად იმ სულიერი განწყობით ვკითხულობთ, რომელმაც თავისთავად აიძულა იგი, რომ დაეწერა...

უელბეკი შენიშნავს, მისთვის სრულიად ცხადია, თუ რატომაა ლავკრაფტის კითხვა პარადოქსულად შევებისმომგანი მათთვის, ვისაც ცხოვრება შესძულდა: გექსტის პირველი წაკითხვა მნიშვნელოვან ნერვულ შეჯანჯღარებას იწვევს. სრულიად მარტო მყოფი ადამიანი იღიმება და ღიღინსაც კი იწყებს. საერთო ჯამში, ლავკრაფტი ცხოვრებისადმი დამოკიდებულებას გვიცვლისო.

მას მერე, რაც ეაკ ბერჩიემ საფრანგეთში ეს ვირუსი შემოიგანა, – აგრძელებს უელბეკი, – ლავკრაფტის მკითხველების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. როგორც დავირუსებულთა უმეტესობამ, ჰ. ფ. ლ. მეც 16 წლის ასაკში შემეყარაო, მეგობრისგან გადმომედოო. მაგარი შოკი მივიღე. არ ვიცოდი, თუ ლიგერაგურას ასეთი რაღაც შეეძლოო. თუმცა ამაში ბოლომდე არ ვარ დარწმუნებული, – შენიშნავს ფრანგი მწერალი,

– ლავკრაფტში არის რაღაც, რაც მთლად ლიგერაგურა არ უნდა იყოსო და ამის დადასტურებად მოჰყავს ის ფაქტი, რომ თხუთმეტი მეტმა მწერალმა (მათ შორის: რობერტ ბლოხმა, ოგასტ დერლეტმა, ფრედ ჩეპელმა, ფრენკ ბელენაპ ლონგმა, ლინა კარგერმა, რონალდ უინდრიმ და სხვებმა) თავისი შემოქმედება, მთლიანად ან ნაწილობრივ, იმ მითების განვრცობა-გამდიდრებას მიუძღვნეს, რაც ჰ. ფ. ლ. - მ შექმნა. თანაც ამას შეფარულად კი არ აკეთებდნენ, არამედ სრულიად ღიად. მემკვიდრეობითი კავშირი სისტიმაგურად, სულ უფრო მეტად მტკიცდება იმავე სიგვეებისა და გამოთქმების განმეორებით, რაც ლავკრაფტს ჰქონდა გამოყენებული (არკჰემის დასავლეთით უდაბური გორაკები, მისკატონიკის უნივერსიტეტი, ქალაქი აირემი მრავალსვეტიანი, დაგონი, სარნაგი, რილხი, ნიარლაფოგელი, ნეკრონომიკონი და სხვა).

ეპოქაში, რომელიც ყველაზე მეტად ორიგინალობას აფასებს, როგორც ხელოვნების უმაღლეს თვისებას, ეს გასაოცარი მოვლენაა. ასეთი რამ ჰომეროსისა და შუასაუკუნოვანი ეპიური პოემების შემდეგ არ მომხდარა. უნდა ვაღიაროთ, რომ საქმე გვაქვს იმასთან, რასაც „დაფუძნების მითი“ შეიძლება ეწოდოს.

შექმნა პოპულარული მითი, ნიშნავს შექმნა რიგული, რომელსაც მკითხველი მოუთმენლად ელის, პერიოდულად უბრუნდება და სულ უფრო მეტ სიამოვნებას იღებს ოდნავ განსხვავებული განმეორებისგან, რასაც იგი ახალ სიღრმედ აღიქვამს.

ამგვარად წარმოჩენილი, ეს ყველაფერი თითქმის პრიმიტიულობა გგონია. არადა, ლიგერაგურის ისტორიაში ასეთი რამის წარმატებული ცდები უიშვიათესია. სინამდვილეში, ამის განხორციელება, ახალი რელიგიის შექმნაზე იოლი არ გახლავს.

შემდეგ უელბეკი მსჯელობს შერლოკ ჰოლმსის მითზე, კონან ღოილმა რომ შექმნა და წერს, რომ ლავკრაფტი აფრთოვანებული იყო კონან ღოილით და თავად შექმნა ასეთივე პოპულარული, ცოცხალი და მომნუსხველი მითი.

თუმცა ლავკრაფტს ეს გაცნობიერებული არ ჰქონია. ეგონა, რომ გარდაცვალების შემდეგ მის ნაწერი დავიწყებას მიეცემოდა. 1925 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ პირად წერილში ვკითხულობთ: „მე თითქმის გადავწყვიტე მეტი აღარ ვწერო მოთხრობები, არამედ უბრალოდ ვიცოცხე-

ბო, ხილულად წარმოვიდგინო სურათები, როდესაც კი მომინდება, და არ ვაიძულო ჩემს თავს გავჩერდე ისეთი ვულგარული რაღაცისთვის, რასაც ჰქვია ჩემი ხილვების ქალაქში გადატანა პუბლიკისათვის, ღორებისგან რომ შედგება. მე მივხვდი, რომ ლიტერატურული მიზნები ჯენგლმენისთვის არაა საკადრისი, რომ მწერლობა ნატიფი ხელოვნება არ გახლავს, განურჩევლად რომ შეიძლება მისდით”.

ლავეკრაფი ნამდვილი ჯენგლმენი გახლდათ. პროფესიონალი მწერალი არ ყოფილა, თუმცა წერისთვის თავი არ დაუნებებია. პარადოქსალურად, ლავკრაფის პიროვნება იმიტომაც გვხიბლავს, – წერს უელბეკი – რომ მისი ფასეულობების სისტემა სრულიად განსხვავებულია, საწინააღმდეგოა ჩვენი სისტემისა. რასისტი, ამკარა რეაქციონერი იყო, იგი ხოგბას ახსამდა პურიგანულ აკრძალვებს და, რაც სრულიად ცხადია, „უშუალო ეროტიკული გამოვლინებანი“ საზიზღრობად მიაჩნდა. კომერციის კატეგორიული წინააღმდეგი გახლდათ, ფული სძულდა, დემოკრატია და პროგრესი ილუზიად მიაჩნდა. ამერიკელებისთვის ესოდენ ძვირფასი სიგყვის, „თავისუფლების“ გაგონებაზე მხოლოდ ჩაიცილებდა ხოლმე. კაცობრიობის მიმართ არისტოკრატული დამცინავი დამოკიდებულება ახასიათებდა, მაგრამ, ამავე დროს, ცალკეული ადამიანისადმი უაღრესად კეთილგანწყობილი და ყურადღებიანი იყო. ამას მოწმობს მისი პირადი წერილები, რაც წარმოუდგენლად დიდი რაოდენობით აქვს დაწერილი. განსაკუთრებით საინტერესოა იმ ახალგაზრდა, დამწყებ მწერლებთან მიმოწერა, მისი უშუალო გავლენით რომ ქმნიდნენ საკუთარ ნაწარმოებებს. არადა, ლავკრაფი მათ თავის მოწაფეებად ვერ აღიქვამდა. მეგრის პოზა არასოდეს მიუღია – იგი ახალგაზრდების მეგობარი გახლდათ, „მოდღვარი“ კი არა. სწორედ მათი დამსახურებაა (განსაკუთრებით, დერლეგის), ჩვენ დღეს ლავკრაფის შემოქმედებას რომ ვიცნობთ. ის დღეს წარმოგვიდგება, როგორც დიდებული, ბაროკოსული ანსამბლი, მდიდრულ იარუსებად, შიშისა და აღცაცების ღერძის გარშემო კონცენტრირებულ წრეებად განლაგებული:

– პირველი, ყველაზე გარეთა წრე: წერილები და ლექსები. გამოქვეყნებულია ნაწილობრივ. ფრანგულად თარგმნილი კიდევ უფრო ნალკებაა. წერილების რაოდენობა მართლაც რომ შთამბეჭდავია – თანაც, ზოგიერთი მათგანი 30

და 40 გვერდს ითვლის. რაც შეეხება ლექსებს, მათი სრული ჩამონათვალი დღემდე არ არსებობს.

– მეორე წრეს შეადგენს მოთხრობები, რომლებიც თავიდანვე თანამშრომლობის ფორმით იყო ჩაფიქრებული (მაგ. კენეგ სტირლინგთან ან რობერტ ბარლოუსთან ერთად), როდესაც ლავკრაფმა საშუალება მისცა ავტორს ესარგებლა მისი რედაქციით (მასთან თანაავტორობის უამრავი მაგალითი არსებობს, ზოგერ, ლავკრაფი გექსეს თავიდან ბოლომდე გადაწერდა ხოლმე). ამას უნდა დავემატოთ ნოველები, რომლებიც დარღვევა ლავკრაფის ჩანაწერებისა და ფრაგმენტების საფუძველზე დაწერა.

– მესამე წრეს შეადგენს თავად ლავკრაფის მიერ შექმნილი ნოველები. აქ, რა თქმა უნდა, ყოველი სიგყვა აწონილია, ფრანგულად ყველაფერი გამოქვეყნებულია, და აღარ არსებობს იმედი, რომ მათი რიცხვი გაიზრდება.

– და ბოლოს, მეოთხე წრე, ჰ. ფ. ლ. -ის შემოქმედების „გულისგული“, ის, რასაც თავგადაკლული ლავკრაფიანელები „უფროს გექსებს“ უწოდებენ:

- „ქთულჰუს ძახილი“ (1926)
- „უცხო სამყაროს ფერი“ (1927)
- „დანვიჩის საშინელება“ (1928)
- „წყვიდალში მოჩურჩულე“ (1930)
- „სიგიჟის მწვერვალებზე“ (1931)
- „სიმბრები ალქაჯის სახლში“ (1932)
- „ჩრდილი ინსმუგზე“ (1932)
- „დროის უფსკრული“ (1934)

ლავკრაფის არქივეტურულ ანსამბლს, ბუნდოვან-ცვალებადი გარემოს მსგავსად, თვით ავტორის პიროვნების უცნაური აჩრდილი აწევს. კულგის აგმოსფერო, რომელიც ამ ადამიანს, მის საქციელს, ცხოვრების წესს, მის ყველაზე მოკლე ჩამონათქვამსაც კი თან სდევდა, შესაძლოა, გაზვიადებულად და ავადმყოფურადაც მოეჩვენოს ვინმეს. მაგრამ საქმეს სხვანაირად შეხედავს, თუკი მის „უფროს გექსებში“ თავით ფეხამდე ჩაეფლობა.

„პროვიდენსელი განდევილი“ მითიურ ფიგურად იქცა და დღესაც რჩება ისევე, როგორც მითიურია მისი შემოქმედება. ჰ. ფ. ლ. -ის პიროვნების დემისტიფიკაციის ყველა მცდელობა კრახით დასრულდა. სპრაგ დე კამპი, ლავკრაფის 500-გვერდიანი ბიოგრაფიის შემქმნელი, წიგნის უკანასკნელ გვერდზე აღიარებს: „მე ბოლომდე ვერ გავიგე, ვინ იყო ჰ. ფ. ლავკრაფი“. რა კუთხიდან-

აც უნდა შეხედო, იგი სრულიად განსაკუთრებული ადამიანი გახლდათ.”

ლავერაფის შემოქმედება გაუგონარი მასშტაბის, საოცარი ზემოქმედების ძალის მქონე გენერატორს, სამშრისეული ხილვების გიგანტურ გენერატორს შეიძლება შევადაროთ. მის ლიგერატურაში სიმშვიდის და თავშეკავების ნატამალიც კი არაა, მკითხველის გონებაზე ზემოქმედება მრისხანე, შემამინებელი ძალით ხდება. ტექსტის გადაკითხვა ამ შეგრძნების ცვლილებას არ იწვევს, უბრალოდ, ბოლოს შენს თავს უსვამ კითხვას – კი მაგრამ, როგორ ახერხებს ამას?!

სერიოზულად არავის უცდია, პროსტი გაეგრძელებინა. ლავკრაფის გაგრძელება კი – რამდენიც გენებოთ. თანაც ეს არ გახლავს რაღაც მეორადი და ეპიგონური, ეს არც მისი დამსახურებების აღიარების ნიშნად ხდება და არც პაროდირებას წარმოადგენს. ლავკრაფის შემოქმედებას მართლა აგრძელებენ და ეს უნიკალური შემთხვევაა. მისი მოწაფენი გრძნობენ, ყოველ შემთხვევაში, თეორიულად მაინც, თუ რა პროპორციით უნდა აიღონ ოსტატის მიერ მითითებული „ინგრედიენტები“, რათა ისეთივე, ან კიდევ უკეთესი შედეგი მიიღონ.

ლავერაფმა გავლენა მხოლოდ ლიგერატურა-სა და ლიგერატორებზე კი არ მოახდინა, არამედ მხტავრებზეც – ფანტასტიკური ლიგერატურის ილუსტრატორებზე, როკ-მუსიკოსებსა და კინოხელოვანებზე. სრულიად უეჭველია, მან ახალი სამყარი შექმნა.

ესეც მეორე ნაწილში, რომელსაც ჰქვია „შეგვის ტექნოლოგია“, უელბეკი ლავკრაფის წერის პრინციპებსა და თავისებურებებს მიმოიხილავს. ამ საკითხს ჩვენ ძალზე მოკლედ გადმოგცემთ, – საქმე ისაა, რომ მკითხველი კარგად უნდა იცნობდეს ლავკრაფის სამყაროს, ნათქვამში რომ გაერკვეს) – წინააღმდეგ შემთხვევაში, ადეკვატური წარმოდგენა შეიძლება ვერ შეიქმნას. დეტალური მსჯელობისა და ვრცელი ციგატების მოყვანის საშუალება კი, სამწუხაროდ, არ გავაჩნია.

ლავერაფი თეორეტიკოსი არ ყოფილა, – წერს უელბეკი. როგორც კარგად შენიშნაო ჟაკ ბერჟიემ, მან მაგერიალიზმი ჰორორისა და ჯადოსნურის შუაგულში ჩანერგა და ამით ახალი ჟანრი შექმნა. იმაზე აღარაა დამოკიდებული, გჯერა თუ არ გჯერა – როგორც ეს ვამპირებსა და მაქციებზე მოთხრობების კითხვისას იყო, – სხ-

ვაგვარი ახსნა, უმცირესი გამოსავალი აღარ არსებობს.

არადა, როგორც ჩანს, იგი ბოლომდე ვერ აცნობიერებდა, თუ რას ქმნიდა. მართალია, მან 150 გვერდი მიუძღვნა ფანტასტიკურის სფეროს განხილვას, მაგრამ როდესაც კითხულობ ლავკრაფის ნარკვევს „საზარელი და ზებუნებრივი ლიგერატურაში“, ცოცხალი არ იყოს, იმედიგაცრუება გეუფლება. თუკი სათქმელს ბოლომდე ვიგყვით, გრჩება შთაბეჭდილება, – ეს წიგნი ოდნავ მოძველდა. და ბოლოს, ამის მიზეზსაც ხვდები. საქმე ისაა, რომ ლავკრაფი არ ითვალისწინებს საკუთარ წვლილს, რომელიც ფანტასტიკურის სფეროში შეიტანა. ამ ნაშრომიდან ბევრს შეიგყობ მისი კულტურისა თუ ერუდიციის მასშტაბზე და იმაზე, რომ აღგაცებული გახლდათ ედგარ პოს, დანსენის, ბლეკულის, მაკენის ტექსტებით, მაგრამ ვერაფრით მიხვდები, თვითონ რა დაწერა.

ნარკვევებზე 1925-1926 წლებში მუშაობდა – მანამ, სანამ თავის „უფროს ტექსტებს“ შექმნიდა. როგორც ჩანს, ლავკრაფს ჰქონდა მოთხოვნილება, ყველაფერი მიმოეხილა, რაც კი ფანტასტიკის სფეროში იყო გაკეთებული, რათა დაემსხვრია ყოველივე და სრულიად ახალი გზით წასულიყო.

ლავერაფის ნაწერის ერთადერთი მიზანია, მკითხველი მონუხსოს. ადამიანის გრძნობებიდან მხოლოდ აღგაცება და შიში აინგერესებს. თავის სამყაროს იგი მხოლოდამხოლოდ ამ გრძნობებზე აგებს. ეს, რა თქმა უნდა, შეზღუდვაა, მაგრამ გაცნობიერებული და წინასწარგანზრახული. უელბეკის აზრით, გარკვეული, შეგნებული სიბრძავის გარეშე, ჭეშმარიტი შემოქმედებითი თავისუფლება არ არსებობს... (თუმცა ეს, ალბათ, საკამათო მოსაზრებაა – პარადოქსივით ქლერს).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლავკრაფის შემოქმედებისთვის აშკარა ანტიეროტიკიზმი და მახასიათებელი. არადა, XX საუკუნის 20-30 წლებში უხამსობაზე წერა მოდაში შემოვიდა. ჰ. ფ. ლ. -ის ახალგაზრდა მიმდევრებს ეს თემა აინგერესებდათ – წერილებში ამის შესახებ ეკითხებოდნენ. ლავკრაფიც გულახდილად პასუხობდა. ფროიდი მისთვის სრულიად მიუღებელი იყო (ისევე, როგორც არაერთი ცნობილი ხელოვანისთვის). თუმცა მხოლოდ ორ თუ სამ წერილში გალანძა „ვენელი შარლაგანი“. ფსიქონალიზმის თეორიას ლავკრაფმა მოკლე, ორსიტყვიანი შეფასება მისცა; „ბავშვურად მიაბიგი სიმბოლოზმი“. უელბეკი დასძენს, რომ ამ თემაზე შეიძლება ასო-

ბით ფურცელი დაწერო, მაგრამ არსებითად უკეთეს ფორმულირებას ვერ მიაგნებ.

იყო კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც ლავკრაფგი ფროიდს არ სწყალობდა. ესაა სიმბრები. ფროიდი თავს უფლებას აძლევს სიმბრებზე იმსჯელოს, არადა, ესაა მოვლენა, რომელიც „პროვიდენსელმა განდევნილმა“ ძალიან კარგად იცის – ეს მისი გერიტორიაა, მისი „ნაკრძალია“. არ არსებობს სხვა მწერალი, რომელიც სიმბრებს ესოდენ სერიოზულად აღიქვამდა და თავის შემოქმედებაში იყენებდა. ზოგჯერ ლავკრაფგი ბოლომდე გაღვიძებულიც კი არ იყო, მაგრამ სიმბრას იწერდა, რომ არ ღავიწყებოდა

ლავკრაფგს რომანისგის მიდგომა არ გააჩნდა. ნებისმიერი კალიბრის რომანისგი ცდილობს ცხოვრების „ამომწურავი“ სურათი დახატოს. თავის მისიად ცხოვრების „გაშუქებას“ მიიჩნევს – სექსი, ფული, რელიგია, გექნოლოგია, იდეოლოგია, კაპიტალის გადანაწილება, – ვერაფერს უგულვებელჰყოფს. მან სამყაროს პანორამული სურათი უნდა შექმნას. ამოცანა, რასაკვირველია, ურთულესია, ადამიანის ძალებს რომ აღემატება, ამიგომ შედეგი ყოველთვის არადაამაკამყოფილებელია. უმაღური საქმეა – დასძენს უელბეკი.

თანაც რომანისგი, რომელიც აღწერს ცხოვრებას, ასე თუ ისე, მასთან გარიგებაზე მიდის. ლავკრაფგს კი ეს პრობლემა არ აწუხებდა. იგი არ ცდილობდა შინაგანად ურთიერთგაწონასწორებული, ანდა მისაღები სამყაროს სურათი შეექმნა. ამიგომ ცხოვრებასთან კომპრომისზე წასვლა არ უხდებოდა. იმას, რაც მისთვის უინტერესო, ანდა მხატვრული თვალსაზრისით, მდარე იყო, უბრალოდ უგულვებელჰყოფდა. ამგვარი თვითშემღუდვა მას ძალასა და სიმაღლეს ანიჭებდა.

მსგავსად კანგისა, რომელიც ცდილობდა საფუძველი ჩაეყარა მორალისთვის, „მხოლოდ ადამიანისთვის კი არა, არამედ ყველა მოაზროვნე არსებისთვის“ რომ იქნებოდა ქმედითი, ლავკრაფგს სურდა შეექმნა ფანტასტიკური საწყისი, რომელიც შიშს მოჰგვრიდა ნებისმიერ არსებას, რომელიც აზროვნების უნარს ფლობს. თუმცა ამ ორ პერსონას სხვა გადაკვეთის წერტილებიც ჰქონდათ, გარდა მათი სიგამზდრისა და გკბილეულის სიყვარულისაო, შენიშნავს უელბეკი, – შეიძლება ითქვას, არსებობდა ეჭვი, ისინი მთლად ადამიანები არ უნდა ყოფილიყვნენ. ასეა თუ ისე, „კენიგსბერგელი მარგოსული“ და „პროვიდენსელი განდევნილი“ ერთმანეთს ჰგვანან გმირული და პარა-

დოქსული სურვილით, ადამიანურზე მაღლა დადგნენ.

წიგნის მესამე ნაწილს, რომელსაც „გოგალური სასაკლაო“ ჰქვია, უელბეკი იწყებს შენიშვნით, რომ XX საუკუნე, ალბათ, ეპიკური და ფანტასტიკური ლიტერატურისთვის „ოქროს ხანად“ დარჩება, როგორც კი დუნე ავანგარდის ბურუსი გაიფანტებაო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სწორედ ამ საუკუნემ მისცა საშუალება ლავკრაფგსა და გოლკიენს, ასპარეზზე გამოსულიყვნენ.

ოცდაათი წლის დამამცირებელი ღუმლის შემდეგ, „ინტელექტუალებმა“ კეთილი ინებეს და ლავკრაფგს ყურადღება მიაქციეს, – წერს უელბეკი. მათი დასკვნა შემდეგი გახლდათ: ამ სუბიექტს საოცარი წარმოსახვა ჰქონდა (რალაცით ხომ უნდა აეხსნათ მისი წარმატება), მაგრამ სტილი არაფრად უვარგოდაო.

ეს არასერიოზული განცხადებაა, – შენიშნავს ფრანგი მწერალი. თუკი ლავკრაფგის სტილი არაფრად ვარგა, მაშინ სიხარულით შეგვიძლია განვაცხადოთო, რომ სტილს ლიტერატურაში თურმე არავითარი მნიშვნელობა არ აქვს საერთოდ!

შემდეგ უელბეკი კონკრეტული მაგალითების, ციტატების მოხმობით ლავკრაფგის ნაწარმოებების სტილურ თავისებურებებს განიხილავს.

ახლა კი რამდენიმე სიგყვა ვთქვათ ლავკრაფგის პირად ცხოვრებაზე, როგორც მას უელბეკი წარმოაჩენს.

ცხოვრების განმავლობაში ლავკრაფგი თავშეკავებული, უადრესად დახვეწილი ჯენგლმენის ნიმუშს წარმოადგენდა. სრულიად არ ჰგავდა კაცს, რომელიც საშინელებების მოყოლას დაიწყებს ანდა პუბლიკას არაორღინარული ქცევით გააკვირვებს. არავის არასოდეს ენახა, წონასწორობა დაეკარგოს, ქვითინი ანდა პირიქით, ხარხარი დაეწყოს. მთელ თავის ძალას და ემოციებს ლიტერატურასა და ოცნებას ახმარდა.

ლავკრაფგი წარუმატებელი პირადი ცხოვრების მაგალითს გვიჩვენებს, რომელმაც შედეგად, შემოქმედებაში წარმატება მოიგანა. თუმცა, ეს უკანასკნელი გარანტირებული სულაც არ გახლდათ. როდესაც რეალური ცხოვრება თითქმის არ გაინტერესებს, არსებობს რისკი, სრულ აპათიაში ჩაიძირო, ანდა თავი მოიკლა. და მართლაც, წლების განმავლობაში მას მუდმივად თან ჰქონდა ციანკალიუმიანი ფლაკონი. თუმცა არ გამოუყენებია – ეს მისი ხასიათის სიმტკიცეზე მეტყველებს.

ლავერაფის საოცარი პიროვნება იყო თუნდაც იმიტომ, რომ ფული საერთოდ არ აინტერესებდა. ამ დროს, შეძლებული ადამიანი სულაც არ ყოფილა. მართალია, სრულ სიღარიბემდე, გამათხოვრებამდე არასოდეს დაცემულა, მაგრამ მთელი ცხოვრება მეტად შეჭირვებული გახლდათ. არასოდეს ჰქონია საკმარისი თანხა, რაიმე სერიოზული რომ ეყიდა, ვთქვათ, ავტომობილი, ანდა ევროპაში წასულიყო სამოგზაუროდ, რაზეც მუდმივად ოცნებობდა.

მისი ძირითადი შემოსავალი რედაქტორისა და კორექტორის შრომის შედეგს წარმოადგენდა. ძალზე მცირე ანაზრაურებაზე თანხმდებოდა, ან სულაც, უფასოდ მუშაობდა, თუკი მეგობარი სთხოვდა. შესრულებულ სამუშაოში ჰონორარს თუ არ გადაუხდიდნენ, შემკვეთისგან ფულს არასოდეს ითხოვდა, არ უჩიოდა, რადგან მიაჩნდა, რომ ეს ჯენგლმენისთვის შეუფერებელი საქციელი იქნებოდა.

ლავერაფის მემკვიდრეობით მცირედი კაპიტალი ერგო, რომელსაც მთელი ცხოვრება მომჭირნედ ხარჯავდა, მაგრამ თანხა იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ მხოლოდ „დანამატის“ როლს ასრულებდა. გარდაცვალების მომენტში მისი საბანკო ანგარიში ნულის გოლი გახლდათ, თითქოს მუსტად იმდენი იცხოვრა, რამდენის საშუალებაც მემკვიდრეობით მიღებულმა თანხამ და ეკონომიის მისმა უნარმა მისცეს.

რაც შეეხება შემოქმედებას, პრაქტიკულად არავითარი შემოსავალი არ მოუტანია. ლავერაფის მიაჩნდა, რომ მისი ღირსების შეურაცხყოფა იქნება, თუკი მწერლობას პროფესიად გაიხდიდა. მის პირად წერილში ვკითხულობთ: „ჯენგლმენი არ ცდილობს ცნობილი გახდეს და ამ სურვილს წვრილმან ეგოისტ პლებეებს უტოვებს“. ლავერაფი მთელი ძალით ცდილობდა ქცევის ძველ-სძველი კოდექსი დაეცვა, მას ყოველთვის სურდა თავისი თავი პროვინციულ არისტოკრატად დაენახა, რომელიც ლიგერატურით დაკავებულია, როგორც ნაგიფი ხელოვნებით, საკუთარი სიამოვნებისა და მცირერიცხოვანი მეგობრებისთვის წერს, არ აინტერესებს პუბლიკის გემოვნება, მოღური თემები და ა.შ. მისნაირი პიროვნება თანამედროვე საზოგადოებაში ადგილს ვერ იპოვიდა, და ეს მან კარგად იცოდა, თუმცა ყოველთვის უარს ამბობდა რეალობისთვის ანგარიში გაეწია.

თავგადაკლული მერკანტილიზმის ეპოქაში შვების მომგვრელია, როდესაც ხელაღ ადამიანს,

ვინც ჯიუტად უარს ამბობს, საკუთარი თავით „ივაჭროს“, – შენიშნავს უელბეკი. აი, რას წერდა ლავერაფი წერილში, რომელიც მან 1922 წელს ჟურნალ „სამინელი ისტორიების“ რედაქციაში გაგზავნილ ხელნაწერს დაურთო: „ძვირფასო სერ, მე მაქვს ჩვევა გასართობად ვწერო მოთხრობები უცნაურზე, მაკაბრულსა და ფანტასტიკურზე. ამას წინათ ჩემმა მეგობრებმა დაჟინებით მომთხოვეს და დამარწმუნეს, ჩემი გოთიკური „სამინელებიდან“ მოგიერთი თქვენს ახალდაარსებული ჟურნალს შევთავაზო. გიგზავნით ხუთ ნოველას, რომლებიც 1917-დან 1923 წლამდე პერიოდშია დაწერილი. პირველი ორი, ალბათ, დანარჩენებს სჯობია, და თუკი ისინი არ გამოგადგებათ, სხვების კითხვით თავს ნუღარ შეიწუხებთ. არ ვიცი, მოგეწონებათ, თუ არა, რადგან მე სრულიად არ მაინტერესებს, რას ითხოვენ „კომერციული“ თხზულებებისგან, ჩემი ერთადერთი მიზანი – სიამოვნებაა, რომელსაც არაჩვეულებრივი სიგუაციების შექმნისგან, გარემოებათა თამამისგან ვიღებ და ერთადერთი მკითხველი, რომელსაც ანგარიშს ვუწევ, თავად მე ვარ. ნიმუშად ყოველთვის ძველი ოსტატები მყავს, განსაკუთრებით, ედგარ პო, რომელიც ბავშვობიდან ჩემი საყვარელი მწერალია. თუკი რაღაც სასწაულად შესაძლებლად ჩათვლით ჩემი ნაწერი გამოაქვეყნოთ, ერთადერთი მოთხოვნა მექნება, დაბეჭდეთ ყოველგვარი შემოკლებისა და ცვლილების გარეშე, ყველაფერი, ისე უნდა იყოს, როგორ წერია, უკანსკნელი მძიმის ჩათვლით. თუკი ეს შეუძლებელი იქნება, თქვენს უარს მაღლიერებით მივიღებ. თუმცა მეორეს მხრივ, მე, რასაკვირველია, ბევრად არ ვრისკავ, რადგან ძალზე მცირე შანსია, რომ ჩემს ხელნაწერს მიიღებთ. „დაგონი“ უკვე უარყო „შავმა ნილაბმა“, რომელსაც მოთხრობა შევთავაზე გარეგანი ბეწოლის შედეგად, ასევეა ამ შემთხვევაშიც“.

„პროვიდენსელი განდევლის“ ბიოგრაფია მოვლენებს ძალზე მცირე რაოდენობით შეიცავს, „არასოდეს არაფერი ხდება“, – ასეთია მისი წერილების ლაიგმოგოვი. შეიძლება ითქვას, ცხოვრება, ისედაც საკმაოდ მწირი, სრულიად „ცარიელი“ იქნებოდა, სონია ჰაფგ გრინი რომ არ გაეცნო.

სონია, ისევე როგორც ლავერაფი, „მოყვარული-ჟურნალისტების“ მოძრაობას ეკუთვნოდა. XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს ეს მოძრაობა აშშ-ში მეტად აქტიური გახლდათ. მან მრავალ მწერალს, ვინც საგამომცემლო წრეების მიღმა

იდგა, საშუალება მისცა, თავისი გექსტები ფართოდ გამოექვეყნებინა. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ლავკრაფტმა გარკვეული საზოგადოებრივი აქტივობა გამოიჩინა, რამაც მრავალი მეგობარი და ბოლოს, ცოლიც შესძინა.

როდესაც ერთმანეთი გაიცნეს, სონია 38 წლის იყო, ლავკრაფტი კი, 31-ის. ქალი ქმარგაყრილი გახლდათ, პირველი ქორწინებიდან 16 წლის ქალიშვილი ჰყავდა. ნიუ-იორკში ცხოვრობდა და განსაცმლის მაღაზიაში მუშაობდა გამყიდველად. როგორც ჩანს, სონიას ერთი ნახვით შეუყვარდა ლავკრაფტი, მას კი, თავის მხრივ, ერთობ თავშეკავებული დამოკიდებულება ჰქონდა. რადგან, – როგორც უელბეკი აღნიშნავს, – მან პრაქტიკულად არაფერი იცოდა ქალებზე. ამიგომ სონია იძულებული გახდა, ინიციატივა გამოეჩინა, დაპატიჟა სადილზე, შემდეგ ჩავიდა მასთან პროვიდენსში. ამის მერე, ქალაქ მაგნოლიაში (როდ-აილენდის შტატი) სონიამ თავისი ინიციატივით აკოცა. ლავკრაფტი თურმე გაწითლდა, შემდეგ ცარცის ფერი მიიღო. ეს 1922 წელს მოხდა. ლავკრაფტი მაშინ 32 წლის გახლდათ. ორი წლის შემდეგ მათ იქორწინეს. მრავალი თვე გავიდა, სანამ ლავკრაფტი საბოლოოდ „გალღებოდა“. სონია მომხიბლავი, ლამაზი ქალი იყო, – ბოლოს და ბოლოს, მოხდა დაუჯერებელი, „ასაკოვან ჯენგლმენს“, „პროვიდენსელ განდევილს“ ქალი შეუყვარდა.

თუმცა, მოგვიანებით, მათი ურთიერთობა, სამწუხაროდ, კრახით დასრულდა. სონიამ გაანადგურა მათი მიმოწერა, შემორჩა ერთადერთი წერილი, ცოცხალი უცნაური და პათეტიკური. აი, რამდენიმე ამონარიდი:

„ძვირფასო მისის გრინ, კაცისა და ქალის ურთიერთსიყვარული წარმოსახვითი განცდაა, რომელიც გულისხმობს, რომ შენს ობიექტს გარკვეულ ინტიმურ კავშირს ანიჭებ იმის ესთეტიკურ-ემოციურ ცხოვრებასთან, ვინც ამას განიცდის და განსაკუთრებულ პირობებზეა დამოკიდებული, რომლებიც ამ ობიექტმა უნდა შეასრულოს... მრავალი წლის განმავლობაში ნელ-ნელა კულტივირებული სიყვარულის კვალობაზე ურთიერთშეგუება და სრული თანხმობა მოდის, გახსენებანი, სიმბრები, ნატიფი ესთეტიკური სტიმულები და ხილვათა სილამაზის ჩვეული შთაბეჭდილებანი იცვლება იმ გაღვინის შედეგად, რომელსაც ერთი უსიგყვოდ ახდენს მეორემე. არსებობს დიდი განსხვავება გრძნობებს შორის ახალგაზრდა ასაკსა და სამწიფის ასაკში. 40 და შესაძლოა, 50 წლ-

ისთვის ხდება სრული ცვლილება. სიყვარული უშფოთველ სიღრმეს აღწევს, სათუთ კავშირს რომ ეფუძნება, რომლის გვერდით ახალგაზრდობის-დროინდელი ეროტიკული ლტოლვა, გარკვეულწილად, ყოვლად ორდინარულსა და ვულგარულ სახეს იღებს. ახალგაზრდობას მოაქვს ეროტიკული და ილუმორული სტიმულები, რაც დაკავშირებულია ბავშვურად ნაზი სხეულების ურთიერთშეხების ფენომეთან, ქალიშვილობის განწყობებთან და კლასიკურად ჰარმონიულ ვიზუალურ სახეებთან, რაც, რაღაც სინორჩისა და გაზაფხულის უმწიფარობის სიმბოლოს წარმოადგენს, რაც თავისთავად მშვენიერია, მაგრამ არაფერი აქვს საერთო ცოლ-ქმრულ სიყვარულთან...”

უნდა ითქვას, რომ ლავკრაფტის ანტიეროტიკში სონიას არ აბრკოლებდა. როგორც ჩანს, ქალი გრძნობდა, რომ თავისი უცნაური შეყვარებულის „ფრთხილი“, შიშნარევი დამოკიდებულება შეუძლია დაძლიოს. აღამიანებს შორის ზოგჯერ სრულიად წარმოუდგენელი ურთიერთობები იხლართება ხოლმე. სონიამ ეგყობა კარგად გაუგო ლავკრაფტს, – მის სიცივეს, განყენებულობას, ცხოვრებისადმი მიზნარევი დამოკიდებულებას. სონია ებრაელი იყო, თანაც ქმარს გაშორებული, ეს კი ანგისემიტი და კონსერვატორი ლავკრაფტისთვის, სერიოზული დაბრკოლება გახლდათ. თანაც 30 წლის ასაკში მას უკვე მიაჩნდა, რომ ღრმად მოხუცია. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, მათ იქორწინეს, – უნდა ვივარაუდოთ, რომ ლავკრაფტს მართლაც შეუყვარდა სონია – და ორი წელი, რომელიც მათ ერთად გაატარეს, ყველაზე საოცარი იყო მის ცხოვრებაში.

დასახლდნენ ბრუკლინში, სონიას ბინაში. „პროვიდენსელი განდევილი“ გადაიქცა თავაზიან, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა მამაკაცად, რომელიც მზადაა ნებისმიერ მომენტში ესტუმროს რესტორანსა თუ მუზეუმს. ლავკრაფტი აგზავნიდა ალგაცებულ წერილებს, ყველას ამცნობდა თავისი ქორწინების შესახებ. „ახლა ორნი შეადგენენ ერთს. მეორემ მიიღო ლავკრაფტის გვარი. საფუძველი ჩაეყარა ახალ ოჯახს! უნდა ნახოთ. მთელი ამ კვირის განმავლობაში როგორ აღრე დგება „ბაბუა“, როგორი სწრაფი ნაბიჯით მიდი-მოდის. და ეს ყველაფერი მომავალი მუდმივი ლიგერ-აგურული სამუშაოს – ჩემი პირველი ნამდვილი სამსახურის – პერსპექტივაში!“ – წერს ლავკრაფტი ერთ-ერთ წერილში.

ცოლ-ქმარ ლავკრაფტების სახლში მუდმივად

ხალხმრავლობა იყო, მეგობრები გაცემებით შეჰყურებდნენ ახალგაზრდა, 33 წლის კაცს, რომელიც ყველაფრის მიმართ გულგრილი „მოხუცი“ ეგონათ. იმ პერიოდში ლავკრაფტი იწყებს ოცნებას, რომ ლიგერაგურულ წარმატებას მიაღწევს, ცნობილი მწერალი გახდება. ეს საწაულია. სასწაულია, რომელიც სონიამ მოახდინა.

ლავკრაფტი და მისი ცოლი ძალიან ახლოს იყვნენ ბედნიერებასთან, მათს ოჯახს შეეძლო დიდხანს ეარსება, მაგრამ მოხდა მოვლენა, რომელმაც ყველაფერი თავდაყირა დააყენა, – სონიამ დაკარგა სამსახური. შეეცადა საკუთარი ძალაშია გაეხსნა, მაგრამ არ გამოუვიდა. ლავკრაფტი იძულებული გახდა სამუშაო ეძებნა, ოჯახი რომ ერჩინა, მაგრამ ეს მისთვის სრულიად განუხორციელებელი ამოცანა აღმოჩნდა. არადა, ლავკრაფტი პაგიოსნად ცდილობდა ეშოვნა რაიმე სამსახური, მაგრამ ყოველთვის უარს იღებდა... აი, ნაწყვეტი მისი წერილიან: „დაახლოებით ას განცხადებას გამოვეხმაურე, მაგრამ წესიერად არც კი მისმენდნენ, – ალბათ, იმიტომ, რომ ვერ დავესახელე ჩემი წინანდელი თანამდებობა, რომელიმე ფირმაში მიღებული კომპეტენციის შესაბამისი...“; ლავკრაფტისთვის ამერიკის ეკონომიკაში ადგილი არ აღმოჩნდა. მართალია, რეალურ ცხოვრებაზე მას საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა, მაგრამ ამერიკის ეკონომიკა იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო კრიზისში და, წესით, მას რაღაც სამუშაო მაინც უნდა ეშოვნა. თუმცა ეს ვერ მოახერხა და ამაში, – წერს უელბეკი, – გარკვეული მისტიკაც კი უნდა იყოს თითქოს.

1925 წლის 31 დეკემბერ სონია ცინცინატიში გაემგზავრა, სადაც ახალი სამსახური იშოვა. ლავკრაფტი მას არ გაჰყვა – ვერ წარმოედგინა ცხოვრება შუა დასავლეთის უცნობ, მიყრუებულ პატარა ქალაქში. პროვიდენსში დაბრუნებაზე დაიწყო ფიქრი, თუმცა კიდევ ერთი წელი გაატარა ნიუ-იორკში. სონიამ ცინცინატიში სამსახური დაკარგა, მაგრამ იშოვა კლივლენდში. ნიუ-იორკში ყოვილ ორ კვირაში ერთხელ ჩადიოდა, ქმრისთვის საარსებო თანხა ჩაჰქონდა. ლავკრაფტი აგრძელებდა სამუშაოს ძიებას, მაგრამ უშედეგოდ. თავს საოცრად უხერხულად გრძნობდა. უნდოდა პროვიდენსში დაბრუნება, სადაც მისი დეიდები ცხოვრობდნენ, მაგრამ ამასაც კი ვერ ბედავდა. პირველად ცხოვრებაში ვერ იქცეოდა ისე, როგორც „ჯენტლმენს“ ეკადრება.

საბრალო ჰოვარდი, საბრალო სონია!..

1926 წლის აპრილში ლავკრაფტი დაბრუნდა პროვიდენსში, თავის უფროს დეიდასთან, ლილიან კლარკთან. ოფიციალურად სონიას სამი წლის შემდეგ გაეყარა. არცერთ ქალთან ურთიერთობა მეტი აღარ ჰქონია. შეიძლება ითქვას, – შენიშნავს უელბეკი, – 1926 წელს დასრულდა ლავკრაფტის პირადი და დაიწყო ჭეშმარიტი შემოქმედებითი ცხოვრება – „უფროსი ტექსტების“ პერიოდი.

უელბეკის ამ მეგად საინტერესო გამოკვლევის – „პ. ფ. ლავკრაფტი კაცობრიობის წინააღმდეგ, პროგრესის წინააღმდეგ“, – შესახებ თხრობა აქ უნდა შევწყვიტოთ. იმედია, როდესაც ჩვენი კლუბი ფინანსურად მოძლიერდება, ფეხზე დადგება და თავად დაიწყებს წიგნების ბეჭდვას, სხენებულ „ბიოგრაფიულ რომანს“ ვთარგმნით და გამოცემთ.

* * *

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ლავკრაფტი დღესაც ბოლომდე ამოუცნობ მოვლენად რჩება. იგი ნამდვილად ვერ ეგევა, ვერც პიროვნულად და ვერც თავისი შემოქმედებით, ნორმის ფარგლებში. ჩვენი დღევანდელი სამყარო, შეიძლება ითქვას, ნორმის ფარგლებს ასევე გასცდა, საკმაოდ ხანია. იქნებ სწორედ აქაა საძიებელი ლავკრაფტის გასაოცარი პოპულარობისა და გავლენის საფუძველი და მიზეზი? არანორმალურმა, მარტოსულმა, დაზაფრულმა სამყარომ შეიყვარა, შეითვისა არანორმალური, მარტოსული, დაზაფრული (და დამზაფრავი) მწერალი?

უელბეკის ფრაზას გავიმეორებ: „ლავკრაფტის წარმატება თავისთავად სიმპტომა“...

თუმცა საკითხს მეგისმეტი გამარტივებაც არ იქნება სწორი...

ერთი რამ ჩემთვის ცხადია: მცდელობა, გავერკვეთ ლავკრაფტის შემოქმედებასა და პიროვნებაში, თუნდაც იმითია ღირებული და გამართლებული, რომ საკუთარ თავში გარკვევის გოლფასია, – რაც უნდა პარადოქსულად ქდერდეს - შიში, ძრწოლა, მიუსაფრობა, მარტოსულობა, უიმედობა და უსასობა თანამედროვე ადამიანის თანამდევნი განცდებია... კომმარული ქიმერებია... მაგრამ კომმარულ ქიმერებს რომ გაუშვავდებოდა, თვალი უნდა გაუსწორო და სახელიც დაარქვა მათ, მაშინ ველარაფერს დაგიშავებენ... აორთქლდებიან.



მიხეილ შაველაშვილი

ორიოდე
სიტყვა
კინოჰორორზე

უმეუფლესი დროიდან ადამიანს შიშის აღმძვრელი ამბების მოყოლა სჩვევია, ღამით რომ გადახდა თავს. ყველა ერის ფოლკლორში გვხვდება გადმოცემები წყვილადში ჩასაფრებულ ბოროტებაზე თუ საფლავიდან გამოსულ მკვდრებზე. ერთ-ერთ ეგვიპტურ მითში („თქმულება სათნი-ჰაემუასის შესახებ“) მთავარ გმირს დაშვებული შეცდომის გამო მუშია სჯის, ბერძნულ თქმულებაში, რომელიც ორესტის შესახებ მოგვითხრობს, არის ეპიზოდი, სადაც ორესტს ჯოჯოხეთური არსებები - შურისძიების სულები, ერინიები მისდევენ. ყველა ეს სიუჟეტი მორალურია და დღემდე გამოიყენება, თუ შეიძლება ასე ითქვას.

მეთვრამეტე საუკუნიდან საშინელებათა ამსახველი მოთხრობა ცალკე ჟანრად, ე.წ. „გოთიკურ ნოველად“ ჩამოყალიბდა. ის არნახულად პოპულარული გახდა, ამ ჟანრში მრავალი ნიჭიერი და გამოჩენილი მწერალი სცდიდა ძალებს. „საშინელებებს“ წერდნენ ბაირონი, დიკენსი, გოგოლი, ედგარ პო, ანდერსენი, ვაშინგტონ ირვინგი, ჯერომ ჯერომი, ალექსეი ტოლსტოი და სხვანი.

ამ ჟანრის ეტალონური რომანები დაწერეს ბრემ სტოკერმა და მერი შელიმ, ხოლო ჟანრზე პაროდია შეთხზა ოსკარ უაილდმა („კენტერვილის მოჩვენება“).

ასე რომ, თავისთავად ცხადი იყო, ახალგაჩენილი ხელოვნება – კინემატოგრაფი – ჰორორს გვერდს ვერ აუვლიდა.

მხატვრული კინოს ერთ-ერთმა პიონერმა, ჟორჟ მელიესმა, 1896 წელს გადაიღო მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ემმაკის სასახლე“. ის უნიკალურია ორი ფაქტის გამო - ეს იყო პირველი მცდელობა ჰორორის გადაღებისა და პირველი კინო, სადაც გამოყენებული იქნა სპეცეფექტები.

სანამ გადავიდოდეთ უფრო დახვეწილ ჰორორებზე, გავიხსენოთ ის ფაქტიც, რომ გარდა პირველი ჰორორისა, ჟორჟ მელიესმა გადაიღო პირველი სამეცნიერო ფანტასტიკაც - 1902 წლის „მოგზაურობა მთვარეზე“ (რომელიც ეყრდნობოდა სამეცნიერო ფანტასტიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ჟიულ ვერნის რომანს).

1913 წელს ეკრანებზე გამოდის ფილმი „პრადელი სტუდენტი“, რომელსაც საფუძვლად ედო ედგარ პოს „უილიამ უილსონი“ და ოსკარ უაილდის „დორიან გრეის პორტრეტი“ (იმავე წელს გამოდის ამერიკული ფილმი „ექიმ ჯეკილის და ბატონ ჰაიდის ისტორია“, სტივენსონის მოთხრობის ეკრანიზაცია, რომელიც გაორების თემას ეხება). სამწუხაროდ, ეს ფილმი ჩვენამდე სრული სახით არ შემორჩენილა, თუმცა გვაქვს 20-იან წლებში გადაღებული მისი ძალიან კარგი რიმიქი, სადაც მთავარ როლს ასრულებს კონრად ვეიდტი, გერმანული ჰორორების სუპერ-არსკვლავი.

კონრად ვეიდტმა ითამაშა სხვა მრავალ ფილმში, მათ შორის, ადრეული ჰორორ-კინოების უღაგო

მედვერში. ეს გახლავთ რობერტ ვინეს 1920 წელს გამოსული „ექიმ კალიგარის კაბინეტი“ – ესაა მსოფლიოში პირველი ფსიქოლოგიური თრილერ-ჰორორი.

გერმანულ კინო-ჰორორზე საუბრისას, აუცილებლად უნდა ვახსენოთ ფრიდრიხ მურნაუს „ნოსფერატუ“, 1921 წელს გამოსული ფილმი, რომელიც აგებულია ბრემ სტოკერის რომან „დრაკულას“ მოტივებზე და აღიარებული იქნა ყველაზე საშიშ ფილმად, ხოლო მთავარი როლის შემსრულებელზე, მაქს შრეკზე, დადიოდა ჭორები, რომ ის ნამდვილი ვამპირია (ამ „ლეგენდაზე“ დამყარებული 2000 წელს გამოსული ფილმი „ვამპირის აჩრდილი“). ეს ფილმი დღემდე ძალზე პოპულარულია, თავის დროზე კი ნამდვილი ფურორი მოახდინა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჰორორი განვითარდა XX საუკუნის 20-იან წლებში, გერმანული ფილმების გავლენით – იმავე ტიპის გრიმები, გროტესკულ-სიურრეალისტური დეკორაციები და საშინელებათა ჟანრის მსგავსი ფართო გაგება (გერმანულ კინოში საშინელებებს აკუთვნებდნენ ბევრ დეტექტიურ ფილმს, ჰოლივუდში ამ ჟანრს მიაკუთვნეს, ვთქვათ, ვიქტორ ჰიუგოს „კაცი რომელიც იცინის“ ეკრანიზაცია, სადაც გერმანული ჰორორის ვარსკვლავმა ვეიდტმა ითამაშა). თვით თერმინი „ჰორორი“ პირველად გამოიყენეს 1929 წლის ფილმ „მეცამეტე სკამის“ დახასიათებისას, რომელიც გადაიღო ჰორორის ოსტატმა, ტოდ ბროუნინგმა (და რომელიც, როგორც ბევრი სხვა წინამორბედი ფილმი, უფრო დეტექტივი ან თრილერია).

ზოგადად, 1920-იანი წლების საშინელებათა ამერიკული ფილმები უკავშირდება ძირითადად სამ პიროვნებას - უკვე ნახსენებ რეჟისორ ტოდ ბროუნინგს, პროდიუსერ კარლ ლემლეს და მსახიობ ლონ ჩეინის - და ერთ ადგილს, რომელსაც ერქვა კინოსტუდია „Universal“ (ლონ ჩეინის გარდა, ყოველმა მათგანმა გადააბიჯა 30-იანებშიც, სადაც ჩამოაყალიბეს ჰორორის ჟანრის თითქმის ყველა სტანდარტი).

ლონ ჩეინი ხშირად თამაშობდა ურჩხულებს და დამახინჯებულ ხალხს ისე, რომ თვითონ იმზადებდა კოსტიუმსა და გრიმს. ყოველი არსება იმდენად განსხვავებული გამოსდიოდა, რომ მსახიობს „ათასსახიან“ ადამიანსაც კი უწოდებდნენ. მისი ყველაზე ცნობილი როლი იყო ეპოქალურ კინო-ჰორორში, 1925 წლის „ოპერის აჩრდილში“. როგორ გამოიყურებოდა აჩრდილის გრიმი არავენ იცოდა მისთვის ნიღბის მოხსნის სცენის გადაღების მომენტამდე. როდესაც მსახიობმა მერი ფილბინმა მოხსნა მას ნიღაბი, აჩრდილის რეალური სახის დანახვისას

მას მართლაც შეეშინდა, და ზუსტად ეს დუბლი შევიდა ფილმის საბოლოო მონტაჟში.

30-იანი წლებიდან იწყება ხმოვანი ჰორორის ეპოქა. ამ პერიოდში გამოშვებული ფილმებიდან უმრავლესობა სტუდია „Universal“-ს ეკუთვნის და ე.წ. „კლასიკური მონსტრების“ სერიაში შედის – პირველი მათგან კი იყო „დრაკულა“.

ამ ფილმის გადაღება უკავშირდებოდა ისევ და ისევ კარლ ლემლეს და ტოდ ბროუნინგს. დრაკულას როლზე უნგრელი მსახიობი ბელა ლუგოში აიყვანეს და ზუსტად მან შექმნა ყველაზე ცნობილი ვამპირის ერთგვარი ბრენდი - არისტოკრატიული ჩაცმულობა და მაღალყელიანი შავი მოსასხამი. ბელა ლუგოში დღემდე რჩება დრაკულას პერსონაჟის სახედ, გარდაცვალების მერე მსახიობი დრაკულას კოსტიუმშიც კი დაასაფლავეს.

1931 წელსვე გამოვიდა კინოფილმი „ფრანკენშტეინი“, რომელმაც მას-კულტურაში კიდევ ერთი ურჩხულის იმიჯი ჩამოაყალიბა. ფრანკენშტეინი მაყურებელს ზუსტად ისეთად წარმოუდგენია, როგორც ითამაშა ბრიტანელმა მსახიობმა ბორის კარლოფმა. ამ როლის (რომელზეც უარი თქვა ბელა ლუგოშიმ) შემდეგ კარლოფი გახდა ჰორორ-ჟანრის ერთ-ერთი სახე მრავალი წლის მანძილზე. ლემლემ ფილმი იმდენად საშიშად ჩათვალა, რომ დასაწყისში ჩამატა გაფრთხილება სუსტი ნერვული სისტემის მქონე ადამიანებისათვის.

1932 წელს იუნივერსალმა გამოუშვა „დრაკულას“ იდენტურ სიუჟეტზე გადაღებული „მუშია“ ბორის კარლოფით მთავარ როლში. „მუშია“ სტუდიის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტი აღმოჩნდა. ფილმი გადაიღო კარლ ფროინდმა, რომელიც ადრე იყო ოპერატორი გერმანელი რეჟისორის, ფრიც ლანგის ფილმისა „მეტროპოლისის“, რომელიც სამეცნიერო ფანტასტიკის კლასიკადაა მიჩნეული.

1933 წელს კინემატოგრაფს ახალი ურჩხული შეეძინა. მსახიობმა კლოდ რეინსმა ითამაშა მთავარი როლი ჰერბერტ უელსის „უჩინარი კაცის“ გაჰორორულ ეკრანიზაციაში

ამ ფილმების გამოშვების შემდეგ იუნივერსალში ახალი იდეების ნაკადი იწრებდა და 40-იან წლებამდე იქ პოპულარულ მონსტრებზე (მათ შვილებზე, ცოლებზე და ა.შ.) გაგრძელებებს, რიმიქებს და პაროდიებს იღებენ.

40-იან წლებში სტუდიას შემოჰყავს ახალი პერსონაჟი (და, ამავედროულად, ახალი სერია) - მგელკაცი, ლონ ჩეინ-უმცროსის შესრულებით (პირველი კლასიკური მონსტრი, რომელიც ერთგვარად

დადებითი პერსონაჟია), ხოლო 50-იანების დასაწყისში გამოდის „კლასიკური მონსტრების“ უკანასკნელი სიახლე - „არსება შავი ლაგუნიდან“. იუნივერსალის ურჩხულების სერია ნელ-ნელა ჩაკვდა, თუმცა მისი კვალი თანამედროვე პოპ-კულტურაში ჩანს.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საშინელებათა ფილმები კარდინალურად შეიცვალა. კლასიკურმა სიუჟეტებმა და არსებებმა უკან დაიხიეს და ადგილი დაუთმეს მეტ ფსიქოლოგიზმსა და გაფრთხილებას (ძირითადად ანტიმილიტარისტულსა და ანტიტექნოლოგიურს). ჰორორში უცხოპლანეტელებმა შემოაბიჯეს და მასში ადგილი დაიმკვიდრეს.

1951 წელს გამოდის ამ „კოსმოსური ჰორორის“ ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი, „არსება სხვა სამყაროდან“, ჯონ კემპბელის მოთხრობის ეკრანიზაცია, რომელიც მოგვითხრობს არქტიკულ სადგურზე მოხვედრილ უცხოპლანეტელზე. ეს არსება კლავს მეცნიერებს და მათ სახეს იღებს. ამ ფილმის რიმიეჟი, 1982 წელს გამოსული „არსება“ კოსმოსურ საშინელებათა ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. 1953 წელს გამოდის „ის ღია კოსმოსიდან მოვიდა“. ეს ფილმი ჩვენს ქრონიკაში არ შევიდოდა, რომ არა ორი ფაქტი - მისი სცენარის ავტორია არც მეტი, არც ნაკლები, რეი ბრედბერი, და ის არის ერთ-ერთი პირველი ფილმი, სადაც უცხოპლანეტელები არ არიან აბსოლუტურად ბოროტები.

50-იანების შემდეგ ფილმები ბოროტ უცხოპლანეტელებზე უკვე აღარ მიეკუთვნებოდა ჰორორის ჟანრს, თუმცა გამონაკლისებიც გვხვდება. მათ შორის საუკეთესოებია რიდი სკოტის „უცხო“ და ჯონ მაკტირნანის „მტაცებელი“ (რომელიც რეალურად ექშენია ჰორორის ელემენტებით ფილმის პირველ ნახევარში).

1958 წელს გამოდის ფილმი „ბუზი“ რომელსაც ასევე აქვს სამეცნიერო ფანტასტიკის ნიშნები. ეს ფილმი (და მისი 1986 წლის რიმიეჟი) არის ერთ-ერთი საუკეთესო კინონაწარმოები მეცნიერული პროგრესის თანმხლები შესაძლო პრობლემების შესახებ. მასში ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს ვინსენტ პრაისი, რომელიც იყო 60-იანების ჰორორ-ფილმების წამყვანი მსახიობი. მისი ფილმოგრაფიიდან გამოვარჩევდით ედგარ პოს მიხედვით გადაღებულ „წითელი სიკვდილის ნიღაბს“ და „ყორანს“ (სადაც თამაშობენ ბორის კარლოფი და პიტერ ლორე, 30-იანი წლების ჰორორების ერთ-ერთი ვარსკვლავი) და, აგრეთვე, ჯერ კიდევ არც ისე ცნობილი ჯეკ ნიკოლსონი (რომლის კარიერა ჰორორებში გაგრძელდა ფილმით „შიში“, ბორის კარლოფთან ერთად, სტენლი კუბრიკის საკულტო ფილმით „ნათება“ და მაილს

ნიკოლსის ფილმით „მგელი“). ვინსენტ პრაისის საინტერესო როლებს შორისაა „უკანასკნელი ადამიანი დედამიწაზე“ და ტიმ ბარტონის „ედუარდ მაკრატელხელა“, სადაც, ბარტონის მრავალი სხვა ფილმის მსგავსად, კლასიკური, 30-იანი წლების ჰორორის მრავალი ატრიბუტია.

სანამ 60-იან წლებზე გადავსულვართ, არ შეიძლება, რომ არ შევჩერდეთ „კლასიკური მონსტრების სერიის“ ახალ, ბრიტანულ ინკარნაციაზე. ეს იყო იუნივერსალის ფილმების თავისუფალი რიმიეჟები, რომლებსაც უშვებდა სტუდია „ამერი“. ძირითადი ფილმები ისევ და ისევ მოიცავენ მუშიას, ფრანკენშტეინის ურჩხულსა და დრაკულას. ამ ორმა უკანასკნელმა იუნივერსალის ფილმებთან შედარებით ცვლილებები განიცადა - ფრანკენშტეინის ურჩხულმა უკანა პლანზე გადაიწია, ფილმები ძირითად აქცენტს მის შემქმნელზე, ბარონ ფრანკენშტეინზე აკეთებდნენ, ხოლო დრაკულა ბელა ლუგოშის პერსონაჟთან შედარებით, ნაკლებათ არისტოკრატიული და უფრო სასტიკი გახდა.


„ამერი“-ის ძირითად ფილმებში („ფრანკენშტეინის წყევლა“, „დრაკულა“, „მუშია“, „ბასკერვილების ძაღლი“) ჩამოყალიბდა ჰორორ-მსახიობების კიდევ ერთი კლასიკური ლუეტი. ესენი იყვნენ პიტერ კამინგი და კრისტოფერ ლი.

60-იან წლებში ჟანრმა საბოლოო, დასრულებული სახე მიიღო.

1960 წელს თრილერისა და ჰორორის ოსტატი ალფრედ ჰიჩკოკი უშვებს ფილმს „ფსიქო“. ეს ფილმი გახდა საშინელებათა კინოს ერთ-ერთი ქვეჟანრის - „ფილმები მანიაკებზე“ - პირველი ძირითადი ნიმუში, ზუსტად მის „შთამომავლებად“ შეიძლება აღვიქვათ იგივე „კოშმარი თელების ქუჩაზე“, „პარასკევი 13“, „ჰელოუინი“ და ბევრი სხვა საკულტო ფილმი. ჰიჩკოკზე საუბრის დასამთავრებლად კი ვასწავნებთ 1963 წელს გამოსულ „ჩიტებს“, რომელიც იყო და არის ერთ-ერთი საუკეთესო ჰორორი.

60-იან წლებში ჩამოყალიბდა ჰორორის ისეთი მიმდინარეობები, როგორიცაა მისტიკურ-რელიგიური ჰორორი (რომან პოლანსკის „როზმარის ბავშვი“, რომლის იდეური გამგრძელებლები იყვნენ 70-იანების „ეგზორცისტი“ და „ომენი“) და ზომბი-ჰორორი (ჯორჯ რომეროს „ცოცხალ მკვდართა ღამე“ და მისი კლონები, რომლებისგან გამოვარჩევდი ლავკრაფტის მოტივებზე გადაღებულ პაროდულ ფილმთა სერიებს „რეანიმატორი“ და „გაბოროტებული მიცვალებულები“).

(მიმოხილვა ქრონოლოგიურად მიყვანილია XX საუკუნის 60-ან წლებამდე, როდესაც ლავკრაფტის ეკრანიზება დაიწყო).



ლაკრაფტის ეკრანიზაციები

ლაკრაფტის ნაწარმოებების მიხედვით დღესდღე-ისობით გადაღებულია 85 ფილმი და შექმნილია ათეულობით ვიდეოთამაში. აქედან ნახევარზე მეტი ბოლო ათწლეულის ნამუშევარია. ზოგ ფილმში ლაკრაფტის ნაწარმოებებიდან მხოლოდ სახელი ან სათაურია აღებული და მის თხზულებასთან არაფერი საერთო არ აქვს. ფილმები, რომლებიც უშუალოდ ლაკრაფტის ნაწარმოებების მიხედვითაა გადაღებული, გაცილებით მცირე ოდენობით არსებობს. ამ მიმოხილვაში მხოლოდ რამდენიმე, ყველაზე საინტერესო ეკრანიზაციას შევხებით.

ლაკრაფტი ეკრანზე პირველად 1963 წელს მოხვდა, როდესაც როჯერ კარმანმა გადაიღო ფილმი „მოჯადოებული ციხე-კოშკი“, რასაც საფუძვლად უდევს ლაკრაფტის ნაწარმოები „ჩარლზ დექსტერ ვარდის შემთხვევა“. თხზულება 1927 წელსაა დაწერილი და ლაკრაფტის ერთ-ერთ საუკეთესო ტექსტად ითვლება. ნაწარმოების შინაარსი ტიპური გოთიკური რომანის შესაბამისია – XVIII საუკუნეში მოკლული ბოროტი ჯადოქრის გაცოცხლებას ცდილობს მისი შთამომავალი. მთავარ როლს ასრულებს ვინსენტ პრაისი. 1992 წელს ამავე რომანის მიხედვით დენ ო'ბენონმა გადაიღო ცნობილი ფილმი: „ცოცხალი მკვდრების დაბრუნება“. ამ რეჟისორს ლაკრაფტის ნაწარმოებების მიხედვით გადაღებული სხვა ფილმიც

ეკუთვნის: „აღმდგარი“ თუმცა ის, სინამდვილეში, ლაკრაფტის სტილში შექმნილი მისტიკური ჰორორი კი არა, უფრო „ბოევიკია“ სისხლიანი ზომბებისა და მოცეკვავე ჩონჩხების მონაწილეობით.

1970 და 2009 წლებში „დანჯინის საშინელების“ ორი ეკრანიზაცია იხილა მაყურებელმა. პირველ ვერსიაში მთავარ როლს ასრულებს დინ სტოკუელი.

1965 წელს ლაკრაფტის მოთხრობის, „უცხო სამყაროს ფერის“, მიხედვით რეჟისორმა დენიელ ჰელერმა გადაიღო „მოკვდი მონსტრო, მოკვდი“. მიუხედავად იმისა, რომ ფილმის შემქმნელები სათუთად ეპყრობოდნენ პირველწყაროს, კინოსურათის შინაარსი მწყობრი, დამაჯერებელი და დრამატურგიულად შეკრული გახლდათ, ფილმი მაინც მოსაწყენი გამოვიდა – ეკრანზე გადატანის შემდეგ ლაკრაფტის სიუჟეტი გაფერმკრთალდა, მისტიკურობა და ილუმალების განცდა დაეკარგა.

რეჟისორებს შორის ლაკრაფტის ყველაზე ერთგულია სტიუარტ გორდონი. რომელმაც ლაკრაფტის ნაწარმოებების მიხედვით ხუთი ფილმი გადაიღო, განსაკუთრებით ცნობილია შემდეგი სამი: „რენიმატორი“ (1985), „მიდმური სამყაროდან“ (1986) და „დაგონი“ (2001). გორდონს თავდაპირველად მოთხრობა „რენიმატორის“ მიხედვით თურმე სპეკტაკლის დადგმა სურდა, შემდეგ სერიალის, მაგრამ ბოლოს ნახევარსაათიანი ფილმის სცენარზე შეჩერდა, რომელიც მართლაც გადაიღო, რაც შემდეგ 12-სერიანი სერიალის

წინამორბედი გახდა. დოქტორ უესტის ისტორიიდან მხოლოდ ძირითადი აიღეს. დოქტორ უესტი მეცნიერია, რომელიც ნებისმიერ ფასად ცდილობს სიკვდილი დაამარცხო. მოქმედება გადმოიტანეს თანამედროვე ჩიკაგოში. ამ ფილმის შექმნის ისტორია ძალიან საინტერესოა, ფილმი ოცი დღის განმავლობაში გადაიღეს და მას, სინამდვილეში, ირიბი კავშირი აქვს ლავკრაფტთან. ფილმის ეკრანებზე გამოსვლისთანავე ის საშინელებათა ჟანრის ფილმების კლასიკური ნიმუშად აღიარეს. „რეანიმატორი“ ერთგვარ საეტაპო ფილმად ჩამოყალიბდა, მომდევნო წლებში გამოვიდა: „რეანიმატორის პატარძალი“, 2003 წელს კი მაყურებელმა იხილა „რეანიმატორის დაბრუნება“. 2010 წელს დაიგეგმა მორიგი ნაწილი, „რეანიმატორის სახლი“.

რეჟისორ გორდონის მეორე ნამუშევარია ფილმი „მიღმური სამყაროდან“ (1986). ეს ფილმი, სათაურის გარდა, პირველწყაროს შინაარსობრივად კარგად შეესაბამება, მოქმედება მანქანის გარშემო ვითარდება, რომელმაც გაჭრა არხი სხვა განზომილებაში, თუმცა მისი შემქმნელი მეცნიერები ექსპერიმენტის შედეგებს ბოლომდე ვერ აცნობიერებენ: მთავარ გამოძვინებელს თავი მოაჭამეს, ხოლო მეორე – გაგიჟდა. ეს ერთ-ერთი იშვიათი ეკრანიზაციაა, რომელიც ლავკრაფტის პირველწყაროსთან საკმაოდ ახლოს დგას. ამ ფილმში დომინირებს ლავკრაფტის საყვარელი თემა: შეჯახება უჩინარ ურჩხულთან. რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, მონსტრი თანამედროვე მაყურებლის მიერ ხშირად ხალხზე გულნატკეპნი ადამიანად აღიქმება, რომელიც ადამიანურ სისტემას, ჩვეულებრივ სამყაროს, საზღვრებს გასცდა და შურისმძიებელ მონსტრად იქცა.

გორდონის მიერ ლავკრაფტის ტექსტების ეკრანზე გადატანის მცდელობებიდან მესამე ფილმი, „დაგონი“ ყველაზე წარმატებულ ეკრანიზაციად მიიჩნევა. ამ ფილმში მთავარი გმირები: პაული და ბარბარა მოხვდებიან კუნძულზე, რომლის მოსახლეობა ერთობ უცნაურად იქცევა. მორიგი თავგადასავლების შემდეგ აფიქსირებენ, რომ ზღვის დმერთის დაგონისთვის ქალებს ინკუბატორებად იყენებენ - პოპულაციის გასამრავლებლად. ბარბარასაც იგივე ბედი ელის, რაც სხვა ქალებს. მთელი ფილმის განმავლობაში მთავარ გმირი ცდილობს გადარჩეს და, ბოლოსდაბოლოს, მას ეს გამოსდის. ბენიერი ფინალი მოულოდნელი მოვლენების განვითარებას ებმის და სიუჟეტის პირველწყაროს უბრუნდება. ლავკრაფტთან მთხრობელი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად მიემგზავრება საიდუმლოებით მოცულ ქალაქში, როცა მიხვდება, რომ საშიშროება რეალურია, ცდილობს მოცილდეს სა-

ფრთხეს, მთელი რიგი პერიპეტეიების შემდეგ საიდუმლო ირკვევა. მაყურებელს რჩება შთაბეჭდილება რომ სასტიკი და დაუნდობელი ბედისწერის შურისძიებას ვერავინ გადაურჩება.

მოთხრობების „დაგონი“ და „ჩრდილი ინსმუტზე“ მოტივები ასახულია იტალიურ ფილმში „ამფიბიების კუნძული“ (1979). რომელიც სერჟო მარტინმა გადაიღო. ეს ფილმი ნამდვილად არ იმსახურებს დეტალურ განხილვას, რადგან ლავკრაფტისგან იქ მხოლოდ ადამიან-თევზები არიან დარჩენილნი.

სტიუარტ გორდონი ლავკრაფტს კიდევ ორჯერ მიუბრუნდა. 1985 წელს გადაიღო სისხლიანი, საზარელი ფილმი „მახინჯი ციხე-კოშკში“, ლავკრაფტის მოთხრობის, „უცხოს“ მოტივებზე. 2005 წელს კი მისი რეჟისორობით ეკრანებზე გამოჩნდა სერიული „ჰორორის ოსტატები“, ლავკრაფტის მოთხრობის – „სიზმრები ალქაჯის სახლში“ – მიხედვით.

1997 წელი მნიშვნელოვანი იყო იმ მხრივ, რომ ეკრანებზე პიტერ სვატეკის ფილმი, „ჰემოგლობინი“ გამოვიდა. ფილმი ეფუძნება მთხრობას „დაფარული ძრწოლა“. მთავარი გმირი, რომელიც სისხლის აღრევის და გენეტიკური კოდის მუტაციის მსხვერპლია. იგი ბრუნდება კუნძულზე, სადაც მისი წინაპრები ცხოვრობდნენ. გმირს აინტერესებს გაიგოს თავისი ოჯახის საიდუმლო და კვდება გენეტიკური დაავადების გამო. „ჰემოგლობინი“ ლავკრაფტის ერთ-ერთ საუკეთესო ეკრანიზაციად, მიიჩნევა. იმიტომ კი არა, რომ მასში საუკეთესოდ თამაშობენ რუტგერ ელსენ

ჰაუერი და როი დიუპუა, არამედ იმიტომ, რომ ფილმში ორი მხარე, დრამატული და მისტიკური, ბრწყინვალედ არის შერწყმული. ეს იმდენად იშვიათია ლავკრაფტის ეკრანიზაციებისთვის, რომ მისი ნაწარმოებების მიხედვით გადაღებული ფილმების რეტინგი რომ შეგდეს, „ჰემოგლობინი“ უპირობოდ პირველ ადგილს დაიკავებს.

ამვე მოთხრობის მიხედვით 1994 წელს კორტინ ჯონინერმა გადაიღო ფილმი „დაფარული ძრწოლა“, რომელშიც მთავარ როლს ჯეფრი კომბსი ასრულებს. ამ კინოსურათში ნაკლებად არის დრამა, ის უფრო თვითკმარი თანმიმდევრული „ექმენია“. ასე რომ, ვისაც ამ ტიპის ფილმები გიყვართ, შეგიძლიათ ისაიმოვნოთ. სარდაფში მყოფი ხალხი ცდილობს გადარჩეს ზომბი კანიბალებისგან, ოღონდ ნუ მკითხავთ, რა შუაშია აქ ლავკრაფტი. სამწუხაროდ, სწორედ ასეთია მისი ეკრანიზაციების უმეტესობა.

აქამდე ჩამოთვლილი ფილმები შედეგურებს რომ არ განეკუთვნება, ცხადია, თუმცა მათი დიდი ნაწილი ფესტივალებზე პრიზებს რეგულარულად იღებდა. ლავკრაფტის ფილმოგრაფიაში ლომის წილი სწორედ

ამ ფილმებს ეკუთვნის. არადა, ენთუზიაზმი და ლავკრაფტის გულწრფელი სიყვარული არაპროფესიონალიზმსა და ბიუჯეტის სიმწირეს ყოველთვის ვერ ანაზრაურებს.

მოკლემეტრაჟიან ფილმებში კი სიუჟეტური მოქმედება, როგორც წესი, ნაკლებია, წამყვან როლს უფრო საავტორო ტექსტი თამაშობს, ვიდვორივი კი შედარებით ნეიტრალურია. მართალია, გამონაკლისებიც არსებობს – ვთქვათ დი ჰამ ტუნგის „ვარსკვლათმორისი სივრცე“, რომელიც ლავკრაფტის დაუსრულებელი მოთხრობის მიხედვითაა გადაღებული.

1928 წელს დაწერილი ცნობილი მოთხრობა „ქთულ-ჰუს ძახილი“ ეკრანიზაციას რამდენჯერმე დაედო საფუძვლად. მათ შორისაა, მოკლემეტრაჟიანები და ასევე ანიმაციური ფილმები. 2002 წელს შტატებში მიუზიკლიც კი გადაიღეს. მათ შორის ერთ-ერთი საუკეთესო ეკრანიზაცია – მისტიკური ატმოსფეროს შექმნის თვალსაზრისით – მაინც ჯარედ სკალნიკის 2009 წლის ნამუშევარი.

ასევე, ერთ-ერთ გამორჩეულ ეკრანიზაციად მიიჩნევა რეჟისორ ენდრიუ ლემანის მიერ 2005 წელს გადაღებული „ქთულ-ჰუს ძახილი“. ფილმის ბიუჯეტი მხოლოდ 50 ათასი იყო და თავდაპირველად ფილმი DVD-დისკებზე გაყიდვისთვის იყო გამიზნული. ფილმი ციფრული ტექნოლოგიებით გადაიღეს, თანაც სპეციალურად ამ ფილმისთვის შექმნეს ოციანი წლების მხატვრულ გამომსახველობითი ფორმები, გამოიყენეს ე.წ. „მიფოსკოპის“ ტექნოლოგია. იდეამ გაამართლა, ლავკრაფტის სამყარო ყველაზე სრულყოფილად სწორედ ამ ფილმში არის გადმოცემული. მსახიობების ბრწყინვალე თამაში და არქაული სტილიზაცია ამ ფილმს ლავკრაფტის ყველა დროის საუკეთესო ეკრანიზაციად აქცევს. უხმო კინოს ესთეტიკის იდეამ იმდენად გაამართლა, რომ ეკრანიზაციებში ცალკე ზაზი გაჩნდა. და ორი წლის შემდეგ მეთ ჰენდლის მიერ გადაღებული ფილმი „წყვდიადში მოჩურჩულე“ ასევე რეტრო სტილში იქნა გადაწვეტილი და მას დიდი წარმატება ხვდა წილად.

სამწუხაროდ, ჟურნალის შეზღუდული მოცულობა არ გვაძლევს საშუალებას, რომ 80-ზე მეტი ფილმის მიმოხილვა მოვახერხოთ. თუმცა მათი უმეტესობა ამას არც იმსახურებს, სამწუხაროდ. დასასრულს კიდევ რამდენიმე ეკრანიზაციის შესახებ გეტყვით ორიოდ სიტყვას. აღნიშვნის ღირსია რეჟისორ კეით უელმის „პიკემინის მოდელი“ (1981) – ესაა ფილმი მხატვარზე, რომელიც დემონებს ხატავს ნატურიდან. საინტერესოა ასევე რიკ ტილმანის 2003 წლის და ჰარი

ფეროს 2008 წლის ნამუშევრები. რეჟისორ რიკარდო ჰარინგტონის „გოთიკა ჩილდენ“ (1999) – ესაა ფილმი ადამიანზე, რომელიც ცდილობს გაიხანგრძლივოს სიცოცხლე უკვე მკვდარ სხეულში.

სამი რეჟისორის: კრისტოფ ჰანსის, შუსუკე კანეკოს, ბარიან იუნას 1993 წლის ერთობლივი ნამუშევარია „ნეკრონომიკონი, მკვდრების წიგნი“. ესაა სამი კინონოველა, რომლებიც შექმნილია შემდეგი მოთხრობების მიხედვით: „ვირთხები კვლავში“, „ცივი ჰაერი“ და „წყვდიადში მოჩურჩულე“.

შეიძლება ვახსენოთ ჰენტიას ანიმე „წიგნი ნეკრონომიკონი“, თუმცა ის მაღალი მხატვრული ღირსებებით არ გამოირჩევა. ივან ზუკონის 2008 წლის იტალიური საშინელებათა ფილმი „ფერი წყვდიადიდან“, რომელიც გადაღებულია მოთხრობის, „უცხო სამყაროს ფერი“-ს მიხედვით. ზუკონს ლავკრაფტზე მანამდეც ჰქონდა ნამუშევარი. 2003 წელს გამოვიდა მისი ფილმი: „მიტოვებული სახლი“, რომელიც ერთდროულად სამი თხზულების მიხედვით არის გადაღებული ესენია: („მიტოვებული სახლი“, „სიზმრები ალქაჯის სახლში“ და „ერიკ ზანიეს მუსიკა“). „უცხო სამყაროს ფერი“-ს კიდევ ერთი ეკრანიზაცია არსებობს, 1987 წელს დევიდ კიტმა გადაიღო ფილმი „წყველა“, მაგრამ მხატვრული თვალსაზრისით ის საკმაოდ სუსტია.

ფანტასტიკის ჟანრის ნაწარმოებები უწყვეტი წყაროა კინემატოგრაფიისთვის. საინტერესოა დავაკვირდეთ, როგორ ხედავენ ერთსა და იმავე ავტორს სხვადასხვა რეჟისორები. ლავკრაფტი ერთ-ერთი იმ უიშვიათეს ავტორთაგანია, რომელმაც შეძლო ისეთი საშინელი სამყაროს გამოგონება, მანამდე რომ არ არსებობდა. ლავკრაფტის სამყარო იმდენად საოცარია, რომ შეგვიძლია არამხოლოდ წავიკითხოთ და წარმოვიდგინოთ, არამედ ვნახოთ კიდევ დიდ ეკრანზე.

მიუხედავად იმისა, რომ წიგნს – ანუ პირველწყაროს – ყოველთვის ადარებენ ფილმს, უნდა აღვნიშნოთ – ეკრანიზაცია არავითარ შემთხვევაში არ არის ლიტერატურული ნაწარმოების შეცვლა კინონაწარმოებით. კინო ხელოვნების დამოუკიდებელი დარგია, რომელსაც სინთეზური კინოენა აქვს და მიუხედავად იმისა, რომ იყენებს მუსიკის, ლიტერატურის და ფერწერის მიღწევებს, ერთმნიშვნელოვნად არცერთზე არ არის დამოკიდებული.

ლავკრაფტისადმი ინტერესი არ განელებულა, ამ სტატიის კითხვის მომენტშიც, ეჭვგარეშეა, საინტერესო კინოპროექტები იგეგმება, რომელთაც მომავალში ეკრანებზე ვიხილავთ.



ილია ბაბუნაშვილი

სასამართლო

– განიხილება ცივილიზაციათაშორის ურთიერთობათა მარეგულირებელი კანონტკრებულის სისხლის სამართლის კოდექსის მეოთხე კატეგორიის საქმე ნომერი 1634590235. პროცესს სჯის უმაღლესი გილდიის მეორე ეშელონის კულტურათაშორისი ქორწინებებისა და პირადი საქმეების მოსამართლე, მისი აღმატებულება, უგანათლებულესი როდრიგო დე ლა ვეგა მესამე.

სასამართლოს მდივანმა სტანდარტული პროცედურის შესაბამისად სხვათა გასაგონად ფიქრი შეწყვიტა. დარბაზში მსხდომებმა, მათ შორის ივანელო სტრაშიმიროვმა, ზემოთ აიხედეს. მალლა ჩანდა ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, რომელიც ცივილიზაციათაშორის სასამართლოში დედამიწის სრულუფლებიან წარმომადგენელს უკვე დიდი ხანია აღარ აკვირვებდა. არადა, ამ კოსმოსში გამოკიდებული დარბაზიდან მოციმციმე წერტილთა უსასრულობა გაცილებით შთამბეჭდავად ჩანდა, ვიდრე როდოპის ან ვიტომას მთიანეთიდან.

დარბაზს ცილინდრის ფორმა ჰქონდა. ფართე იატაკის ცენტრში ელექტრომაგნიტური გალია იყო

დამონტაჟებული, რომელსაც გარშემო ბაღრაგისთვის გამოყოფილი პოსტები და შეიარაღებულ გვარდიელთა მართვის პულტებით აღჭურვილი მერხები ეკრა. სტრაშიმიროვმა არ იცოდა რისთვის იყენებდნენ ამ პულტებს, არასდროს დაჰკვირვებია. თავისებური სამსახური იშოვნა, შეეძლო ფიქრით თავი საერთოდ არ შეეწუხებინა და ასეც იქცეოდა. ალბათ, გაუმართლა: ანაზღაურება – მაღალი, პასუხისმგებლობა – თითქმის ნულოვანი... ერთადერთი, კონტრაქტის ხანგრძლივობა აფიქრებდა. წარმოდგენა არ ჰქონდა კიდევ რამდენ ხანს მოუწევდა მუშაობა. ის კი ზუსტად იცოდა, რომ მისთვის ცივილიზაციათაშორისი სასამართლო ბოლო სამსახური იყო, რომლის არსებობის შესახებ დედამიწაზე მხოლოდ ხუთმა კაცმა იცოდა. მაგრამ სტრაშიმიროვს ეს არ აწუხებდა, ენაჭარტალა არასდროს ყოფილა.

ცილინდრის კედლები კოსმოარქიტექტორებს სალტე-სართულებად დაეყოთ, ხოლო საკუთრივ სართულები ერთმანეთისგან ტინჩრებით გამოყოფილი ლოკებისგან შედგებოდა. ყოველ დელეგაციას ცივილიზაციის დონისა და მნიშვნელოვნების მიხედვით

თავისი ლოჟა ერგებოდა, ოღონდ ამჯერად დარბაზი თითქმის ცარიელი ჩანდა. სტრაშიმიროვს მოეჩვენა, რომ ათი-თხუთმეტი სართული აკლდა კიდეც, მაგრამ დათვლა დაეზარა. დიდი ვერაფერი საქმის განხილვა ელოდათ, შექმლო მიყუყუელიყო და მიეთვლიდა. სართულებზე გარე ლიფტებიდან შედიოდნენ – გააჩნია ვინ რომელი მხრიდან მიადგებოდა სასამართლოს.

დარბაზს სახურავი არ ჰქონდა. ვარსკვლავებით მოჭედილი სივრცის ცქერას საზოგადოება უზენაესი წონასწორობისა და სამართლის იდეით უნდა განემსჭვალა – ასეთი იყო ჩანაფიქრი. კოსმოსური მტვრის, მეტეორებისა და ათასგვარი ნალექისგან კი ცილინდრს სახურავის ნაცვლად გადაჭიმული ანტიგრავეიტაციული ველი იცავდა.

ვარსკვლავთა მხრიდან, საგანგებო შემოსასვლელთან მისი აღმატებულება როდრიგო დე ლა ვეგა მესამე გამოჩნდა. სტრაშიმიროვი წამოდგა – ადამიანები ასე გამოხატავდნენ პატივისცემას. ერთი სართულით ზევით, მოპირდაპირე ლოჟაში, ორიონის თანავარსკვლავების ბელატრიქსის სისტემის რომელიღაც პლანეტის წარმომადგენელი დაიღვარა. სტრაშიმიროვს ძალიან ართობდა ამის ყურება. ყოველთვის, როდესაც დარბაზში მოსამართლე შემოვიდოდა ის სწრაფად დგებოდა და ბელატრიქსელისკენ იგრძელებდა კისერს. დედამიწის წარგზავნილს, ოვაციის გამოხატვაც ფრიად ახალისებდა. თავად ხომ ტაშს უკრავდა, ზოგი კი ამ დროს ბუყბუყებდა, ზოგი წვრილდებოდა და ზოგიც ფერს იცვლიდა. რაც უფრო ღიდხანს გრძელდებოდა ოვაცია, მით მეტი დახანჯვას ასწრებდა სტრაშიმიროვი.

როდრიგო დე ლა ვეგა მესამე... ასე აღიქვა მისმა გონებამ სასამართლოს მდივნის გამოცხადებულ-ლი გვარ-სახელი. ნეტავ, სინამდვილეში როგორ არის? ვინ იცის, როგორ ბეგრებს გამოთქვამენ უგანათლებულესი მოსამართლის მშობლიურ პლანეტაზე. შესაძლოა, ის სისხშირე ადამიანის ყურმა ვერც აღიქვას, მაგრამ შესაძლოა სასიკვდილო აღმოჩნდეს. ასეთი შემთხვევები ყოფილა, თუმცა, ათასში ერთხელ. უფრო ხშირად რაიმე სასაცილო ბეგრა, ბეგრათა კომბინაცია ანდა უბრალოდ ბრახუნი ისმის. ერთხელ ტკაცუნიც იყო. როდრიგო დე ლა ვეგა... ნეტავ როგორ აღიქვეს ეს სახელი დარბაზში მსხლომებმა? აი, მაგალითად, პატივისცემის ნიშნად დაღვრილმა ბელატრიქსელმა?

მისი აღმატებულება, უგანათლებულესი როდრიგო დე ლა ვეგა მესამე ვარსკვლავებიდან მედიდური ლევიტაციით დაეშვა საგანგებოდ მოსამართლეთათვის

მეოცე და ოცდამეერთე სართულებს შორის აგებულ, გამორჩეულ და სხვებზე სულ ცოტა სამჯერ დიდ ლოჟაში. ივალლო სტრაშიმიროვი მოსამართლეთა ლოჟას ყოველთვის მუქ ღვინისფრად აღიქვამდა. შავ მოსასხამში გახვეული მისი აღმატებულება, თვითონ არ სჩანდა. ასეთი მოსასხამები, სავარაუდოდ სხივებს შთანთქავდა, რადგან წესად ჰქონდათ – მოსამართლე არავის უნდა დაენახა. ითვლებოდა, რომ ცივილიზაციათაშორისი სამართალი უზენაესია და არ ჰქონდა მნიშვნელობა რომელი სამყაროს წარმომადგენელი წყვეტდა ბრალდებულის ბედს, თუმცა სტრაშიმიროვს მიანდა, რომ ეს დამალობანა, ნაომარი კოსმორასების შფოთვისგან თავის ასარიდებლად იყო საჭირო. სასამართლოში ერთმანეთს ბრმად უნდა ვენდოთ და ამიტომ, დაე ვიყოთ ბრმები... მოსამართლის ცქერისას მაინც – ლაღადებდა დაუწერელი კანონი. შესაბამისად, შავი მოსასხამის ქვეშ შეიძლებოდა ნებისმიერი ორგანიზმი ყოფილიყო მართლა უხილავი გონიერი არსებით დაწყებული, ფსევდოთევზით დამთავრებული. ყველა, ადამიანის გარდა. ადამიანებს მთელ ამ კოსმოსურ ორომტრიალში სხვა ფუნქცია ეკისრებოდათ. თუმცა, ადამიანებს კი არა, ადამიანს – ივალლო სტრაშიმიროვს.

მოსამართლე მუქ ღვინისფერ ლოჟაში შებრძანდა, თითქმის ცარიელ დარბაზს წამიერი პაუზით მიესალმა და გაირინდა. სავარძელში რბილად მოკალათდა სტრაშიმიროვიც. ალბათ, უგანათლებულეს დე ლა ვეგას თავი არ აქვს, თორემ აუცილებლად დაგვიკრავდაო, იფიქრა და თვლემისთვის კიდეც უფრო მოხერხებული პოზის ძიებაში ფენი ფენზე გადაიდო. გამოცდილება ჰკარნახობდა, რომ თავიანი არსებები მისაღმების დროს, როგორც წესი, სხეულის ამ ნაწილს აქნევდნენ.

– შემოიყვანეთ ბრალდებული! – მჭექქარედ გაიფიქრა სასამართლოს მდივანმა.

დედამიწის წარმომადგენელი ბრალდებულებს ყოველთვის კარგად ხედავდა, რადგან მისი ლოჟა მეოთხე სართულზე მდებარეობდა. პირველი სამი სართული სასამართლოს მოხელეებს, უშიშროებას და სასჯელალსრულების სისტემის ოფიცრებს ეკავათ. სტრაშიმიროვმა მხერა ელექტრომაგნიტურ გალიას მიაპყრო. ახლა ის რამდენიმე წამით გაქრება, ბადრავი ბრალდებულს სწრაფად შემოიყვანს, მონიშნულ წრეში დააყენებს, თავად პოსტებს დაიკავებს და გალია კვლავ ადგილზე დაბრუნდება.

ასეც მოხდა. სტრაშიმიროვი ბრალდებულს მოყირჭებული ინტერესით დააკვირდა. ჩვეულებრივი, სამეტრიანი რუხი რვაფეხა იყო, ირმის ნახტომის პერ-

სევსის მკლავიდან. ერთადერთი ფართეკუთხიანი თვალით შეშინებული და დაბნეული იყურებოდა.

– განიხილება ცივილიზაციათაშორის ურთიერთობათა მარეგულირებელი კანონტკრებულის სისხლის სამართლის კოდექსის მეოთხე კატეგორიის საქმე ნომერი 1634590235, – კვლავ დასჭეკა სასამართლოს მდივანმა, – ცივილიზაციათაშორის საქმეთა ბრალმდებელს, უმაღლესი გილდიის მეორე ხარისხის იურისტს, უგანათლებულეს ტელფორდ ტეილორს ვთხოვთ დამსწრე საზოგადოებას საქმის არსი გააცნოს და ბრალდება წარადგინოს!

ტელფორდ ტეილორი, ტელფორდ ტეილორი... სტრამიმიროვს ეს სახელი და გვარი საიდანღაც ახსოვდა. ნეტავ რატომ აღიქვა მისმა გონებამ სასამართლოს მდივნის გაფიქრებული ტელფორდ ტეილორად? ანდა ვინ იყო სინამდვილეში ეს ტელფორდ ტეილორი? სავარაუდოდ, სოფია-ბოლონია-ფილადელფისის მეტროაკადემიურ უნივერსიტეტში სწავლისას მოუკრავს ყური... ადრე, – სტრამიმიროვს საუკუნეც აღარ ახსოვდა – დედამიწაზე დიდი შინაარეულობის ეპოქაში, სასამართლოში ვიღაცის წინააღმდეგ გამოდიოდა. საღღაც გერმანიაში, ნიურნბერგში თუ ჰაიდელბერგში... წესით, ისიც პროკურორი უნდა ყოფილიყო. ეს ეპოქა სტრამიმიროვის დისერტაციის თემას არ წარმოადგენდა და ამიტომაც დავიწყებოდა.

ბრალმდებელი მწვანე ჰუმანიოდი გამოდგა, სართულებს შორის ლივლივებდა და ადგილს გამოსვლის დრამატიზმის მიხედვით იცვლიდა. თავიდან მშვიდად დაიწყო:

– ინტელექტით ქებულო საზოგადოებავ. მსურს გაგაცნოთ საქმე, რომლის განსჯაც, როგორც სულ მალე თავად დარწმუნდებით, დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. დანაშაული აშკარაა. დამნაშავე თქვენს წინაშეა. ამიტომაც, მოდი, ცივილიზაციათათვის ყველაზე მნიშვნელოვანი რამ – ენერგია და სამყაროს ზოგიერთი ნაწილში არსებული ფუნქცია, დრო ამოდ არ დაეხარჯოთ, ყველაფერს თავისი სახელი დავარქვით და ჭეშმარიტების წერტილი დავსვით.

პატივცემულნი, მოგეხსენებათ, უკიდევანო კოსმოსი აურაცხელი ცივილიზაციითაა დასახლებული და თითოეული მათგანის არსებობა სიცოცხლის შენარჩუნების უმთავრეს პროცესს, გამრავლებას ეფუძნება. თავად გამრავლების ფორმებიც ცივილიზაციებით მრავალრიცხოვანია. ჩვენს დროში, გალაქტიკათა სიღრმეებში, საყოველთაოდ გავრცელებული ლაბორატორიული განაყოფიერებით დაწყებული ერთსქესიანი თვითჩასახვით დამთავრებული ყველაფერს

ვხვდებით. ცხადია, ბევრგან ჯერ კიდევ არსებობს ოთხ, სამ და ორსქესიანი განაყოფიერების ფორმებიც, მაგრამ ზოგიერთი მზის სისტემაში ურთიერთობათა კიდევ უფრო ჩამორჩენილ, დროში გაჭიმულ სახეებსაც ვაწყდებით. ეს ის შემთხვევებია, როდესაც სხვადასხვა სქესის ერთეულები ერთმანეთთან კავშირს მხოლოდ შთამომავლობის გამოსაყვანად კი არ ამყარებენ, არამედ ერთმანეთს გარკვეულ ვალდებულებებსაც აკისრებენ. ცივილიზაციათაშორისი სტატისტიკის ცენტრის მონაცემთა თანახმად სწორედ ასეთ პლანეტებზე იჩენს თავს უამრავი გაუგებრობა და ასე განსაჯეთ დანაშაულიც. მაგრამ, კანონდარღვევითა რაოდენობა ერთი ათად მაშინ იზრდება, როდესაც დროში გავრცობილ ურთიერთობებს სხვადასხვა ცივილიზაციათა წარმომადგენლები ამყარებენ. ასეთ დროს, საოცრად მაღალია რისკი, რომ მათ შორის არსებულმა ბუნებრივმა განსხვავებებმა საბედისწერო სახით იჩინოს თავი. კულტურათაშორისი გამრავლების ინსტიტუტი სხვადასხვა კოსმოსური კოდის მქონე წყვილებს, რასაკვირველია, სერიოზულ გამოკვლევებს უტარებს და არცთუ იშვიათად წყვილს, სამეულს და იშვიათად ოთხეულსაც ურჩევს ერთად დასახლებისგან თავი შეიკავოს, მაგრამ რჩევის შესრულება, მოგეხსენებათ სავალდებულო არ არის. ჩვენ ვიბრძვით, რომ კანონში სიტყვა რჩევა შეიცვალოს სიტყვით ვალდებულება, მაგრამ, რამდენიმე ცივილიზაციის წარმომადგენელი ხმათა საჭირო უმრავლესობის მიღებაში ხელს გვიშლის.

არადა აი, ნათელი მაგალითი იმისა, რომ კანონი დიანაც, უნდა შეიცვალოს! – აქ, ბრალმდებელი მეცხრე-მეათე სართულების სიმაღლიდან დაბლა ჩასრიალდა და დაგრძელებული ხელი ბრალმდებელი რვაფუნასკენ გაიშვირა – თქვენს წინაშეა ძირშივე მცდარი ურთიერთობებით განპირობებული დანაშაული! ეს არის შემთხვევა, როდესაც იმთავითვე ცნობილი იყო, რომ ქალბატონი ვერა სერგეევა ქმარს შეჭამდა! კულტურათაშორისი გამრავლების ინსტიტუტში წყვილს თავიდანვე აფრთხილებდნენ, რომ ისინი ცეცხლს ეთამაშებოდნენ, მაგრამ მათ ისე ჰქონდათ თვალები დაბრმავებული, რომ გაფრთხილება ყურად არ იღეს და მათ სხეულებში აბობოქრებულ ძლიერ იმპულსს გონების დაჩრდილვის საშუალება მისცეს. მათ...

გონვის ხმა რომ არა, ეშხში შესული ბრალმდებელი კიდევ კარგა ხანს არ გაჩუმდებოდა. გონვი კი იმას ნიშნავდა, რომ მის აღმატებულებას, უგანათლებულეს როდრიგო დე ლა ვეგა მესამეს რაღაცის თქმა სურდა. ჰუმანიოდი ტელფორდ ტეილორი მე-

ისვე გაჩუმდა და გამოსვლის მგზნებარებისთვის დაგრძელებული ხელიც ჩვეულებრივ ზომამდე დაიმოკლა.

– მდა, ეს სამმეტრიანი მოლუსკი ქალი ყოფილა – გაიფიქრა სტრაშიმიროვმა და გაეღიმა. რატომღაც, ის დღე გაახსენდა, როდესაც პირველად ნახა ხმელეთის რვაფეხა. მანამდე, როგორც დელამიწელს მოლუსკები მხოლოდ წყლის ბინადრები ეგონა. დარბაზში შეკრებილმა საზოგადოებამ ერთსულოვნად გადაიჭანა ყურადღება მოსამართლის ლოჟისკენ, სადაც უკანათლებულესს სასამართლოს მდივანი ეჩურჩულებოდა. შემდეგ მდივანი მოტრიალდა.

– მის აღმატებულებას აინტერესებს რომელი ცივილიზაციის წარმომადგენელი იყო ბრალდებული ვერა სერგეევას მეუღლე, – იკითხა მან.

ბრალმდებელმა, როგორც ჩანს ენერჯის ხელახალი მოზღვავება იგრძნო, ტყვიასავით აფრინდა ცილინდრისებური დარბაზის შუაში და გადაჭარბებული თეატრალურობით გამოაცხადა:

– თქვენო აღმატებულება, საქმეც სწორედ ესაა! როდესაც კულტურათაშორისი გამრავლების ინსტიტუტში ვერა სერგეევასა და მის პარტნიორს გამოკვლევა ჩაუტარეს, გაირკვა, რომ პარტნიორის, აწვანსვენებული ნახევარპლაზმის, პატივცემული ჯაკომო კაბრიოლეტის წინაპარი, უფრო სწორედ კი ბებიის მამა 87 გალაქტიკაში შემავალ პლანეტათა ერთერთი სისტემის ბინადარი კიბორჩხალისებურთა წარმომადგენელი ყოფილა, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ სერგეევასა და კაბრიოლეტის დროში გაჭიმული ურთიერთობა სახიფათო იყო. რვაფეხები ხომ გენეტიკური კოდის მიხედვით მტაცებლები არიან. სამყაროს იმ მხარეთა წარმომადგენლების გასაგონად, სადაც დროის ცნება აქვთ ასე ვიტყვოდი: რვაფეხები ადრე კიბორჩხალებს ჭამდნენ. დიახ, კიდურებზე არსებული მისაწოვრებით ატყვევებდნენ მათ, კბენდნენ და მსხვერპლის ორგანიზმში შხამს უშვებდნენ, რის გამოც კიბორჩხალა კვდებოდა და საკვებად იქცეოდა. თქვენო აღმატებულება, კულტურათაშორისი გამრავლების ინსტიტუტში სერგეევა პარტნიორთან ერთად გააფრთხილეს და ცალკეც საფუძვლიანად განუმარტეს, რომ თანაცხოვრების გარკვეულ მომენტში მასში შესაძლოა ოდინდელ მტაცებელს გაეღვიძა და კიბორჩხალის შთამომავლით, არც მეტი არც ნაკლები, გემრიელად ესაღილა. სამწუხაროდ, თქვენო აღმატებულება, გაფრთხილების მიუხედავად სერგეევამ და კაბრიოლეტიმ გადაწყვეტილება არ შეცვალეს და მივიღეთ კიდევ სავალალო შედეგი. მეტსაც გეტყვით, კაბრიოლეტი შეჭმული რომ არ

იყოს, მასაც ეკუთვნოდა გასამართლება, მაგრამ, სამწუხაროდ ჩვენ მას ვეღარ გავაცოცხლებთ, აი, ბოროტმოქმედი სერგეევას სამაგალითოდ დასჯა კი შეგვიძლია და ეს შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვათ.

ბრალმდებელმა, ადამიანურად რომ ვთქვათ, ამოისუნთქა. მის მგზნებარე სიტყვას მუდმივად თან სდევდა სამმეტრიანი, რუხი რვაფეხის ქვითინისებური ხმოვანი სიგნალი, თუმცა სტრაშიმიროვზე ამას არ უმოქმედია. ის ახლა იმაზე ფიქრობდა, საიდან ახსოვდა სიტყვა კაბრიოლეტი. მის ბავშვობაში კოსმოსური ხომალდების გარკვეულ ტიპს ხომ არ ეძახდნენ ასე? ყოველ შემთხვევაში, ქალბატონი რვაფეხას შეჭმული ქმრის ნამდვილი გვარი აშკარად ვერ იქნებოდა. ისევ მისმა გონებამ იცუღლულა – ბრალმდებლის ტელეპატიური აღტყინების დროს სადაც, მეხსიერების სარდაფში მივიწყებული სიტყვა მოქექა და გაააქტიურა.

ბრალმდებელი ვეჭილმა შეცვალა. სტრაშიმიროვმა არ იცოდა, რატომ იყვნენ ვეჭილები მეტწილად ნახევარლიპები. რასაკვირველია, ასეთი არსება სამყაროში ოფიციალურად არ არსებობდა და სიტყვა ნახევარლიპი დელამიწელის მოგონებული იყო, მაგრამ აბა, სხვა რა უნდა ეწოდებინა არსებებისათვის, რომლებსაც წინიდან ზუსტად ადამიანის ღიბის ზომა და ფორმა ჰქონდათ? შუაში, ოდნავ ქვევით ჩასმული ერთადერთი თვალიც ნამდვილი ჭიპი იყო, ხოლო უკანა მხრიდან შეზნექილობის მეტი არაფერი ჩანდა.

ნახევარლიპი პროკურორთან შედარებით ნირწამხდარი ჩანდა. ის შეეცადა ბრალი ძირითადად სერგეევას შეჭმულ პარტნიორზე გადაეტანა, დაემტკიცებინა, რომ კაბრიოლეტი გაფრთხილებული ანუ შეიარაღებული იყო, ხოლო გონიერთა სამყაროში, ცოდნით შეიარაღებულ არსებას, აგრესორთან დამარცხება არ შეეშენის. მან აგრეთვე ხაზი გაუსვა, რომ კანონი დიახაც დასახვეწია და სერგეევას თუკი რამ დანაშაული მიუძღვის, ეს იმის ბრალია, რომ მისთვის რჩევა კი არ უნდა მიეცათ, არამედ კიბორჩხალას შთამომავალთან დროში გახანგრძლივებული პარტნიორობა უნდა აეკრძალათ. აქ, სტრაშიმიროვმა ცოტა ხნით ჩათვლიდა.

შემდეგ, სიტყვა ბრალდებულს მისცეს. ის ძირითადად ქვითინებდა, დაიფიცა, რომ კაბრიოლეტის შეჭმა არ სურდა, რადგან მასთან ერთად მთელი ცხოვრების გატარებას აპირებდა, მაგრამ სწორედ ამ ფიცისა და ემოციათა ამოფრქვევის დროს გაისმა გონგის ხმა – მის აღმატებულებას კითხვა გაუჩნდა. სასამართლოს მდივანი ისევ როდრიგო დე ლა ვევა

მესამეს ეახლა და მცირე ჩურჩულის შემდეგ სერგეევას მიუტრიალდა:

– მის აღმატებულებას აინტერესებს, იყო თუ არა დაზარალებული ჯაკომო კაბრიოლეტი გემრიელი.

აქ, ბრალდებული დაიბნა.

– ვიმეორებ კითხვას, – გაღიზიანებულმა სასამართლოს მდივანმა, სტრაშიმიროვის აზრით, ხელოვნების ისტორიის ლექციებზე ნანახ ძველ ფილმებში თვალმოკრული ინგლისელი არისტოკრატით აიბზუა ცხვირი, – ქალბატონო სერგეევა, როგორი კერძი გამოდგა დაზარალებული ჯაკომო კაბრიოლეტი?

ერთი, ვნახოთ, გაწითლდება თუ არა დარბაზში სივრცე – დედამიწის წარმომადგენელმა სავარძელში პოზა იცვალა. ცივილიზაციათაშორისი სასამართლოს სივრცე ტყუილზე წითლდებოდა, მაგრამ, სივრცეს ფერი არ უცვლია, რადგან:

– გემრიელი, – უპასუხა ბრალდებულმა.

– ოჰს! – წამოცდა სტრაშიმიროვს. ახლა კი უკვე აშკარა იყო, რომ მეოთხე კატეგორიის საქმეს ნომრით 1634590235 დიდხანს გარჩევა აღარ ეწერა ანუ დედამიწის წარმომადგენელი შემდეგ პროცესამდე შინ დაბრუნებას და ცოტა ხნით ოჯახის მონახულებას მოასწრებდა.

შემდეგ ყველაფერი მეტისმეტად ჩვეულებრივად წარიმართა. ნაფიცმა მსაჯულებმა, რომლებიც მისი აღმატებულების, უგანათლებულისი როდრიგო დე ლავეგა მესამის მატერიალიზებულ ეჭვებს წარმოადგენდნენ და მათი რაოდენობა ეჭვების ზრდასა თუ კლებასთან ერთად იცვლებოდა, მოლიუსკი ვერა სერგეევა ერთხმად სცნეს დამნაშავედ, რასაც სასამართლოს მდივნის პათეტიკური შეძახილი და გონგის ხმა მოჰყვა – ეს იმას ნიშნავდა, რომ იმ ცივილიზაციათა წარმომადგენლებისთვის, რომლებისთვისაც დრო არსებობდა, შესვენება გამოცხადდა. სტრაშიმიროვს არ შიოდა, მაგრამ მაინც გავიდა ბუფეტში. თავს ირთობდა ასე. თან, უნდოდა კარგად გამოფხიზლებულიყო, რადგან ახლოვდებოდა წუთი, როდესაც პლანეტარული მისია ან უბრალოდ რომ ვთქვათ, სამსახურეობრივი მოვალეობა უნდა აღესრულებინა.

ცივილიზაციათაშორისი სასამართლოს ბუფეტში ყავას დედამიწისებრი სურნელი არ ჰქონდა, მაგრამ ჩაის და სხვადასხვა გამამხნეველ სითხეებს აშკარად სჯობდა. სტრაშიმიროვმა ყავას უგემური ფუნთუშა და უნიკოტინო სიგარეტებიც დააყოლა, შემდეგ კი დარბაზში შებრუნდა. ახლა, ყურადღებით უნდა ყოფილიყო.

ის ამჯერად გაჭიმული ჩაჯდა სავარძელში, გონგის ხმაზე კიდისკენაც კი ჩაიწია და ხელები მუხლე-



ბზე დაიწყო. დარბაზში ყველამ თავისი ადგილი დაიკავა. სასამართლოს მდივანი მოსამართლის ლოჟასთან ფარფატებდა. გაბრუებული ვერა სერგეევა ერთ-ერთ ბადრავს მიაშტერდა.

– დასრულდა განხილვა ცივილიზაციათაშორის ურთიერთობათა მარეგულირებელი კანონტკრებულის სისხლის სამართლის კოდექსის მეოთხე კატეგორიის საქმისა ნომრით 1634590235! – დასჭექა სასამართლოს მდივანმა, – ნაფიც მსაჯულთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით დამნაშავე ცნობილია: ნახევარპლაზმა ჯაკომო კაბრიოლეტი მოაკვდინა და შეჭამა მისმა პარტნიორმა, მოლუსკმა, ვერა სერგეევა! უმაღლესი გილდიის მეორე ეშელონის კულტურათაშორისი ქორწინებებისა და პირადი საქმეებ-

ის მოსამართლის, მისი აღმატებულების, უგანათლებულესი როდრიგო დე ლა ვეგა მესამის განაჩენის თანახმად, მან უნდა მოიხადოს ვადიანი სასჯელი გალაქტიკათაშორის სასჯელადსრულების ნომერ პირველ დაწესებულებაში. სასჯელის ვადაა 78 ადგილობრივი წელი. დაწესებულების წარმომადგენელს ვთხოვთ ცივილიზაციათაშორის ურთიერთობათა მარეგულირებელი კანონტერების, აგრეთვე საკუთრივ საპატიმროს კონსტიტუციისა და სხვა შიდა კანონების შესაბამისად, დაადგინოს ვერა სერგეევასთვის სასჯელის მოხდის ზუსტი საწყისი კოორდინატები და გასცეს დამნაშავეს სატუსალოში გარდასახვის ბრძანება!

და აი, დადგა სტრაშიმიროვის დროც. ის ცალი ხელით ლოჟის აივანს ეყრდნობოდა, მეორეში კი პატარა, ეკრანიანი აპარატი ეჭირა. ეს გახლდათ ნომერ პირველ საპატიმროში სასჯელის მოხდის ზუსტი კოორდინატების გამოსათვლელი მოწყობილობა – სტრაშიმიროვს მასში მონაცემები უკვე შეეტანა და ეკრანზე კოორდინატების გამოსახვას ელოდა.

– თქვენო აღმატებულებაჲ! პატივცემულო საზოგადოებაჲ! – დინჯად დაიწყო მან, – მე, როგორც გალაქტიკათაშორის სასჯელადსრულების ნომერ პირველი დაწესებულების სრულუფლებიანი წარმომადგენელი, ცივილიზაციათაშორის ურთიერთობათა მარეგულირებელი კანონტერების, აგრეთვე ადგილობრივი კონსტიტუციისა და თანმდევი შიდა კანონების შესაბამისად ვადგენ: მოლუსკმა ვერა სერგეევამ ვადიანი სასჯელის, 78 ადგილობრივი წელიწადის მოხდა დაიწყო სსენებული დაწესებულების პუნქტში, კოორდინატებით...

აქ, დედამიწის წარმომადგენელი წამით შეჩერდა, სასჯელის მოხდის კოორდინატთა გამოსათვლელი მოწყობილობის ეკრანს დახედა და დამარცვლით შეუდგა იქ გამოსახული რიცხვებისა და სიმბოლოების გამოთქმას. ელექტრომაგნიტური გალიიდან ახლა გმინვის ხმა ისმოდა. სტრაშიმიროვმა კოორდინატები ჩაიკითხა, შემდეგ ერთხელაც შეჩერდა და ხმას აუწია:

– ახლა კი ვბრძანებ, დამნაშავე ვერა სერგეევა საპატიმროში გარდაისახოს!

ელექტრომაგნიტური გალიის ქვეშ ნიადაგმა თითქოს ლღვობა დაიწყო. გალია მძიმედ, თანდათანობით იძირებოდა საიდანაც აღმოცენებულ მოციხურ ნისლში. შიშისგან გაქვავებული რვაფეხა ხმას ვედარ იღებდა. სტრაშიმიროვმა უკანასკნელი მზერა გააყოლა და ხელი ჩაიქნია.

– ეჰ, ნეტავ, მე რამდენი მაქვს მისჯილი?

მან გულგარეთ დახედა ჯერაც ჩართული მოწყობილობის ეკრანს, სადაც ახლა დედამიწის რუკა გამოსახულიყო და ამ რუკაზე მხოლოდ ერთი წერტილი ანათებდა წითლად. სწორედ ეს იყო სერგეევას სატუსალო-კოლონიაში გარდასახვის კოორდინატთა გადაკვეთის ადგილი. პირველი დაწესებულების წარმომადგენელმა ეკრანზე გამოსახულება გაზარდა.

საქართველო, ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, ხუნევის თემი, სოფელი ვერტყვიჭალა, – დაიწერა წითელი წერტილის გასწვრივ.



ილია ბაბუნაშვილი

თბილისური ჩანახატი

– როგორ მოძრავლდნენ ეს ჭრელკანიანები, კაცო, – უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა სულხანმა და გზა-ჯვარედინზე მარცხნივ შეუხვია. ნათია გვერდით ეჯდა, ახალი სუნამოს სურნელი ასდიოდა. იდგა ოქტომბერი. ქალს ცოტა თხელი კაბა კი ეცვა, მაგრამ გიორგისა და სოფოს ქორწილისთვის იმდენი ხანი ემზადებოდა, ქვეყანა რომ დაქცეულიყო, არაფერს შეცვლიდა. ჯიბრზე, მაინცდამაინც იმ დღეს მოწვიმა. აგვისტოსა და სექტემბერში წვეთი არ ჩამოვარდნილა.

– ამას შეხედე, ამას... ესეც რას აკეთებს. დედას გეფიცები, ამ ჭრელკანიანებმა ტარება არ იციან, – სულხანს მშვიდად მართვა არასდროს შეეძლო.

წითელმა ტლიოტამ მართლაც უშნოდ ჩაუჭრა გზა. განსაკუთრებული კი არაფერი მომხდარა, მაგრამ, მაინც.

– შეილება მიზის, ეს დედამიფაქილი, ხომ შეიძლება ცოტა თვალბეჭდით გამოიხედო და მეტი სიფრთხილე გამოიჩინო.

– ფუ, თან რომლებს ვერ ვიტან, იცი? ლურჯ და წითელ ლაქებიანებს. რას გვანან. – ნათიამ მანქანის საჩრდილობელი ჩამოსწია, სარკე გახსნა და პომადას დააკვირდა.

პატრულმა ჩაუფრინათ.

– ან ეს პოლიცია რას მიკეთებს. დადგეს და აჯარიმოს ყველა დამრღვევი. იმას ხომ არ ვამბობ, მართო ჭრელკანიანები აჯარიმოს-მეთქი. მეც დამაჯარიმოს, ბატონო, თუ დავაშავებ, მაგრამ გააკეთოს რამე. მიქარეს, რა, მიქარეს, გასიებულ ევრო-შტატებთან პრანჭვის გამო საზღვრებს ფილტრი რომ გამოურთეს.

– სულიკო, ამ ჭრელკანიანების შემოსევა ვითომ მაგის ბრალია? – ნათია ახლა უპეებს დააკვირდა. ნაოჭები არ ემჩნევა; კარგია!

– აბა, მანამდე საქართველოში ჭრელკანიანი გინახავს?

– ჰო, რა ვიცი. ალბათ, არა.

– ეს ჭრელკანიანები, ორთავიანები და სხვა მუტანტები ბოლო სამი წლის შემოთრეულები არიან. ძირითადად აფროკავშირიდან და ლათინურ რესპუბლიკათა გაერთიანებიდან მოაწყდნენ.

– აბა, ამერიკიდანო? ჩვენი განყოფილების გამგე ამბობდა იმ დღეს. დასავლეთის შეერთებულ შტატებში საიდუმლო ლაბორატორიები ჰქონიათ, სადაც,

თურმე სპეციალურად გამოჰყავთ ეგეთი ტიპები. თურმე უნდათ, რომ ყველა ერთი აჭრელდეს და ერთმანეთს დაემსგავსოს. მერე უკეთესად იბატონებნო.

– კარგი, რა! ოღონდ ყველაფერი ამერიკას და ინგლისს დააბრალონ და რას არ მოიგონებენ. აბა, ის გერჩინათ, ვოსტოჩნოსლავიანსკი სოიუზი ძველებური თორმეტტონაიანი მეგაცეცხლისმფრქვევლით რომ გადაუვლის...

სულხანი აზრის დამთავრებას აპირებდა, მაგრამ ყურადღების საჭეზე გადატანა მოუხდა. ჰოლი შით! ნეტავ, ყველგან ასეა? თბილისში საკმარისია აცივდეს და მოწვიმოს, რომ ქალაქი საცობებით იხერგება. საბურთალოზე მიფრენა არ გინდა, ახლა? ყველაზე მურტალი რესტორანთან მიახლოება და დასაყენებელი ადგილის პოვნა იქნება. დაჯდომა ძველი იპოდრომიდან უნდა დაიწყო, იქ კი ისეთი საცობებია, მტრისას. პატრულიც სულ ტყუილად ლივლივებს. არაფრის გამკეთებელი არ არის. დგას და გაჰყვირის სისუელელებს: „მიცუბიში, დააჩქარე მოძრაობა!“ – 1234/4321-C, მანდ ნუ გაჩერდები, დილმისკენ გაფრინდი“. იქნებ, არ მიდის ის გოჩა ამ დილმში?

მანქანა საჭაერო ორმოში ჩავარდა და მყისვე ამოხტა.

– ფაქ! შით! ორმოებს როგორ ვერ მოუხერხეს ვერაფერი, მერიაა ეს?! გამაფრთხილებელი ნიშნები მაინც დადგან!

– უი, მართლა, ნინო, წელან მამიკოსთვის რაღაცის კითხვა რომ გინდოდა დაგავიწყდა? – ნათიამ, რამდენადაც შეძლო, უკანა სავარძლისკენ მიატრიალა თავი. ეს რა კარგი სახის კრემი ასწავლა ნინოს კლასელის დედამ, ამდენი ხანია ხმარობს და ძალიან გამოადგა. ბავშვმა პასუხი არ გასცა.

ნათიამ ხმას აუწია.

– ნინო, შენ გელაპარაკები! დათუნა, უჯიკე ერთი შენს დას, მოახედე.

არც დათუნამ გასცა პასუხი.

ქალმა მეტად სცადა მიტრიალება, მაგრამ წარმოსახვითმა ღვედმა აღარ გაუშვა.

– სულხან, ეტყობა Virtual Glasses გაიკეთეს, გამოურთე ერთი Wi-Fi, ფლიზ, რა.

– აუ, როდინდელი სიტყვა გაგახსენდა. Wi-Fi არა, ის...

ქმარმა საჭესთან ერთ-ერთ ღილაკს მიაჭირა ხელი.

– ეი! ეი! – მოისმა ყვირილი უკანა სავარძლიდან.

– მა, კარგი, რა! კარგი, რა! ყველაზე ქულ ადგილას გამაწყვეტინე. ეგრე არ შეიძლება, რა!

– ერთი წუთით, ბავშვებო, ერთი წუთით! უი, დედა!... თქვენ ვინა ყოფილხართ?! რაღაცას შეგეკითხებით და გააგრძელეთ ისევე, – გაეცინა ნათიას.

– ისე, ამდენი Virtual Glasses არც ვარგა ბავშვებისთვის, – ჩაიღულუნა სულხანმა. ვიღაცის მერსედესმა ძალიან დაბლა გადაუფრინა, ეტყობა დიდმის ტრასაზე უნდოდა ასვლა და მოსახვევამდე მიფრენა დაეზარა.

ბავშვები დაოკდნენ. დედამ ნინოს კითხვა გაუმეორა:

– აა! ჰო, მა, რა მინდოდა იცი მეკითხა? შენ ისტორიაში უფრო ერკვევი და ეს მითხარი, როდის ააგეს პირველი კვაზიმატერიალური ხიდი ბათუმსა და კონსტანცას შორის, მეოცე საუკუნის ბოლოს?

– არა, შვილო, რას ამბობ.

– ეეე, ცუდია! ესე იგი შეცდომით შემოვხაზე პასუხი.

– მეოცე საუკუნის ბოლოს საქართველოში დიდი სიღარიბე, პურის რიგები და უბედურება იყო. ხალხი ერთმანეთს ესროდა ქუჩაში. კვაზიმატერიალური ხიდი ბათუმსა და კონსტანცას შორის, მეოცე საუკუნის ბოლოს? – არა, შვილო, რას ამბობ.

– კარგი, რა, მამა, ეხლა ინფორმაციას ვინა იმასხსოვრებს. რისთვის არსებობს World Unified Informational? ასე, თუ რამე დაგჭირდება, საქართველოს ისტორიას კი არა, ცხოვრებაში კუჭში პირველად როდის გახვედი იმას ამოგიგდებს.

– რა სიტყვებია! – გაწყრა სულხანი.

– ნინ, ნუ ხომ იცი, რომ საქართველოს ისტორია სხვაა. თუ არ ვისწავლეთ, ქართველები იდენტობას ვერ შევინარჩუნებთ, არა, სულიკო? – ნათიამ საჩრდილობელი აკეცა.

სულხანმა ამოიხრა, წამით იყუჩა და ისევ ქალიშვილს მიუბრუნდა:

– კიდევ რა კითხვები იყო?

– უი, რა ვიცი, რა მახსოვს. ისე, ბევრი კითხვა მეოცე, ოცდამეერთე და ოცდამეორე საუკუნეებს ეხებოდა. მთელი სემესტრი სტილანით, რეიგანით, სტივ ობრეინით, ფრანსუა ფაბოთი და კიდევ ვიღაცით გვიბურღავდნენ ტვინს.

– სტალინით, შვილო, სტილანით კი არა. რა არ მესმის, იცი, თუკი ტვინს გიბურღავენ და ამ საკითხზე გელაპარაკებინ, რატომ არ გამახსოვრდებათ?

– არ ვიმახსოვრებთ, მამა. მასწავლებლები მხოლოდ აზრს გვიხსნიან. გვეუბნებიან, რომ მთავარია ეპოქა გავივით, ამბებს კი როცა მოგვინდება WUIB-შიც წავიკითხავთ.

– აბა, ხიდი როდის აიგო?

– ნუ, ხანდახან შენსავით გვამოწმებენ, რა. ეს როგორი ტესტებია, იცი? აი, რომ გაიგონ საკითხის ანალიზის დროს მოსწავლეებს რაიმე დაამახსოვრდათ თუ არა. რაღაცაში სჭირდებათ. ისე კი, დამახსოვრება სულ არ არის აუცილებელი. ჩვენი ისტორიის თიჩერი იძახის დროის ქიმიკა უნდა გესმოდეთო. ასეთი გამოთქმა ყოფილა მის ახალგაზრდობაში. წარმოგიგდებია, ქიმიკა, არა ფსიქოგეოგრაფია.

– მა, ჩართე, რა Wi-Fi. – დათუნამ ყელთან კანი გამოწვლა.

სულხანმა ყურადღება არ მიაქცია.

– მაინც, რა კითხვები იყო, კიდევ?

– მგონი... დაიცა... ჰო, თუ გახსოვთ, ტვინის გადატვირთვის პირველი ოპერაცია ვინ ჩაატარაო, მარსიდან სველი ნიადაგის სინჯვები როდის ჩამოიტანესო და საქართველოში ბოლო ეკლესია როდის აშენდაო.

– მერე?

– რა ვიცი, მა, გარტყმით დავწერე პასუხები. სახლში რომ მივალთ, ჩავიხედავ და WUIB-შიც გადავამოწმებ. ასეთი ტესტები სულაც არ არის მნიშვნელოვანი.

– მა,მა,ჩართე,რა Wi-Fi. – დათუნა უკვე ცმუკავდა.

სულხანს ხმა აღარ ამოუღია, ისევ იმ ლილაკს მიაჭირა ხელი. ძველი იპოდრომის თავზე, საბურთალოზე ჩაფრენის მსურველი აერომობილები შექუჩულიყვნენ.

– მოვედით, – ჩაილაპარაკა სულხანმა და მანქანა ლევიტაციის რეჟიმში გადართო, – ელოდე ახლა როდის დავეშვებით მიწაზე.

– არა უშავს, ჯერ მაინც ადრეა. კარგი ქენი, რომ დამაჩქარე. როგორც ყოველვის მართალი იყავი. – სათნო ღიმილი შეანათა ნათიამ.

სულხანი ამ ღიმილს აღმერთებდა. მოღუნდა. რამდენადაც ღვედმა საშუალება მისცა, სავარძელში ჩაეშვა. „ღმერთო, როგორ გამიმართლა. ხევსური-ზანგი, თან ასეთი მშვიდი, და მაინცდამაინც მე გამომყვა ცოლად“.

ის ოჯახთან ერთად საცობში ლივლივებდა და გრძნობდა, რომ ბედნიერი იყო.



მის ქილ შაკვლაშვილი

სიკვდილის ცეკვა

მოთხრობაში გამოყენებულია ქართული ფოლკლორის რამდენიმე პერსონაჟი, სახელწოდება და სიგუაცია, ზოგჯერ ისე, რომ ორიგინალური წაკითხვისგან რადიკალურად განსხვავდება, რისთვისაც ავტორი ბოდიშს მოიხდის.

მეორე ბოდიშში კი იმის გამო აქვს ავტორს მოსახდელი, რომ მან გარდა ქართული სიუჟეტებისა, გამოიყენა კიდევ ევროპული „სიკვდილის ცეკვა“ და იასნაშნის ალეგორია, როგორც სიკვდილის ყვავილის, ასევე სახეშეცვლილ მღვდორობაში.

ერთ-ერთი პერსონაჟის აღწერაში ავტორმა გამოიყენა სიკვდილის აღწერა იოანეს აპოკალიფსიდან – ღია მხედარი ღია ცხენზე, და ფოლკლორული „შავი ფრთები“.

მოთხრობა ეძღვნება ფრანგ კომპოზიტორ კამილ სენ-სანსს, რომლის სიმფონიურმა პიესამ „სიკვდილის ცეკვა“ შთააგონა ავტორი დაეწერა ეს ნაწარმოები და რომელიც მკითხველს გონებაში უნდა უგრიალებდეს შესაბამისი ეპიზოდის წაკითხვისას.

შესავალი

მალა მთებში, ტბის პირას, მოჩანს იასამნის ბუჩქებში ჩაფლული ძველისძველი ნასოფლარი. ადგილობრივებს რომ ჰკითხოთ, რა სოფელი იყო, რატომ იზრდება მის ადგილას ამდენი იასამანი ან რატომ დატოვა ეს ადგილი ხალხმა, ვერავენ გაგცემთ პასუხს, მხრებს აიჩეჩავენ და ან სპარსებს დააბრალებენ, ან კი ჭირს. ვინმე კი გამოჩნდება ისეთი, გულწრფელად რომ აღიარებს - არ ვიციო, და ასი წლის

გახუასთან გაგზავნით, ეგებ მან იცოდესო.

მოხუცი გახუა რამდენიმე ჭიქას შესვამს, ყველის ნაჭერს დააყოლებს და გაიხსენებს, პატარაობაში მისი პაპა რომ უყვებოდა ამ ადგილის ამბავს – მას პაპამისმა უამბო, იმას კი კიდევ იმის პაპამ.

გაიშვერს გახუა დანაოჭებულ ხელს ტბისკენ, შუაზე გადატეხილ ქვის ვეშაპს დაგანახებთ და გეტყვით, რომ უხსოვარ დროს აქ საოცარი და საგმირო საქმეები ჩაიდინეს ღვთისშვილებმა პირქუშმა და იასნარმა. შემდეგ პურის ნატეხს შეჭამს და მოგიყვებათ

მათ ამბავს. თუ რამდენად საოცარი და რამდენად საგმიროა ეს ამბავი, უკვე თქვენს განსჯასაა მიწობილი.

1. იახსარი

„...უნდა აღინიშნოს, რომ აქ ჩასულს ბევრად უფრო სიუხვითა და მასპინძლობის გულთბილობითა დამხვდნენ, ვიდრე გვეგონა. ალბათ, ეს იმის ბრალია, რომ წინასწარ გაგავზავნეთ მუნ ხელწერილი გაფრთხილებითა. მიუხედავად ასეთი გარეგნულად კეთილშობილი დახვედრისა, სიფრთხილე მმართვეს და მუდმივი მზაობა, რამეთუ ურჯულოთაგან ყველაფერია მოსალოდნელი, ნებისმიერი სივერაგე. მოგეხსენებათ, ამ სოფელსა შინა ბინადარი არიან სასტიკნი და უხეშნი შესახედავად, ვითარცა ცხოველნი, ამიტომაც ჩემს ბედს მხოლოდ და მხოლოდ განგებას და დიად ღმერთს ვანდობ, დაე, დამეხმაროს საქმის უხეშბლად მოსრულებაში, რამეთუ საქმე ეს ნაცნობია ჩემთვის, მაგრამ უჩვეულოდ უნდა გადაიჭრას. და ამა საქმის მოსაგვარებლად ველი ერთ ძველ მეგობარსა, რომელიც ფრიად გაწვრტნილია მასში და დიდსა დახმარებას გამიწევს.“

შაკვებში შემოსილმა გადალო პერგამენტი და კუთხეში მუხლმოდრეკილი დადგა, ყელზე ჩამოკიდებული ხის ჯვარს გრძელი თეთრი თითები შემოავლო და ღმერთს უსიტყვო ლოცვით მიმართა. საკმაოდ დიდ ხანს გაგრძელდა მათი დიალოგი და, ალბათ, არც დასრულდებოდა, მაგრამ ოთახის კარებზე კაკუნი მოისმა.

შაოსანი ფეხზე წამოდგა.

- მობრძანდით, ვინც არ უნდა იყოთ, ავისა თუ კეთილის მზრახველი! - ჯვრისთვის ხელ არ გაუშვია.

კარები შემოაღო პატარა გოგომ.

- მოგიტანეთ ყვაილები. ვილაც კაცმა გადმოგცათ, თქვენნაირი კილოთი ლაპარაკობდა - სიცილით თქვა ბავშვმა, მას არ ესმოდა, თუ რატომ უნდა სჭირდებოდეს უფროს ბიძიას იასამანი, უფროსებს ეგ ხომ არ აინტერესებთ, ან რატომ უნდა გადასცეს ერთმა ბიძიამ მეორეს ეს იასამანი? ბევრი კითხვები ებადებოდა ბავშვს და ვერც ერთზე პასუხი ვერ იპოვა.

იახსარმა გაუშვა თითები ჯვარს და გოგონას იასამანი გამოართვა, ბავშვს ხელით ლოყაზე უჩქმტა და სთხოვა უფროსებისთვის ეთქვა, რომ მას დააგვიანდებოდა ვახშამზე.

იასამნის სურნელი დადგა ოთახში.

„უფლისა ნებითა მოვიდა ამა სოფელში ჩემი ძველი ამხანაგიც, რომელმაც თვის შესახებ მაცნობა იასამნის ყვაილითა, როგორც სჩვევია ხოლმე. ვახშმის ჟამი ახლოვდება, მაგრამ მე, ალბათ, ჯერ მას შევხვდები რამეთუ მოვლაპარაკდეთ, თუ როგორ წარვმართავთ ჩვენს საქმეებსა“.

ისევ შეწყვიტა წერა იახსარმა, ჩაფიქრდა. არასდროს არ წამოსულა მისი ამხანაგი ასეთ საქმეზე მასთან ერთად, ის ყოველთვის უფრო რთულ სამუშაოებს ეჭიდებოდა. ნუთუ აქაც რამე ისეთი ხდებოდა, რისთვისაც მისი გამოცდილება არ იყო საკმარისი? მაგრამ მორიგე მას უთხრა, რომ ურჯულო კერპთაყვანისცემელი ალქაჯების სოფელში დაზვერვა უნდა მოეხდინა მას და გაერკვია, თუ რამდენად სასიფათონი იყვნენ ჩვეულებრივი ხალხისთვის. იქამდე იახსარს მარტო ცალკეული ხალხის შემოწმებას ავალბდნენ, მაგრამ მთლიან სოფელზეც ის მარტო გაუშვეს. და ჯერჯერობით საქმე კარგად მიდიოდა. ან იახსარს ეგონა ესე.

კარებზე ისევ დააკაკუნეს.

2. მიქაელ პირქუში

იახსარს სადაცაა უნდა ეთქვა, მობრძანდითო, კარი კი თავისით გაიღო.

- ღია კარს ყველანაირი ბოროტება მოწვევად აღიქვამს, მაშინაც კი, როდესაც პირადად არ ეტყვი, შემოდით. და მე ვეჭვობ, რომ ერთხელაც ვერ შეძლებ მის მოგერიებას და დაეცემი სხეულითა ან სულით.

კარში იდგა ძალიან ძალაღი ფერმკრთალი შაოსანი, მისი უდიდარი სახე თითქოს ქვისგან იყო გამოთლილი ისევე, როგორც დიდი მუშტები.

- ღვთის ნებით ბოროტება არ იპოვის გზას ჩემთან, მიქაელ. და თუ იპოვის - გაელიმა იახსარს - შენი პირქუშობა მას დააფრთხობს და ის თავის თავს დაჭამს შიშისაგან. ავ ძალას კი არა, მეც კი მეშინია შენი, ძმობილო. გულწრფელად გამეცი პასუხი მამაშენის სულის წინაშე, ოდესმე თუ გაგიღიმიან?

მიქაელი და იახსარი ერთმანეთს გადაეხვიენ.

- დიდი ხანი არ შევხვედრილვართ, იახსარ, მეგობარო, და მე ვწუხვარ, რომ ესეთ არასასიამოვნო ვითარებაში გადაიკვეთა ჩვენი გზები... მაგრამ გადავლოთ ეს საუბარი. ვხედავ, ჩემი იასამანი მოგიტანეს და ამ ამბავმა გამაზარა, რადგანაც მეგონა, რომ ბავშვი დაკარგავდა მას. ეს არსებები ისედაც მავნეები არიან, და ბავშვი კი მით უმეტეს...

- არ ღირს, ძმაო მიქაელ, ადამიანების არსებებად

მოხსენიება, რამდენად შემზარავნიც არ უნდა იყვნენ...

პირქუშმა არაფერი უპასუხა მეგობარს, მხოლოდ ამოისუნთქა – ამას არაფერი ესმისო – და ვახშმით დაინტერესება გამოხატა. იახსარსაც გაუხარდა თემის შეცვლა, და ორივენი გარეთ გავიდნენ.

3. პასუხი

ნადიმი უკვე კაი ხნის გამართული იყო. მთელი სოფელი შეკრებილიყო სოფლისთავის ეზოში, შეექცეოდნენ ლუდს და ნაირ-ნაირ საჭმელს. ქურუმი უძღეროდა სამადლობელ სიმღერას მთვარესა და ვარსკვლავებს, სოფლისთავი კი პირადად უჭრიდა ორ სტუმარს - მიქაელსა და იახსარს - ჯიხვის საუკეთესო ნაჭრებს.

იახსარი ფიქრობდა.

ეს ხალხი აშკარად იმათ ეკუთვნოდნენ, ვისზეც მას უფროსმა კოპალამ უთხრა, რომ უნდა იპოვნოს და გამოააშკარაოს, შემდეგ კი მათ ღვთისშვილთა საძმო მოუვლიდა. სავარაუდოდ ამ მოვლისათვის იყო აქ პირქუშიც, რადგანაც კოპალასთვის არ იყო საიდუმლო, რომ იახსარი არ გაანადგურებდა ურწმუნოთა სოფელს.

ან ვერ გაანადგურებდა.

მას ეჭვი ეპარებოდა, რომ ესეთი მხიარული ხალხი შეიძლებოდა ყოფილიყო სისხლმოსურნე და ბნელი აღქაჯათა ბუდე, რომ ისინი წირავდნენ თავის კერპებს ქალებსა და ჩვილებს, რომ ისინი ჭამდნენ გზაბნეულ მგზავრებს.

ნუთუ დიადი კოპალა ცდებოდა და ურჯულო ქმნილებებთან მის ბრძოლას უდანაშაულონი ეწირებოდნენ?

ნელ-ნელა ღამდებოდა, სუფრა კი თითქოს ახალი დაწყებული იყო – არც საჭმელ-სასმელი და არც ხალხის განწყობა აკლდებოდა. შეზარხოშებულ იახსარს მათ სიცილში მტაცებელთა ხმები ელანდებოდა უკვე და მან გადაწყვიტა, რომ ზედმეტი ფიქრი მოუვიდა თავის მისიაზე.

რომ დაბრუნდება საძმოში, კოპალას ეტყვის, ამ სოფლის მოსახლეობა უწყინარიყო, ისეთივე ქართველები არიანო, როგორც ჩვენ, უბრალოდ შემცდარები არიან ღვთის წინაშე.

უცოდველი შემცდარი ხომ ღმერთმა უნდა განსაჯოს.

შაოსანმა მობოდიშება და სუფრიდან ადგომა დააპირა, როდესაც თვალი მოჰკრა მიქაელს.

სრულიად ფხიზელი პირქუში შესცქეროდა იქვე მდგარ ქვის ვეშაპს.

4. სიკვდილის ცეკვა

იახსარმა უზარმაზარ ქანდაკებას მიაპყრო მზერა. თავიდან მას ეგონა, რომ სიმთვრალისგან რაღაც ელანდება, მაგრამ პირქუშის გაოგნებულმა სახემ მიანიშნა, რომ ის, რაც ხდებოდა, ნამდვილი იყო.

ქვის ლოდი თითქოს თბებოდა და კარგავდა თავის სიმკვრივეს, შიგნიდან მასში ნათება გაჩნდა და ამ ნათებაში იკვეთებოდა უცნაური, ადამიანის მსგავსი ფიგურა.

გარშემო ატყდა ყიყინა, ხალხი წამოხტა თავისი ადგილებიდან და გიჟურად აცეკვდა, ალტკინებაში შესულნი ერთხმად იმეორებდნენ ერთსა და იმავე ფრაზას, რომელშიც გაოგნებულმა იახსარმა ამოიცნო ნაცნობი სიტყვა.

გწირავთ.

გწირავთ.

გწირავთ.

გწირავთ.

ის ქვა კი ნელ-ნელა საოცარ არსებად იქცეოდა. დევი იყო თუ ვეშაპი, იახსარმა არ იცოდა, მაგრამ თვალს ვერ აშორებდა მის დასისხლიანებულ თვალბებს, ბანჯგვლიან სახეზე გამოკვეთილ ალმასის ეშვებსა და ოქროს ჯავშნით დაფარულ სქელ ტანს. აქამდე არასდროს სჯეროდა ბოლომდე იახსარს მსგავსი ურჩხულების არსებობისა, ეხლა კი, როდესაც ნახა ის თავისი თვალთ, ღმერთს შველას ევედრებოდა.

უცბად გარშემო ხალხი შეკრთა, წამით დადგა სიჩუმე.

ჰაერს იახსარის საოცარი სურნელი მოეფინა და მას საღამურის საოცარი სიმღერა მოყვა.

მუსიკის პირველივე ბგერების გაგონებაზე ხალხი აცეკვდა. ეტყობოდათ, რომ ეს მოულოდნელი იყო, რომ მათ ვიღაც აძალებდა. ქვისგან გამოსული არსებისკენ შემართეს ხვეწნის შესტით ხელები, ზოგმა შველაც კი სთხოვა დიდ ჯუღუს, მაგრამ ამაოდ. მათი ფეხები და სხეულები ლალ და მშვიდ ცეკვაში იყვნენ შეყოლილნი. იახსარის სურნელი კი მძაფრდებოდა.

იახსარმა ღმერთი ადიდა, მიქაელს მიუტრიალდა და გაოგნდა.

პირქუში უკრავდა საღამურზე და აცეკვებდა მთელს სოფელს.

ყოველ დაკრულ ჰანგზე გარშემო პატარ-პატარა ყლორტები ამოყოფდნენ თავს მიწიდან და ეგრევე იზრდებოდნენ, იფოთლებოდნენ და მათზე იახსარის სურნელოვანი მტევნები ამოდიოდა.

შიშისგან ატირებული ხალხი წივილითა და კი-

ვილით აგრძელებდა ცეკვას იასამნის ბუჩქებს შორის. ეს უფრო და უფრო რთული იყო, რადგანაც ყვავილები მთელს სოფელს მოედო, ეზოებშიც და სახლებშიც შეიჭრნენ ბუჩქები.

უზარმაზარმა ჯულუმ გამოშტერება დაძლია და ნაბიჯი გადადგა. ოღონდ არა იმათკენ, ვინც მას შეველას ევედრებოდა, არა!

ღევი იყო თუ გველეშაპი, ის გარბოდა ტბისკენ.

იასამნის ტოტები ეხვეოდნენ ხალხს, ბოჭავდნენ მათ, მაგრამ ისინი მაინც ცდილობდნენ ეცეკვათ. ნახევრადამხვრეკალები, ევედრებოდნენ უკვე იასარის და მიქაელის ღმერთს პატიებასა და ხსნას ამ სასტიკი განაჩენისგან.

და ღმერთმა ეს შეისმინა.

მუსიკა შეწყდა. გაჩერდა ცეკვა.

პირქუშმა სალამური დააგდო და ხელები ზეცისკენ აღმართა. დაუბერა ქარმა და მიქაელის ზურგს

უკან, თითქოს ქარის მოტანილნი ყოფილიყვნენ, ორი შავი ფრთა აფრიალდა.

დაქანცული ხალხი მიწაზე დაეცა. ცოტა ხანს ისმოდა ქვითინი, შემდეგ კი შეწყდა.

- აღსრულდნენ. - ჩაიჩურჩულა იასსარმა.

მიქაელმა მას მხარზე ხელი დაადო და ლახტი მიაწოდა. მზერით ანიშნა ტბის ნაპირთან მისულ ჯულუზე...

დასასრული

აქ მოხუცი გახუა შერქრდება და დაიწყებს თამბაქოს ღეჭვას. ღინჯად მიუღება ამ საქმეს. გაცდებით კიდევ, ამ ასი წლის კაცს კბილები რომ შემორჩა, თან ასე კარგად.

თამბაქოს ღეჭვას რომ გაუმკლავდება, ერთ სასმისს დააყოლებს და მოგიყვებათ, რომ ცხრაჯერ დაარტყა ღეკაცმა ჯულუმ იასსარს და ვერაფერი



უყო, იმან კი ლახტის ერთი შემორტყმით შუაზე გააპო ურჩხული. იქვე ტბის პირას გაქვავებული ისევ ჯუღუ და ეხლაც იქ დგას, ტბის პირას.

* * *

ასე აღასრულეს უფლის ნება იახსარ ღვთისშვილმა და პირქუშმა, იგივე დიდმა ანგელოზმა მიქაელ-გაბრიელმა და დასაჯეს ურჯულო ალქაჯები და მათი ამაზრზენი კერპი ჯუღუ. ღმერთის მაღლი არ მოგვაკლდეს თქვენ და ჩვენ, და მისი ნებით სულ

დაიცვან ეს მიწა-წყალი კოპალამ, იახსარმა და პირქუშმა!

იტყვის ამას და გაჩუმდება გახუა, აწი ერთ სიტყვასაც კი ვერ ათქმევინებთ ამ ლამაზი და შემზარავი ამბის შესახებ. დიდი ხნით კი დაგამახსოვრდებათ ეს ძველისძველი თქმულება და, როდესაც სადმე ქვის ვეშაპსა ან იასამნის ბურქს დაინახავთ, შესაძლოა გაგახსენდეთ ღვთისშვილების საგმირო საქმე და გაგიჩნდებათ სურვილი ადღეგრძელოთ ისინი.

მისილ შაველაშვილი

წითელქუდა

ზღაპრებთან ბავშვობიდან გვაქვს შეხება, – სხვადასხვა ფორმით. ზოგს გვიყვებიან, ზოგს ვკითხულობთ ან ტელევიზორში ვუყურებთ. ასაკის მატებასთან ერთად ზღაპრთან მანც არ ვკარგავთ შეხებას – კინოსა თუ ლიტერატურის სახით. ყველა ზღაპარს, როგორც წესი, საერთო თვისება აქვს – მკითხველსა თუ მაყურებელს „ასწავლის“, რა არის კარგი და რა – ცუდი. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი საკმაოდ სუბიექტურია...

აი, ვთქვათ, ყველასათვის ცნობილი ფრანგული ზღაპარი – „წითელქუდა“. ბავშვობიდან ვიცით, რომ ყველა პერსონაჟი, გარდა მგელისა, დადებითია. მაგრამ არის კი ეს სიმართლე?

არადა, დადებითი გმირების საქციელი ერთობ საჩოთიროა, თუკი დაუუკვირდებით, – დედა შვილს ტყეში მარტოს უშვებს, გოგონა უცნობს ელაპარაკება და ა.შ. მაგრამ ყველაფერი ბრალდება მგელს...

* * *

გილდიაში ამ პლანეტას ცუდი რეპუტაცია ჰქონდა.

მისი ბინადარნი ერთობ ჩამორჩენილნი იყვნენ – იყენებდნენ დრომოჭმულ ტექნოლოგიებს, ცხოვრობდნენ პრიმიტიულ ნაგებობებში, სხეულს იმოსავდნენ უხეში მასალით, ჰქონდათ ე.წ. „ფული“... თანაც ამ პლანეტის, ტერრას აბორიგენები ჰუმანოიდები იყვნენ.

თითქოსდა მას გილდიის პროფესიონალი მკვლევლების ყურადღების მოზიდვა არაფრით შეეძლო, მაგრამ

ორგანიზაციის არსებობის განმავლობაში ტერრელები ზოგჯერ კონტაქტზე გამოდიოდნენ – ჰუმანოიდებს ეს შეეძლოთ, რადგანაც გილდიის დამფუძნებლებმა გალაქტიკის ყველა რასას დაუტოვეს დაკავშირების საშუალება – და გილდიის საგანგებო წარმოადგენელს შეკვეთებს აძლევდნენ. თუმცა ეს ძალიან დიდი ხნის განმავლობაში აღარ მომხდარა.

დადიოდა ჭორები, რომ ამ პლანეტაზე გაგზავნილი ბოლო ოპერატიული მუშაკი, ფაფნირი ცეცხლოვანთა კლანიდან, აბორიგენებმა მოკლეს. რასაკვირველია, ამის დაჯერება შეუძლებელი იყო – გილდიის მკვლელს წინ ვერავინ აღუდგებოდა – ოგრიათებიც კი ვერ ბედავდნენ მათთან ხუმრობას.

მოკლედ, ტერრადან ახალ შეკვეთას არავის ელოდა, მათ შორის, რუხთა კლანის მებრძოლ ვოლკულფიც. ამიტომ მეტად გაოცდა, როდესაც გილდიის მმართველი საბჭოს წევრმა, ლუსიფერიუსმა გამოიძახა და ტერრაზე გამგზავრება დაავალა. დიდი არაფერი შეკვეთა არ არისო, ესეც დააყოლა, მაგრამ პროფესიული კოდექსი არ გვაძლევს ნებას, საქმეზე უარი ვთქვათო.

დამკვეთი აღმოჩნდა შედარებით ახალგაზრდა მღვდრი ჰუმანოიდი, რომელსაც თავიდან ძალიან შეეშინდა ვოლკულფის – მას „მგელი“ უწოდა. როგორც ლექსიკონი იუწყებოდა, ეს სიტყვა ტერრელ არსებას აღნიშნავდა, რომელიც გარეგნულად რუხთა კლანელებს ჰგავდა, – შემდეგ კი ისეთი ხმით, თითქოს თავს იმართლებსო, შეკვეთის არსი



აუხსნა. მისი დედამთილი – სიტყვის მნიშვნელობა ვოლკულფის თავში ჩანერგილმა ლექსიკონმა აცნობა, – ძალზე მდიდარია, მაგრამ ყველაფერს თავის შვილიშვილს, ამ მდედრის ნაშიერს უნდა დაუტოვოს. ქალს კი სურდა, ეს ფული პირადად მას რგებოდა. ამიტომაც მან „გამოიძახა ეშმაკი“ – როგორც ოპერატორული მუშაკი მიხვდა, ამ სიტყვებით ტერრელები კონტაქტზე გასვლას აღნიშნავდნენ. დამკვეთი ამბობდა, რომ არ შეუძლია დედამთილის ბუნებრივ სიკვდილს დაელოდოს, რადგან სიკვდილის წინიგი იგი დაწერს ანდერძს, რომლის თანახმად მთელ ფულს შვილიშვილის დაუტოვებს, არადა, მას აუცილებლად სჭირდება ფული... თორემ, სხვა შემთხვევაში, ცოდვაზე არ წავიდოდა...

შიშით იკითხა საფასურზე, ეტყობოდა, ზედმეტის მიცემა არ სურდა, მაგრამ ვოლკულფს არ აინტერესებდა მისგან არაფერი. რამდენიმე წუთი იყო სულ ამ პლანეტაზე და მისი ბინადრები უკვე სძულდა. სძულდა მათი აზროვნება და ცხოვრების წესი, სძულდა და არც ესმოდა...

სამუშაოს საფასურს ამ სამუშაოს შესრულები-

სას თავად აიღებდა.

* * *

გოგონა უდარდელად მისეირნობდა.

და მართლაც, ამ მშვენიერ დღეს რისი დარდი შეიძლება ჰქონოდა? მზე კაშკაშებდა, მწვანე ბალახში ფერადი ყვავილები ილიმებოდნენ, მათ თავზე კი მოხდენილი პეპლები დაფარფატებდნენ, გაკვეთილები სასწავლი არ იყო, კალათში კი ნამცხვრები ელაგა. ცხოვრება მართლაც მშვენიერი გახლდათ.

მგლის დანახვამ „წითელქუდა“ – უცვლელი აღისფერი თავსაბურავის გამო ეს სახელი შეარქვეს – არ შეაშინა, მიუხედავად იმისა, რომ ეს მგელი ბევრად დიდი იყო იმ ტყავზე, რომელიც მეზობელი მონადირის სახლში იყო გაფენილი. ამ მგელს ჭკვიანი გამოხედვა ჰქონდა, თანაც, ლაპარაკი იცოდა.

მგელი საკმაოდ მხიარული აღმოჩნდა, – კოტრი-ალით, სიმღერის მცდელობით და სასაცილო ხუმრობებით საკმაო ხანი ართობდა წითელქუდას, უყვებოდა გოგონას თავის მეგობრებზე – დრაკონებზე, გოლიათებზე, ქალთევზებსა თუ ფერიებზე. წითელქუდასაც უნდოდა ახალი მეგობრისთვის რამე ეთქვა,

რცხვენოდა, რომ ასეთი საინტერესო არაფერი ხდებოდა მის ცხოვრებაში და უამბო ის, რომ ბებო ავად გახდა, რომ დედამ მისთვის ნამცხვრების წაღება დაავალა, რომ თავიდან არ უნდოდა მარტო წასვლა, მაგრამ ტყე ისეთი ლამაზია, ჩიტები ისე ტკბილად ჭიკჭიკებენ, ყვავილებს კი ისეთი სურნელს აფრქვევენ, რომ დედას დაეთანხმა. თანაც, ბებო მარტო ცხოვრობდა ტყეში და შვილიშვილი მოენატრებოდა. კი ხედავს მეტყევეებს თითქმის ყოველდღე, მაგრამ წითელქუდას ნახვა მაინც გაეხარებოდა, ზოგადად ადამიანების ნახვა ერთია, და საყვარელი შვილიშვილის კი - სრულიად სხვა.

* * *

ვოლკულფი კმაყოფილი დარჩა - ადამიანის ბრძევმა ნაშიერმა მას ყველაფერი უამბო ბებიაძის ბუნაგის შესახებ. ბავშვი შეეძლო იქვე გაადეყლაპა, მაგრამ რუხთა კლანის წევრებს მსხვერპლთან თამაში ახასიათებდათ, ასე რომ, გოგო ამჯერად ცოცხალი დატოვა, თვითონ კი ტელეპორტირდა დანიშნულების ადგილას, წითელქუდას ბებიის სახლის კართან.

აქ პროფესიონალ მკვლელს პირველი დაბრკოლება დახვდა - ბუნაგის შესავლელი რაღაც უცნაური მოწყობილებით იყო ჩახერვილი, ლექსიკონი იუწყებოდა, რომ მას „კარი“ ჰქვია, მაგრამ მისი გახსნის მეთოდზე სდუმდა - გალაქტიკაში ეგეთი რამ ჩამორჩენილი სისტემების მუზეუმებში თუ იყო შემორჩენილი.

ბავშვის ხმის ტელეპატიურად იმიტირება იოლი საქმე იყო, ბუნაგში მყოფ მოხუც მღერს ეგონა, რომ მას ნამდვილად მისი შვილიშვილი ელაპარაკებოდა, ამიტომაც აუხსნა, როგორ გაეღო კარი. როდესაც ვოლკულფი მის საცხოვრებელში შევიდა, ბებია კი მიხვდა, რომ ეს მისი შვილიშვილი არაა, მაგრამ უკვე გვიანდა იყო.

მისიის შესრულების საფასური თვით მსხვერპლი იყო. ეს მღერი უკვე ასაკოვანი ბრძანდებოდა, - ხორცის სინისტემ ვოლკულფში დაუკმაყოფილების გრძნობა გამოიწვია, რამაც შემდეგი მსხვერპლის მონადირება მოანდომა. ამ აზარტმა დაადღევინა ზიზღი და ჩააცმევინა ტერრელების ტანსაცმელი.

ამასობაში გოგონაც მოვიდა. კარის გაღება ვერ შეძლო და ბებიას დაუხანა. ვოლკულფმა მოკლული ხმით აუხსნა, როგორ უნდა შემოსულიყო. ოთახში ბნელოდა და წითელქუდამ თავიდან ვერ დაინახა, ვინ იწვა საწოლზე ბებიაძის ნაცვლად. საქმე კარგად მიდიოდა.

გოგონამ ჩაიდან ცეცხლზე შემოდგა, კალათიდან ნამცხვარი ამოიღო. ეჭვიც არ გასწენია, რომ ლოგინში ბებია არ წევს - მკვლელმა ბებიაძის სხეულთან ერთად მისი აზროვნებაც შთანთქა. მაგრამ რუხთა კლანის წევრებს არ შეეძლოთ ფორმის ცვლილება და ნამცხვრითა და ჩაით ხელში საწოლთან მისულმა წითელქუდამ „ბებიას“ კითხვის დასმა დაიწყო - რატომ აქვს ასეთი დიდი ცხვირი? რატომ აქვს ასეთი დიდი თვალები?... ვოლკულფი თავიდან რაღაცეებს პასუხობდა, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა...

ვოლკულფმა წითელქუდა გადასანსლა, - ნაზი და გემრიელი აღმოჩნდა, სრულად შეესაბამებოდა გემოვნებას.

ამ დროს სახლთან რამდენიმე ჰუმანოიდი გამოჩნდა. ისინი ნაჯახებით - მადლობა ლექსიკონს - იყვნენ შეიარაღებულნი, მათგან სიძულვილის ემპატიური სუნი მოდიოდა. აშკარა იყო, თანამებლანტელთა გამო შურისძიება სურდათ - ვოლკულფს მოკვლას აპირებდნენ.

კოდექსის თანახმად ასეთ სიტუაციაში პროფესიონალი მკვლელი გილდიაში უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ ამდენი საკბილოს დანახვაზე ვოლკულფს სინარბემ სძალია და სიფრთხილე დააკარგვინა...

* * *

ლუსი ფერიუსი მმართველი საბჭოს თემჯდომარესთან არაორდინალური თხოვნით - გალაქტიკის პერიფერიაზე მყოფი პლანეტის განადგურება - მივიდა. თავმჯდომარე საბა ოფს გაუკვირდა - ასეთი ქმედება მის კომპეტენციაში კი შედიოდა, მაგრამ მსგავსი რამ არავის არასოდეს უთხოვია. თან ლუსი ფერიუსი მისი ძველი ოპოზიციონერი იყო, თვითონ უნდოდა თავმჯდომარეობა, და მისგან ნებისმიერი თხოვნა კი არა, მისალმებისაც გასაკვირი გახლდათ.

თურმე ტერრაზე შეკვეთის შესრულებისას რუხთა კლანის მეტროპოლი მოუკლავთ. საქმეში ჩაღრმავებისას საბა ოფმა ისიც გაიგო, რომ ეს მკვლელობა შეკვეთის დასრულებიდან საკმაო ხნის მერე მოხდა, ანუ რუხმა კოდექსი სასტიკად დაარღვია. ამის გამო, და კიდევ იმის შიშით, რომ თანხმობის შემთხვევაში ლუსი ფერიუსი ამას თავის ინტრიგებში გამოიყენებდა, თავმჯდომარემ ტერრას განადგურების თხოვნა არ დააკმაყოფილა. მაგრამ მსგავსი შემთხვევა მეტი რომ არ განმეორებულიყო, ტერრა დამკვეთთა სიიდან ამოშალეს.



ანა ჩიქოვანი

თარგმანი

(მოთხრობა)

- მე? მე ადამიანი ვარ.
 - ოჰ, ადამიანი... ამაყად ჟღერს, გგონია არა? არა-
 და, შენც ჩემსავით თარგმანი ხარ, ოღონდ სხვა
 ენაზე....

ის წინ უზის, ყვითელ თვალებს არ აცილებს და
 იღიმება. სხეულის რომელი ნაწილით და როგორ,
 ეკამ არ იცის, მაგრამ გრძნობს, რომ ის იღიმება და
 მორჩა. ვიღაცას აგონებს, სწორედ ამ ღიმილით ჰგავს
 ვიღაცას....

- ისევ გეშინია ჩემი?
 - არა.. არ ვიცი... ცოტა.
 - გინდა წავიდე? - ფუმფულა კუდი გაატოკა მან.
 - არა, კიდევ რაღაც მინდა გკითხო...

თქვა და მაშინვე ინანა, თუმცა ცნობისმოყვარეობა
 ძალას მატებდა, ის, რაც ხდებოდა, ძნელად დასა-
 ჯერებელი იყო, სიზმარს ჰგავდა.

- მაინც ვერ გავიგე, ვინ ხარ, ჩემთან რატომ

მოხვედი?

- აკი გითხარი, მეც თარგმანი ვარ, ყველა და
 ყველაფერი თარგმანია, სხვადასხვა ენაზე შესრულე-
 ბული თარგმანი.

- თარგმანი ვინმემ, საიდანმე ხომ უნდა გადა-
 თარგმნოს?

- ღიას, ასეა. ჩვენ უზენაესის, ე.ი. ღვთის ნააზრე-
 ვის თარგმანები ვართ, თქვენს მატერიალურ და ჩვენს
 - ლითთა ენაზე.

- თარგმანი რაღა შუაშია? თქვი, ღმერთის ქმნი-
 ლება ვარ-თქო და მორჩა.

- თქვენ თვითონ არ ამბობთ პირველი იყო სიტყ-
 ვაო? თანაც შენი საქმიანობიდან გამომდინარე, ვი-
 ფიქრე ასე უფრო გასაგები იქნებოდა. ისე, სიტყვის
 თქმამდე ჯერ აზრია და მერე ამ აზრის თარგმნა
 სიტყვად. პირველი იყო თარგმანი. თქვენთვის გასაგე-
 ბი სხვა ფორმულირება არ ვიცი მე.

- უზენაესი, ღმერთი, ანუ პირველადი აზრი, საიდან
 გაჩნდა?

- ბევრსაც ნუ მოინდომებ. სულერთია, ჰორიზონ-
 ტის მიღმა მაინც ვერაფერს დაინახავ.

- მაინც, ვინ ხართ თქვენ?

- ღამცინი? არც ისეთი უჭკუო ხარ რომ ხუთჯერ

ნათქვამი ვერ გაიგო.... ჩვენ ვართ სხვადასხვა თარგმანები. უზენაესის იღვის განხორციელება სხვადასხვა ენაზე.

არსებამ მონიტორს შეხედა და ეკრანი განათდა. „ყორანის“ თარგმანის ბოლო სტროფები გამოჩნდა.

რატომ აიჩემა ალან პოს „ყორანის“ თარგმნა თვითონაც არ იცის. ამ პოემის ასობით თარგმანი არსებობს ყველა ენაზე. არც ქართული თარგმანია ცოტა. საქმის დაწყებამდე ეკამ „დაგუგლა“ და ნახა რომ „ყორანი“ თარგმნა კონსტანტინე ჭიჭინაძემ, ფილიპე ბერიძემ, გიორგი გამყრელიძემ, გიორგი ნიშნიანიძემ, სტეფანე მხარგრძელმა, ჯემალ ინჯიამ, პორფირე იაშვილმა, სილოვან ნარიშკინმა, ვაჟა შიუკაშვილმა, ვანო ყვავილაშვილმა, კონსტანტინე ზ. გამსახურდიამ, გალაქტიონ ტაბიძემ, გია ბენიძემ, ზვიად მუსელიანმა, ბათუ დანელიამ, კოტე ჯანდიერმა, კოტე ყუბანიევიძემ, ლელა ებრაელიძემ, ბაგრატ ბაღიძემ, ალექსანდრე ელერდაშვილმა და ვინ იცის კიდევ რამდენმა ნაკლებად ცნობილმა თუ უცნობმა მთარგმნელმა. უკვე ერთი თვეა პწკარებს ჩაჰკირკიტებს; შიდა რიტმები, განწყობა, ყველაფერი რთულად გამოსდის და მაინც არ ეშვება.... უკვე 22 წლისაა. ყოველთვის საკრალურ ასაკად მიიჩნდა 11, 22, 33, 44... წლები. რაღაც ღირებულის შექმნის სურვილი არ ასვენებს. საკუთარი ნოველები და ლექსები დიდი წარმატების მომტანი რომ ვერ იქნება, რამოდენიმე პუბლიკაციის შემდეგ მიხვდა.

- ხედავ? ეს საგანიც ამ პრინციპით მუშაობს. თქვენს ნააზრევს ორობით სისტემაზე ნათარგმნს ინახავს, და შემდეგ, ისევ თქვენს ენაზე გაწვდით. ასე არაა?

- და ჩემთან რატომ მოხვედით?

- არა, პირველად შენ მოხვედი ჩემთან. არ გემსხსოვრება, მაშინ 11 წლის იყავი, თან ასეთი კონტაქტის მერე, როგორც წესი, არაფერი ახსოვთ ხოლმე. ინფორმაცია ქვეცნობიერში გადადის, თუმცა მას მერე პოეტურმა ნიჭმა იფეთქა შენში.

- მე თქვენთან მოვედი? როგორ?

- არ ვიცი, საიდან გაიგე, მაგრამ შენ მაგიური სიმბოლოები დახაზე, ზუსტი თანმიმდევრობით, ასეთი რამ კი ძალიან იშვიათად ხდება.

საკლასო ოთახში თებერვლის სუსხი აღწევდა. ბოლო მერხზე იჯდა და რვეულში გაუაზრებლად რაღაცას ჯღაბნიდა. თამილა მასწავლებლის რბილი „ლ“-ებით გაჯერებული მეტყველება აღიზიანებდა. უცებ ჰაერი თითქოს ბლანტ, თითქმის ხელშესახებ მასად იქცა. სუნთქვა აღარ შეეძლო, მასწავლებლის

სიტყვები ექოსავით ისმოდა „საქართველოს ძნელბედობის ჟამს.... ძნელბედობის ჟამს ...ჟამს...ამს...“ მერე კი აბსოლუტური სიჩუმე და სიბნელე ჩამოდგა. როცა გონს მოვიდა, ყურის ბიბილოები ეწვოდა, თამილა გამწარებული ზელდა, გარშემო კლასელები შემოხვეოდნენ, ხელში ფანქარი ჩასტყლომოდა, სქელი წელწინდა და შალის შარვალი ჩექმებამდე ჩასველებული ქონდა. იმ დღის გახსენებისას ეხლაც გულმუცელი ეწვის სირცხვილით. 11 წლის იყო მაშინ.

- გამოდის, რომ მე, ჩემდაუნებურად მოვახერხე სხვა განზომილებაში გადასვლა, შენი მონახულება და ახლა საპასუხო ვიზიტით მესტუმრე...

- ასეა. თან ახლა უკვე აღარ გეშინია მოლაპარაკე კატის, არა?

- კეთილი იყოს შენი ჩამობრძანება!

- ოო... სარკაზმი ხმაში... უნდა გითხრა რომ მე ყოველთვის აქა ვარ, მდებარეობის ჩვენებური გაგებით. ხომ გაგიგია, რომ ასობით ათასი სხვადასხვა, პირობოთად რომ ვთქვათ, სამყაროები, პარალელურად ვარსებობთ და მხოლოდ დიდი ძალისხმევითა და ზეძალის სურვილით ვიკვეთებით დროსა და სივრცეში. ასეთი შეხვედრების შემდეგ თქვენნაირები, ან ჭკუიდან იშლებიან, ან გენიალურ აღმოჩენებს და შედეგებს ქმნიან. ჩვენიანებმა მოინახულეს თავის დროზე დანტე ალეგერი, რუსთაველი, ჰემინგუეი, ჩენოვი, გალაქტიონი, კობო აბე, ეგ შენი ალან პოც ჩვენებურმა შეაშინა, ყორნის სახით ესტუმრა. მთლად კარგად არ დამთავრდა ის შეხვედრა სამწუხაროდ... ისე ჩვენთვის დიდი ბედნიერებაა თქვენთან შეხვედრა, ბევრს ესწავლობთ თქვენგან.

- ფანტასტიკა...

- ყველაფერს ახალს და გაუგებარს ფანტასტიკად ნათლავთ, გავა დრო და ეგ „ფანტასტიკა“ ყოფით რეალობად იქცევა ხოლმე.

- შენი წასვლის შემდეგ მეც რამე არაორდინალურს გავაკეთებ?

- აბა, რა ვიცი, შენ რას გააკეთებ. ჩემთან შეხვედრა მხოლოდ ამის შანსს იძლევა. მით უმეტეს, რომ შენ ქალი ხარ და უზენაესის მიერ უკვე გაქვს ბევრად უფრო სერიოზული დავალება შესასრულებელი; შენ მისი თარგმანი უნდა შეა, ახალი ადამიანი. როგორც წესი ამ საქმესთან შედარებით უაზრო და უშინშენილო ფაციფუცისთვის ქალები არ ცდებიან. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ძირითადად თქვენთან გვიწვევს სტუმრობა.

- მე შვილის გაჩენას არ ვაპირებ.

- ეგ შენი გადასაწყვეტი არაა, დამიჯერე.

- სურვილებს მაინც არ ასრულებ, ჯინივით?

- როგორც შენიანები ამბობენ ხოლმე, - „ ელა-
დავე ჯო დასენს!“ ისე ეგ ფენომენი - ხუმრობა,
ლადაობა და მისთანანი, ადამიანებსაც და ჩვენც ოოს
სამყაროდან გვაჩუქეს. სხვათა შორის, ყველა თქვენი
წინასწარმეტყველი და ღმერთკაცი: ბუდა, მუჰამედი,
ზარატუსტრა, იესო თუ სხვანი, ოოს სამყაროს
ეზიარნენ თავის დროზე. ყველა რელიგიურ თემაზე
ჭკუაგადაბრუნებული თუ სალოსი ოოს მიერ გადა-
ცემული ინფორმაციით გადაიწვა. იუმორის და რე-
ლიგიურობის ინსპირაციას გვაძლევს ოო.

- რელიგია და იუმორი... გაგიჟება შეიძლება..
ჩვენი სამყაროდან რას იზიარებენ ხოლმე სხვები?

- თქვენ სიყვარული და სიძულვილი გვასწავლეთ.
აქედან კარგიც ბევრი მივიღეთ და ცუდიც.

აი ხკა კი ყველა თქვენი და ჩვენი ტექნიკური
მიღწევების სათავეა, მათი შედეგია თქვენი აფრა,
ბორბალი, ატომური ბობი, ეგ კომპიუტერიც და სხვა
მრავალი სათამაშოც. ჰამ დამწერლობა მოგვცა, სსამ
მუსიკა და ა.შ.

- ...?

- ახლა კი მოემზადე, ჩემი სამყაროს ენაზე უნდა
გადაგთარგმნო, სულ ერთი წამით და დაინახავ, მილ-
იონებიდან ერთ-ერთს, მაგრამ ყველაზე მშვენიერს,
ჩემს სამყაროს..

არსება წამოდგა, კატისთვის სრულიად შეუფერე-
ბელი, მოუქნელი მოძრაობით ჩამობობდა სავარძლ-
იდან, მერე გასივდა, გაიზარდა (ეკას გაახსენდა ვის
ჰგავდა იგი- cheshire cat, ალისას მოგზაურობიდან.
ლუის კეროლსაც ეს ესტუმრა, ალბათ,

პირადად, თან იგივე კოსტიუმში თანდათან უზარმაზ-
არ, გამჭვირვალე საჰაერო ბურთს დაემსგავსა, მერე
ნისლივით გაიშალა და მთელი ოთახი მოიცვა.

ხმაურმა გამოაღვიძა. თავს რატი წამოსდგომოდა.

- რა გჭირს ეკო, კარგად ხარ?

- უი, ჩამძინებია, რომელი საათია?

ეკამ საათს ახედა. ეს შეუძლებელია, ჯერ კიდე 5
წუთის წინ თარგმანზე მუშაობდა. როგორ მოასწრო
ჩამძინება და გათიშვა ისე, რომ რატის მოსვლა არ
გაუგია?

- გამაგიჟებ, რა... ჩამოვიღე კარი ბრაზუნით, ტელე-
ფონი ავაფეთქე რეკვით და ჩამძინებიაო. ასეთი ძილი
ვის გაუგია, გოგო! კიდევ კარგი, ლილისთან გვექონდა
ერთი გასაღები დატოვებული, თორემ ვურეკავდი უკვე
მაშველებს.

ეს შენ მოიყვანე? სავარძელზე დასკუპულ ჭრელ
კატაზე მიუთითა ეკამ.

- არა... რა მოგდის?! ახლა, ამ ტილიანი კატის
სახლში დატოვება თუ გინდა და იმიტომ აწყობ ამ
წარმოდგენას, ყოჩაღ შენ, რა..

- მართლა არ ვიცი აქ საიდან გაჩნდა, შენ თავს
ვფიცავ, არ ვიცი, ღია ფანჯრიდან შემოძვრა, ალბათ.
მესამე სართულზე რანაირად მოახერხა ეს, არ ვიცი,
მაგრამ სხვა ახსნა არ მაქვს.

- კარგი ხო, რახან კარგად ხარ და მშვიდობაა, ეგ
ტილიანიც დარჩეს ჩვენთან, ოღონდ უნდა დაგვანოთ,
ავცრათ და

- შენი მოყვანილია ეგ კატა, რატი, ნაღდად, თორემ
ასე არ..

- მორჩი, ჰო, არაა საჭირო ამდენი წიოკი... იქნებ
ამ კატის მოვლამ ქალური ინსტინქტები გააღვიძოს
შენში და დედობაც მოისურვო... მოდი, ჩემო ეკუნა,
ჩაგეხუტო..

ჭრელი კატა კი მზეს მიფიცებოდა და თვალებს
ნაბავდა.



**ანა ჩიქოვანი -
გაგა ღრო და "ფანტასტიკა" ყოფით რეალურად იქნება**

დავობადე 1968 წლის 18 დეკემბერს,
თბილისში. იმ დღეს თურმე უჩვეულოდ
თბილი მზე ანათებდა. სკოლა დავამთ-
აერე თუ არა, მ. თოიძის სამხატვრო სა-
სწავლებელში შევედი, არქიტექტურის
რესტავრაციის შესასწავლად. 1987წ.
სწავლა გავაგრძელე სამხატვრო აკად-
ემიაში, ჯერ არქიტექტურის ფაკულტე-
ტზე, შემდეგ კი სახვით ფაკულტეტზე.
პარალელურად ვმუშაობდი დიზაინის
ინსტიტუტში. 1997 წლიდან ისევ თოიძის
სასწავლებელს დავუბრუნდი, საგვა-ფე-

რწერის პედაგოგად. 10 წელი ვასწავლ-
იდი ხელოვნების ისტორიას, კომპ-
ომიციას... ახლა უმუშევერი ვარ. თავს
ვირთობ დაკვრა-სიმღერით, კერვით,
თარგმნით, კითხვით, წერით, მოკლედ
შესაშური ცხოვრება მაქვს. მყავს მეუ-
ღლე და ორი შვილი, გოგონები - 10 და
17 წლისანი. ნიჭიერები არიან მშობ-
ლებივით...

მომავალში ვაპირებ ჩემი ბიოგრა-
ფია ლიტერატურული მიღწევებით გა-
ვამდიდრო.



კობა ცხაკაია

ოქროსა

• აღზილი

შენობა, სადაც ეს უცნაური ამბავი მოხდა, მდებარეობს მტკვრის სანაპიროზე, საქართველოს უფლისწულების სალოცავ ტაძარ - ანჩისხატისა და ვახტანგ მეექვსის მიერ დაარსებული სტამბის შენობას შორის. ერეკლე მეორის საგაზაფხულო რეზიდენციისა და სამეფო კარის სალოცავი ტაძრის წინ...

მეოცე საუკუნეში, ამ ადგილს ყველა თბილისელი იცნობდა, როგორც ქალაქის მილიციის მთავარ სამმართველოს. იმ დროს, ქალაქში დადიოდა ხმები, რომ აქ დამნაშავეებისა და ეჭვმიტანილების მიმართ ყველაზე ულმობელი წესებით მოქმედებდნენ. „თეთრი მელას“ ცეკას მდივნობის პერიოდში, მილიციის სამმართველოში ფიზიკური ანგარიშსწორება და წამება, დაკითხვის თანმდევი „ჩვეულებრივი“ მოვლენა იყო...

ჩემ მეზობლად ცხოვრობდა ხანშიშესული ქალბატონი, რომელიც ერთი პერიოდი ამ სამმართველოს თანამშრომელი ბრძანდებოდა. მარტოხელას, არც შვილი

ჰყავდა და არც ვინმე ახლობელი, ამიტომ, რამე რომ, უფუცდებოდა მივლილი მასთან, როგორც კეთილი სამართლებელი, და ვხლავორობოდი, რაც შემეძლო. ხან ონკანს შევუკეთებდი, ხან გახჭურის გამწოვებს გავუწმენდი, ხან ელექტრო გამათბობელს გავუმართავდი, ხან გადამწვარ ნათურას ახლით შევუცვლიდი... ის კი, სამაგიეროდ საუცხოო ყავას მომიღულებდა და მიყვებოდა საინტერესო და უცნაურ ამბებს, რომლის მომსწრეც გამხდარა ამ ავადსახსენებელ დაწესებულებაში. ერთი ასეთი ამბავი ეხებოდა უცნაურ კაცს მეტსახელად „ოქროსა“-ს და მინდა მის შესახებ გიამბოთ...

• მოკლედ

მეოცე საუკუნის სამოციან წლებში აკავებენ ტიპს, რომელსაც თავის დაწვის მიზნით, უნდოდა ერთ-ერთი ქარხნის ტერიტორიაზე შეღწევა. ის ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო მნიშვნელობის გასაიდუმლოებული ექს-

პერიმენტული ლაბორატორიის გამგე იყო... ლაბორატორიისა, რომელიც აფეთქდა და ოფიციალური ცნობებით ეს კაცი და მისი ექვსი თანამშრომელი, უკვე 10 წლის გარდაცვლილები იყვნენ.

როგორც ეს, უცნაური, მკვდრით აღმდგარი პიროვნება ამტკიცებდა „სამყაროში ყველაფერი საბოლოოდ უბრუნდება პირვანდელ, ანუ გაზობრივ მდგომარეობას, რომელიც სამყაროს წრიული ციკლის მეშვეობით იქცევა ჯერ თხევად, ხოლო შემდგომ მყარ ნივთიერებად. ასე ემართება ყველანაირ მატერიას, ყველანაირ მასალას, თქვენ წარმოიდგინეთ, ცოცხალ ორგანიზმებსაც კი. ატმოსფეროში, გაზებად ქცეული ლითონების უშრეტე წყაროა, რომლებიც მეცნიერებისგან რაციონალურ მოპოვებას და გამოყენებას ელოდება... ჰოდა, ჩვენ შევქმენით „ჯადოსნური“ ვაქცინა, რომლის დახმარებით ხერხდებოდა ატმოსფეროში აირის, ანუ გაზობრივი სახით არსებული ძვირფასი ლითონის, ოქროდ, პლატინად და ვერცხლად გარდაქმნა... ხოლო მექანიზმი, რომელიც ამ ფანტასტიკურ პროცესებს ჯადოსნური ვაქცინის დახმარებით გადაამუშავებდა, იყო ცოცხალი ორგანიზმი - ა დ ა მ ი ა ნ ი...“

ანალიზი, კვლევა და აღმოჩენები ამ მიმართულებით, ისეთი სწრაფი ტემპებით მიმდინარეობდა, რომ ისინი, ანუ ლაბორატორიის თანამშრომლები, დადგნენ ახალი ფაქტების, მიხედვისა და შესაძლებლობების წინაშე... მათ აღმოაჩინეს, რომ ძვირფასი მეტალებით გაჯერებული ჰაერი, დიდ გავლენას ახდენს ადამიანებზე, რომლებიც მას შეისუნთქავენ... ანუ ამ პროცესების შედეგად შესაძლებელი გახდა, მთელ საზოგადოებაზე, მათს აზროვნებასა და ფსიქიკაზე ზემოქმედება... დასაშვები გახდა, არა მხოლოდ ძვირფასი ლითონების მიღება, არამედ კეთილშობილი, ღირსეული, პატიოსანი და „ნათელი“ საზოგადოების ჩამოყალიბებაც...

ამ კაცს ყველა „ოქროსა“-ს ეძახოდა.

ის ამტკიცებდა, რომ ჯადოსნური ვაქცინის მეშვეობით, მისი და ლაბორატორიის ექვსი თანამშრომლის სხეული, ოქროს და სხვა მეტალების „გადაამუშავებულ ქარხანად“ აქცია... დემონსტრირებისათვის კი მოითხოვა - შპრიცი, ბამბა და იოდი, მოკლეული („ასე ეძახდა მკვდარ ზღვას“ ჩემი მეზობელი) ზღვის მარილი, ცეცხლგამძლე კოლბა და სპირტქურა. უნდოდა საკუთარი ვენიდან სისხლი აეღო, ჩაესხა ის კოლბაში, ჩემატებინა რამდენიმე წვეთი იოდი, მარილი, შემდგომ წამოედუღებინა, სითხის საბოლოო აალებამდე და რაც დარჩებოდა, ეს იქნებოდა ჩვეულებრივი ბაჯალლო ოქრო...

სამართალდამცავთა ქვეგანყოფილებაში ამ აშკარად ფანტასტიკურ მონაჩმას არავინ დაუჯერა... „ოქროსა“-ს დასცინოდნენ, გიჟადაც ჩათვალეს და ფსიქი-

ატრიულში უნდოდათ მისი გადაყვანა, რაზეც ის ძალიან გაბრაზდა და ქალაქის მილიციის სამმართველოს შენობაში, ისეთი რამეები მოიმოქმედა... რისი განსენება, ახლაც კი რცხვენიათ იმდროინდელ „მაგარ“ მილიციელებსაც კიო!“ - ამტკიცებდა ჩემი შინაბერა მეზობელი... და მტკიცებულების სახით მიჩვენებდა მოტეხილი კბილის ფორმის ოქროს ნაჭერს და დროისგან გაყვითლებულ და დაკუჭულ ქაღალდს, რომელზეც საკმაოდ ლამაზი კალიგრაფიით ეწერა შედეგი: „...პირველ რიგში უნდა მოგვეფიქრებინა, რა მექანიზმებით მოვახერხებდით იმ ქიმიური და ბიოლოგიური პროცესების განხორციელებას, რომლითაც, ასე ვთქვათ, ჰაერიდან და წყლიდან მივიღებდით კონცენტრატს, საბოლოოდ კი ოქროს, ან სხვა ძვირფას მეტალს...“

ამისთვის ყველაზე კარგი საშუალება იყო ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც ჰაერიდან ან წყლიდან შეიწოვდა, იქ არსებულ სასიცოცხლო მინარევებს... პირველ რიგში, გადავწყვიტეთ ცდების ჩატარება მედუზებზე, თევზებზე, რვაფეხებზე, ლოკოკინებსა და მოლუსკებზე (იდეა სწორედ ნიჟარის-მოლუსკის მიერ მარგალიტის შექმნის მექანიზმზე განაპირობა. მინდა გაგიმხილოთ, რომ ჩვენი „ჯადოსნური“ ვაქცინისთვის ინტერეინტები ძირითადად ავიღეთ, სწორედ ამ მოლუსკებიდან და ასევე იმ ლოკოკინებიდან, რომლებიც თვითონ ქმნიან საკუთარ ნიჟარებს)...

...ამ ცდებმა საინტერესო, მაგრამ არაპროდუქტიული შედეგებამდე მიგვიყვანა... „ჯადოსნური“ ვაქცინის გაკეთების შემდგომ, რომელიც ალაგზნებდა და უბიძგებდა ორგანიზმს ქიმიური პროცესებისკენ, ცივისისხლიან ორგანიზმში იწვევდა სხეულის ტემპერატურის + 40 გრადუსამდე მატებას... ის, ფაქტობრივად იზარშებოდნენ საკუთარ სხეულში და ცლა ნახევარ გზაზე წყდებოდა.

მკვდარი ორგანიზმი - მკვდარ ექსპერიმენტს ნიშნავდა... ამიტომ გადავერთეთ თბილისისხლიანებზე, პირველ რიგში ცდების ჩატარებები დავიწყეთ თაგვებზე, კურდღლებზე, ცხვრებზე... შემდეგ ნაკლებ ბევრიან ცხოველზე - ღორზე... ამ შემთხვევაში ცდებმა გაამართლა... საქმე ის იყო, რომ მეტალების გამოყოფა ორგანიზმიდან მთელი დღის მანძილზე კი არ ხდებოდა, არამედ მხოლოდ ორი საათის განმავლობაში... ამ დროს ორგანიზმის ტემპერატურა კი იზრდებოდა 38-40 გრადუსამდე, მაგრამ სხეულის ყინულებიან აბაზანაში, ან მაცივარში მოთავსების შემდგომ, პროცესი ნაკლებად მტკივნეულად და ექსცესების გარეშე მიმდინარეობდა და შედეგად დახლოებით 5-10 გრამად, სუფთა ოქროს ვილებდით..“

• როგორ ღაიფყო ეს ამბავი

1964 წლის 30 მარტი ორშაბათი იყო. მძიმე დღე.

ღამნაშავის დაკავებისას ტრაგიკულად დაღუპული მეგობრის გასვენებიდან დაბრუნებული, ორასკაციან სუფრაზე ნათამადარი მილიციის ვიცე-პოლიკოვნიკი კალდერონ ბერია დილის შვიდის ნახევარზე ტელეფონის ხარმა გააღვიდა.

ყურმილის აღების შემდეგ, ტირილის ხმა გაიგონა. ვიღაც, მთელი ხმით ბლაოდა...

მაღალჩინოსანი, რამდენიმე წუთი თვალმილულული უსმენდა სიტყვებისა და სლოკინის გაუთავებელ ნაკადს და მაინც ვერ მიმხვდარიყო, რა ხდებოდა და რაში იყო საქმე... როცა შეძლო და დაბინდული გონებით, ნაწილობრივ გააანალიზა სიტუაცია, სამზარეულოში დატოვებული ბორჯომის ნახევრადსავსე ბოთლი გაანსენდა... თუმცა, კარადაში შედგმული, სამოცდაათგრადუსიანი ჭაჭის ბოთლზე ფიქრმა გადასძალა... და ბოხი, ენერგიული ხმით უპასუხა აბეზარ ხმას:

- ნომერი შეგეშალათ, სხვაგან მოხვდით, გენაცვალე!
- თქვა და დააპირა ყურმილის დაკიდება, მაგრამ ტელეფონის მეორე ბოლოდან, განწირული ხმა გაიგონა და თმები ყალზე დაუდგა:

- არააა! - დაიკვილა ვიღაცამ, - არ დაკიდოთ ყურმილი, თორემ თავს მოვიკლავ!

ამის მერე, კვლავ განმეორდა მაღალფარდოვანი სიტყვებისა და სლოკინის გაუთავებელი ნაკადი. ნახევრად გამოფხიზლებული კალდერონი, მაინც ვერაფრით მიხვდა, ვერ იცნო გამღვიძებლის ხმა... უცნობი, ხან კრუსუნებდა, ხან ხაოდა, ხან ტიროდა და ზოგჯერ, კნაოდა კიდევ. ამდენი ფიქრისაგან, ვიცე-პოლიკოვნიკს თავი ასტკივდა... პირიც გაუშრა, მუცელიც საეჭვოდ უბუყბუყებდა. ჰოდა, ბერია უსიამოვნოდ შეიჭმუნხა და აბეზარ „მაღვიძარას“ კბილების სრჭიალით ჩაეკითხა:

- რომელი ხართ? დაწყნარდით, ქალბატონო, და ცრემლებს გარეშე ამიხსენით, რა გნებავთ და რა მოხდა!

- ამხანაგო კალდერონ! ვერ მიცანით? ნუთუ ისე შემცვალა ჩემმა სულიერმა დაცემამ, რომ ვეღარ მცნობთ?! - გულამოსკვნით ბლაოდა ხაზის ბოლოში ვიღაც, - ეს, მე ვარ! მაიორი რუხაძე! გათახსირებული, არაკაცი, სადისტი - რ უ ხ ა ძ ე!

- აბრაამ?! - გაოგნდა კალდერონი, - ამხანაგო აბრაამ, მოიკრიბეთ გონიერება და დალაგებით მომიყევით, რა ხდება თქვენს თავს?

ვიცე-პოლიკოვნიკი შეეცადა, ხმაში მეტი მეტალი



და შესაბამისად სიმკაცრე ჰქონოდა... თუმცა, არაფერი გამოუვიდა... სიტუაცია, სასაცილოც იყო და ამავე დროს გამაოგნებელიც... მრავლისმნახველ, ვებტერან ჩეკისტს, კალდერონ ბერიას პროფესიული ალლოც და ინტუაცია სადღაც დაჰკარგოდა, რადგან მაიორი აბრაამ რუხაძე ორმეტრიანი, ორასკილოგრამიანი კაცი, მეტსახელად „რკინა-ბეტონა“, რომელიც ერთი დარტყმით ხარს „თიშავდა“, მერე ამ საცოდავ ცხოველს, ერთ ჭამაზე ათავებდა, ზედ კი ოცდაათ ლიტრა ღვინოს თვალის დაუნახამებლად აყოლებდა... მაიორი რუხაძე, რომელმაც ათი, კბილებამდე შეიარაღებული, დაუნდობელი რეციდივისტი ცარიელი ხელებით ჯერ გათიშა, შემდგომ კი ხელბორკილდადებული წაასხა განყოფილებისკენ... აბრაამ რუხაძე, რომელიც დათვზე და ტახზე სანადროდ მხოლოდ ხანჯლით დადიოდა...

ოპერატიული მუშაკი, „რკინა-ბეტონა“, რომელისაც ყველა შიშნარევი მლიქვნელობით ექცეოდა, მისი დაკითხვაზე შესვლა, კი უკვე ასპროცენტისანი გარანტია იყო, დამნაშავეის თუ უდანაშაულოს, ცოცხალის თუ მკვდრის, გულახდილი და ნებაყოფლობითი აღიარებითი ჩვენებისა - ისტერიკაში ჩავარდნილი ქალივით ტიროდა...

- როგორ შეიძლება მე თქვენი ამხანაგი ვიყო?! მე - გარეწარი, ნადირალა, უზნეო, ყელამდე უდანაშაულოთა სისხლში გასვრილი, ცხოველიი... - უარესად დაიწვრილა ხმა აბრაამმა და ვიცე-პოლკოვნიკმა მკაფიოდ გაიგონა ყრუ დარტყმების ხმა, რომელიც ყოველ ჯერზე მეტალის ჟღერავდა გვირგვინდებოდა. „ნამდვილად, თავს ურტყამს საკნის კარს!“ - მიხვდა ბერია, - დათვრა ქელეხში, თუ რა ჯანდაბა მოუვიდა ამ ხისთავიანს?!“... - და გაახსენდა, რომ მაიორმა რუხაძემ, ქვეგანყოფილების ღამის ცვლა ჩაიბარა, მორიგე იყო და ამიტომ ვერ იქნებოდა ქელეხში... „მაშ, რა მოუვიდა ამ კაცს?“

მათი ქვეგანყოფილების საკნებში, ორი საშიში დამნაშავე, საკავშიროდ ძებნილი რეციდივისტები - „ასმინოვა“ და „კარდონა“ და ერთი უცნაური, ქიმიის და მედიცინის პროფესორი, ათუნა მურაჩაშვილი, სათვალეებიანი ინტელიგენტი ისხდნენ... თითქოს საპანიკო არაფერი იყო, მაგრამ აბრაამის მდგომარეობამ ვიცე-პოლკოვნიკი საგონებელში ჩააგდო:

„რალაც საშინელება, მოხდა! ალბათ, ყველას დაგვხრებენ!“ - გაიფიქრა მან და „შპაკლით“ შელესილ კედელს გახედა...

- „ასმინოვა“ და „კარდონა“ სად არიან? - ღამის იყვინა კალდერონმა და ფეხები აუცანცახდა.

- აქნა, ვართ უმფროსო, აქნა! - მოესმა ყურმილში „ასმინოვას“ იმერული კილო, - ჩვენ რომ არ ვყოფილიყავით, ავი თავს ჩამოიხრჩობდა ნამდვილად!

- კანეშნა, პროკურორჯანი! - ახროხინდა დამახასიათებელი ხმით „კარდონა“, - კიდევ კარგი, „მაკაროვი“ ჩვენ მოგვცა, თორემ „რკინა-ბეტონა“ რას იზავდა, რას უზავდა, რას გვიზავდა, ჩორტ ევო ზნაეტ?! -

- რაა?! მისი „მაკაროვი“ თქვენ გაქვთ? - ღამის გონება დაკარგა კალდერონმა, - დანარჩენები... სხვა თანამშრომლები, სად არიან?

- ყველა ღნავის?! - დაუკონკრეტა „ასმინოვამ“, - იარაღზე არ ინერვიულო, მოქალაქე ბერიავე, ყოლიფერი ჩვენ გვაქვს! ოცდახუთი „მაკაროვი“ და ამდენივე „კალაშნიკოვი“ აქ გვიწვია კორიდორში! მაგაზინები და პატრონები ჩვენს კამერაში ჩაკეტილი, არ „ინევირული“!

- და, და! მთელი განყოფილება ზის და პლაჩეტ!

ეგენი რომ პლაკატ ნაჩილი და კამერები დახსნეს, მერე სულ ნოჟები გვიკოცნეს, მერე ასე ვერ გამოვიყიდით ჩვენს გრეხებსაო - იმდენი გვაქვს დედიგენის ნაჭამი, რომ კუმატ ნე მოჟემ ბოლშეო... კაროჩე, თავების მოკვლები ხატელი... ნე დალი, ტო... ამიტომ ყველა კამერებში გვყავს ჩაკეტილი! პროსტო „რკინა-ბეტონა“ ეგეთი „შთაბეჭდილონი“ ყოფილა, ეგეთი „გრძნობელოვი“, როო ძან „შეგვეჟულა“!

- აპა! ჩამოსახრჩობლად გამზადებული ქამარი, რო წავართვით, ისე ატირდა, ისე ატირდა!.. ჩაბჭირდა უფროსო! გადაკარკლა თვალები და... რო არ მეთხლიშა სახეში, გასული იყო მარილზე, აპა!.. მერე, სანამ კალთაში არ ჩვეისვი, სული ვერ მოვათქმინე! - თავი იმართლა „ასმინოვამ“, - შენ რომ გელაპარიკა, ცოტა სიფათი გოუნათდა, მარა მერე ისევ ოურია, დროზე მოი, თუ არა ისე მაგრად ურტყამს თავს კამერის კარს, გააფუჭებს და რემონტის გაკეთება მოგიწევს! სულ გადვირია, ეს უბელური!

- მაიორი რუხაძე კალთაში გეჯდა შენ?! - კალდერონ ბერიაძე, საერთოდ დაკარგა საღი აზრი, რომელიც მის ნამთვრალე ტვინში, გველივით დაკლანძილი, გულის ნერვს გადანასკვოდა, - შენ, რეციდივისტი, მილიციის მაიორს ეფერებოდი?!

- აფერი ცუდი არ იფიქროთ, ამხანაგო! - შეწუხდა „ასმინოვა“, - მე იგი კი არ ვარ, ჩემზე პატარა რო შევაცდინო! მამაშვილურად ვეფერებოდი! თავზე ვეფერებოდი მარტო! აგერ მყავს მოწმე!

- ატვეჩაი ვარ! - კვერი დაუკრა „კარდონამ“, - ტოლკო ურწევდა, მშობლურად ეფერებოდა... სეიჩას მი, მასთან ერთად პლაჩემ ობა! დროზე პრიეზჟაი, ატო პერედ პასეტიტელიამი სტიდნო!

- კიდო, მოქალაქეები მოდიან და ჩვენ რა გქნათ არ ვიცით! ახლავე ქალბატონო, ვერ ხედავთ უფროსს ტელეფონზე ველაპარაკები! - ვიდაცას უპასუხა „ასმინოვამ“, - ჰოო, კიდო რაზე გირეკავთ, უფროსო! იცით, რა გვანტერესებს, მოქალაქეებისგან მიღებული განცხადებები წითელ პაპაკში უნდა დავარეგისტრიროთ, თუ საჩივრებთან ერთად შევინახოთ ყვითელ, ოქროსფერ ვარსკვლავიანში?

- მეც მაქვს ვაპროსი? - ჩაეჩარა საუბარში „კარდონა“, - პრაფესორის გაქცევის ამბავი, მარტო შეენ უნდა გაგაგებინოთ... თუ სამთავრობო ღერბიანი ტელეფონითაც ვუპატაკოთ „კომუ ნადოს“?

- მე თვითონ! მე თვითონ! - ჭკუაგადასული ბურტყუნებდა, ქვეგანყოფილების უფროსი, კალდერონ ბერია და საყრდენ წერტილს ეძებდა, რომ არ გაგიჟებულიყო და, მით უმეტეს, არ წაქცეულიყო, - ესე იგი, პროფესორი ათუნა მურაჩაშვილი გაიქცა?!

- ჰოო, რაც ეგ ჩათლახი გაიქცა... ვაფშემც, აირია ყველაფერი! მილიცია ღნავის, რეცედივისტები ვეფერებით! სამი სება ნე უზნაიომ!

- ღროზე მოი, უფროსო! რაც უფრო დიდხანს ვჩერდებით ამ კაბინეტში, თვალები მით უფრო მიცრემლიანდება და მეც თუ ღვევიწყე ამათსავით ჭყნავილი, ნამდვილად მევიკლავ თავს! - ასლუკუნდა „ასმი-ნოგა“, - ცოდვებით სავსე ვყოფილვარ, ამხანაგო ბერია! დედა, რა ჩათლახი ვაარ, რო იცოდე?! დედა, რავა ვამძიებ ღუნას?!

- ნე, მოგუ ბოლშეეე! დაააა, ეტო ია სუუკააა! სუჩარააა! ია კლარნეტისტ, ი ტრუბაჩ! სვოლოჩ ი მუსორშჩიკ! - ყვილით აყვა „კარღონა“...

... დაახლოებით ოც წუთში მილიციის ქვეგანყოფილების უფროსი, ქალაქის საუკეთესო ოპერ-მუსიკი, ორდენოსანი, ომის ვეტერანი, ვიცე-პოლკოვნიკი კალდერონ ბერია, თეთრად შეღებილ ახლადგარემონტებულ, მშობლიური და საყვარელი სამსახურის წინ იდგა და სუნთქვაშეკრული აკვირდებოდა ფარდებჩამოფარებულ ფანჯრებს, საიდანაც მხოლოდ ყრუ ხმაური ისმოდა... ცენტრალური შესასვლელის სარკმელთან, უკმაყოფილო მოქალაქეების სოლიდური რიგი გაჭიმულიყო. ბერიას დანახვაზე რამდენიმემ, მისაღმების ნიშნად, ქული მოიხადა და გაფითრებულ „უფროსს“ პატივისცემით გაუღიმა... უეცრად ცენტრალური კარის მცირე სარკმელი გაიღო და იქიდან გამელოტებულ-გაძვალტყავებული თავი გამოჩნდა. მან ტირილისაგან დაწითლებული თვალები მიაპყრო ირგვლივყოფებს და მთელი ხმით აყვირდა:

- ადამიანებო, ძმებო, ამხანაგებო, ნუ დაარღვეთ კანონს! ბოზიშვილი ვიყო, ნუ გაამწარებთ ახლობლებს! გიყვარდეთ ერთმანეთი, ჩემი დედა..! - ეს იყო „ასმი-ნოგა“, თავზე შერჩენილი ოფლისაგან გაწეპილი თმები, სხვადასხვა მხარეს რვაფეხას საცეცებივით გაშლოდა.

კალდერონ ბერიამ ღრმად ჩაისუნთქა და ახალთახალი აზიაცების ჭრიალით, ნელა და მძიმედ შეაბიჯა სამყაროს იმ განზომილებაში, რომელსაც გაუთვითცნობიერებელი ხალხი - „ფანტასტიკას“, ცინიკოსები - „სისულელეს“, მორწმუნეები - „ღვთის რისხვას“, ექიმები - „ფსიქიკურ შემთხვევას“, ბირჟაეიკები - „კაი დასაბოლებელ ამბავს“, ხოლო ცინებში მომუშავე ფსიქოლოგები კი „არაადეკვატურ კანონდარღვევას“ უწოდებენ.

• რა მოხდა?

ამჟამად ძებნა გამოცხადებული იყო გაქცეულ პატიმარზე, რომელიც ოფიციალურად აღარ არსებობდა და, მიუხედავად ამისა, მას, 60 წლის ათუნი მურაჩაშ-

ვილს, მედიცინის, ბიოლოგიის და ქიმიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ორდენოსანს, სახელმწიფო და სტალინური პრემიების ლაურეატს, რომელიც სავარაუდოდ ადამიანებისათვის მავნე შხამქიმიკატების შეტანა-გავრცელებაში და ამის ნიადაგზე თბილისის მილიციის საქალაქო სამმართველოს ოპერატიული ქვეგანყოფილების პირადი შემადგენლობის (კაპიტან ვაგნერ ჯიმშელიანის, უფროს ლეიტენანტ დიამატ ბაღდასარიანის, ლეიტენანტ გულნაზი ორჯონიკიძეს, უმცროს ლეიტენანტ ღოგნატი სვერდლოვის, ზემდეგ ვილენ რახიშვილის, სერჟანტების: ოვიდიუს ჯიმისტარიშვილის, პრალა ესვანჯიას) და პატიმრების (კამო კარაპეტანიისა და ლესტამბერ სირბილაძის) დროებითად ფსიქიკურად აშლასა და, რაც მთავარია, 43 წლის, მილიციის მაიორის, აბრამ რუხაძის თვითმკვლელობამდე მიყვანის მცდელობაში ადანაშაულებდნენ. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საინფორმაციო ცენტრმა შეაგროვა დაზარალებულებისა და თვითმხილველების ჩვენებები, რომლის დიდი ნაწილიც დაცული იყო ქალაქის მილიციის სამმართველოს არქივში, გრიფით საიდუმლო.

პიროვნება, რომელიც საკუთარ თავს მოსკოვისა და ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტების ყოფილ ლექტორად, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად პროფესორ ათუნი მურაჩაშვილად, მეტსახელად „ოქროსა“-ად ასაღებდა, შსს თბილისის მთავარმა სამმართველომ, 1964 წლის 24 მარტს დააკავა. მას ფსიქო-ნევროლოგიური კომისიის დასკვნის გამოტანამდე, აღმკვეთი ღონისძიების სახით, წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

სისხლის სამართლის საქმეში ერთადერთი მტკიცებულება, რომელზეც დაყრდნობითაც ე.წ. ათუნი მურაჩაშვილს, მეტსახელად „ოქროსა“-ს ბრალი წაუყენეს, მისივე ჩვენებაზე იყო დაფუძნებული, სადაც მურაჩაშვილი აღიარებდა დანაშაულს და ნაწილობრივ განმარტავდა მისი ჩადენის მიზეზებს.

ბრალდებულის ადვოკატის განცხადებით, ათუნი მურაჩაშვილისაგან ჩვენება კანონდარღვევით, ზეწოლის შედეგად იქნა მიღებული.

„სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, ნებისმიერი დაკითხვის წინ, ბრალდებულს უნდა ეცნობოს, რომ მას შეუძლია მოითხოვოს ადვოკატი და ასევე აქვს ღუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება. ასევე კანონი უზრუნველყოფს მას იმით, რომ არ დაიბრალოს დანაშაული და ყველაფერი, რასაც იტყვის, შესაძლებელია მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული...“.

29 მარტამდე ფსიქო-ნევროლოგიური გამოკვლე-

ვის დანიშნვის გამო უკმაყოფილო, ე. წ. ათუნი მურაჩაშვილი დაკითხვის ჩატარებამდე არაერთხელ მოითხოვდა მიეყვანათ მისთვის ადვოკატი, რაც არ დააკმაყოფილეს... თუმცა, მოუხდავად ამისა, გამოძიებლისთვის (მაიორ აბრამ რუხაძისთვის) საეჭვო ვითარებებში ჩვენების მიცემის შემდგომ, მას ოქმზე, ხელი ჰქონდა მოწერილი... სადაც აღნიშნული იყო, რომ ის გაეცნო ბრალდებულის უფლება-მოვალეობებს, თუმცა, თვითმხილველების თქმით, არასანქცირებული დაკითხვა მილიციის უფროსის მოადგილის (მაიორ აბრამ რუხაძის მიერ) სამუშაო ოთახში მოხდა, სადაც არანაირი ჩანაწერი არ ხორციელდებოდა და ამ პროცესს, გამოძიებლის გარდა ესწრებოდნენ, სავარაუდოდ ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მილიციელები: კაპიტანი ვაგნერ ჯიმშელიანი, უფროსი ლეიტენანტი დიამატ ბაღდასარიანი, ლეიტენანტი გულნაზი ორჯონიკიძე, უმცროსი ლეიტენანტი დოგნატი სვერდლოვი, ზემდევი ვილენ რახნიშვილი, სერჟანტები ოვიდიუს ძიმისტარიშვილი და პრალა ესვანჯია.

• არქივში მოძიებული ჩვენებები

მოსკოვისა და ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი ლექტორი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი, ე. წ. - ათუნი მურაჩაშვილი, მეტსახელად „ოქროსა“-ს ჩვენება... რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ ის 1964 წლის 24 მარტს შეიპარა ქალაქ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავ საამქროში „დგანი 400“-ის დახურულ ტერიტორიაზე, სადაც მას ჰქონდა მცდელობა გაეხსნა მთავარი ღუმელის კარი. მას მეტალურგებმა შეუშალეს ხელი... ის დააკავეს და წაიყვანეს ცეხის უფროსის კაბინეტში.

„არანაირი უხეშობა ჩემ მიმართ მეტალურგებს არ გამოუვლენიათ. მშვიდად მიმაცილეს ცეხის უფროსის კაბინეტამდე და იქ დამტოვეს. ვადიარებ, ისინი უსინდისოდ მოვატყუე. დავდე, ნადვილი კომუნისტის პირობა, რომ დაველოდებოდი ხელმძღვანელობას, არანაირ შეუფერებელ საქციელს არ ჩავიდენდი, რის შემდეგაც - მეტალურგები დაუბრუნდნენ თავიანთ სამუშაო ადგილებს... მე კი მუხანათურად ვიხელთე დრო, გავხსენი ფანჯარა და გადავძვერი ეზოში, სადაც მოვიფიქრე ახალი გეგმა და შევუდექი, მის განხორციელებას!“ - ნათქვამია ათუნი მურაჩაშვილის ხელნაწერ ჩვენებაში...

მილიციის გადაამდგარი მაიორი აბრამ რუხაძე, ქალაქის მილიციის მთავარ სამმართველოში ვიცე-პოლკოვნიკის, კალდერონ ბერიას დაქვემდებარებაში არსებულ ქვეანყოფილებაში 1964 წლის 29 მარტს მო-

მხდარ ფაქტს ასე აღწერს:

„პატიმარი, რომელიც საკუთარ თავს ასაღებდა ათუნი მურაჩაშვილად, მეტსახელით „ოქროსა“-დ, მორიგეობის დროს ჩავიბარე. მთელი დღის მანძილზე შენიშვნების გარეშე იქცეოდა და არანაირ უარყოფით თვისებებს არ ავლენდა.

ყველაფერი დაიწყო, საღამოს ექვს საათზე, როცა პატიმრებისთვის განკუთვნილ საპირფარეოში, აღმოაჩინეს უცნაური (განავლის) ფორმის მეტალი, რომელიც შეიცავდა სავარაუდოდ ოქროს - ამან განყოფილებაში დიდი მითქმა-მითქმა გამოიწვია და საბოლოო ზომების მიღებამდე გადავწყვიტეთ მოგვეწყო საკნებისა და პატიმრების გეგმიური ჩხრეკა - დათვალიერება... შემოწმების დროს, ლეიტენანტმა, გულნაზი ორჯონიკიძემ აღმოაჩინა წერილი, რომელიც პატიმარ „ოქროსას“ წოდებში, კერძოდ მარჯვენა ფეხის წითელ, ე. წ. „ნასკში“ ჰქონდა ჩამალული.

მისი პოვნითა და აქედან გამომდინარე ჩამორთმევით აღშფოთებულმა „ოქროსა“-მ, აგრესიის გამოვლენა და ნორმაზე ხმამაღალი ყვირილი დაიწყო.

ის მოითხოვდა წაკითხვის გარეშე და სასწრაფოდ დაებრუნებინათ ზემოთაღნიშნული ქალაქები.

ამხანაგმა გულნაზიმ ყველანაირი კულტურული და ინტელექტუალური ფორმით, რაც ეკადრება ნამდვილ საბჭოთა მილიციელს - შეეცადა აეხსნა, დაკავებული უფლებები და მოვალეობები. ის, უხეშობის გარეშე, ყველა მამაკაცისათვის გასაგები ენით, ქალურადაც კი ცდილობდა დაემშვიდებინა გადარეული პატიმარი.

ე.წ. მურაჩაშვილი, არ ჩერდებოდა და საშინლად ხმაურობდა... რის გამოც ნერვული აშლილობა და აგრესია დაეწყო დანარჩენ პატიმრებსაც.

კერძოდ, რეციდივისტები - კამო კარაპეტინი და ლესტამბერ სირბილაძე ხმამაღლა და სპეციალურად უსმენოდ მღეროდნენ, სსრკ-ს სახელმწიფო ჰიმნს და გაიძახოდნენ პარტიულ ლოზუნგებს, რაც მათ მენტალიტეტის, იდეოლოგიისა და ცხოვრებისეული მრწამსიდან გამომდინარე სირცხვილისა, შეურაცხყოფისა და დაცინვის გრძნობებს იწვევდა მილიციის ქვეანყოფილების მთელ პირად შემადგენლობაში...

ამის გამო, იძულებული გავხდით პატიმარი მურაჩაშვილი აგვეყვანა ჩემს კაბინეტში და იქ, სხვა განაწესებული, მაგრამ თავშეკავებული თანამშრომლების დახმარებით ჩაგვეტარებინა პროფილაქტიკური აღმზრდელობითი საუბარი, ამ გაუთვითცნობიერებელ პიროვნებასთან და ჩვენთან მიღებული იდეურ-მორალური მუშაობით ძირფესვიანად ამოგვეძირკვა მისი მხრიდან ყველანაირი შემდგომი გაუგებრობა...

ხაზს ვუსვამ - პატიმრის კაბინეტამდე გადაადგილების დროს არანაირ ძალადობას და წინააღმდეგობას ადგილი არ ჰქონდა... პირიქით, მურაჩაშვილიც კი დაწყნარდა... ხალისითა და სრული ნდობით მოგვევებოდა დანიშნულ ადგილამდე, მხოლოდ რამდენიმეჯერ შეჩერდა და ზრდილობიანად აღნიშნა, რომ წერილი ჩვენ არ გვეკუთვნოდა... მისი ადრესატი იყო მომავალი თაობები, მაგრამ ის მაინც შეეცდებოდა იქ აღწერილი სამეცნიერო პროცესებისა და ინტელექტუალური იდეების ჩვენთვის გასაგებ ენაზე ასხნას.

კაბინეტში როგორც კი შევედით, ყველა ტრადიციულად ასე გავნაწილდით:

მე დავჯექი ჩემს ადგილას, ანუ მაგიდის თავში... პატიმარი ფანჯრის მოპირდაპირე მხარეს დავსვი. კარებთან დადგნენ სერჟანტები - ოვიდიუს ძიმისტარიშვილი, პრადა ესვანჯია. ფანჯარასთან განლაგდნენ - კაპიტანი ვაგნერ ჯიმშელიანი, უფროსი ლეიტენანტი - დიამატ ბაღდასარიანი. საუბრის ოქმს აწარმოებდა - უმცროსი ლეიტენანტი - ლოგნატი სვერდლოვი. ამხანაგები - გულნაზი ორჯონიკიძე და ვილენ რახნიშვილი მერე შემოგვიერთდნენ და, ამიტომ აღარ მახსოვს ისინი კონკრეტულად სად იდგნენ.

პირველ რიგში წავიკითხეთ ამოღებული წერილი, სადაც ოქრუაშვილი პირველ პირში ყვებოდა შემდეგს (აქ მომყავს ის რაც დამამახსოვრდა, რადგან დამნაშავემ გაქცევისას წერილიც თან გაიყოლა. მინდა აღვნიშნო, რომ ასევე წაიღო ვაგნერის ახალი ფეხსაცმელები, დიამატის ცისფერი პერანგი, ოვიდიუსის შარვალი და პრადას მეცამეტე ხელფასი - ორას სამოცდაათი მანეთი და ორი აბაზი...)

„მეო, ათუნი მურაჩაშვილიო, ვაცხადებო, რომ ქიმიური ექსპერიმენტების საშუალებით შევძელი ჩემი ორგანიზმის, ოქროს გარდამქმნელ მექანიზმად ჩამოყალიბებაო... ანუ ჩემს სხეულში არსებული წყლის სამოცდაათ პროცენტის კონცენტრაციის, თხევადი ოქროდ გარდასახვაო. ეს მოვახერხეო ათწლიანი ექსპერიმენტებისა და წარმატებული ცდების შედეგადო. აი მტკიცებულებებიცო... (ამის შემდეგ, მოყვანილი იყო რთული ქიმიური ფორმულები, მათემატიკური და ფიზიკური გამოთვლები, რომლებიც ადგილ-ადგილ ტუმით ჰქონდა გადაშლილი... მიზანი ამ ფორმულების მტკიცებულებებად მოყვანისა ჩემთვის გაუგებარი დარჩა, ამიტომ მათ აღწერას ვერ შევძლებ, მხოლოდ სიტყვიერ და აზრობრივ მასალის გადმოგცემთ)...“

პირველი ექსპერიმენტების შემდეგ, ჩვენ შევძელით ატმოსფეროდან გაზობრივი მეტალების გამოყოფა და კრისტალიზებაო, ჯერაო - რკინის, ნახშირისაო, შემდეგო კი ტყვია, სპილენძის, ვერცხლისაო და ბო-

ლოს ოქროს „მატერიალიზებაო“... მაგრამ ატმოსფეროში, ამ მეტალების არსებობა სასიცოცხლო მნიშვნელობის ყოფილაო, რის გამოც ლაბორატორიასთან ახლოს მცხოვრებ ადამიანთა ფსიქოლოგიური მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალაო და შესაბამისად ისინი, არაადეკვატურად და უცნაურად იქცეოდნენო. აქედან გამომდინარეო, გავაკეთეთ სათანადო დასკვნებიო და დავიწყეთ ჰაერის შემადგენელ ლითონებზე ზემოქმედებაო, ანუ მათი შევსება სხვადასხვა დამატებითი ნივთიერებებითო (რკინითაო, ნახშირითაო, სპილენძითაო, ვერცხლითაო და ბოლოს ოქროთითო)... თან ადამიანების ქცევებს ვაკვირდებოდითო... და მივიღეთ სასწაული შედეგებიო... ჰაერის, ოქროსა და პლატინის მიწერების შევსებისას, ადამიანები უფრო სინათლითა და სითბოთი ივსებოდნენო, მათი აზრები, ქმედებები და ფსიქოლოგიაო უფრო სულიერი, ფილოსოფიური და ზეადამიანური ხდებოდაო... ისინი ორიენტირებულნი და მიზანსწრაფულნი იყვნენ, მხოლოდ დადებით ქმედებებისკენო... ქალაქში რაღაცა დროის მანძილზეო, დანაშაული და აგრესიის გამოვლინებები საერთოდ გაქრაო... მხოლოდ, ურთიერთგაგება, მოთმინება, სიყვარული სუფევდა ირგვლივო. მოსკოვის ეს ნაწილი ისე შეიცვალა სულ რამოდენიმე დღეშიო, რომ თავი ნადვილ სამოთხეში გეგონებოდაო.

...მერეო, სხვა ლითონების შეზავებაზეც ვიზრუნეთო და დავადგინეთ მათი ზემოქმედების შედეგებიო - რკინა - შრომისუნარიანობისო, სპილენძი-მისტიკისო, ვერცხლი-ანალიტიკურ აზროვნებისო, ტყვია-უარყოფითი, მაგრამ მხოლოდ ინტელექტუალურად უარყოფითი ენერჯის გაჩენას და აგრესიის განვითარებას უწყობდა ხელსაო... ამის შემდეგ, საჭირო მეტალების პროცენტული შემცველობის სია ჩამოვწერეთო, რომლებიც საჭირო იქნებოდა, კაცობრიობის ცნობიერების სწორი მიმართულებით წარმართვისთვისო. ესენი იყო: პლატინა, ოქრო, სპილენძი, ვერცხლი, რკინა, კალა, ალუმინი... (თუმცა ბუნებრივი მარგალიტით და ალმასით არანაკლები შედეგები მიიღწეოდაო, მაგრამ მათ ახასიათებდათ თანმდევი გაუთვალისწინებელი ეფექტები, რაც უფრო ყურადღებით შესწავლას მოითხოვდაო და რაც ჩვენს გეგმებში ჯერ არ შედიოდაო).

...ამის შემდეგ გადავწყვიტეთ, შეგვექმნა კონტინერები, რომლებიც მექანიკურ თუ ავტომატურ რეჟიმში განახორციელებდნენ ატმოსფეროს ქიმიური შემადგენლობის შეცვლასო და შესაბამისად ადამიანთა ფსიქოლოგიურ-სულიერ მდგომარეობაზე ზემოქმედებას მოახდენდნენო. მაგრამ იდეას სჭირდებოდა კარგი განმარტოციელებელ-შემსრულებელი „მანქანა“, თუმცა ვერ ვახერხებდით ისეთი მუდმივმოქმედი ან

გრძელვადიანი მექანიზმის შექმნას, რომელიც აწარმოებდა უწყვეტ ქიმიურ პროცესს და შედეგად ჰაერიდან მიღებულ გაზოვან ლითონებს გარდაქმნიდა (სითხედ ან კრისტალებად), ან პირიქითა რეაქციას განახორციელებდაო.

დიდი ხნის ფიქრის შემდეგ მივხვდით, რომ ეს მანქანა არ უნდა ყოფილიყო სტაციონარული, რათა ადვილი არ გამხდარიყო მისი განადგურება, ან ხელში ჩაგდებაო... და თან მას უნდა შეძლებოდა ავტომატურ რეჟიმში არა მხოლოდ გადაადგილება, არამედ მეტალების შემუშავების პროცესების რეგულირებაო (რეაქციის გაზრდა, ან დაკლება)ო... ადვილი მისახვედრი იყო, რომ ამის ყველაზე საუკეთესო საშუალებად ცოცხალი ორგანიზმი გამოდგებოდაო... ცდებს ჯერ ვატარებდით ძაღლებზე, მაიმუნებზე, ღორებზეო... ყველაზე კარგი შედეგები აჩვენეს აქლემებმაო, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი, რადგან აქლემის შეუმჩნევლად გადაადგილება დიდ მეგაპოლისებში, ცოტა არ იყოს შეუძლებელი განხლდათო... ამიტომ საბოლოოდ გადავერთეთ სამყაროში ყველაზე გავრცელებულ ორგანიზმზე - ადამიანზეო...

როგორც ვიცით, ყველა თბილსისხლიანი (ისევე, როგორც ცივსისხლიანი) ორგანიზმი სუნთქავსო და ის ამას ახერხებს არა მხოლოდ, სასუნთქი გზებით, არამედ კანის ფორებითაცო... ჰაერიდან ათვისებული ჟანგბადი თავისი ბუნებრივი მინარევებით საბოლოო ჯამში თხევადდება, ან კრისტალდება, საჭიროებისდა მიხედვით. ერევა სხეულში არსებულ სხვა ხსნარებს, ნივთიერებებს, ააქტიურებს ქიმიურ პროცესებს და საბოლოო გადაამუშავების შედეგად ორგანიზმიდან გამოიყოფა ოფლად, ცრემლად, ამონასუნთქად და სხვა ბუნებრივ მოთხოვნილებებადო, რომლებიც შემდგომში (მცირე გამოფიტულ ნაშთების გარდა) კვლავ გაზად, ანუ აირად გარდაიქმნებაო... ჩვენი „ობიექტი“ ჩასუნთქვის მეშვეობით, ატმოსფეროდან თანაბარი პროცენტული რაოდენობით იღებდა ჟანგბადს (50%) + გადასამუშავებელი ლითონის აირს (50%)ო... ამ კომპონენტების სხეულში მოხვედრისას ვაქცინით მოდელირებული ფსევდო-ბუნებრივი რეაქციების დახმარებით ვღებულობდით წინასწარ გათვლილ ძვირფას მეტალს... ადამიანი ნამდვილად იდეალური საშუალება აღმოჩნდა ასეთი მექანიზმის ასამუშავებლადო... ჩვენ, ასევე შევისწავლეთ, მათი (ლითონების) როგორი გზით (ფორმით) გამოიყოფა (ატმოსფეროში გავრცელება) ახდენდა დადებით, ან უარყოფით შედეგებს გარემოზეო... ცრემლის, ოფლის, ან სუნთქვის მეშვეობით „ჰაერიზირებული“ მეტალები, დადებით გრძნობებს და ემოციებს აღვივებდნენ ხალხშიო. მაგრამ მათი სხვა

„ბუნებრივი“ გზებით გავრცელება უარყოფითად ზემოქმედებდა გარემოზეც და ადამიანებზეცო (როცა ვკითხე - ეს გზები რომელია-თქო, გაეცინა და მიპასუხა - რწყევა, დაცემინება, ტუალეტში გასვლა, და ონანიზმი)ო... ასევე, იყო ერთი გზაც - ს ი ს ხ ლ ი თ გავრცელებაო... თუკი ასეთი სახით გავრცელება მოხდებოდა ნებაყოფლობით, ის დადებით შედეგს ძალიან სწრაფად იძლეოდა... ხოლო, თუ სისხლი იყო გამოყოფილი აგრესიის გზით (ჩხუბის, დაჭრის, ავარიის, მკვლელობის, უბედური შემთხვევის), უარყოფითი შედეგი გაათმავებელი ხარისხით ახდენდა გავლენას გარემოზეც და ხალხზეცო...

...თითქოს ვიღაც ან რაღაც გვეხმარებოდაო იმისათვის, რომ გვეპოვა „ჯადოსნური“ ვაქცინის ქიმიური ფორმულის ისეთი კომპონენტები, რომლებიც ადამიანისთვის (როგორც, ლითონების გადაამუშავებელი მინიქარხნისათვის) უვნებელი, მუდმივმოქმედი, სასარგებლო და პროდუქტიული იქნებოდაო... და შედეგებმაც არ დააყოვნესო. საკმაოდ სწრაფად შევიმუშავეთ ვაქცინის დოზირების და გაკეთების პერიოდულობის გრაფიკიო... თუმცა, როგორც დროთა განმავლობაში გაირკვა, ოცი-ოცდაათი ინიექციის შემდეგ ორგანიზმი უკვე აღარ საჭიროებდა დამატებით ვაქცინაციას. ის ძვირფასი ლითონების მატერიალიზების, ან აორთქლება-გადაამუშავების უნაკლო, შეუფერხებელ მინი-ქარხანად იქცეოდაო...

ადამიანი სრულიად დამოუკიდებლად, თავისი ნებასურვილის და ხასიათის მიხედვით გამოიმუშავებდა, ავრცელებდა, ან ზღუდავდა ჰაერში ძვირფასი მეტალების რაოდენობასო... ეს ფანტასტიური ამბავი ზოგადსაკაცობრიო მასშტაბის მოვლენა იყო.

ლაბორატორიაში შვიდი ადამიანი ვმუშაობდით და გადავწყვიტეთ, ჩვენვე ვყოფილიყავით საცდელი და სამუშაო ობიექტები... ფარული კენჭისყრის შედეგად, მე შემხვდა ოქროო... შემდგომ, წარმატებით გავიარეთ ტესტირება და ადაპტაცია... გადავედით დასკვნით და უმთავრეს ეტაპზე - ორგანიზმის ვაქცინაციის სრული კურსი ჩავიტარეთ... და მზად ვიყავით ჩვენი „მინი-ქარხნებით“ ქვეყნის სამსახურში ჩავმდგარიყავითო, საბჭოთა კავშირში სიტუაცია შეიცვალაო...

მოსკოვში 1953 წლის 23 დეკემბერს რაღაც მოხდაო... იმავე თვის 25-ში ლაბორატორიას თავს დაესხნენო, მაგრამ ჩვენ შევძელით მისი თვითლიკვიდაციის მექანიზმის ჩართვაო და ყველაფრის განადგურებაო... თუმცა, ძირითადი დოკუმენტაცია ხელნაწერის სახით საიდუმლო ადგილას მქონდა გადანახულიო და ამიტომ გადარჩაო... საკავშირო პრესა წერდა ჩვენი ტრაგიკულად დაღუპვის შესახებ და ყველა

გმირებად ვიყავით შერაცხულები. გამწარებულები რადიოში ვუსმენდით რეპორტაჟს, ჩვენი დაკრძალვის ცერემონიიდან... ამის შემდგომ დაიწყო ჩვენზე ღვეზა და ნადირობა... თანამშრომლები (შვიდივე) ერთად ვიმალებოდით, მაგრამ შემდგომ ჩვენი ჯგუფური გადაადგილება და ყოფნა შეუძლებელი აღმოჩნდა და ამიტომ გავიფანტეთ საბჭოთა კავშირის მასშტაბით...

როგორც იმავე წლის ივლისში გახდა ცნობილი, სტალინის იდეების გამგრძელებელი მისი სიკვდილის შემდგომ, ჩვენი ფარული ექსპერიმენტების კურატორი, სულის ჩამდგმელი და დამფინანსებელი ლავრენტი ბერია, რომელთანაც ვერანაირად ვახერხებდით დაკავშირებას შვიდი თვის მანძილზე, დახვრიტესო. ეს კი ნამდვილად იყო იმის ნიშანი, რომ თუკი ჩვენ გვინდოდა სიცოხლის შენარჩუნება, ღრმა იატაკქვეშეთში უნდა გადავსულიყავით... ოთხი-ხუთი წელი საბჭოთა კავშირის უკიდევანო სივრცეებში ვიმალებოდითო. შვიდივეს გვქონდა ერთმანეთთან კავშირიო. როგორც სამწუხაროდ გვეგონა, ვაქცინაცია უვნებელი უნდა ყოფილიყო ყველა ორგანიზმისთვისო, ანუ სხეულში არანაირი ცვლილებები არ უნდა მომხდარიყო, მაგრამ დროთა განმავლობაში შევამჩნიეთ, რომ ჩვენი ჯგუფის ოთხმოც პროცენტს დაეწყო პროგრესირებადი ცვლილებები – ფიზიოლოგიამ, ფსიქოლოგიამ, ინტერესებმა, ფიქრებმა, მიდრეკილებებმაც კი ატროფირება იწყესო... მოკლედ ავტეხეთ განგაში, ყველა ბაიკალის მახლობლად ტაიგაში დავსახლდით და სანამ ამ სავალალო უკუჩვენებების თუნდაც დროებით შემეკავებულ პრეპარატს შევიშუშავებდით, როგორც იტყვიან, ზოგი ჟანგმა შეჭამა, ზოგი დარდმაო...

საბოლოოდ დავრჩით მხოლოდ ორნი, მე და ვერცხლი. ორი კავკასიელი, ქართველი და ინგუში... როგორც ჩანს, ჩვენს ორგანიზმში იყო რაღაც გენეტიკურად მდგრადი, თვითმყოფადი და ე.წ. თვითგენერირებადი, რაც არ აძლევდა ვაქცინაციით შემოჭრილ მეტალს, „ადამიანობაზე“ და შინაგან სამყაროზე გაბატონების საშუალებასო...

...გაინტერესებთ, როგორ ვცხოვრობდი უფულოდ ამდენი ხნის მანძილზე? – არ ვიპარავდი, მხოლოდ საკუთარ სისხლს ვაგროვებდი კოლბაში, და მარტივი ქიმიური რეაქციის წყალობით, ასე ვთქვათ „ვამეტალებდი“ და მერე ვაბარებდი ლომბარდში, ან კბილის ექიმებს ვთავაზობდი (კბილებზე, ოქროს გვირგვინი ყველას უნდოდა), ყვილდი შავ ბაზარზეც... მაღალი სინჯის, სუფთა ოქრო ყველგან ფასობდა... თუმცა, ერთ ადგილას დიდხანს ვერ ვჩერდებოდით... კვარტალში ერთხელ, თუნდაც ხუთასი გრამი, ბაჯალლო ოქროს ჩაბარება, ყველანაირი ჯურის საბჭოთა მოქალაქეში

იწვევდა ეჭვს და კითხვას – საიდან?!

ამიტომ, ხშირად მიწვევდა გადაადგილებას. გავურბოდი უშიშროებასაც, მილიციასაც და ქურდულ სამყაროსაცო. ისინი, გამუდმებით ეძებდნენ ჩემს მილიონებს... ჩხრეკდნენ სახლებსო, სადაც ვიყავი გაჩერებულიო. აწიოკებდნენ იმ ნაცნობებს ვის წრეში დროებით, მაგრამ მაინც ვტრიალებდით, თუმცა ძვირფასი მეტალის ზოდებს ვერსად პოულობდნენო, რადგან ის სისხლში, ცრემლში და ოფლში მქონდა და არა სეიფებსა და ლეიბებშიო... მოკლედ, ათი წლის მანძილზე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები სამჯერ შემოვიარეო, მხოლოდ კავკასიის ქედს არ გადავიდით... არ ვიცი, რატომო? – მერიდებოდა, ვემალებოდი ვინმეს, თუ არ ვთვლიდი თავს საქართველოში ჩამოსვლის ღირსად, ვერ გეტყვითო...

...სანამ ისეთი გავხდებოდი, როგორც ახლა ვარო... რამოდენიმე გარდასახვის საფეხური გავიარეო – ფუფუნებიდან, განცხრომისკენ სწრაფვიდან – სხვა არამატერიალურ სიმდიდრემდე მისვლას, ჯერ კიდევ სამოცს მიტანებულმა კაცმა ათი წელი მოვანდომეო... პირველ ხანებში, რაც მეცნიერული მუშაობის და ლაბორატორიული ექსპერიმენტების დროს, რეალურ სამყაროს მოცილებულ კაცს დამაკლდა, ყველაფრის ერთიანად და სწრაფად შევსება გადავწყვიტე... მოკლედ „გავგულავდი“ და არაფერს ვიკლებდი... ქალები, რესტორნები, კურორტები, ისევ ქალები...

...ამ დროს შევამჩნიე, რომ ჩემი ფუქსავატობა „გამომუშავებული“ ოქროს ხარისხშიც ვლინდებოდა, მისი „პრობა“ (სინჯი) საგრძნობლად დაეცა, მაგრამ როგორც კი „გავძენი“ ასეთი ბოჰემურ ვაკანალიით და დაუბრუნდი ჩემს პირვანდელ ცხოვრების წესს, ის ისევ უმაღლესი ხარისხის გახდაო... ამ პერიოდში, შემიყვარდა კიდევ... კაცი ვარ, მთელი ცხოვრება მეცნიერებას შევადიე და რა გასაკვირია, რომ ასაკოვან, ჯანმრთელ ადამიანს, ვილაც მოეწონოსო? – „მაგრამ, სულ სხვაა სიყვარული უკანასკნელი!“... ჩემი მბრძანებელი ოცდასამი წლის მწვანეთვალეა, წითური ლამაზმანი გახდაო... ვიძირებოდი მის გამოხდვაში, ვდნებოდი მის გრძნობებში და მეგონა, ასე იქნებოდა უსასრულოდ... მაგრამ, სამწუხაროდ, შარლ პეროს „ჩექმებიანი კატის“, პერსონაჟით მომივიდა... ქალს საიღუმლოს რომ გაუმხელს და მეორე დღეს აღმოაჩენს საკუთარ თავს გაკოტრებულად, გაცურებულად, მოტყუებულად და გადაგდებულად... მან და მისმა ახალგაზრდა საყვარელმა კინადამ დამცალეს სისხლისგან... მაგრამ გადავრჩი, ეს განსაცდელიც დავძლიე, გადავლახე ყველა ბარიერი, დავსაჯე ყველა მოღალატე, გამყიდველი და... საბოლოოდ აღმოვაჩინე,

რომ... ვილეოდი!!!

ბავჯალო ოქროსავით - ვ ი ლ ე ო დ ი .

არ ვიყავი ავად. არაფერი მჭირდა, არაფერი მაწუხებდა, მაგრამ, რაც დრო გადიოდა, ვმცირდებოდი. ვორთქლდებოდი... ადრე, ას კილოს ვიწონიდი, ახლა სამოცდაათი ვიყავი და რაც დრო გადიოდა, წონაში მით უფრო ვიკლებდი... არც საკვებს ვიკლებდი, ვიტამინების კეთებაც კი დავიწყე, მაგრამ არაფერი მშველოდა... შემეშინდა, ისე არ დავილიო, ისე არ გაგქრე, რომ ჩემი სამშობლოსთვის, ჩემი ქვეყნისთვის ვერაფერი გავაკეთო... ჰოდა, ამ დარდინანი აზრებიდან გამომდინარე, ერთხელაც გაჩერდი, დაგფიქრდი, მოვიხედე უკან და რაა... ექსპერიმენტია, თუნდაც წარმატებული, თუნდაც გენიალური, მაგრამ ვის მოუტანა სიკეთე?... ყველა დაიღუპა, შედეგი კი ნულოვანია... ერთი ხეც კი არ დამირგავს, ერთი სახლიც კი არ ამიშენებია და სამშობლოსთვის ერთი შვილიც კი არ გამიზრდია... ისე ჩავიდნენ მიწაში ჩემი მშობლები, ბოლო თხუთმეტი წელი, ნანახიც კი არ ვყავდიო. შეიძლება, მთლად ჩემი ბრალიც არ იყო, არ მომეცა საშუალება და არც მიშვებდნენ... მაგრამ დაჟინებით, რომ მომეთხოვა არ გამიშვებდნენ?... დარწმუნებული ვარ, უარს ვერ მეტყობდნენ... სახელმწიფო მანქანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ჭანჭიკი ხომ ვიყავი. მოსკოვთან ახლოს, ტყავის ფაბრიკას ამოფარებული, საიდუმლო ლაბორატორიის ხელმძღვანელი... ამ ფიქრებში ჩაფლული, ცხარე ცრემლით ავტირდიო...

* * *

ეს მოხდა ქალაქ კურსკის რკინიგზის ხალხმრავალ სადგურზეო ზაფხულის ხვატშიო... ჩემმა აორთქლებულმა ცრემლებმა და ოფლმაო, ისეთი ეფექტი მოახდინა, გაოგნებული დავრჩიო... სიცხისაგან და დაღლილობისაგან გაბოროტებული ხალხი, ანგელოზებად იქცნენო... ყველა, ერთმანეთს ეფერებოდაო, ბოდიშებს უხდიდა და აღსარებებს ამბობდაო, მატერიალური და მერკანტილური იდეებით გაჟღენთილი კურსკელები და ქალაქის სტუმრები, რომელიც დაგეშილი მგლებივით უთვალთვალდნენ ირგვლივ ყველაფერსო და მსხვერპლის მოლოდინში კბილებს აღრჭიალებდნენ ადამიანებად იქცნენო... კარგ ადამიანებადო... ოქროთი გაზავებული ჰაერის მეშვეობით „წვირიანი“ და რკინიგზის მყარალი სადგური, პატარა სამოთხედ იქცაო. თვალნათლივ რეალიზებულმა და ჩემს წინ ზღაპრულად განხორციელებულმა ექსპერიმენტმა, წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვაო და დამარწმუნა იმაში, რომ „თუ უნდა დავილიო, ჯობია ეს, ჩემს სამშობლოში მოხდესო, ვიდრე სადმე სხვაგანო... ჯობია, ჩემი

ქვეყნის ჰაერი ვაქციო ოქროდო! ცუდად ხომ მაინც არ ჩავივლის ეს განწირული სულისკვეთება...“ და ა.შ.

...და აი, საქართველოში ვარო... ჩამოვედი, რათა ჩემი მისია შევასრულო და დავინარჯო სამშობლოსთვისო... დავიწვე, დავიფერფლო, საქართველოს ჰაერს შევერიო... ვიცოდი, დიდი დრო აღარ მიწერაო, რადგან უკვე ორმოცდაათი კილოლა ვიყავიო და ეს პროცესი საქართველოს საზღვრის გადმოლახვის და დარიალის ხეობაში შემობიჯების შემდეგ უფრო დაჩქარდაო... ამიტომ, სანამ კიდევ რაღაც დადებითის, მნიშვნელოვანის და სარგებლიანის გაკეთების ძალა შემწევსო, ყველაზე საუკეთესო საშუალება, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ღუმელიაო, რომელიც, როგორც გაზეთებიდან ამოვიკითხე, სწორედ ახლა ამზადდებდნენ მილებს თბილისის სასმელი წყლის მოძველებული სისტემის გასაახლებლადო...

ჰოდა, გადავწყვიტე, ნებაყოფლობით „შევრეოდი“ მადნის ამ პარტიას და შედეგ დედაქალაქის ყოველი მოსახლე, სტუმარი, მტერი და მოყვარე დალევს ჩემს ოქრონარევ, ან ოქროშეხებული მილებიდან წყალს და ათწლეულების მანძილზე სიკეთით, პროგრესისკენ კეთილშობილური მისწრაფებებით, ნათელი მიზნებით და ადამიანური სულისკვეთებით აღვივებოდნენო...

...ღმერთო, შეინდე ჩემი ცოდვილი, მაგრამ მებრძოლი და უდრეკი სულიო!

ღმერთო, შეინდე ჩემი ცოდვილი, მაგრამ მებრძოლი და უდრეკი სულიო!

ღმერთო, შეინდე ჩემი ცოდვილი, მაგრამ მებრძოლი და უდრეკი სულიო.“ - ასე მთავრდებოდა წერილი.

პატიმრის აზრით, მისი წაკითხვის შემდეგ, რაკი არ გვექონდა ქართველი პატრიოტიკისთვის შესაფერისი რეაქცია... უარი განაცხადა ჩვენთან რაიმე სახის კონტაქტზე, მოგვაფურთხა და ზურგი გვაქცია!...

...მის გულუბრყვილო უზრდელობასა და თავხედობაზე ბევრი ვიცინეთ... მერე უბოროტოდ ვიმეორებდით მის ციტატებს წერილიდან და სულ უფრო ვმხიარულდებოდით... რაზეც, ძალიან გაბრაზდა მურაჩაშვილი, უწმაწური სიტყვებით წამოხტა და ჩემსკენ გამოემართა, ფიზიკური შეურაცხყოფის მოყენების ფარული სურვილით... მე იმწუთასვე მივიღე კანონით გათვალისწინებული თავდაცვის ზომები, რის გამოც აგრესიულ პატიმარს დაუხიანდა თვალი, მოსძვრა წინა კბილი, სავარაუდოდ გაუტყდა ცხვირი, ყბა კი დაარტყა მაგიდის კუთხეს, მერე ფანჯრის რაფას, მერე სკამის საზურგეს, მერე წაიქცა და რატომღაც, პირიდან სისხლი წამოუვიდა... არ გვეგონა თუ ასეთი დალეული და სუსტი იყო... შეგვეშინდა, მივვარდით და წამოვაყენეთ... სამწუხაროდ, ამის შემდეგ რა მოხ-

და, ყოველი ჩვენგანისთვის გაუგებარია... ვერაფერს ალგიწერთ, მხოლოდ მახსოვს ის, რომ მურაჩაშვილმა ტირილი დაიწყო, კვლავ იატაკზე დაეცა და ენერგიულად შეუდგა ფეხებისა და ხელების ქნევას... თან გაოფლიანებული და დასისხლიანებული, კბილებში ცრიდა:

„ - არ გვერათ? აი, ახლა ნახავთ, რაც იქნება! აი, ახლა იგრძნობთ ჩემი ექსპერიმენტის ძალას! ცინიკოსებო! ურწმუნოებო! მარტივო ელემენტებო!“-ო...

ოთახი ძალიან სწრაფად გაიჟლინთა ოფლის სპეციფიური სუნით და მის გასანიაველად ფანჯარის გაღება ვთხოვე ოვიდიუს ძიმისტარიშვილს... რომელმაც იმის მაგივრად, თხოვნა შეესრულებინა, ხმამაღალი პროტესტი განაცხადა და ტირილი დაიწყო... შემდეგ, დაუჩოქა უფროს ლეიტენანტ, დიამატ ბაღდასარიანს, შეევედრა:

- შემინდე ამხანაგო დიამატ, მე შენ ცოლს უკვე დიდი ხანია ვტ...ვო (ანუ - „იმას“ ვუშვებო)!

ემოციურმა და ადვილად აღგზნებადმა, ლეიტენანტ დიამატ ბაღდასარიანმა, ჩვენდა გასაკვირად არაფერი უპასუხა, უბრალოდ თავი დახარა და არაქართულად დაიწყო გულშიჩამწვლად, სევდიანი სიმღერა „ოჯახ-ქუმ“... ისეთი ტრაგიკული იყო, ყველას აგვიჩუყდა გული... წყვეული მურაჩაშვილი კი განაგრძობდა ხელფეხის ქნევას და სისინს:

- არ გვერათ? აი, ახლა ნახავთ, რაც იქნება! აი, ახლა იგრძნობთ ჩემი ექსპერიმენტის ძალას! ცინიკოსებო! ურწმუნოებო! მარტივო ელემენტებო!.. (და კიდევ რაღაც შეურაცმყოფელი მეცნიერული ტერმინებით გვამცირებდა, რომელთა მნიშვნელობა არავის გვესმოდა).

ჰაერი უფრო „ოფლიანი“ გახდა და ყველამ ვიგრძინით, როგორ დაგვაწვა გულზე მისი სიმძიმე. სუნთქვა გაგვიძნედა და... ამის შემდეგ, ჩვენ არა მარტო პოსტზე მყოფი მილიციელისთვის, არამედ საბჭოთა მოქალაქისათვისაც კი, შეუფერებლად და სამარცხვინოდ ვმოქმედებდით... საქმე ისაა, რომ ვერავინ ვიკავებდით თავს: ვტიროდით, ვყვიროდით, ვბლაოდით, ვიბრალებდით საშინელ ცოდვებს, ვინანიებდით არარსებულ დანაშაულებს და საერთოდ, ვიქცეოდით ისე, როგორც რელიგიური ფანატიზმით შეპყრობილები, ან გადმონაშთი, ბურჟუაზიული ელემენტები იქცევიან... მახსოვს, როგორ გადავეხვიე, ჩემს დობილს და კოლეგას, ლეიტენანტ გულნაზ ორჯონიკიძეს, რომელიც ტანზე იხევდა ფორმას და გაიძახოდა, საკუთარი თავის მიმართ ზედმეტად კრიტიკულ და უწმაწურ შენიშვნებს... ძნელი იყო ყოველივე ამის მოსმენა და ამ დროს შევიხსენი ქამარი... სამწუხაროდ, მეტს ველ-

არაფერს ვიტყვი...

...ადამიანური აზროვნება აღმიღდა მხოლოდ მაშინ, როცა ამხანაგი კალდერონ ბერია გამოცხადდა განყოფილებაში და შუშების ჩამსხვრევის შედეგად, გაანიაკა მთელი განყოფილება და შესაბამისად ოპერატიულ მუშაკთა კაბინეტები... შემდეგ კი ნამდვილი კომუნისტივით შეუდგა ჩვენს გამხნეებას და მწყობრში ჩაყენებას, რისთვისაც მთელი განყოფილების სახელით, ვუთვლით პარტიულ, ჩეკისტურ და კაცურ მაღლობას.

• ამონარიდი სტალინის პირადი თანაშემწის, გენერალ ალექსანდრე პოსკრებიშევის დაკითხვის ოქმიდან (რუსულიდან თარგმნილი). გრიფით საიდუმლო.

როგორც ვიცი, 1952 წლის 2 ნოემბერს ათუნი მურაჩაშვილი იმყოფებოდა მოსკოვთან ახლოს, საიდუმლო ლაბორატორიაში, სადაც უშუალოდ ამხანაგ სტალინის დავალებით, წარმატებით ატარებდა ლაბორატორიულ ცდებს და რამდენიმე ნაბიჯიღა რჩებოდა სასურველი შედეგის მიღწევამდე (სახელმწიფო მნიშვნელობის და მკაცრად გასაიდუმლოებული მდგომარეობის გამო, არ ვფლობდი ინფორმაციას ექსპერიმენტების შინაარსის, შედეგების და მიზნების შესახებ).

დაახლოებით 14-15 საათზე, მას (მურაჩაშვილს) დაურეკა ამხანაგმა ლავრენტი ბერიამ და სთხოვა შეხვედრა. ათუნი მურაჩაშვილი, რაკი ამხანაგი სტალინის მფარველობის ქვეშ იყოფებოდა და არ ჰქონდა უფლება, მის გარდა, ვინმე სხვისთვის გაემხილა ლაბორატორიის საქმიანობის შესახებ... ამიტომ, ჯერ უარი უთხრა, შემდეგ კი (ჩემი მეშვეობით, ამხანაგ სტალინთან გასაუბრების საფუძველზე) დასთანხმდა... და ისინი შეხვდნენ ერთმანეთს, ყველასათვის ცნობილ რესტორან „არაგვი“... ამხანაგი ლავრენტი იმყოფებოდა დახურულ ვიპ-კუპეში. მას ეტყობოდა, რომ ნასვამი იყო... თუმცა, თავი არ დაუკარგავს... მურაჩაშვილს, იგივე „ოქროსას“ (ეს ზედმეტსახელი ამხანაგმა სტალინმა შეარქვა) გულთბილად შეხვდა და შესთავაზა სასმელი, რაზედაც ჯერ უარი მიიღო, შემდეგ კი თანხმობა. კითხვაზე, თუ რატომ და რად უნდოდა ამხანაგ მურაჩაშვილთან შეხვედრა, ბერიამ უპასუხა, რომ „არაფერი არ უნდოდა, ჰქონდა მხოლოდ დაუოკებელი სურვილი, ერთად დამსწდარიყვნენ მოსკოვში გადმოკარგული ქართველები და უბრალოდ, ქართულად ესაუბრათ“.

ამ დიალოგის დროს მურაჩაშვილმა უთხრა, რომ ძალიან დიდ პატივს სცემდა, ლავრენტი ბერიას წვლილს ჩვენი ქვეყნის წინსვლაში და ადფრთოვანებული იყო ამხანაგი ლავრენტის უდრეკი კომუნისტური

მრწამსით, რაზედაც ბერიას გასცინებია... როცა ოფიციალტს ახალი კერძი შემოუტანია, ამხანაგი ლავრენტის უეცრად დადუმებულია და დიდხანს მჯდარა თვალდახუჭული. შემდეგ ჩურჩულით, ისე, რომ არავის გაეგონა, გაუმხელია, რომ იცოდა ექსპერიმენტებისა და წარმატებული მცდელობების ამბავი ატმოსფეროდან ძვირფასი მეტალების სტრუქტურულიზაციისა და მატერიალიზაციის შესახებაც საკმაოდ გათვითცნობიერებული იყო... ასევე, აზრზე იყო „ჯადოსნური“ ვაქცინის ფორმულასთან დაკავშირებითაც და ფლობდა ინფორმაციას სპეციალური ბიოლოგიურ-ქიმიური მანიპულაციების შედეგად შებრუნებითი რეაქციის, ანუ მყარი მეტალების აირად გაბნევის მცდელობებზეც... დეტალებსაც კარგად იცნობდა და აღფრთოვანებულიც ყოფილა შედეგებით. „ჰაერის მინარევები იქცეს ვერცხლის, ოქროს, ან პლატინის ფხვნილად და ამან ჯანმრთელობაზე არანაირი გავლენა არ მოახდინოს, ეს მნიშვნელოვანია!“ – კმაყოფილი იფშვნეტდა ხელებს ქართველი მარშალი... მისთვის არც „ოქროსას“ ლაბორატორიის მცდელობის ცნობები იყო დაფარული ჰაერის ქიმიური ცვლილებების მეშვეობით ადამიანების ცნობიერების და ფსიქიკის გაკეთილშობილების შესახებ.


„არ მინდა მოგკლან და ყველაფერი მითვისონ! ასევე, არ მინდა, ჩემსავით მოგივიდეთ და სიკეთე რომლისკენაც ისწრაფვით, ბოროტებად იქცეს!.. ღმერთო შეინდე ჩემი ცოდვილი, მაგრამ მებრძოლი და უღრევი სულიო!“- დაუმატებია ბოლოს ძალიან სევდიანი ხმით. ამ სიტყვების შემდეგ მურაჩაშვილი პანიკაში ჩავარდნილა, ის ფიქრობდა, რომ ბერია მას პირდაპირ ემუქრებოდა... თუმცა არ იცოდა, ვერ ხვდებოდა, ამ არაორდინარულ, ყოვლისშემძლე და საკმაოდ ჭკვიან კაცს რა უნდოდა მისგან... როგორც შემდგომში საუბრიდან გაირკვა, ამხანაგ ლავრენტის რაც შეიძლება სწრაფად და ოპერატიულად სურდა მათი გადაყვანა საქართველოში... ეშერის საიდუმლო ბაზაზე, სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტის კვლევით ცენტრს ამოფარებული, ლაბორატორიის თავიდან შექმნას და უახლესი ტექნიკით აღჭურვას აპირებდა... მას უთქვამს, რომ შედეგებიც და რესურსებიც საქართველოდან უნდა იმართებოდესო... ეს კი იქნება დაცვის გარანტიაო, მაგრამ რისი ან ვისი დაცვის გარანტია არ დაუკონკრეტებია... ასევე უთქვამს, რომ ეს აუცილებლად უნდა გაკეთებულიყო ძალიან სწრაფად, რადგან უახლოეს მომავალში დიდი გარდაქმნებია მოსალოდნელიო, რომლის სასიკეთო შედეგებში ლავრენტი ბერია ბოლომდე არ იყო დარწმუნებული... ასე დამთავრებულა მათი შეხვედრა...“

• ოქროსა

ანანურის, საეკლესიო კომპლექსის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ოთხნი, ორი ბერის სახელი ცნობილია, მამა გიორგი და მამა იოანე... მესამეს, მღვდელს მამა ბასილი ერქვა... მათთან იყო კიდევ ერთი მორჩილი, რომელიც, სამწუხაროდ, ისე წავიდა, თავისი რეალური ვინაობა არავისთვის გაუმხელია. მას უბრალოდ, ზედმეტსახელს „ოქროსა“-ს ეძახოდნენ... პერიოდულად „ოქროსა“-ს ჩამოაკითხავდა ერთადერთი ახლობელი, ინგუში, გილანა... ეს მუსლიმი კაცი ეკლესიის ტერიტორიაზე რამდენიმე დღე რჩებოდა და მერე ისევ უკან, თავის ინგუშეთში ბრუნდებოდა...

„ჩემი ვერცხლის მეგობარი“ - ასე აცნობდა ხალხს, თავის ჩრდილოკავკასიელ მეგობარს... „ოქროსა“ საოცარი მოხუცი გახლდათ. ყოველ კვირა ღამით, ზამთარ-ზაფხულს, დარსა თუ ავდარში ჩადიოდა არაგვის წყალზე და იქ რჩებოდა გარკვეული ხანს... უკან დაბრუნებულს, სულ რაღაც ჰქონდა გაჭრილი, ან ხელი ან ფეხი, ან ზურგი, ან სახე...

„ნატვრა აქვს მარცხიან ოქროსა, არაგვი, სულ სისხლით მორწყოსა“.



ასეთი ლექსით უბოროტოდ ეხუმრებოდნენ მამაოე-ბი.

„ოქროსა“ თხელი კაცი იყო... გეგონებოდათ, ქარის დაბერვაზე წელში გადატყდებო... სულ ილიმებოდა და საგალობლებს ღიღინებდა... ძირითადად ტამარში ღვთისმსახურებაში ატარებდა დროს, თუმცა არანაირ სამეურნეო, სამშენებლო და სასოფლო საქმიანობას არ ერიდებოდა. თავდაუზოგავად ლოცულობდა და შრომობდა... მიუხედავად იმისა, რომ არ ავადმყოფობდა და არც არაფერს უჩიოდა, რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო სუსტდებოდა, თუმცა მიუხედავად ყველაფრისა, მხნეობას არ კარგავდა...

...ერთხელაც, მდინარეზე ჩასული, უკან აღარ დაბრუნებულა. როცა მოიკითხეს, ხის ტოტზე ჩამოკიდებული ანაფორაღა იპოვეს, რომელზეც შიგნიდან ამოქარგული ჰქონდა შემდეგი სიტყვები:

„უფალო შეინდე, ჩემი ცოდვილი, მაგრამ მებრძოლი, უღრეკი და უკვდავი სული...“

• **დღეს**

ის შენობა, სადაც მილიციის ვიცე-პოლკოვნიკი კალდერონ ბერია და მის დაქვემდებარებაში მყოფი ქვედანაყოფი ავად თუ კარგად მსახურობდა, ახლა საპატრიარქოს ეკუთვნის... იქ, უწმიდესი და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისისა მთავარეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის რეზიდენციაა.

ანანურის საეკლესიო კომპლექსთან, არაგვის ხეობაში, ჟინვალის წყალსაცავი აშენდა. საქართველოს წყალსაცავებიდან იგი ყველაზე ახალგაზრდაა. მას დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქ თბილისის წყლით მომარაგების საკითხში...

მისკოვში კი, იმ ტერიტორიაზე, სადაც „ოქროსა“-ს საიდუმლო ლაბორატორია არსებობდა, ახლა სასულიერო აკადემია და მამათა მონასტერთან არსებული მსოფლიო დონის სარესტავრაციო ცენტრია...

„...უფალო შეინდე ჩვენი ცოდვილი, მაგრამ მებრძოლი, უღრეკი და უკვდავი სულები“.


კობა ცხაკაია - ამბობიობრაშია და სუფთა პერგამენტი

როცა დავიბადე, ირგვლივ არავინ იყო, სრულებით მარგო ვიყავი, ამიგომ არც სახელი მქონდა და არც გვარი... სახელი ნათლობის დროს მამამომ შემირჩია, გვარი კი დაბადების მოწმობის გაცემის დროს დამიმბაგეს.

როცა ერთი კვირით გავიზარდე, სამშობიაროში ვეღარ გამაჩერებდნენ, შგაგში უნდა ავეყვანე, მაგრამ უარი ვუთხარი და გამომიშვეს გარეთ. თან ერთი ღვთისნიერი ქალბატონი გამომყვა, მაგრამ ჩემი მარგო ტარება არ შეეძლო და ამიგომ, მას გასასვლელთან ასეთივე ღვთისნიერი კაცი დახვდა... ქალს დედაჩემი ერქვა, კაცს კი – მამაჩემი. მოკლედ, ამ ღვთისნიერთა სამყაროში ცხოვრება სწავლა-განათლების გარეშე არ გამოდიოდა და მეც ვისწავლე, ჯერ სკოლაში, მერე თეატრალურ ინსტიტუტში, სამსახიობოზე. ამ დროს მივხვდი, რომ სწავლის გარდა მუშაობაც იყო აუცილებელი და თეატრში დაიწყო მსახიობად მუშაობა, მერე დრამატურგიას ვეუფლებოდი უნივერსიტეტში, ბოლოს კი კინორეჟისურაც ავითვისე მოსკოვ-


ში... ჰოდა, ახლა ვარ ის, რაც ვარ...

ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ჩემმა ღვთისნიერმა დედ-მამამ, როგორც კი ისეთი გავხდი როგორც ვარ, დამიძახეს და საზეიმოდ, ერთი სუფთა ფურცელი გადმომცეს, რომელიც ძალიან ძველი იყო, ჩვენი წინაპრების დანაგოვარი, და რაღაცით პაპირუსისგან დამზადებულ პერგამენტს ჰგავდა... როგორც კი ამ ცარიელ ფურცელს შუბლზე ან პირზე მივიდებდი, რასაც ვფიქრობდი, ვოცნებობდი, ფარულად მსურდა, ან რაზეც ვენერვიულობდი და გული შემგვიოდა, ყველაფერი, მასზე მოთხრობების, ან ლიტერატურული ჩანახატების სახით გამოისახებოდა... ძალიან გამიხარდა, ეს ამბავი... გადავწყვიტი ამ ნაწარმოებებს ჩვეულებრივ ქაღალდზე და იმ ილუმინირებულ პერგამენტიდან გექსტაც ქრებოდა... მერე ისევ მივიდებდი პირზე ან შუბლზე და ახალი გექსტები ჩნდებოდა... მიბეჭდავდნენ, ამ მოთხრობებს, პიესებს, ჩანახატებს, მიხდიდნენ ჰონორარებს და "ხოშიანად" ვიყავი... ეეჰ, კარგი დრო იყო... ახლა ყველაფრის თავიდანვე ჩაწერა



მიწვევს, ბევრჯერ ვასწორებ, მერე ვათერთებ, მერე ისევ ვასწორებ... სულ ხელით ვწერ... ძნელია მაგრამ რა უნდა ქნა?

ის, ძველებური სუფთა პერგამენტი, კი ორად გავყავი და ჩემს შვილებს ვაჩუქე. არ ვიცი, ახლა მას როგორ ხმარობენ, მერიდება კითხვა... დიდები არიან, ჭკვიანები, ამაყები. არ ეწყინოთ, რამე... დარწმუნებული კი ვარ, როცა დასჭირდებათ სასარგებლოდ და სასიკეთოდ გამოიყენებენ.



მალსაზ რუსამი

„ანა უჭირა მ“

ფაირა ფლეამ თეთრი, ოქროს კოკარდიანი ქუდი მოიხადა. ზორბლისფერი, აბრეშუმივით თმა მძიმედ ჩამოეშალა მხრებზე. ფაირამ კიტელის ღილები შეისწა, გაიხადა, განზე მოისროლა და თხელ, მაღალ თეძოებზე შემოტმასნილი ქვედატანიც გაიხადა და ქათქათა თეთრი ბიკინის ამარა დარჩა. კაიუტა მარმარილოს ქანდაკებასავით სხეულმა გაანათა, ჰაერი სუნამო „ონირელეს“ და ფაირას ტანის ნაზმა სურნელმა შეავსო. ოფიცერ ზერტს მუცელში მხურვალე ტალღა ჩაელვარა. ფაირამ შიშველ მკერდზე ხელი აიფარა და ზერტისკენ ერთი მოკლე, მოხდენილი ნაბიჯი გადადგა. მხურვალე ტალღამ ერთი დარტყმით შეავსო ოფიცერის მკერდი. ზერტი ფაირასკენ დაიდრა...

ბიიმბზ... ბიიმბზ... ბიიმბზ... სადესანტო საექსპედიციო კორპუსების გაერთიანებულ სამეთაურო პუნქტში გამეფებული სიჩუმე საკომუნიკაციო ბიპერის სიგნალმა დაარღვია, მორიგე ოფიცერი ზერტი მოულოდნელობისაგან შეხტა, თვალი გაახილა, რკინის სავარძლიდან წამოხტა, ბიპერის მონიტორთან მიიჭრა და კლავიატურის ღილაკს თითი დაჰკრა.

მონიტორი ცისფრად აინთო, დინამიკებში მონოტონურმა, ლითონივით ცივმა ხმამ მონოტონურადვე წარმოთქვა „ბეტელჰეირე 777 არკონი“ ლეიტენანტი შიდა კავშირის ყურმილს დასწვდა, ღრმად ჩაისუნთქა, სარკეში ჩაიხედა, ვაჟკაცური გამომეტყველება მიიღო და ყურმილში მაქსიმალური მტკიცე ხმით წარმოთქვა:

– თქვენო აღმატებულებავ საიმპერიო სარდლობისაგან შეტევითი განგამის ბრძანება მივიღეთ. ველოდებით შემდგომ განკარგულებებს...

ლეიტენანტის ვაჟკაცური გამომეტყველება დაბნეულობამ შეცვალა, ერთხელაც ჰკიდა თვალი საკუთარ გამოსახულებას სარკეში, გაიხედ-გამოიხედა, კაიუტაში ციოდა, არც სუნამოს სურნელი იდგა. ფაირა ფლეიზე ლაპარაკი საერთოდ ზედმეტი იყო. ზერტმა თავი ღონივრად გაიქნია, სევდიანად ამოიხრა და კვლავ ვაჟკაცური გამომეტყველება მიიღო...

– არის, გადავცე! ისევე მტკიცედ უპასუხა ლეიტენანტმა უხილავ თანამოსაუბრეს. შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, ყურმილი დაკიდა, მწვანედ მანათობელ ტუმბურთან მივიდა და ხმამალალი ტკაცანით ჩართო.

საიმპერატორო ჯავშანქვეითთა პირველი და მესამე დივიზიების ჯავშანტექნიკის მოწინავე კოლონამ სრული მარშით გაიარა საკონტროლო გამშვები პუნქტი და სამხედრო კოსმოპორტის ტერიტორიაზე შევიდა. ყვითელი სასიგნალო კვერთხებით აღჭურვილი ეკუცარები წინ და უკან დარბოდნენ, ტექნიკის მოძრაობას არეგულირებდნენ. ჯავშანტექნიკამ კოსმოსადესანტო ხომალდების ლიუკების გასწვრივ დაიწყო განლაგება.

მოწინავე ჯავშნოსნებში მჯდომი ახალწვეული მებრძოლები ღია ლუკებიდან პირღია შესცქეროდნენ მათ წინ აღმართულ კოსმოსადესანტო ხომალდების კორპუსებს. მუქი, ფოლადისფერი კოლოსები ვეშაპავივით იწვნენ კოსმოდრომზე და საკუთარ წიაღში სამხედრო ტექნიკის შედინებას ელოდნენ.

სამხედრო კოსმოპორტის დაცარიელებული ანგარები მედესანტეთა მესამე, მეშვიდე და მეცხრე დივიზიების მოწინავე მობილურმა ბრიგადებმა დაიკავეს.

მუქ რუხ ფორმებში ჩაცმული შავბერეტაანი მედესანტეები პირდაპირ ანგარის იატაკზე სხდებოდნენ და ჯარისკაცული მოთმინებით ელოდნენ შემდგომ ბრძანებებს. ახალგაზრდა მებრძოლები და გამობრძმედილი ვეტერანები ერთ გაყოლებაზე ისხდნენ. ახალგაზრდები ღელავდნენ, ბრძოლაში ეჩქარებოდნენ.

რიგითმა დინო კურტმა ახალმიღებული ბლასტერი მუხლებზე დაიდო, ხელი გადაუსვა ბერდვილის შენადნობისაგან ჩამოსხმულ იარაღის კორპუსს. ტარი ხელზე მოირგო. ბლასტერის საბრძოლო ვიბრაცია წარმოიღვინა... თვალდახუჭულმა დაინახა მედესანტეთა შეტევა, აფეთქებების კვამლით ჩაშავებული და ბლასტერების წითელი სხივებით დასერილი ცა, საკუთარი თავი მოწინავეთა რიგებში...

რიგითო, სდექ! – მკაცრმა შეძახილმა გამოაფხიზლა. შეძახილს კარგა მძიმე დარტყმა მოჰყვა შუბლში, რომელმაც კურტი საოცნებოდ გმირული სამხედრო ოპერაციიდან ანგარის ცივ იატაკზე დააბრუნა.

– ტრიბუნალი მოვინდა?! იარაღი მოაშორე! ანგარში ხარ! – მრისხანებისაგან სახეაწითლებული სერჟანტი თავზე ადგა კურტს და ტყავის ხელთათმანიან სახეში უმიზნებდა რიგით მედესანტეს. კურტმა სწრაფი მოძრაობით ბლასტერი მარცხენა მხარზე მოიგდო.

– არის, სერჟანტო! – განწირულის ხმით შეჰყვირა კურტმა, გაშლილი ხელი შუბლთან მიიტანა და გაქვავებული მიაჩერდა უმცროს ოფიცერს, უფრო კი მის მარცხენა მკლავზე მიკერებულ ოთხზოლიან გვარდიის ვეტერანის შევრონს.

– ბედი შენი, რომ საბრძოლო განგაშია, თორემ ტრიბუნალი არ ავცდებოდა... ლაწირაკი... ჩუმაღ

ჩაილაპარაკა სერჟანტმა. ხელი დაუშვა, შემდეგ გაშლილი ხელი დაუდევრად მიიტანა შუბლთან და ბრძანების მომლოდინე ჯარისკაცების რიგს გაუყვა.

კურტი ერთხანს გაუნძრევლად იჯდა, გვერდით მჯდომ თანამებრძოლთ თვალს არიდებდა. შემდეგ ბერეტი მოიხადა და ოქროსფერ კოკარდას დახედა, ლამაზი კოკარდა იყო – რიცეროზას გვირგვინში გადაჯვარედინებული მახვილები ბირთვული აფეთქების ფონზე. დინომ ნაზად დაორთქლა კოკარდა, გულის ჯიბიდან ბინტის ნაჭერი ამოიღო, ისედაც ლაპლაპას ორჯერ გაკეცილი ბინტი გადაუსვა ბერეტი დაიხურა და წესდების მიხედვით მოირგო, კოკარდით ზუსტად მარჯვენა წარბს ზევით.

...პირველი სტატიის ზემდეგი, ვეტერანი ზივ ჰარტი თვალგამტერებული უცქერდა წინ მჯდომი მეომრის ზურგს და მედიტირებას ცდილობდა.

წლების გამოცდილებით იცოდა, რომ ოპერაციის დასრულებამდე მებრძოლთა ერთი მესამედი ცოცხალი აღარ იქნებოდა, ერთი მესამედი ჰოსპიტალებში განაგრძობდნენ ცხოვრებას ზოგი გამოჯანმრთელებამდე, ზოგიც სამუდამოდ. ცოცხლად გადარჩენილებს კი მედლებს, პრემიებს და შვებულებებს დაურიგებენ. ცოცხლად დარჩენილთა ნაწილი იმ პრემიებს ბარეშივე დატოვებდა და ისევ არმიაში ჩარჩებოდა.

თვითონ კი როგორმე უნდა გადარჩეს, არც მედალი უნდა არც წოდება, ყურში გაირჭონ მედლებიც და წოდებებიც... ცოტა დანაზოგი აქვს, ცოტა პრემიასაც წაამატებს, მიწის ნაკვეთი ისედაც ეკუთვნის ამ ახალ პლანეტაზე. კარგია თუ ზღვის პირას იქნება... თბილ რეგიონში... არ დაუმსახურებია თუ რა... ოთხი პლანეტის შემოერთებაში მონაწილეობდა... სამჯერ დაიჭრა, ორი საპლანეტო მედლის და ერთი თავდადებულთა ორდენის კავალერია... ბაღს გააშენებს, სახლს აიშენებს, იქნებ ცოლიც მოიყვანოს, მაგრამ ჯერ გადარჩეს, ჯერ უნდა გადარჩეს...

ანგარში სამედიცინო სამსახურის სერჟანტების ჯგუფი შემოვიდა. მჯდომარე მედესანტეთა რიგებს შეერივნენ, ჯარისკაცებს საღებუ გუჩას ურიგებდნენ. გუჩა აგრილებდა პირს და აწყნარებდა ნერვებს. ზოგიერთებმა მაშინვე პირში გააქანა გუჩა, ზოგმა გუჩას დახედა და ჯიბეში შეინახა.

...კოსმოკრეისერ „ენოლა დის“ კაპიტანმა გეონ ბერდიცმა სამეთაურო კაიუტაში შეკრებილ ოფიცრებს გადაავლო თვალი. ყველა ადგილზე იყო, საკუთარ ქვედანაყოფებთან კავშირს ამოწმებდნენ, ლეიტენანტებისაგან ანგარიშს იბარებდნენ და კაპიტანის მითითებებს ელოდნენ.

კაპიტანმა საბორტო ქრონომეტრს შეხედა და სა-

კომუნიკაციო დისპლეის ჩართვა ბრძანა. დისპლეი ცისფერად აციმციმდა, ჰაეროვანმა მელოდია დისპლეისა და კავშირის გააქტიურება ამცნო კაიუტაში შეკრებილთ. თეთრ კიტელებში გამოწყობილმა ოფიცრებმა ოქროსფერი აქსელბანტები შეისწორეს და ეკრანის წინ მოეწყვენენ. დინამიკებში ჯერ დინის დინასტიის საგვარეულო ჰიმნი გაისმა, რომელიც გალაქტიკური იმპერიის ჰიმნმა ჩაანაცვლა და ბოლოს ეკრანზე მისი სრულად მაღალაღმატებულება, გალაქტიკური იმპერიის მხედართსარდალი დიადი დინ ღორი გამოჩნდა. კაპიტანი და კაიუტაში მყოფი ოფიცრები სამხედრო პატივით მიესალმენ ...

...ფრეგატის დაზვერვისა და ანალიტიკის სამსახურის უფროსი, ფარული პოლკოვნიკი და საიდუმლო მრჩეველი ოროზ ღური მხედართსარდალის დანახვაზე გაფითრდა. შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა.

მხედართსარდალი სრული რიტუალური ჰერალდიკით მორთული გამოეცხადა „თანამებრძოლთ“, როგორც მისი მაღალაღმატებულება უწოდებდა გალაქტიკის ყველა სამხედროს რიგითიდან მარშალის იმპუსამდე.

მაღალი საყელო ოქროს რიცეროზას ხვიარებით ჰქონდა მორთული, სქელი ეპოლეტები ვარსკვლავებით... თითის სიმსხო აქსელბანტების შვიდი წყება მთელ მკერდს უფარავდა. ამაყად თავაწეული ზემოდან დასცქეროდა „თანამებრძოლთ“.

ოროზ ღურმა კარგად იცოდა, რომ ასე მორთულ მხედართსარდალი ახალ სისხლისმღვრელ უბედურობებს ამზადებდა „გაფართოების“ სახელით, რასაც ის და მისი კამარილია ალერსიანად „გაფართოებას“ ეძახდნენ სხვა არაფერი იყო, თუ არა ახალი პლანეტების დაპყრობა და მათი ანექსია. თუ „მშობლიურ გალაქტიკასაც“ ახსენებდა ესე იგი არმადის პირველ ესკადრებს გადარჩენის შანსი ნაკლებად ან თითქმის არ ჰქონდათ.

მხედართსარდალმა ოდნავ ჩაახველა. მის გვერდით მდგარი მაღალი, არაკონული ცისფერი ბროლის ჭიქიდან წითელი ტერინგა მოსვა და დაიწყო:

თანამებრძოლნო, დადგა ის გმირული ნეტარებით სავსე წამი როდესაც, საბოლოო წერტილი უნდა დავუსვათ ახალი პლანეტარული ობიექტის ათვისების ოპერაციას... თქვენი და ჩემი მშობლიური გალაქტიკა, ანუ გალაქტიკის იმპერია კიდევ ერთი ნაბიჯით გაფართოვდება...

ოროზ ღურს ხელისგულებიც გაუოფლიანდა. თვალი გააპარა უფროსი ოფიცრების ჯგუფისაკენ. მისი მაღალაღმატებულების ყოველ სიტყვაზე უფრო და უფრო იღუშებოდნენ. მღელვარებისაგან ოქროსფერი

სამხრეებიც კი გაუშუქდათ.

...მშობლიური იმპერიის გაფართოება თქვენი და მხოლოდ თქვენი თავდადების ხარჯზე მოხდება! თქვენ, იმპერიის რკინის მეტეორები, კოსმიური ცეცხლის წვიმასავით დაეცემით მოწინააღმდეგეს და არ იქნება ძალა, რომელიც წინ აღვიდგებათ! არ იქნება ძალა რომელიც შეგაჩერებთ!

ყოველი თქვენთაგანი ჩემი ძმაა, ყოველი თქვენთაგანი ჩემი შვილია... გწამდეთ რომ მე როგორც წმინდა იორგ მმუსვრელ/შუბოსანი წაგიძღვებით ყველა იმ დიად ბრძოლაში, რომელიც წინ გელით... ყოველი თქვენგანი იგრძნობს ჩემს სულიერ თანადგომას... მაღლა ასწიეთ გალაქტიკის სპეტაკი დროშა... მის აღმატებულობის ბოლო სიტყვები ჰიმნის მელოდიაში ჩაიდირა...

ფრეგატის ბორტზე მყოფ ოფიცერთა კორპუსი გაჯგომული იდგა მსუბუქად მოციმციმე, დაღუმტებული ეკრანის წინ.

ინფანტერიის გენერალმა სიგმუნ ღორმა, მისი მაღალაღმატებულობის შორეულმა ნათესაებმა გვერდით გადააფურთხა და ჩუმად შეუკურთხა მხედართსარდალს... გინება ყველამ გაიგო, ზოგმა არ შეიმჩნია, ზოგმაც კი კმაყოფილმა დაიქნია თავი. კომანდკაიუტაში ჩამოწოლილ სიჩუმეს მხოლოდ ოსცილოგრაფების ზუზუნი არღვევდა...

...კაპიტანმა ბერდიცმა შტურვალთან დამონტაჟებული ბერკეტი მოზიდა. მსუბუქმა ვიბრაციამ გადაუარა კოსმოფრეგატის კორპუსს. ანტიგრავიტაციული ძრავები გააქტიურდნენ. ფრეგატმა პლანეტის გრავიტაციული ველი დაძლია და ნელა აიწია ჰაერში.

...ბაარ... ბაარ... ბაარ... ბაარ... საერთო შეკრების სიგნალი ფრეგატის ყველა კუთხეს მოედო. უმცროსმა ოფიცრებმა ინერმა მსუბუქი გულისრევა იგრძნო. მიხვდა რომ ფრეგატი დამუხრუჭების რეჟიმში გადადიოდა, შეიგინა და კიტელის ახალშეხსნილი საყელო კვლავ შეიკრა. ეს წუთია მორიგეობა დაუმთავრდა, დასვენებას აპირებდა, ამ დროს კი... ეს განგაში. გულისრევა მსუბუქ თავბრუს ხვევაში გადადიოდა, ინერმა თემოსთან დაკიდებული ბლასტერი შეისწორა, გულის ჯიბიდან გუჩა ამოიღო, პირში ჩაიღო და გაღეჭა, სამჯერ ზედიზედ ღრმად ჩაისუნთქა, კაიუტიდან გამოვიდა და მართვის ცენტრისკენ გაიქცა. ფრეგატის ღერეფანი სავსე იყო ოფიცრებით და ეკიპაჟის რიგითი წევრებით, ოფიცრები ინერივით მართვის ცენტრისკენ გარბოდნენ, რიგითები წესდებით გათვალისწინებული დანიშნულების ადგილებსკენ.

ყურადღება... კრეისერი მართული ღრეიფის რეჟიმში გადადის... გაისმა ქალი რობოტის უადგილოდ

ალერსიანი ხმა. ინერმა ნაბიჯს აუჩქარა.

სამეთაურო კაიუტის შესასვლელში ტიტანის ჯავშანჭილკელებში ჩაჭედელი, პლაზმური ბლასტერით შეიარაღებული ტაქტიკური დაცვის გვარდიელები იდგნენ. გააქტიურებული ბლასტერების ჩუმ ვიბრაციას მხოლოდ გამოცდილი თვალი თუ შენიშნავდა. გვარდიელები ჩაფხუტებზე დამონტაჟებული ინფრასონურებით ამოწმებდნენ კაიუტაში შემავალი ოფიცრების პირად ჟეტონებს ფრეგატი უკვე სტრატეგიულ კოსმოტორიაში იმყოფებოდა, საბრძოლო სივრცის უშუალო სიახლოვეში...

ეკრანიდან იმპერიის ჰიმნის პირველი აკორდები გაისმა... სამაუწყებლო კომპანია „პროპაგანდა გალაქტიკა“ მხედართსარადლის სიტყვის ტრანსლიაციას იმეორებდა:

მშობლიური იმპერიის გაფართოებაო... თქვენი თავდადების ხარჯზე მოხდებო! იმპერიის რკინის მეტეორებო... ძმები და შვილები ხართ ...

მე, თქვენი ჰა და ჰა წმინდა იორგ მმუსვრელ/შუბოსანი გყვეართო... გალაქტიკის სპეციაკი დროშაო...

გენერალმა სიგმუნ ღორმა ტკაცანით გამორთო ეკრანი ისე რომ არც მხედართსარადლის სიტყვის დასრულებას დალოდებია და არც ჰიმნს. სათვალე მორგო, გალაქტიკის გერბიანი პაკეტი გაგლიჯა და ბეჭდური ბრძანება ამოიღო...

ჩვენი მიზანი 7/305 ვარსკვლავის სისტემის მესამე პლანეტაა. ეს ამ სისტემის ერთადერთი დასახლებული პლანეტაა, არამართო დასახლებული არამედ მაღალგანვითარებულიც. აქვთ საკუთარი ბირთვული პოტენციალი და ახლოკოსმოსში გადაადგილების გამოცდილებაც, თუმცა საკმაოდ მწირე. პლანეტის მოსახლეობა დაყოფილია სახელმწიფოებად, ისე როგორც ეს იყო ჩვენი მშობლიური გალაქტიკის სხვადასხვა პლანეტებზე „გაფართოებამდე“ ეპოქაში, ამ 3000 წლის წინათ. პლანეტარული ფედერაციის იდეამდე ჯერ არ მიუღწევიათ, ამით ისინი მნიშვნელოვნად ჩამოგვრჩებიან, მათ განკარგულებაში არსებული ბირთვული პოტენციალი გადანაწილებულია სხვადასხვა სახელმწიფოებრივ პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის, ამიტომ არსებობს ვარაუდი, რომ ერთობლივი ზალპური დარტყმის განხორციელება გაუჭირდებათ. ეს ჩვენი კოზირია. ჩვენი ამოცანაა გადავსხედეთ მოულოდნელად, ავიღოთ ან წინააღმდეგობის შემთხვევაში გავანადგუროთ დედაქალაქები... დავიკავოთ, ტერიტორიები, შევქმნათ პლაცდარმები და დესანტის მომდევნო ტალღებს დაველოდოთ. გვაქვს ერთი სასიხარულო ინფორმაციაც,

რომელიც, როგორც ირწმუნებიან ბრძოლაში დაგვეხმარება: პლანეტა ადგილობრივი დროით უკვე 1000 წელია, რაც ჩვენი დაზვერვისა და ფარული სამსახურის მებრძოლების მიერ „მუშავდება“. მათ წინააღმდეგ ფარული ბრძოლის რამდენიმე მეთოდიც გამოგვიყენებია, მაგრამ დანარჩენი ინფორმაცია საიდუმლოა... გენერალმა პაუზა შეინარჩუნა, ღრმად ამოისუნთქა და განაგრძო:

...კიდევ ერთი საექსპედიციო სადესანტო კორპუსის მეთაურთა საბჭომ საპატიო მისია დაგვაკისრა... შეტევას ჩვენ ვიწყებთ.

„იმპერიის სახელით!...“ იქუხეს ოფიცრებმა, მაგრამ მხოლოდ ახალბედებმა... გამოცდილი მეთაურები ვერ იზიარებდნენ საერთო იმპერიულ ალტყინებას. გენერალმა ღორმა სათვალე მოიხსნა, დანა პირს არ უხსნიდა, სათვალეც ხელში ჩაატყდა. ადიუტანტმა ახალი სათვალე მიაწოდა. გენერალმა სათვალე მოირგო, შემდეგ ისევ მოიხსნა, დარბაზს თვალი გადაავლო და ჩხლეჩილი ხმით ბრძანა:

– შეუდექით პირადი შემადგენლობის ბიო გააქტიურებას!

ბიოსამედიცინო სამსახურის ოფიცრებმა სწრაფად მიიტანეს მარცხენა გაშლილი ხელის გული შუბლთან, ერთი მოძრაობით კომანდკაიუტის კარისკენ შებრუნდნენ და ფაირა ფლესა მეთაურობით სამწყობრო მაგრამ გრაციოზული ნაბიჯით ბრძანების შესასრულებლად გაემართნენ. გენერალმა თვალი გააყოლა ექიმ ოფიცერთა ოცეულს, მზერა მათ ქვედატან შემოტმასნილ თემოებზე უჩერებოდა, ისევე როგორც ყველა სხვა კომანდკაიუტაში დარჩენილ სამხედროს.

...ანაბიოზის ბოქსის მთავარი კარი მსუბუქად გასრიალდა გვერდზე, ბოქსიდან გამოჭრილმა ცივი ჰაერის ნაკადმა სასიამოვნოდ გაუგრიალა სახე ოფიცერ რადინა ნორას. რადინა მასზე გაპიროვნებულ ანაბიოსექციაში დაძინებული მებრძოლების გააქტიურებაზე იყო პასუხიმგებელი. ოფიცერმა ერთ ხანს კართან შეიცადა და ბოქსში შევიდა...

ნახევრად გამჭვირვალე მინის ხუფების ქვეშ, ნისლისფერი იცერინით სავსე კაფსულებში ანაბიოზში ჩაძირული მედესანტეები იწვნენ. ბიოსამედიცინო სამსახურის ოპერ-ოფიცერი რადინა ღორა პირველივე ანაბიოსულასთან მივიდა. კაფსულაზე მასში ჩაძირული მედესანტის პირადი ჟეტონი ეკიდა. ოფიცერმა ჟეტონს დახედა, მეორე კაფსულასთან გადაინაცვლა, ჟეტონი სიას შეადარა, ჟეტონს ხელი უშვა და მესამე კაფსულასთან მივიდა. ანაბიოზის კაფსულაში პირველი სტატიის ზემდეგი ჰარტი იწვა...

...ირგვლივ ტერინგას წითელი მტევნებით დახუნ-
ძლული ლურჯი ბუჩქები იდგა. ფირუზისფერ ცაში
გულწითელა ლიბრები თავის ლურჯი ფრთებით სე-
რავენენ ფირუზისფერ ცას. მათი გალობა ავსებდა
თბილ, მწიფე ტერინგას სურნელით გაჯერებულ ჰაერს.
ნიავეს ზღვის ტალღების შორი ხმა მოჰქონდა ზემდე-
ვი ჰარტის ყურამდე, თუმცა ის ზემდეგი აღარ იყო...
ჩუმი თავისუფლების გრძობას შეეპყრო ჰარტი, ბალ-
ის ბოლოსკენ მიდიოდა, იქ ნირფის ღრეკადი წყნელებ-
ისაგან შეკრული კალათები ეგულებოდა. ერთ, საშუ-
ალო ზომის კალათს შეარჩევდა და ტერინგას
ტანაყრილ ბუჩქებს დაუვლიდა, გადაწიფებულ მტევნებს
დაკრეფდა, რომ საღამოსთვის ჩაეციებინა და...

რადინამ ჩამრთველს ხელი მიაჭირა... ანაბოკაფ-
სულა ჩუმად აზუზუნდა... მის ჩუმ ზუზუნს იცერი-
ნის მსუბუქი ბუყბუყის ხმა დაერთო. ანაბოხსნარმა
უხილავ საღინარში დაიწყო დენა.

...ჰარტს ტერინგას მწიფე მტევანი ხელში შეა-
ცივდა. გაკვირვებულმა დახედა მტევანს. ტერინგა
თვალისდახამხამებაში გაშავდა. გაშავდნენ ლურჯი
ფოთლები, ფირუზისფერი ცა, მოჟღურტულე ლიბრე-
ბი. ზღვის ტალღების ხმაური ზუზუნმა შეცვალა
და მალე სამყარო მოზუზუნე სიბნელედ იქცა, რომ-
ლის ცენტრში გამოფხიზლებული, მაგრამ თვალდახ-
უჭული ჰარტი იწვა...

ჰარტმა ხელები მომუჭა და გაშალა, ფეხის თითე-
ბი აამოძრავა. ღრმად ჩაისუნთქა, ფილტვები ეტკინა,
მეორედ ჩაისუნთქა... მესამედ... ტკივილმა გაუარა...
ნელა გაახილა თვალი. სიბნელე თეთრმა შუქმა
შესცვალა, ზუზუნიც შეწყდა. იცერინისაგან დაცლილი
კაფსულა თბილმა ჟანგბადმა შეავსო.

მედ ოფიცერმა მომდევნო კაფსულისკენ გადაინ-
აცვლა... ჰარტმა გვერდზე გაიხედა მწვანედ მოციმი-
ციმე დიოდის ქვეშ ჩამონტაჟებულ ლილაკს თითი
მიაჭირა. კაფსულის სარქველი უხმაუროდ გაიღო.
ჰარტი წამოდგა, კაფსულის სახელურებს დაეყრდნო
და ერთი ძლიერი მოძრაობით იატაკზე გადმოხტა.
საკუთარ მდგომარეობას დააკვირდა, თავს კარგად
გრძნობდა, თუ არ ჩავთვლით მსუბუქ თავბრუს ხვე-
ვას. მოკლე ანაბიოზი მასზე ისე აღარ მოქმედებდა,
როგორც ახალწვეულობისას, მაგრამ ერთი ნემსი
„ტონატორი“ არ აწყენდა.

ჰარტმა მიმოიხედა. წესდების თანახმად ხელი
ასწია და ხმამაღლა წარმოთქვა:

– ტონატორი! შემდეგ იქვე ჩამოვდა და ჩაცმა
დაიწყო.

– ზემდეგო ჰარტ! ჰარტმა საკუთარი სახელის
გაგონებაზე თავი ასწია. მის წინ სამედიცინო რაზ-

მის მეთაური ფაირა ფლეა იდგა, ხელში ანტისეპტი-
კით გაჟღერებული ტამპონი და შინდისფერი „ტონა-
ტორით“ სავსე შპრიცი ეკავა. ჰარტი წამოიჭრა და
სამხედრო სალაში მისცა ოფიცერს. ფაირამ მალე-
ლად შეათვალა ახოვანი ზემდეგის ტორსი.

– თავისუფლად, ზემდეგო, თავისუფლად, ზიგ...
ფაირამ ანტისეპტიკის ტამპონი მკერდზე დაუსვა
ზიგს, შემდეგ ვარდისფერი ხელი გულთან ახლოს
მიადო, შპრიცი დაუმიზნა, ერთი წამით შეეყოვნა და
სწრაფად შეუყვანა სხეულში „ტონატორი“, ნანემ-
სარზე მსუბუქად შეეხო, გატრიალდა და თავისი
ადგილისკენ წავიდა.

წავიდა და ზიგს „ორინელას“ სურნელი და ნანემ-
სარზე წამიერი შეხება დაუტოვა სახსოვრად.

ზიგმა კიდევ ერთხელ ჩაისუნთქა ღრმად, კაფსუ-
ლის მიკროფონი ჩართო: „მესამე სტატიის ზემდეგი
ზიგ ჰარტი ფორმაშია აქტივაციიდან მეშვიდე წუთზე“.

ვილაცის მზერა იგრძნო, მოტრიალდა, ამჯერად
რიგითი დინო კურტი პირღია ათვალაიერებდა მის
დაკუნთულ, ათლეტურ სხეულს, ნაიარევებს და
ტატუირებას მარჯვენა ბეჭზე – ფრთავაშლილ დრა-
კონს კლანჭებში მეტეორით. ჰარტს ჩაეცინა, კურ-
ტისთვის ყურადღება აღარ მიუქცევია, დაიხარა, ბიოკაფ-
სულის ქვეშ ხელი შეჰყო და საცავიდან თავის
ძრავლისმნახველი ზურგჩანთა გამოათრია...

მედესანტეთა პირველი ასეული კოსმომფრენის
დერეფანში მშვიდად მოეწყო. კაპიტანი ღრიგ ჯათი
მწყობრის წინ შეჩერდა, ყავისფერ ნაიარევზე ხელი
მოისვა, მკაცრი მზერით შეათვალა ასეული.

– ზემდეგებმა ჩაიბარონ ოცეულები. მოკლედ გასცა
ბრძანება კაპიტანმა.

ზემდეგი ჰარტი და კიდევ რამდენიმე უმცროსი
მეთაური სამი სამხედრო ნაბიჯით წინ გამოვიდნენ
და მაშინვე სახით მწყობრისკენ შებრუნდნენ.

– მე ვარ პირველი ოცეულის ზემდეგი ზიგ ჰარ-
ტი. ზემდეგმა მკერდზე მიკერებულ ფოლადის შე-
ტონზე მიიღო ხელი.

– პირველი ოცეულის მებრძოლები ჩემსკენ. მოძრა-
ობა არასამწყობრო ნაბიჯით! ჰარტი მიტრიალდა და
დერეფანს გაუყვა. პირველი ოცეული ფენდაფენ მიყვა
მეთაურს.

– სადესანტო ტრიუმებისაკენ იარ! ასეული ერთი
მოძრაობით შებრუნდა მარჯვნივსაკენ და არასამწყო-
ბრო ნაბიჯით დაიდრა ქვედა ბაქანისაკენ. სადაც
ტრიუმის ბოქსებში მტაცებელი ფრინველებივით შე-
მართული საბრძოლო კოსმო-ბოტები იყო ჩამწყრივე-
ბული.

ტრიუმის დინამიკაში ბედნიერი მარშის ხმა შეწყ-



და. ასეულმა შვებით ამოისუნთქა. ჩამოვარდნილ სიჩუმეს, მხოლოდ რკინის იატაკზე თავისუფალი მარშით მოძრავ მებრძოლთა ფეხის ხმა არღვევდა.

სიჩუმე ერთი წუთითაც არ გაგრძელებულა. დინამიკი მალევე ახრიალდა...

– ოცეულებმა დაიკავეს საბრძოლო ადგილები, ოცეულის ნომრით აღნიშნულ კოსმობოტებში...

ჰარტი ტიტანისფერი კოსმობოტისკენ წაუძღვა ოცეულს. კოსმობოტის დაჯავშნულ კაბინაზე ორი მწვანე ნათურა ციმციმებდა ესე იგი ეკიპაჟი ადგილზე იყო. ოცეულმა ჩასხდომა დაიწყო...

მედესანტეები კოსმობოტის შიდა კედლების გასწვრივ დამონტაჟებულ რკინის საგარძლებზე განთავსდნენ. ჰარტმა თვალი შეავლო მებრძოლებს.

– დამზღვევი ღვედები შეიკარით. გასცა მოკლე ბრძანება. გაისმა ვაკუუმური საკეტების ერთიანი ტკაცანი. სალონში მოლოდინით სავსე სიჩუმე ჩამოწვა. სიჩუმე მეთაურმა დაარღვია.

– ამ მომენტიდან, საბრძოლო მოქმედებების დასრულებამდე ასრულებთ ჩემს და მხოლოდ ჩემს ბრძანებებს. მშვიდად გამოაცხადა ჰარტმა და სა-

ვარძელში ჩაჯდა. სავარძელს მოერგო დამზღვევი ღვედები შეიკრა და თვალები დახუჭა...

...სისხამ დილით მოწყვეტილი ტერინგას მკვრივი მტევანი გრილი იყო და სურნელოვანი...

...საბრძოლო მოქმედების ზონაში შესვლა!.. ოცეულის მეთაური ეკიპაჟის მეთაურთან! საბრძოლო მოქმედების ზონაში შესვლა!.. ოცეულის მეთაური ეკიპაჟის მეთაურთან! ერთსა დას იმავეს ხრიალებდა დინამიკი.

ჰარტმა თვალი გაახილა. ღვედი შეიხსნა და პილოტების კაბინაში შევიდა. ილუმინატორებში ღია კოსმოსი და საბრძოლო მწყობრში გაშლილი კოსმოსკადრა ჩანდა. სამკუთხედებად მოწყობილი ესკადრილიები თითქოს კოსმოსში ეკიდა და მოძრაობისა არაფერი ეტყობოდათ, მათ სისწრაფეზე მხოლოდ ყელში მობჯენილი გული და თვალდათვალ მზარდი პლანეტები მეტყველებდნენ. ეკიპაჟის მეთაურმა ზონ გურდმა ოფიცრის პლანშეტიდან სქელი დალუქული კონვერტი ამოიღო. ლუქი გატეხა, კონვერტიდან ტაქტიკური გეგმა ამოიღო და გაშალა. გეგმები საბრძოლო წესდების თანახმად ბოლო

მომენტამდე გასაიდუმლოებული იყო. ზონ გურდმა მრავლის მნახველი კოსმოსის მეგელივით მონოტონური დაუდევრობით დაიწყო ტაქტიკური გეგმის კითხვა.

– პლანეტის კოსმოსური თანამგზავრები უკან მოვიტოვეთ, რეაგირება არ ჰქონიათ ან უკვე ჩვენებმა გააუვნებლეს ან მწყობრში აღარ არიან. ერთი სიტყვით გაგვიმართლა და დაიკიდე.

– ოც წუთში ატმოსფეროში შევალთ. ოცდამეერთე წუთიდან დამუხრუჭების რეჟიმში გადავდივართ. დესანტირება ინერციის დასრულებისთანავე იწყება. დესანტირების პირველი ეტაპია პირველივე დასახლებულ, სამრეწველო, სამხედრო ობიექტებზე შეტევა. შეტევის განვითარება, ობიექტის დაკავება და შენარჩუნება ძირითადი ძალების ბრძოლაში ჩართვამდე. ასე რომ მოემზადეთ!

– დიდი ხანია მზად ვართ. მშვიდად უპასუხა ჰარტმა, კაბინიდან გამოვიდა და საკუთარ სავარძელს დაუბრუნდა...

...ლითონის ღრჭიალი ისევე მოულოდნელად შეწყდა, როგორც დაიწყო. ღრჭიალი სასიგნალო ბიპერის ხმამ ჩაანაცვლა. სიმძიმე, რომელსაც ჰარტი სავარძლის საზურგეზე ჰყავდა გაკრული გაქრა. უკვე დესანტირების წერტილში იყვნენ. ჰარტი ფეხზე წამოიჭრა.

– ოცეულო! საბრძოლო მზადყოფნა ერთი! მეომრებმა დამზღვევი ღვედები შეისწესეს. ჰარტმა სწრაფად გაიბრინა სალონი და ადგილი კოსმობოტის სადესანტო ლუკთან დაიკავა, ბლასტერი საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანა და ლუკის თავზე დამონტაჟებულ სასიგნალო ნათურას შეხედა. ოცეულო ჩემთან!.. მებრძოლეები ელვისებურად მოეწყვნენ ჰარტის უკან. ათი მებრძოლი მარცხენა მხრიდან, ათიც მარჯვენა მხრიდან და ოთხი მებრძოლით დაკომპლექტებული მძიმე ბლასტერის განწყისი ბოლოში. მებრძოლები ჰარტთან ერთად დაძაბული აკვირდებოდნენ მათ ფეხქვეშ მოვიბრირე იატაკს. ვიბრაციის შეწყვეტისთანავე იწყებოდა დესანტირება.

ვიბრაცია შეწყდა. სასიგნალო ნათურა ნარინჯისფრად აციმციმდა, აბლავლდა სირენაც. ფოლადის კარმა გაიღრჭიალა და ელვის სისწრაფით გაიღო. – წინ! იყვითა ჰარტმა და უცხო პლანეტის უცნობ სიცარიელეში გადაეშვა...

ნახტომი უსასრულოდ გაგრძელდა.

ზონ გურდმა პლანეტის მიზიდულობა ზუსტად ვერ გამოთვალა და კოსმობოტი გრუნტის ზედაპირიდან დაშვებულზე ძალიან გამოკიდა. ჰარტმა ერთ ჯარისკაცულად მწარე წინადადებაში მოაქცია ყვე-

ლა, ზონ გურდიდან მხედართსარდლამდე და ქუსლებით კარგა მძლავრი დარტყმა მიიღო.

გრუნტთან შეხებისთანავე მარჯვენა მხარეს გადავარდა, გადაგორდა და მყისვე ფეხზე წამოდგა. პირველი ოცეული ერთმანეთს მიყოლებული კოსმობოტის ლუკმოღებული მუცლიდან ხტებოდა. მარჯვნივ შორიახლოს ჰაერში გამოკიდებული კოსმობოტებიდან მეორე და მესამე ოცეულები ხტებოდნენ. ჰარტმა სასიგნალო ლუმიინობლასტერი ჰაერში შემართა და ლილაკს დააჭირა. თეთრი კაშკაშა სხივი ცაში აიჭრა. ეს დესანტირების პირველი ტალღის ნიშანი იყო...

ფლაგმან კრეისერ „ენოლა დის“, კომანდკაიუტაში საინფორმაციო დისპლეის მიჩერებული მეთაურთა საბჭო ბრძოლის ველიდან კორესპონდენციებს ელოდა. ხელში ყველას ტერინგათი სავსე ჭიქები ეკავათ. ეკრანზე ცისფრად მანათებელი წერტილი გაჩნდა, გაიზარდა და კომუნიკაციის სამსახურის ლეიტენანტად იქცა. ეკრანის ლეიტენანტმა მარცხენა ხელი ზეღმართა:

– გენერალო დორ! გალაქტიკური იმპერიის სადესანტო გვარდია ბრძოლაში ჩაერთო! შეტევას სადესანტო ასეულის პირველი ოცეული მიუძღვება, ოცეულის მეთაური – ზემდეგი ზიგ ჰარტი.

გენერალმა დორმა წითელი ტერინგათი სავსე ბროლის ჭიქა აწია და ოფიცერთა ჯგუფს მიუბრუნდა.

– აქაც ჰარტი, ჩუმად წარმოთქვა გენერალმა, ეს იამოვნა ძველი გვარდიელის სახელის გაგონება. ახალგაზრდობა გაახსენდა, მაშინ, პირველი ოპერაციის დროს, თვითონ ვიცე-პოლკოვნიკი იყო ჰარტი კი უმცროსი სერჟანტი.

– ჰარტს გაუმარჯოს! შესძახა და ერთბაშად დაცალა ტერინგათი სავსე ჭიქა.

– საბრძოლო დიდება! – ერთხმად შესძახეს ოფიცრებმა. სამხედრო წესდების თანახმად თავისთვის, ჩუმად ოთხამდე დათვალეს და მხოლოდ მაშინ მოსვეს თავისი ტერინგას გვარდიული დოზა. გენერალმა იქვე გაჭიმულ ადიუტანტს გადახედა,

– ზემდეგი ზიგ ჰარტი წარდგენილი იქნას ოქროს რიცეროზას ორდენზე, სხვა ოცეულის მეთაურები ვერცხლის რიცეროზაზე, ოცეულის რიგითი მებრძოლები და სადესანტო კოსმობოტების ეკიპაჟები სპილენძის რიცეროზაზე...

...ჰარტმა მარჯვენა ხელი აწია, შემდეგ წინ გაიშვირა. მძიმე ბლასტერის ჯგუფმა საბრძოლო მწყობრად გაშლილი ოცეულის მარჯვენა ფლანგი დაიკავა. ჰარტმა კვლავ ასწია ხელი. მედესანტებმა ბლასტ-

ერები გადატენეს და მოიმარჯვეს.

ჰარტმა ხელი მკვეთრად დაიქნია. ბლასტერპლანში იმპულსების ზალპმა წითლად დახაზა საღამოს ცა.

პირველი ოცეული დაიდრა. ცოტა ხანში მას ასეულიც მიჰყვა.

...ჰორიზონტზე ადგილობრივი „დასახლების“ საკმაოდ მასშტაბური სილუეტი ჩანდა. „დასახლება“ წესდებითა და კარტოგრაფიული ტერმინით მიხედვით იყო, ისე გიგაპოლისს უფრო ჰგავდა.

...მიწაზე კოლონის თავში, ჰარტი და მისი მებრძოლები თითო ნაბიჯით ფრთხილად გადაადგილდებოდნენ გიგაპოლისის, უფრო ზუსტად შენიღბული დამცავი ზღუდის მიმართულებით, ჰარტი და მასთან ერთად კოსმობოტის ეკიპაჟის მეთაური ზონ გურდი, სხვა ოცეულების და ეკიპაჟის მეთაურები ჯერ საპასუხო პლანშურ ზალპს ელოდნენ, შემდეგ მცირე მასის სარაკეტო დარტყმების სერიას, რომელსაც ალბათ მასირებული ცეცხლი ჩაანაცვლებდა. ასეთი იყო წლების განმავლობაში შემუშავებული საბრძოლო პრაქტიკა თუმცა მოწინააღმდეგისკენ მიმართული რადაროსკანერები ვერც მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალთა გადაადგილებას და ვერც სარაკეტო დანადგარების გააქტიურებას ვერ აფიქსირებდნენ.

გიგაპოლისი კი გარე განათების შუქებით ჩახჩახებდა... ზონ გურდმა აუდიო სკანერი გიგაპოლისის მიმართულებით გააქტიურა და მიღებული საუნდინფორმაცია მეთაურების ყურსასმენებში გადაამისამართა... რიტმული, მელოდიური მუსიკით აივსო სამხედრო ეთერი. მუსიკა ბრძოლის ხაზიდან 3000 კილომეტრით დაშორებულ, კოსმოსში გამოკიდებულ ფლაგმან კრეისერის სამეთაურო კაიუტის დინამიკებშიც გაისმა.

რუქებზე დახრილ ოროზ ღური მოულოდნელობისაგან გაშემდა, ჩუმად გააპარა თვალი გენერალ ღორისკენ... ლუკთან მდგომი გენერალი ღია კოსმოსს გასცქეროდა და თავს მელოდიას აყოლებდა. ღორს სიფხიზლე არ დაუკარგავს, კაიუტაში მყოფ ოფიცრებს მოავლო თვალი, მელოდიას კაიუტაში მყოფი ოფიცრებიც აყოლოდნენ მხრების მსუბუქი მოძრაობით, თუმცა სახეზე ვაჟკაცურ გამომეტყველებას მაინც ინარჩუნებდნენ... ოროზ ღურს ტანში გააცია, თავის მსუბუქი კანტურით ისიც აყოლოდა მელოდიას... გენერალმა ღორს მოხედა:

– პოლკოვნიკო, გადაეცით მოწინავე კოსმობოტებს სიგნალი გააძლიერონ.

– არის! ოროზ ღური მიკროფონს ეცა. ცოტა ხანში მელოდია უკვე ყველა დინამიკში ისმოდა, ხარისხი იმდენად მაღალი იყო რომ ოფიცრებმა სიტყვების

გარჩევაც შესძლეს:

– ბრაზიილ... ჰამ... ჰამ... ჰამ... ჰამ... ჰამ... ჰამ... ჰამ... ჰამ... გაძლიერებული სიგნალი უკუკავშირით, საველე მეთაურების და მედესანტეთა პირადი შემადგენლობის ყურსასმენებშიც აჟღერდა. ზონ გურდი გატრუნული უსმენდა მისთვის უცხო მელოდიას. შემდეგ საკუთარი სითამამით გაოგნებულმა, ლაზერული ვიდეო სკანირების სისტემა ჩართო ბრძანების გარეშე, აუდიო სიგნალის წყარო მოძებნა და ჰოლოსხივი მიუშვა.

ჰარტის წინ, ზონ გურდის კაბინაში, ფლაგმან კრეისერის სამეთაურო კაიუტაში და კავშირში ჩართულ ყველა წერტილში ჰოლოგრამული ქალი გაჩნდა. მზეზე გარუჯული გრძელფეხება მოცეკვავე თავდავიწყებით მოძრაობდა მუსიკის რიტმქვეშ.

ოფიცრებს ვაჟკაცური გამომეტყველება ღიმილმა შეუცვალა, ზოგიერთმა ნიკაპი მოისინჯეს, გასაპარსები ზომ არ ვართო, გენერალმა და პოლკოვნიკმა ქათქათა ცხვირსახოცებით ოფლით დაცვარული კეფა შუბლი მოიწმინეს...

ვიწრო კაბინაში გაჭვდილი ზონ გურდი ზედ მის სახესთან მთრთოლვარე მკერდს თვალს ვერ სწევებდა...

ჰარტის ოცეულს მოცეკვავე ქალის ირგვლივ ჩუმი წრე შეეკრა. ქალი თავდავიწყებით ცეკვავდა, ნატოფი, თლილი ტერფებით თითქოს მიწას ეფერებოდა, ბედნიერი იყო თავის არსებობით. ქალის ბედნიერება გადამღები აღმოჩნდა. ბედნიერი იყო რიგითი მედესანტე დინო კურტი, ოცეულის ყველა მებრძოლი, მძიმე ბლასტერის ჯგუფი და თავად ოცეულის მეთაური.

ჰარტმა ბლასტერი დამცველზე დააყენა და ფრთხილად დაუშვა...

ეს „ბრაზიილ“ რას ნიშნავს უნდა დავადგინო, გაიფიქრა ბრძოლის ხაზს ათი ათასი კილომეტრით დაშორებულმა ფარული სამსახურის პლოკოვნიკმა ოროზ ღურმა...

ზიგ ჰარტმა ტერინგას მწიფე მტევანს ხელი შეასხო. დილის ტერინგა ცივი და მკვრივი იყო. ფრთხილად შეაჭრა ნაყოფი ტოტს და კალათში ფრთხილადვე ჩასდო სხვა დაკრეფილ მტევნებთან ერთად. მძიმე კალათი მხარზე შეიდგა და ზვარის ბოლოსკენ დაიდრა.

– ზიგ! – ჰარტ! – ზემდეგო!

მოესმა ნაცნობი ხმა. ჰარტი შედგა. ხელი მოიჩრდილა. ზვარის ღობეში დატანებულ დაწნულ კარს გენერალი სიგმუნ ღორი მოსდგომოდა. ჰარტმა კალათა ჩამოღდა ჯარისკაცულად გაიჭიმა და სამხედრო

სალამის ნიშნად მარცხენა ხელი მიიტანა შუბლთან.

– გისმენთ, გენერალო! – თავისუფლად ჰარტ, მშვიდად წარმოთქვა გენერალმა. შეგიძლიათ სიგმუნი დამიძახოთ, დღეიდან ჩვენ მეზობლები ვართ და არა „თანამებროდონი“.

– მოსავალი როგორია?

– ბარაქიანი გენ... სიგმუნ, ბარაქიანი... აქ ბევრად უკეთესი ტერინგა მოდის ვიდრე ჩვენში. თან პირველმა დაწურულმა პარტიამაც დუღილი შეწყვიტა, უკვე მზადაა და კარგი მათრობელაცაა.

– გაგვიმართლა ახალ პლანეტაში. თევზიც კარგი სცოდნია აქაურ მდინარეებს. გენერალმა ხელი აწია და ახალდაჭერილი თევზის ასხმულა დაანახა ჰარტს. სალამოს გადმოდი, უკვე შენობით მიმართა ყოფილ ზემდეგს და თანამებროდონს.

– ვივანშმით, ტერინგა შენი, თევზი ჩემი. გაიგებ როგორ თევზს წვავს ჩემი ენოლა. ფაირაც წამოიყვანე. დროა გაგვაცნო, ახალ პლანეტაზე ახალი დაქალები სჭირდებათ. სასაუბროს კი ქალები ყოველთვის იპოვიან. ჩვენ ტერინგა ვაჭაშნიკოთ და ჩვენი ამბებიც მოვივლოთ.

დილის ნიავემა უცხო, კვამლით გაზავებული სურნელი მოიტანა. გენერალმა ჰორიზონტს გახედა. ჰორიზონტის ხაზი ცისფერ კვამლს დაეფარა.

– „ანაუჰირა შ“ ის პლანტაციები იწვის, მათ ადგილას ტერინგას ზვრებს და რიცეროზას პლანტაციებს გავაშენებთ... კმაყოფილმა წარმოთქვა გენერალმა. – „გაფართობა“ დასრულდა „ათვისება“ დაიწყო დაამატა მან, შეტრიალდა და საკუთარი ბალის სიღრმისკენ წავიდა.

– სალამოს გელოდები, ტერინგა არ დაგავიწყდე...

ჰარტმა კალათი კვლავ მხარზე შეიღვა და ზვარის ბოლოსკენ წავიდა. შემდეგ შესდგა.

– ფაირა... გაიფიქრა მან. ფაირა შინ არის... ზიგს გულზე ცხელმა ტალღამ გადაუარა, სახსვე კალათი მიწაზე დადგა და სახლისკენ წავიდა...

საიმპერიო ფრეგატი „დიდანი“ სამხედრო კოსმოდრომის თავზე დაეკიდა. დედამიწისკენ მიმართული ვერტიკალური დაშვების დიუზები ცეცხლის თეთრ ჭავლს აფრქვევდა. ჭავლის სიმძლავრემ ნელ-ნელა დაიკლო, ჭავლის კლებასთან ერთად ფრეგატიც დედამიწის ზედაპირზე დაემშვა. ფრეგატი ბოლისა და მიწის ზედაპირიდან ავარდნილი მტერის ბუღში იდგა. გაისმა ლითონის ღრჭიალი. ფრეგატის ლუკი გაიღო. ლუკიდან ფოლადის ტრაპი დაემშვა და ბეტონის ფილებში ჩაერჭო. ტრაპზე საიმპერატორო



გვარდიის მიმედ მიმედ შეჭურვილი მებრძოლები დაემ-
ვნენ, კიბის მარჯვნივ და მარცხნივ განლაგდნენ.
ერთი წამიც და ფრეგატის ლუკიდან, თავად მისი
უმხედართსარდლესობა გამოჩნდა, ოდნავ შეყოვნდა,
თვალი გადაავლო გარემოს და მოსასხამის კალთე-
ბის ეფექტური ფრიალით ტრაპზე დაეშვა. მას უკან
პირადი მცველები, ფარული სამსახურის პოლკოვნი-
კი ოროზ ღური და ილიაში ლითონის საქალაქე-
ბამოჩრდილი ამალის წევრები მიჰყვნენ...

...კოსმოდრომის სახელდახელოდ მოწყობილი სა-
ბანკეტო დარბაზი საზეიმო თეთრი შუქით იყო გან-
ათებული. მის მაღალაღმატებულება მხედართსარდალს
და ორგზის სრულ გმირს მის პატივსაცემად შეკრე-
ბილი პუბლიკისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია
მან სწრაფი ნაბიჯით გადაკვეთა დარბაზი და კოს-
მოდრომის ქვედა სართულის საიდუმლო ბუნკერს
მიაშურა. წინ გააქტიურებული ბლასტერებით ხელ-
ში ოროზ ღური და ფარული სამსახურის გვარდი-
ელები მიუძღოდნენ. ბუნკერის მიმე კარი ნელა გაიღო.
წითლად განათებულ ბუნკერში პირველი ოროზ ღური
შევიდა.

...მისი მაღალაღმატებულება მხედართსარდალი
ყველაზე მაღალ საზურგეან სკამთან იდგა და ჩაფ-
იქრებული ათვალიერებდა ბუნკერში შეკრებილ უმაღ-
ლესი რანგის სამხედროებს ბოლოს თავისი, მემკვი-
დრეობით მიღებულ და კანონით დამტკიცებულ სა-
ვარძელში ჩაჯდა. კარგად მოეწყო, ხელი მარჯვნივ
გაიშვირა. გრძელფეხება, თეთრ ქვედატანში გამოკვ-
ართულმა ქერა სერვის-ოფიცერმა მას მაშინვე ტერი-
ნგათი სავესე ცისფერი ბროლის ჭიქა მიაწოდა. მხე-
დართსარდალმა მსუბუქად ჩაახველა, შემდეგ უფრო
ნაზად ჩაახველა, ტერინგა მოსვა, ამოისუნთქა და
დაიწყო.

– თანამებრძოლნო, კიდევ ერთ „გაფართობას“
გილოცავთ. ჩვენ გაემარჯვეთ, მაგრამ გამარჯვება-
ცაა და გამარჯვებაც. არ შეიძლება არ დავაფასოთ
ჩვენი მოწინავე რაზმების თავდადება, ზურგის სამ-
სახურების ორგანიზებულობა, მედიის ორგანიზებუ-
ლობა, მაგრამ ეს გამარჯვება ძალზედ იოლად, ჩაგვი-
ვარდა ხელში, დანაკარგები: 0% –ს შეადგენს, ისიც
დესანტირებისას ფეხნადრძობთა სახით... გრავიტ-
აციული დაზვერვის მონაცემებში გაპარული უზუს-
ტობების გამო, პლანეტის მიზიდულობა ნაცვლად
მოსალოდნელი 4 გრავიტაციული ქვეერთეულისა, 4,5
ქვეერთეული აღმოჩნდა. ღრძობანიც ამან გამოიწვია...
თუმცა მხოლოდ ახალწვეულებს შორის. მიმდინარ-
ეობს შიდა გამოძიება, გამარჯვების ხათრით, ალბათ,
ვაპატიებთ, მაგრამ კბილებს მაინც დავაყრევინებთ...

მერე ჩაისვამენ, დაზღვევა კარგი აქვთ და... მხედარ-
თსარდალი ჩაფიქრდა, მაგრამ მალევე გამოერკვა,
ოთხწამიანი მრავლის მეტყველი პაუზა შეინარჩუნა,
შემდეგ ნაზად ჩაახველა და განაგრძო. ...იმდენად
მარტივად ჩაგვივარდა-მეთქი ეს გამარჯვება, რომ
მებადება ორი კითხვა, ღირსნი ვიყავით ამ გამარჯვე-
ბისა, თუ არა, და რამ განაპირობა ეს გამარჯვება.

– თქვენო მხედართსარდლობავ. ჩამოვარდნილი
სიჩუმე მამაკაცის რკინისებურმა ბარიტონმა დაარ-
ღვია. მისმა მაღალაღმატებულებამ თავი ასწია.
ბუნკერის ცენტრში მაღალი, ტყავის ლაბადაში ჩაც-
მული მამაკაცი იდგა.

– ღრმა დაზვერვისა და გავლენის ჯგუფი „გოლოზ-
ის“ მეთაური გორონ როდგერი წარმოთქვა უცნობმა,
თან ლაბადის ჯიბებიდან ხელებიც არ ამოუღია.
მხედართსარდლის უკან მდგომმა ოროზ ღურმა და
ორმა დაცვის გვარდიელმა ჯიბეში ხელი ჩაიყვეს
შეუმჩნევლად, მინი ბლასტერები გააქტიურეს და
გორდონ როდგერს მიაჩერდნენ გაციებული მხერით.
ერთი თვალეში უყურებდა, მეორე მკლავებზე. ოროზ
ღურმა ხელი აწია. როდგერის მკერდზე მყისიერად
აინთო ლაზერული დამიზნების წითელი წერტილე-
ბი. მაშინვე მის მკერდზე სკანერ-იდენტიფიკატორის
მწვანე სხივმაც გადაიარა.

ამჯერად ტყავის ლაბადიანმა სტუმარმა ნელი,
თავდაჯერებული მოძრაობით სამხედრო სალაში მიაგო
მხედართსარდალს და დანარჩენ სამხედროებს.

– პლანეტარული დაზვერვის კორპუსის, მეოთხე
ფარული დივიზიონის მეთაური, პოლკოვნიკი გორონ
როდგერი. კუბრიკის ცენტრში დამონტაჟებული ჰორ-
იზონტალური დისპლეი მწვანედ აციმციმდა. დის-
პლეიდან პოლკოვნიკ როდგერის ჰოლოგრამული
გამოსახულება წამოიმართა. ჰოლოგრამას მოყვითა-
ლო მომწვანო შუქი დაჰკრავდა, ეტყობოდა, რომ
ჰოლოგრაფილი ჩატვირთვიდან დღემდე არ გაეხსნათ.
ჰოლოგრამის არეალში საიმპერიო შრიფტით აკრე-
ფილი პოლკოვნიკის სრული ტიტულატურა გამოეკიდა,
რომელიც ზუსტად იმეორებდა პოლკოვნიკის სი-
ტყვებს, თუმცა თავად ჰოლოგრამაზე პოლკოვნიკი
უფრო ახალგაზრდად გამოიყურებოდა სამხრეები კი
ვიცე პოლკოვნიკისა ეკეთა.

– ნება მომეცით დავიწყო, ჩვენი გამარჯვების და
გამარჯვებისათვის ჩატარებული საქმიანობის სრუ-
ლი სურათი წარმოგიდგინოთ.

– 7/305 ვარსკვლავის სისტემის მესამე პლანეტა,
აბორიგენტთა თვითდასახელებით „დედამიწა“ დაბუშავე-
ბაში აყვანილ იქნა ადგილობრივი ასტრონომიული
ათვლის წერტილით 1000 წლის წინათ. ჯერ კიდევ

თქვენი შორეული წინაპრისა და თქვენივე დინასტიის ფუძემდებლის დაძინ ღორ I „მამაცის“ დროს.

პლანეტის ათვისება აბორიგენტთა შესწავლით დავიწყეთ. მათი მოტაცება და მათზე ლაბორატორიული კვლევების ჩატარება განსაკუთრებულ სირთულეს არ წარმოადგენდა. დავადგინეთ მათი ხასიათის თავისებურებანი, მიდრეკილებები, სისუსტეები. აღმოჩნდა რომ მათი ორგანიზმი სიამოვნების სინთეტიკურ რეალიზაციაზე საკმაოდ იოლად რეაგირებდა. მათი ორგანიზმი იოლად შეღწევადი აღმოჩნდა მცენარეული წარმოშობის სუბსტანციებზე.

შეირჩა 09/011 სისტემის პლანეტა „ანაუპირა მ“-ზე გავრცელებული კულტურა. რომელსაც იოლი იდენტიფიცირების მიზნით მისი მშობლიური პლანეტის სახელი დაერქვა. ჩვენთვის უკვე ცნობილი იყო „ანაუპირა მ“-ის თვისებები: მას შეუძლია აღქმის პრიორიტეტები შეუცვალოს როგორც ერთ, ცალკე აღებულ ინდივიდს, ისე თითქმის მთელ კაცობრიობას. „ანაუპირა მ“-ის ზემოქმედების ქვეშ მყოფნი ამჩნევენ, რომ შეცვლილი ცნობიერების მდგომარეობაში იმყოფებიან. უჩნდებათ პარანორმალური იდეები, რომლებზეც თავად იცინიან ანუ სახეზეა დეპერსონალიზაცია და დერეალიზაცია. სწორი დოზირებისა და აბორიგენტთა გენეტიკაზე მორგების შემთხვევაში „ანაუპირა მ“ იწვევს ეიფორიას, ეკზალტაციას. სიამოვნება იოლად მიღწევადი ხდება.

პირველ ეტაპზე გავლენის აგენტებმა აბორიგენტებს „ანაუპირა მ“-ის სასოფლო სამეურნეო მონაცემები აჩვენა. მისი ბოჭკოებისაგან დამზადებული ქსოვილები და ქსოვილისგან დამზადებული პროდუქცია, ტანსაცმელი ფეხსაცმელი და რა ვიცი კიდევ რა, თოკები, იალქნები, ვასწავლეთ მისგან ზეთის გამოხდა, რასაც საკვებში იყენებდნენ და რამაც განაპირობა „ანაუპირა მ“-ის პოპულარობის ზრდა. გავასინჯეთ მისი მონალული თესლი, რასაც თავშესაქცევი დელიკატესის ხასიათი მიენიჭა. ამით ფსიქოლოგიაში არსებული ყველა ბარიერი გავაქრეთ და შემდეგ, როდესაც „ანაუპირა მ“-ს პლანტაციებმა დედამიწის ტერიტორიები მოიცვა, სწორედ მაშინ შევქმენით რელაქსაციის ილუზიის სამუალები.

– ეს როგორღა მოახერხეთ?

– ჩვენს დედამიწელ მეგობრებს ანა უპირას გამხმარი ფოთლების კვამლით სუნთქვა ანუ მოწევა ვასწავლეთ. ეფექტი ბრწყინვალე იყო. „ანაუპირა მ“ გამოსაცდელთა 97 პროცენტში ეიფორეა გამოიწვია. მათგან მხოლოდ სამი პროცენტი, ალბათ ორგანიზმის ან ინტელექტის თავისებურებების გამო „ანაუპირა მ“-ისადმი ინდიფერენტული დარჩა და

სად აზრს ინარჩუნებდნენ, თუმცა მათი ინტერესის გათვალისწინება აღარც ღირდა.

– რასებად, ერებად და ენობრივ კულტურულ ჯგუფებად დაყოფილ კაცობრიობას ე.წ. სახელმწიფოები მართავდნენ. მათ იგრძნეს ანა უპირადან წამოსული საშიშროება და მას ბრძოლა გამოუცხადეს, თუმცა რაღაც ეტაპზე „ანაუპირა მ“-ის მოყვარულთა, ჩვენგან ორგანიზებულმა და ჩვენგანვე ფინანსირებულმა წინააღმდეგობამ საკმაოდ კარგი ეფექტი გამოიღო. „ანაუპირა მ“ ჯერ ერთ სახელმწიფოში ცნეს, შემდეგ კი ჯაჭვური რეაქციის შეჩერება შეუძლებელი გახდა...


– „გაფართობის“ ოპერაციის დროსაც მთელი კაცობრიობა „ანაუპირა მ“-ის ლეგალიზაციის საერთაშორისო დღეს ზეიმობდა... ჰოდა, აი ჩვენც გაგვიმართლა...

– ბრავო, გენერალო! როდგერი შეკრთა, ახალი წოდების გაგონებამ შეაკრთო მრავლისმნახველი მეომარი. ბრავო, გენერალო როდგერი! ხაზგასმით გაიმეორა მხედართსარდალმა და თხელი ტყავის ხელთათმანიანი ხელით მსუბუქი ტაში შემოჰკრა. აწ უკვე გენერალმა როდგერმა ცუდად დამალული მღელვარებით დაასრულა საკუთარი გამოსვლა.

– „ანაუპირა მ“-ს, იმდენად დიდი მნიშვნელობა მიენიჭა, რომ აბორიგენტებმა მას საკუთარი, ახლებურად მჟღერი სახელიც კი მიანიჭეს. არც დიდი ფანტაზია დაუნარჯავთ, სიტყვა უკუღმა წაიკითხეს და ახალი სახელიც მიიღეს.

– რა სახელია, თუ საიდუმლო არაა?

– მარიჰუანა...



გამომცემელი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი “ფანტასტი”.
რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 18/03/2015
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405092448

მთავარი რედაქტორი ირაკლი ლომოური

სარედაქციო საბჭო:

**ალექსანდრე ელერდაშვილი
არჩილ კიკვაძე
თამარ კოტრიკაძე
ინა იმედაშვილი
ინგა მილორავა
ირაკლი ბაკურიძე
ლევან ბეიტრიშვილი
ლევან გელაშვილი
მალხაზ რუსაძე
მამუკა ხანთიაძე**

დიზაინი და ილუსტრაციები –
**ალექსანდრე ელერდაშვილი
და მალხაზ რუსაძე.**

ილუსტრაციები შესრულებულია
კოლაჟური კომპოგრაფიკის ტექნიკაში.